


მონაწილეობითი ბიუჯეტირების გზამკვლევი



მონაწილეობითი
ბიუჯეტის რეგისტრის
განმარტვა



წინამდებარე სახელმძღვანელო მომზადებულია GIZ-ის (Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit) მხარდაჭერით და გერმანიის ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ფედერალური სამინისტროს (BMZ) დაკვეთით. პროექტი „მოქალაქეთა თანამონაწილეობა ადგილობრივ ბიუჯეტებში“ ხორციელდება „აღმოსავლეთ პარტნიორობის საჯარო მმართველობის რეფორმის რეგიონული ფონდის“ ფარგლებში.

GIZ არ იღებს პასუხისმგებლობას სახელმძღვანელოს შინაარსობრივი მხარის სისწორესა და ავტორთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებებზე.



რედაქტორი:

კაჟა სალამაძე - სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის დირექტორი

ავტორები:

- ირაკლი მელაშვილი - თვითმმართველობის ექსპერტი*
- დავით ყიფიანი - სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ექსპერტი*
- ნათია აფხაზავა - სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ექსპერტი*
- მაგდა პოპიაშვილი - საქართველოს მედია კლუბის თავმჯდომარე*
- ლუკას ბორნი - ურბანული განვითარებისა და თანამონაწილეობის ექსპერტი*

ენობრივი რედაქტორი: *შორენა შამანაძე*

ტექნიკური უზრუნველყოფა: *თეონა კერესელიძე*

© შესაბამისი ავტორები

© გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2020

თბილისი, 2020

სარჩევი

თავი 1. მონაწილეობითი ბიუჯეტის საფუძვლები.....7

1.1 მონაწილეობითი დემოკრატია8

1.2 კარგი მმართველობა.....12

თავი 2. მონაწილეობითი ბიუჯეტის არსი, მიზნები და ამოცანები 15

თავი 3. მონაწილეობითი ბიუჯეტის დანერგვის ისტორია..... 18

თავი 4. მონაწილეობითი ბიუჯეტის დანერგვის საერთაშორისო პრაქტიკა..... 22

თავი 5. მონაწილეობითი ბიუჯეტის ბაზისური მოდელები 24

5.1 ტერიტორიული მონაწილეობითი ბიუჯეტის მოდელი24

5.2 თემატური მონაწილეობითი ბიუჯეტის მოდელები25

5.3 შერეული მონაწილეობითი ბიუჯეტის მოდელები27

5.4 მონაწილეობითი ბიუჯეტის მოდელის შერჩევა და ადაპტაცია28

5.4.1 მუნიციპალიტეტის ურბანული მონაცემები28

5.4.2 მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ზომა31

5.4.3 სამოქალაქო საზოგადოების განვითარება.....32

5.4.4 მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებს შორის საბიუჯეტო სახსრების განაწილება და მთელ ტერიტორიაზე მოსახლეობის მხრიდან მუნიციპალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის თანაბრობა.34

5.5 მონაწილეობითი ბიუჯეტის მოდელის ადაპტაცია.....35

5.5.1 მონაწილეობითი ბიუჯეტის მოდელის ადაპტაციის პროცედურა36

5.5.2 მუნიციპალიტეტის მიერ მონაწილეობითი ბიუჯეტების პროცესისათვის გამოყოფილი დაფინანსების მოცულობა.....37

5.5.3 მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარება.....38

5.5.4 სამოქალაქო საზოგადოების განვითარება.....39

5.5.5 ინტერნეტისა და ციფრული ტექნოლოგიების განვითარება.....40

5.6 მონაწილეობითი ბიუჯეტების პროცესში ჩართული მხარეები41



5.6.1 პოლიტიკის განმსაზღვრელი და პროცესების მაკონტროლებელი სუბიექტი	41
5.6.2 მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის განმახორციელებელი სუბიექტი	42
5.6.3 საპროექტო წინადადებების წარმდგენი სუბიექტი.....	43
5.6.4 საპროექტო წინადადებების შესახებ გადანაცვტილების მიმღები სუბიექტი.....	44
5.6.5 პროცესის მხარდაჭერი სუბიექტები	45
5.6.6 პოლიტიკური და ადმინისტრაციული მხარდაჭერა	45
5.7 მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესისთვის საჭირო რესურსები.....	46
თავი 6. სამართლებრივი რეგულაციები	50
6.1 სამართლებრივი ჩარჩო	50
6.2 მონაწილეობითი ბიუჯეტირების ადგილობრივი სამართლებრივი რეგულაციები როგორც საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	53
6.2.1 გორის მუნიციპალიტეტის გამოცდილება	54
6.2.2 ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გამოცდილება	58
6.2.3 ოზურგეთის და ქედის მუნიციპალიტეტების გამოცდილება	61
თავი 7. მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის განხორციელება	66
7.1 მონაწილეობითი ბიუჯეტის გეგმარების ეტაპი.....	70
თავი 8. მონაწილეობითი ბიუჯეტის ტერიტორიული მოდელი	78
8.1 მონაწილეობითი ბიუჯეტის ფორმირების მოსამზადებელი ეტაპის მიზნები და ამოცანები.....	78
8.2 მონაწილეობითი ბიუჯეტირების პირველ ეტაპზე მოსახლეობასთან ურთიერთობის ფორმები.....	79
8.3 საინიციატივო ჯგუფების ფორმირება და იდეების წარდგენა.....	84
8.4 საპროექტო წინადადების განხილვის მექანიზმები; საინიციატივო ჯგუფების მიერ წარდგენილი საპროექტო წინადადებების მოსახლეობასთან განხილვის კამპანია და მისი მექანიზმები;.....	86
8.5 საპროექტო წინადადების თაობაზე გადანაცვტილების მიღება და გადანაცვტილების მიმღები ორგანოების ფორმირება	88

თავი 9. თემატური მონაწილეობითი ბიუჯეტი	90
9.1 პრიორიტეტული საპროექტო წინადადების გამოვლენის ინსტრუმენტები.....	90
9.2 მონაწილეობითი ბიუჯეტირების საბჭოს მიერ მერიის მიერ დადგენილი თემატური პრიორიტეტების შესაბამისი სამიზნე ჯგუფების გამოყოფა და მათი ჩართულობის მექანიზმების განსაზღვრა.....	92
9.3 საინფორმაციო კამპანია, შეხვედრების ორგანიზება მერიის მიერ გამოყოფილი ინტერესთა ჯგუფების წარმომადგენლებთან.....	94
9.4 საინიციატივო ჯგუფების ფორმირება და იდეების წარდგენა. საპროექტო წინადადების კამპანიის წარმართვის ფორმები და მექანიზმები	97
9.5 საინიციატივო ჯგუფების კამპანია	99
9.6 პროექტების თაობაზე გადანაცვტილების მიღების მექანიზმები და გადანაცვტილების მიმღები ორგანოების ფორმირება	100
თავი 10. მონაწილეობითი ბიუჯეტირების საინფორმაციო უზრუნველყოფა	103
10.1 საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავება	104
10.2 საინფორმაციო კამპანიის დაგეგმვა	109
10.3 მონაწილეობითი ბიუჯეტირების საინფორმაციო მხარდაჭერა პროცესის ეტაპების მიხედვით	111
10.4 მონაწილეობითი ბიუჯეტირების გზავნილები, სლოგანები და ლოგოები	115
10.5 საინფორმაციო კამპანიის ინსტრუმენტები.....	117
10.5.1 ვებგვერდი, სოციალური ქსელები და ტრადიციული მედია	117
10.5.2 პირდაპირი კომუნიკაცია.....	118
10.5.3 ტრადიციული საშუალებების გამოყენება - ქუჩის ბანერები, საინფორმაციო მასალა.....	119
10.6 საინფორმაციო კამპანიის მიმდინარეობა.....	120
10.7 მონაცვლად სამიზნე ჯგუფებზე ორიენტირებული საინფორმაციო კამპანია	124
10.8 ბიუჯეტი ეფექტური PR-კამპანიისთვის.....	125
10.9 საკომუნიკაციო სტრატეგიით განსაზღვრული საინფორმაციო კამპანიებისა და ღონისძიებების ეფექტიანობის მონიტორინგი	126
თავი 11. მონიტორინგი და შეფასება	127

თავი 12. ბიბლიოგრაფია.....134

თავი 13. დანართები136

დანართი 1. შერი პ. არნშტეინის მოქალაქეთა მონაწილეობის კიბე..... 136

დანართი 2. მსოფლიოში დანერგილი მოდელები..... 138

დანართი 3. მონაწილეობითი მოდელების ტიპოლოგია 178

დანართი 4. მონაწილეობითი მოდელების პროცესებისა და აქტორების მახასიათებლები 190

დანართი 5. მონაწილეობითი მოდელების შედარებითი მახასიათებლები 194

დანართი 6. საქართველოში ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფის ინსტრუმენტები 202

დანართი 7. მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ნიმუში .. 215

დანართი 8. მონაწილეობითი ბიუჯეტების დანერგვის გამოცდილება საქართველოში..... 224

დანართი 9. მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის განხორციელების ეტაპები და მათზე პასუხისმგებელი ორგანოები..... 228

თავი 1. მონაწილეობითი ბიუჯეტის საფუძვლები

მეოცე საუკუნის 90-იანი წლებიდან პოლიტიკური მეცნიერების სფეროს ნაშრომებსა თუ მასშედიანში სულ უფრო ხშირად ჩნდება სიტყვათწყობა „მონაწილეობითი ბიუჯეტების მოდელი“ ან „მონაწილეობითი ბიუჯეტების პროცესი“, რაც უმეტესწილად უკავშირდებოდა ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობას, თუმცა შემდეგში დაუკავშირდა როგორც საჯარო, ასევე სხვა სფეროებს, როგორებიცაა, მაგალითად, საგანმანათლებლო ანდა სოციალური სერვისების მიმწოდებელი ორგანიზაციები. თუკი იგი თავიდან ძირითადად ბრაზილიასთან და ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებთან მიმართებით იხსენიებოდა, ახლა სიახლეები უკვე სხვა ქვეყნიდანაც ვრცელდება. ამავდროულად, ამ თემაზე საუბარი და, რაც მთავარია, მისი ფინანსური თუ მეთოდოლოგიური მხარდაჭერა უზრუნველყო გაერომ, ევროკავშირმა, მსოფლიო ბანკმა, ევროპისა და აზიის განვითარების ბანკებმა და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებმა. შედეგად მივიღეთ სინამდვილე, როცა მსოფლიოს სულ უფრო მეტ ქალაქში, მუნიციპალიტეტსა და ორგანიზაციაში აქტიურად ინერგება მონაწილეობითი ბიუჯეტების სხვადასხვა მოდელი, სულ უფრო მეტი ხალხი ერთვება პროცესებში და მეტ სარგებელს იღებს როგორც მოსახლეობა, ისე სახელმწიფო.

წარმოდგენილ ნიგში საუბარი იქნება მონაწილეობით ბიუჯეტებზე, როგორც თვითმმართველობის დონეზე (დასახლება, ქალაქი, მუნიციპალიტეტი ან/და პროვინცია, მხარე) გადანაცვებების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის ფორმაზე. ამიტომ ყოველთვის, როდესაც ახსენებენ ცნებას „მონაწილეობითი ბიუჯეტება“, გულისხმობენ ადგილობრივ დონეზე მართვის ინოვაციურ მეთოდებს, ფინანსების ყაირათიან და შედეგზე ორიენტირებულ განკარგვას, ასევე მოსახლეობის მაქსიმალურ ჩართვას როგორც გადანაცვებების მიღების, ისე პროექტების განხორციელების მონიტორინგსა და შედეგების შეფასების პროცესებში. მიუხედავად ასეთი მარტივი სქემისა, საჭიროდ მივიჩნით გავცნობოდით მის წინარე პირობებსა და იმ სისტემებს, რომლებსაც იგი ეყრდნობა.

ქალაქ პორტო ალეგრიში¹ (ბრაზილია) მონაწილეობითი ბიუჯეტების

¹ ქალაქი პორტო ალეგრი (Porto Alegre) იყო მსოფლიოში პირველი ქალაქი, სადაც 1992 წელს დაინერგა და დღემდე ეფექტურად ფუნქციონირებს მონაწილეობითი ბიუჯეტების სისტემა.

პირველი მოდელის დანერგვის პროცესის ერთ-ერთი ინიციატორი უბირანტან დე სუზა (Ubiratan de Souza) მონაწილეობითი ბიუჯეტირების არსს ამგვარად განმარტავს:

„მონაწილეობითი ბიუჯეტირება არის ნებაყოფლობითი, უნივერსალური და უშუალო (პირდაპირი) დემოკრატიის პროცესი, რომლის საშუალებითაც ხალხი აწარმოებს დიალოგს და იღებს გადაწყვეტილებას ბიუჯეტისა და სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ. მოქალაქეები არ შემოიფარგლებიან მხოლოდ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წევრთა არჩევნებით, არამედ უშუალო მონაწილეობას იღებენ საბიუჯეტო პრიორიტეტების დადგენისა და სახელმწიფო ხელისუფლების კონტროლის პროცესებში. ისინი აღარ არიან ტრადიციული პოლიტიკის მხოლოდ ინსტრუმენტები და გარდაიქმნებიან სახელმწიფო მმართველობის მუდმივ პროტაგონისტებად. მონაწილეობითი ბიუჯეტირება თავის თავში აერთიანებს უშუალო და წარმომადგენლობით დემოკრატიებს, რაც წარმატებით უნდა შენარჩუნდეს და სათანადოდ დაფასდეს.“

მონაწილეობითი ბიუჯეტირება ემყარება რწმენას, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო საზოგადოება და საჯარო მოხელეები ერთობლივად უფრო ეფექტურად შეძლებენ საჯარო ხარჯების პრიორიტეტულობის განსაზღვრას, რაც ხელს შეუწყობს სოციალური კონფლიქტების შემცირებას და გაზრდის საზოგადოების კეთილგანწყობას მიღებული გადაწყვეტილებების მიმართ.

მონაწილეობითი ბიუჯეტირების საფუძველს წარმოადგენს, ერთი მხრივ, მონაწილეობითი დემოკრატია, რომელიც განსაზღვრავს საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მეთოდებს, მეორე მხრივ კი, ე. წ. კარგი მმართველობა, რომელიც ადგენს იმ პრინციპებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს სამართლიანი, სანდო და ეფექტიანი შედეგის მიღწევის პროცესი.

1.1 მონაწილეობითი დემოკრატია

უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ მონაწილეობითი ბიუჯეტირების სისტემა წარმოადგენს მონაწილეობითი დემოკრატიის ერთ-ერთ მოდელს, რომელიც შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგნაირად:

მონაწილეობითი დემოკრატია წარმოადგენს დემოკრატიულ პროცესს:

რომლის ფარგლებშიც მოქალაქეები უშუალოდ (ინდივიდუალურად), და არა მათ მიერ არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით, ერთვებიან გადაწყვეტილების მიღებისა და საჯარო პოლიტიკის შემუშავების პროცესებში;

რაც გავლენას ახდენს მათ ცხოვრებაზე;

რისთვისაც ინსტიტუციურად იქმნება იმის საშუალება, რომ საზოგადოების ყველა წევრმა შეძლოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში თავისი წვლილის შეტანა;

როცა ფართოვდება იმ პირთა წრე, ვინც მოახერხებს აღნიშნული შესაძლებლობების დაუბრკოლებლად და უშუალოდ გამოყენებას.

ერთი მხრივ, აღნიშნული განმარტება ძალიან ნააგავს უშუალო (პირდაპირი) დემოკრატიის განსაზღვრებას, თუმცა მათ შორის არის მნიშვნელოვანი სხვაობაც: მონაწილეობითი დემოკრატიის დროს მნიშვნელოვანია არა მარტო ის, თუ რა შედეგით დამთავრდა პირდაპირი კენჭისყრა, რასაც უშუალო დემოკრატიის ყველა მოდელი პირდაპირ „ითხოვს“, არამედ ისიც, თუ საზოგადოება რამდენად ფართოდ მონაწილეობდა ამ შედეგის მიღწევაში, რამდენად აისახა შედეგში მცირე ჯგუფების მოლოდინები და წუხილები, რამდენად ფართო იყო საზოგადოებრივი კონსენსუსი, რის საფუძველზეც მოხდა გადაწყვეტილების მიღება. ე.ი. მონაწილეობითი დემოკრატიის მთავარ მიზანს წარმოადგენს პროცესში ყველა დაინტერესებული, თუნდაც ყველაზე მცირერიცხოვანი მხარის უშუალო ჩართულობა და გადაწყვეტილების მიღება დისკუსიების შედეგად მიღწეული ფართო საზოგადოებრივი კონსენსუსის საფუძველზე.

მონაწილეობითი ბიუჯეტირების, ისევე როგორც დემოკრატიის სხვა ფორმების სათავე იძებნება ძველ საბერძნეთში, რომლის ქალაქი-სახელმწიფოები უშუალო (პირდაპირი) დემოკრატიის საშუალებით იმართებოდა. მოქალაქეები ქალაქის მთავარ მოედანზე იკრიბებოდნენ და სახელმწიფოსათვის საჭირობოროტო საკითხებს დებატების მეშვეობით წყვეტდნენ. საკითხის განხილვა შეეძლო მოეთხოვა როგორც მოქალაქეს, ისე ქალაქის ხელისუფალს, საბოლოო გადაწყვეტილება კი მოქალაქეთა ღია კენჭისყრის შედეგად მიიღებოდა. თუმცა ელინური ქალაქ-სახელმწიფოების დაცემასთან ერთად მართვის ამგვარი ფორმაც მივიწყებულ იქნა.

დემოკრატიის არსებული ფორმების აღორძინებას ხელი შეუწყო ევროპაში სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ცვლილებამ, საფრანგეთის რევოლუციამ, დიდი ბრიტანეთის სამოქალაქო და ჰოლანდიის განმათავისუფლე-

ბელმა ომებმა, შემდგომში კი - აშშ-ს ჩამოყალიბებამ. თანდათანობით დამკვიდრდა და გაძლიერდა ქვეყნების მართვის როგორც უშუალო (პირდაპირი), ისე წარმომადგენლობითი დემოკრატიის ფორმები. თუმცა, თითქმის მე-19 საუკუნემდე, წარმომადგენლობითი დემოკრატიის მოდელის ფორმირება საკმაოდ ნელი ტემპით მიმდინარეობდა. ეს გარკვეულწილად გამოწვეული იყო ახალი პოლიტიკური ელიტის ფორმირებით, რომელიც „კარგად მოერგო“ და ეფექტიანად იყენებდა მმართველობის არსებულ ფორმაციებში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. მაგრამ უკვე მე-17 საუკუნის ბოლოდან ევროპასა და აშშ-ში მომწიფდა ახალი დემოკრატიული ცვლილებების საჭიროება, რაც გამოიწვია სამყაროსა და საზოგადოებაში მომხდარმა ცვლილებებმა და მოქალაქეთა ყველაზე მონყვლადი ფენის სურვილმა თავად განეგოს საკუთარი ცხოვრება.

1991 წელს ჰარვარდის პროფესორმა **სამუელ ჰანტინგტონმა** (Samuel P. Huntington) გამოქვეყნა ნაშრომი **მესამე ტალღა: დემოკრატიზაცია მე-20 საუკუნის ბოლოს** (The Third Wave: Democratization in the Late Twentieth Century), სადაც აღწერა დემოკრატიზაციის სამი ტალღა², რომლებმაც დრამატულად შეცვალა მსოფლიო პოლიტიკური რუკა, დაამკვიდრა საჯარო მმართველობის ახალი სისტემები და საფუძველი ჩაუყარა მონაწილეობით დემოკრატიას იმ სახით, როგორსაც დღეს ბევრ ქვეყანაში ვხედავთ.

ჰანტინგტონის მიხედვით, დემოკრატიზაციის პირველი ტალღა ფიქსირდება 1828-1926 წლებში. მისი ათვლა იწყება იმ დროიდან, როდესაც აშშ-ში, ე. წ. ჯეკსონის დემოკრატიის (Jacksonian democracy) ფარგლებში, საარჩევნო უფლება მიენიჭა 21 წელს მიღწეულ თეთრ მამაკაცთა უმეტესობას. შემდგომ ამავე პროცესებმა განვითარება ჰპოვა საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთში, კანადაში, ავსტრალიაში, იტალიასა და არგენტინაში, ხოლო პიკს მიაღწია რუსეთის, გერმანიის, ოსმალეთისა და ავსტრიის იმპერიების რღვევის პერიოდში. ამ პროცესების შედეგად, 1918 წლისათვის, უკვე არსებობდა დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული 29 ქვეყანა. თუმცა, მოგვიანებით ამ ქვეყნების უმრავლესობაში კომუნისტური, ფაშისტური და მილიტარისტული ძალების ხელისუფლებაში მოსვლის შედეგად, 1942 წლისათვის დარჩა მხოლოდ 12 დემოკრატიული სახელმწიფო. მიუხედავად იმისა, რომ ამავე პერიოდში გაიზარდა საჯარო მმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობა, მისი დონე მაინც ძალზედ დაბალი იყო. მოქალაქეთა დიდი ნაწილი კი სრულიად გარიყული იყო გადაწყვეტილების მიღების პროცესიდან.

დემოკრატიზაციის მომდევნო ტალღა ჰორიზონტზე დაახლოებით 1974 წელს

² შემდგომში, სხვა მკვლევარებმა განავითარეს ჰანტინგტონის კვლევები და ამჟამად გამოყოფენ დემოკრატიზაციის არა სამ, არამედ შვიდ ტალღას, რომლებშიც აისახება მსოფლიოში ბოლო წლებში განვითარებული პოლიტიკური პროცესების ის მთავარი შედეგები, როგორებიცაა ფერადი რევოლუციები, არაბული გაზაფხული და სხვა.

გამოჩნდა. იგი ხასიათდებოდა, ერთი მხრივ, მსოფლიოში ახალი დემოკრატიული ქვეყნების გაჩენით, მეორე მხრივ კი, კენჭისყრის პროცესში ქალთა ჩართულობით. რაოდენ უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს, უშუალო დემოკრატიის მოდელის მრავალსაუკუნოვანი და მრავალფეროვანი გამოცდილების მქონე ისეთ ქვეყანაში, როგორიც შვეიცარიაა, ქალებმა საარჩევნო უფლება მხოლოდ 1971 წელს მოიპოვეს. აქედან ამკარაა, რომ ქვეყანაში უშუალო დემოკრატიის ეფექტური მოდელის ფუნქციონირება არ ნიშნავს იმას, რომ იქ ერთმნიშვნელოვნად არ არსებობს პოლიტიკიდან სრულიად გარიყული, საკმაოდ მრავალრიცხოვანი მონყვლადი ჯგუფები,

მესამე ტალღის ფარგლებში განხორციელდა კომუნისტურ, ფაშისტურ და მილიტარისტულ იდეოლოგიებზე დაფუძნებული ქვეყნების (პორტუგალია, ფილიპინები, კორეა, ტაივანი) გარდაქმნისა და. ზოგ შემთხვევაში, სახელმწიფოთა დაშლის შედეგად (ყოფილ სსრკ-ში შემავალი რესპუბლიკები) ახალი დემოკრატიული ქვეყნების წარმოშობისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენის პროცესები. ამავე დროს, დემოკრატიული ტრადიციების მქონე ქვეყნებში მიმდინარეობს სულ უფრო და უფრო მკვეთრი გამოიჭნა მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფს შორის როგორც მატერიალური, ისე პოლიტიკური ინტერესებისა თუ მოლოდინების თვალსაზრისით. ეს ტენდენცია განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა ლათინური ამერიკის ქვეყნებში, სადაც სამხედრო დიქტატურების დამხობის შემდგომ ქვეყნის სათავეში მოვიდნენ მემარცხენე ძალები.

დემოკრატიზაციის მესამე ტალღის მთავარი და უმნიშვნელოვანესი სიახლეა მონაწილეობითი დემოკრატიის მოდელის სხვადასხვა ქვეყანაში დანერგვის მცდელობა, როდესაც საჯარო პოლიტიკის ფორმირების რთულ პროცესში ერთვება სულ უფრო მეტი მოქალაქე, რის შედეგადაც მონაწილეობაზე დაფუძნებული მმართველობითი სისტემა გამოავლენს მოსახლეობის მონყვლად ჯგუფებს და უზრუნველყოფს მათ ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. საჯარო პოლიტიკის ბევრი მკვლევარი უკვე თვლის, რომ იმ შემთხვევაში, თუკი არ შემუშავდება ახალი მიდგომები, მართლ წარმომადგენლობითი დემოკრატია ვერ შეძლებს საჯარო მმართველობის ხარისხის გაუმჯობესებას, საჯარო გადაწყვეტილების მიღების პროცესების შესახებ მოქალაქეთა გაცნობიერებას და მათ შესაძლებლობათა განვითარებას, აგრეთვე შეზღუდული საჯარო რესურსების ყაირათიან განკარგვას.

თუკი მეცნიერება და ტრადიციული პოლიტიკური ელიტა ძალ-ღონეს არ იშურებს ე.წ. **შუმპეტარისეული საარჩევნო დემოკრატიის მოდელის** (Schumpeterian model of electoral democracy) განსავითარებლად, მის გასაუმჯობესებლად და ახალი, უფრო ეფექტური მეთოდების მოსაძიებლად, სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტები და ნოვატორი პოლიტიკოსები ცდილობენ ამ პროცესების პარალელურად შეცვალონ აგრეთვე მოსახლე-

ეობასა და ხელისუფლების წარმომადგენლთა შორის გადანაცვებების მიღების პროცესში ურთიერთობის არსებული პარადიგმა და იოვონ ახალი, უფრო ეფექტური გზები ამ ორ ჯგუფს შორის თანასწორი, ორმხრივი, ეფექტური და შედეგზე ორიენტირებული კომუნიკაციის დასამყარებლად. ყოველივე ამის უზრუნველყოფა კი სწორედ მონაწილეობითი დემოკრატიის მოდელს შეუძლია.

მონაწილეობითი დემოკრატიის მოდელის დანერგვა არ უარყოფს წარმომადგენლობითი დემოკრატიის ფორმებს, აგრეთვე არ ჩაანაცვლებს უშუალო (პირდაპირ) დემოკრატიას, რომელიც ფოკუსირებულია მოსახლეობის მიერ ბინარული სახის (ვეთანხმები/არ ვეთანხმები; ხმას ვაძლევ/არ ვაძლევ) გადანაცვებების მიღებაზე. იგი ორიენტირებულია ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის დისკუსიის წარმართვაზე, ინტერესთა ჯგუფების (მათ შორის, მონყვლადი ჯგუფების) პრობლემების იდენტიფიცირებაზე, ალტერნატიული გზების მოძიებასა და უმეტესწილად კონსენსუსზე დაფუძნებულ გადანაცვებებებზე.

ამიტომაც ითვლება, რომ მონაწილეობითი დემოკრატია არის უშუალო (პირდაპირი) და წარმომადგენლობითი დემოკრატიებისგან განსხვავებული, ჰიბრიდული დემოკრატიის მოდელი, რომელიც თავის თავში აერთიანებს ორთავე მოდელის მახასიათებლებს, გარდაქმნის საჯარო ინსტიტუციებს და ინვესტს დემოკრატიის, სოციალური კეთილდღეობისა და მართვის ხარისხის გაუმჯობესებას.

1.2 კარგი მმართველობა

მე-20 საუკუნის ბოლოს შემუშავებული **კარგი მმართველობის (Good Governance)** კონცეფცია არის გადანაცვებების მიღებისა და განხორციელების ინოვაციური პროცესი, რომელიც აღწერს თუ როგორ, რა ძირეულ პრინციპებზე დაყრდნობით, უნდა ახორციელდეს ნებისმიერი დონის ხელისუფლება მმართველობითი გადანაცვებების მიღებას და რესურსების განკარგვას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მაქსიმალურად საუკეთესო გადანაცვებების შემუშავება და დასახული ამოცანების ეფექტიანად განხორციელება. როგორც განმარტებიდან ჩანს, კარგი მმართველობის პრინციპები გამოიყენება არა მხოლოდ საჯარო ხელისუფლებაში, არამედ არასამთავრობო, სამენარშეო და კომერციულ ორგანიზაციებშიც.

საჯარო მმართველობაში კარგი მმართველობა ეფუძნება³ შემდეგ ძირითად პრინციპებს:

3 Sheng, Y. (2007). What is Good Governance? New York: United Nations.

- თანამონაწილეობა (Participation)

საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის პროცესში მოქალაქეთა თანამონაწილეობა (მონაწილეობა), - დამოუკიდებლად მათი სქესისა, რელიგიური თუ პოლიტიკური მიკუთვნებულობისა - წარმომადგენს კარგი მმართველობის ქვაკუთხედს. თანამონაწილეობა შეიძლება იყოს უშუალო (პირდაპირი) და ფორმალური, ე.ი. შუალედური ინსტიტუტებისა და წარმომადგენლების (პარლამენტის, საკრებულოს, გამგებლების და თემის ლიდერების) მეშვეობითი.

- კანონის უზენაესობა (Rule of law)

კანონის აღსრულების დროს დაცული უნდა იყოს ყოველი ადამიანის, განსაკუთრებით კი უმცირესობათა უფლებები.

- რეაგირება (Responsiveness)

ეფექტური მომსახურება გულისხმობს დროულ რეაგირებასა და მოქალაქეთა ხელშეწყობას, როგორც საბოლოო პროდუქტის/ მომსახურების მიწოდებისას, ასევე თავად პროცესის ფარგლებში წარმოქმნილი სიძნელების გადალახვისას.

- ორიენტაცია კონსენსუსზე (Consensus oriented);

ინტერესთა ჯგუფებს შორის შუამავლის, იგივე მედიატორის, როლს ასრულებს ხელისუფლება, რომელიც ცდილობს ფართო საზოგადოებრივი კონსენსუსის მიღწევას საზოგადოების წინაშე მდგარი პრობლემებისა და არსებული რესურსებით მათი დაძლევის გზების შესახებ.

- გამჭვირვალობა (Transparency)

მიღებული გადანაცვებებები და მათი აღსრულება ხდება გარკვეული ფორმალური წესებისა და კანონების დაცვით, რაც უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის თავისუფალ განკარგვას და პირდაპირ ხელმისაწვდომობას მათთვის, ვისაც აღნიშნული გადანაცვებებები და/ან მათი აღსრულება უშუალოდ ეხება.

- ანგარიშვალდებულება (Accountability)

საჯარო დანესებულება ანგარიშვალდებულია საზოგადოების წინაშე, რადგან მის მიერ მიღებული გადანაცვებებები ან განხორციელებული ქმედებები გავლენას ახდენს თავად საზოგადოებაზე. ანგარიშვალდებულება ვერ განხორციელდება გამჭვირვალობისა და კანონის უზენაესობის გარეშე.

- **ეფექტურობა და ეფექტიანობა (Effectiveness and Efficiency)**

ინსტიტუციების საქმიანობა ორიენტირებული უნდა იყოს ისეთ შედეგებზე, რაც აკმაყოფილებს საზოგადოების საჭიროებებს, თანაც აუცილებლად არსებული რესურსების ყაირათიანი მოხმარების ხარჯზე. საჯარო დაწესებულება ვალდებულია თავისი ყოველდღიური საქმიანობა წარმართოს სოციალური თანასწორობის პრინციპების გათვალისწინებით, უზრუნველყოს პროცესების ეფექტურობა და შედეგიანობა, აგრეთვე გარემოს ეფექტიანი დაცვა.

- **თანასწორობა და სოციალური ინკლუზიურობა (Equality and Inclusiveness)**

საზოგადოების ყველა ჯგუფს, მათ შორის ყველაზე დაუცველებსაც, უნდა შეეძლოს თავისი კეთილდღეობის გაუმჯობესება ან შენარჩუნება, რაც, საბოლოო ანგარიშით, მიგვიყვანს საზოგადოებრივ თანასწორობამდე.

გემოსხენებული ყველა პრინციპის საჯარო მმართველობაში აქტიური დანერგვა იძლევა იმის გარანტიას, რომ შემცირდება კორუფცია, გადანყვეტილებების მიღების დროს გაითვალისწინებენ უმცირესობების მოსაზრებებს და ყურს დაუგდებენ საზოგადოების ყველაზე დაუცველი ნაწილის ხმას, ასევე ეფექტურ რეაგირებას მოახდენენ საზოგადოების მიმდინარე და სამომავლო საჭიროებებზე.

თავი 2. მონაწილეობითი ბიუჯეტის არსი, მიზნები და ამოცანები

თვითმმართველობის დონეზე მონაწილეობითი ბიუჯეტირება არის მუნიციპალური ბიუჯეტის შემუშავების პროცესი, რომელშიც უშუალოდ ჩართულნი არიან სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლები. ამისთვის იქმნება ღია სადისკუსიო სივრცე, სადაც საჯარო განხილვების გზით განისაზღვრება თუ რისთვის უნდა დაიხარჯოს მუნიციპალური ბიუჯეტიდან წინასწარ გამოყოფილი სახსრები, ხოლო მოგვიანებით კი ფასდება დაგეგმილი სამუშაოების მიმდინარეობა, შესრულების ხარისხი და განხორციელებული პროექტების ეფექტიანობა.

მონაწილეობითი ბიუჯეტირების ძირითად მიზნებს წარმოადგენს:

- **დემოკრატიზაციის პროცესის გაძლიერება.** გადანყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეების მონაწილეობის წახალისების გზით მათი როლის და ფუნქციის გაზრდა, დემოკრატიის არსებული დონით გამონჯვეული იმედგაცრუების შემცირება;
- **სოციალური სოლიდარობა.** პრობლემების გადაჭრის პროცესში მოქალაქეთა ურთიერთმხარდაჭერა;
- **მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა.** ადგილობრივ დონეზე პოლიტიკური გადანყვეტილებებისა და პოლიტიკური მიზნების განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობისა და გადანყვეტილების ლეგიტიმურობის გაზრდა;
- **ხელისუფლების ანგარიშვალდებულება.** ადგილობრივი ხელისუფლების პასუხისმგებლობის ზრდა მოსახლეობის წინაშე;
- **საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის ეფექტიანობის გაზრდა მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებული პროექტების განხორციელების გზით.**
- **სამუშაოთა ეფექტიანობის გაზრდა.** მოსახლეობის მიერ გამოყოფილი რესურსების ყაირათიანი და მიზნობრივი ხარჯვის გაკონტროლება;
- **დიალოგზე დაფუძნებული პროცესის წარმართვა.** პოლიტიკოსების მიერ გადანყვეტილების მიღება მოქალაქეებთან კონსულტაციის შედეგად - ამ პროცესის მხარდაჭერა და მიღებული გადანყვეტილების განხორციელების ვალდებულება;

- **პროცესების გამჭვირვალობა.** მოქალაქეებისათვის ბიუჯეტის შედგენის პროცედურებისა და პარამეტრების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;
- **საბიუჯეტო სახსრების უფრო თანაბარი და სამართლიანი გადანაწილება.** სხვადასხვა სოციალური ინტერესის ჯგუფების და მუნიციპალიტეტის ტერიტორიების (უბნები, დასახლება) მცხოვრებლების თანაბარი ხელმისაწვდომობა მუნიციპალურ სერვისებსა და საბიუჯეტო სახსრებზე.

მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესში სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ კონკრეტული ტერიტორიის მცხოვრებლები. ისინი შეიძლება იყვნენ როგორც ამ დასახლებაში მცხოვრები სხვა მუნიციპალიტეტის ამომრჩეველები, ისე სხვადასხვა მონყვლადი, ფორმალური თუ არაფორმალური ჯგუფის წარმომადგენლები⁴, მათ შორის:

- დაბალი შემოსავლის მქონე და სოციალურად შეჭირვებული მოსახლეობა;
- შებენიანი შესაძლებლობის პირები;
- ახალგაზრდები და ხანშესული მოსახლეობა;
- ეკო-მიგრანტები;
- იძულებით გადაადგილებული პირები;
- ადგილობრივი მენარმეები;
- სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები;
- სხვა ქვეყნის მოქალაქეები;
- მოქალაქეთა ფორმალური თუ არაფორმალური გაერთიანებები;
- და სხვა ჯგუფები.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მონაწილეობითი ბიუჯეტის მთავარი ამოცანებია:

- შეიქმნას მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც ადგილობრივი პრობლემების გამოვლენის და მათი მოგვარების პროცესში საჯარო

⁴ იმის განსაზღვრა, თუ კონკრეტულად ვის აქვს მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესში ჩართვის უფლება, დამოკიდებულია წესებზე, რომლებიც შემუშავდა ცალკე აღებულ მუნიციპალიტეტში დანერგილი მოდელის ფარგლებში.

ფინანსების განკარგვა მოხდება არა ბიუროკრატიის სასარგებლოდ, არამედ ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით;

- საჯარო რესურსების მკაფიო კრიტერიუმებზე დაყრდნობით განაწილება და ყირათიანი ხარჯვა;
- სოციალური თანასწორობის უზრუნველსაყოფად ყველა დაინტერესებული მხარის მაღალი დონის ჩართულობა;
- მოქალაქეებში საჯარო მმართველობის მიმართ ლეგიტიმურობისა და ნდობის გრძობათა გაღვივება;
- გადანყვეტილებათა მიღების პროცესის გამჭვირვალობა და საჯარო მმართველობის გაუმჯობესება;
- კარგი მმართველობის პრინციპებზე დაყრდნობით ეფექტური საჯარო მმართველობის სისტემის შექმნა, რომელიც ორიენტირებული იქნება მოქალაქეების ინტერესების დაკმაყოფილებაზე და უზრუნველყოფს საჯარო პოლიტიკის შედეგების მდგრად გაუმჯობესებას.

მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესი მაქსიმალურად ეფექტიანია იმ ქვეყნებში, სადაც დეცენტრალიზაციის ხარისხი მაღალია, ხოლო თვითმმართველობებს საკმაოდ ფართო და მრავალფეროვანი უფლებამოსილებები და საკუთარი შემოსავლები გააჩნიათ.

თავი 3. მონაწილეთა ბიუჯეტის დაწესების ისტორია

უბერანტან დე სუზამ, ბრაზილიის ქალაქ პორტო ალეგრის ადგილობრივ არჩევნებში თავის სოციალისტ თანაპარტიელებთან ერთად გამარჯვების შემდეგ, მიზნად დაისახა, რომ სასწრაფოდ აღმოეფხვრა ქალაქის სხვადასხვა რაიონში გამეფებული კატასტროფული სიღარიბე და უთანაბრობა. ამისათვის კი საჭირო იყო ნოვატორული, და რაც მთავარია, ლეგიტიმური მიდგომების სწრაფი შემუშავება. ამ მიზნით, 1989 წელს მუნიციპალიტეტის საბჭოში წარდგენილი იქნა ინიციატივა, რასაც შემდგომში მონაწილეთა ბიუჯეტი ეწოდა. ინიციატივა ეყრდნობოდა იდეას, რომ ნებისმიერმა ადამიანმა უკეთ იცის, თუ რა პრობლემებია მის წინაშე. ამდენად, თუკი მას ვასწავლით, როგორ ხდება ბიუჯეტის ფორმირება, რა რესურსებია საჭირო პროექტების და პროგრამების განსახორციელებლად და იმის უფლებასაც მივცემთ, რომ თავად განსაზღვროს რომელი პრობლემის გადაჭრა უფრო პრიორიტეტულია არა მხოლოდ კონკრეტულად მისთვის, არამედ მთელი სამოგადობისათვის, მაშინ შეიძლება იმასაც ველოდოთ, რომ მივიღებთ შედეგზე უფრო მეტად ორიენტირებულ მუნიციპალურ ბიუჯეტს. შესაბამისად, განხორციელებული პროექტის შედეგებიც მოსახლეობის მოთხოვნისა და საჭიროებებისადმი უფრო ადეკვატური იქნება. მართლაც, დე სუზას მოლოდინი გამართლდა და დღეს პორტო ალეგრის მოსახლეობა საკუთარი შემოსავლების თითქმის 70%-ის ხარჯვის საკითხს უკვე მონაწილეთა ბიუჯეტის პროცესის ფარგლებში განკარგავს.

მას შემდეგ უკვე 30 წელი გავიდა. ამ დროის განმავლობაში არაერთმა დიდმა თუ პატარა დასახლებამ თუ მუნიციპალიტეტმა სცადა მოქალაქეთა ჩართულობის მეთოდის გამოყენება. შედეგად, დღეს მსოფლიოს 1,500 ქალაქსა და დასახლებულ პუნქტში ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმარება ხდება მონაწილეთა ბიუჯეტის პრინციპებზე დაყრდნობით: განსაკუთრებით ფართო გავრცელება კი ამ მეთოდმა ამერიკა და ევროპაში ჰპოვა.

არსებული პრაქტიკა აჩვენებს, რომ მონაწილეთა ბიუჯეტის დაწესების წარმატება-წარუმატებლობა არ არის დამოკიდებული არც დასახლებულ პუნქტში მოსახლეობის ოდენობაზე და არც მისი ბიუჯეტის ზომაზე, თუმცა კონკრეტული მოდელის შერჩევასა საჭიროა ორთავე პარამეტრის გათვალისწინება.



ილუსტრაცია 1 - მსოფლიოში 2018 წლისათვის მონაწილეთა ბიუჯეტის ფარგლებში განკარგული ფინანსური სახსრების მოცულობა წყარო: The Participatory Budgeting Project

მონაწილეთა ბიუჯეტის დაწესება შესაძლებელია ნებისმიერი ზომის დასახლებულ პუნქტში. ასე, მაგალითად:

- სოფელში, სადაც რამდენიმე ასეული მოსახლე ცხოვრობს - კურალე-არა დე კარანგასი (ბოლივია);
- ქალაქის ერთ რაიონში/უბანში (Urban Districts) - ჩიკაგოს 49-ე რაიონი (აშშ);
- საშუალო ზომის ქალაქებში (100,000-ზე ნაკლები მოსახლე) - ილო (პერუ);
- მილიონიან ქალაქებში - როსარიო (არგენტინა);
- ძალიან დიდ (რამდენიმე მილიონიან) ქალაქებში - პარიზი, ბერლინი, ლონდონი.

მონაწილეთა ბიუჯეტი, უმეტესწილად, მუნიციპალურ დონეზე იწერება. თუმცა ამჟამად არსებობს რამდენიმე ქვეყნის გამოცდილება, სადაც დაწესდა სუბეროვნულ (რეგიონულ; სამხარეო) დონეზე მოხდა. ასე, მაგალითად:

- შტატის დონეზე - რიო გრანდე დო სული (Rio Grande do Sul) (ბრაზილია);

- დეპარტამენტის დონეზე - ელ ტოლიმას (El Tolima) დეპარტამენტი (კოლუმბია);
- პროვინციის დონეზე - ჩუკამპას (Chucampas) პროვინცია (პერუ).

პრაქტიკა აგრეთვე აჩვენებს, რომ მისი დანერგვა შეიძლება როგორც ძალიან ღარიბ ქალაქებში/დასახლებულ პუნქტებში, სადაც საჯარო რესურსების ხელმისაწვდომობა ძალზედ შეზღუდულია, ისე ძალიან მდიდარ მუნიციპალიტეტებში. მაგალითად, მონანილეობითი ბიუჯეტი დაინერგა აფრიკის რამდენიმე ქალაქში, რომელთა წლიური ბიუჯეტი, ერთ სულ მოსახლეზე გამოთვლით, 3 აშშ დოლარს შეადგენს, აგრეთვე ევროპისა და ბრაზილიის ქალაქებში, სადაც იგივე მახასიათებელი 500-დან 1000-მდე აშშ დოლარის ფარგლებში მერყეობს (The Participatory Budgeting Project, 2019).

მსოფლიოში მონანილეობითი ბიუჯეტის დანერგვის ტემპებს კარგად ასახავს ცხრილი 1, სადაც მოცემულია მხოლოდ ბრაზილიის იმ ქალაქების რაოდენობა, სადაც მონანილეობითი ბიუჯეტი 1989-2008 წლებში დაინერგა. ცხრილიდან კარგად ჩანს, რომ ასეთი ქალაქების რიცხვი ყოველ 3 წელიწადში ორმაგდებოდა.

წლები	ქალაქების რაოდენობა (პროცენტებში)
1989-1992	4,3%
1993-1996	9%
1997-2000	18%
2001-2004	40%
2005-2008	41%

ცხრილი 1 - 1989-2008 წლებში ბრაზილიაში ქალაქების რაოდენობა, სადაც დანერგილი იქნა მონანილეობითი ბიუჯეტირების პროცესი (პროცენტებში)


წყარო: The Participatory Budgeting Project

მონანილეობითი ბიუჯეტის დანერგვის მსოფლიო ტენდენციამ გვერდი ვერც საქართველოს აუარა. ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე მოქალაქეთა ჩართულობის ერთ-ერთ მოდელად მისი გამოყენება 2015 წელს მარნეულის მუნიციპალიტეტში დაიწყო სამოქალაქო (მონანილეობითი) ბიუჯეტის პროექტის სახით. ამ პროექტს ტექნიკურ და მეთოდოლოგიურ დახმარებას უწევდა პოლონური ფონდი „სხვა სივრცე“ (Other Space Foundation). სამოქალაქო (მონანილეობითი) ბიუჯეტის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოიყო 1.5 მილიონი ლარი. მოსახლეობას

შესთავაზეს წინასწარ განსაზღვრულ თემებზე საპროექტო წინადადებები-სა და განაცხადების შემოტანა, მათი გადარჩევის შედეგად გამოვლინდა გამარჯვებული საპროექტო წინადადებები, რომლებიც აისახა მომდევნო წლის ბიუჯეტში. სამივე წლის მანძილზე მოსახლეობის ჩართულობა იყო მაღალი, ხოლო წარმოდგენილი საპროექტო წინადადებების ოდენობა - მზარდი.

თავი 4. მონაწილეობითი ბიუჯეტის დანერგვის საერთაშორისო პრაქტიკა

კონკრეტული მუნიციპალიტეტის ადგილობრივი სპეციფიკა, მისი აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ხელისუფლების მიერ დეკლარირებული მიზნებისა და ამოცანების კომბინაცია იძლევა იმ მრავალფეროვნებას, რომელიც მონაწილეობითი ბიუჯეტის მოდელს ამჟამად ახასიათებს. მათი სისტემატიზაციის შედეგად, 2012 წელს, შემუშავდა მონაწილეობითი ბიუჯეტის ტიპოლოგია (Sintomer, Herzberg, Rocke-Humboldt, & Allegratti, 2012), რომლის მეშვეობითაც აღინერება ამჟამად არსებული ყველა მოდელი.



ილუსტრაცია 2 . მონაწილეობითი ბიუჯეტის მოდელები წყარო (Sintomer, Herzberg, Rocke-Humboldt, & Allegratti, 2012).

ტიპოლოგიის ფარგლებში გამოყოფილი იქნა მონაწილეობითი ბიუჯეტის შემდეგი ექვსი პრაქტიკული მოდელი:

1. მონაწილეობითი დემოკრატიის (Participatory Democracy),
2. სამეზობლო (სიახლოვის) დემოკრატიის (Proximity Democracy),
3. მონაწილეობითი მოდერნიზაციის (Participatory Modernization),

4. დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობის (Multi-Stakeholder Participation),
5. ნეო-კორპორატივიზმის (Neo-Corporatism),
6. სათემო განვითარების (Community Development) მოდელი.

ექვსივე პრაქტიკული მოდელი ერთმანეთისაგან განსხვავდება როგორც ტერიტორიული და თემბატური მახასიათებლების, ისე თავად პროცესის სუბიექტებისა თუ მათი ჩართულობის დონეთა მიხედვით, და თითოეული მათგანი ასახავს იმ თავისებურებებსა თუ საკანონმდებლო გარემოს, რითაც ხასიათდება ესა თუ ის მუნიციპალიტეტი, სადაც შემუშავდა და განხორციელდა ეს მოდელი.

მონაწილეობითი ბიუჯეტის ტიპოლოგიურად გამოკვეთილ პრაქტიკულ მოდელებს შორის არსებულ განსხვავებებში უკეთ გასარკვევად იხ. დანართი 3, სადაც მოცემულია მათი მოკლე აღწერილობა და ძირითადი პარამეტრები, ასევე მოდელების შედარებითი ანალიზის ამსახველი ცხრილები.

არსებული პრაქტიკის შესწავლის შედეგად კარგად ჩანს, რომ მონაწილეობითი ბიუჯეტის ექვსი პრაქტიკული მოდელიდან მსოფლიოში ყველაზე ფართოდ გამოიყენება მხოლოდ სამი: მონაწილეობითი დემოკრატიის, სამეზობლო დემოკრატიის და სათემო განვითარების მოდელები, რაც განპირობებულია:

- სოციალურ სამართლიანობაზე უფრო მეტი ფოკუსირებით;
- ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილების განმსაზღვრელი კანონმდებლობის გარკვეული ერთგვაროვნებით;
- პროცესებში უშუალო (პირდაპირი) დემოკრატიის ფორმალური და არაფორმალური ინსტრუმენტების ფართო გამოყენებით.

თავი 5. მონაწილეობითი ბიუჯეტის ბაზისური მოდელები

თუკი მოვახდენთ საერთაშორისო და საქართველოში არსებული მონაწილეობითი ბიუჯეტების სფეროში არსებული გამოცდილებისა და ტიპოლოგიების უნიფიკაციას, შედეგად მივიღებთ მონაწილეობითი ბიუჯეტის მოდელის სამ სახეობას:

1. ტერიტორიული მონაწილეობითი ბიუჯეტის მოდელი;
2. თემატური მონაწილეობითი ბიუჯეტის მოდელი;
3. შერეული მონაწილეობითი ბიუჯეტის მოდელი.

ყოველ მათგანს გააჩნია თავისი უნიკალური მახასიათებლები, რომელთა მორგება კონკრეტული მუნიციპალიტეტის სპეციფიკასა და მისი ხელმძღვანელობის მიზნებზე სრულიად შესაძლებელია. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ შეუძლებელია სულ სხვა მდგენელებისაგან შემდგარი ისეთი მოდელის მოძიება, რომელიც არსებულ რეალობას კიდევ უფრო უკეთესად მოერგება.

ეფექტიანი შერჩევის განსახორციელებლად, უპირველესად, განვიხილოთ აღნიშნული სამი მოდელი.

5.1 ტერიტორიული მონაწილეობითი ბიუჯეტის მოდელი

ტერიტორიული მოდელის პროცედურები ორიენტირებულია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მცირე ჯგუფების მაღალ ჩართულობაზე. ამისათვის მუნიციპალიტეტის ტერიტორია დაიყოფა მცირე ზომის სამოქმედო არეებად (ზონებად), რომლებიც, როგორც წესი, ან არსებულ ადმინისტრაციულ დაყოფას ემთხვევა, ან კიდევ - ისტორიულად ჩამოყალიბებული თემების საზღვრებს.

უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ მოდელში გათვალისწინებული იყოს მონყვლადი ჯგუფების (სოციალურად დაუცველები, დევნილები, ახალგაზრდობა, ქალები, ხანდაზმულები, შშმ პირები და სხვა) ჩართულობაც. რაც უფრო მეტი ამგვარი მცირე ჯგუფი იქნება ჩართული გადაწყვეტილებ-

ბების შემუშავებისა და მიღების პროცესში, მით უფრო მრავალფეროვანი პროექტები შემუშავდება და გამოყოფილი ფულიც უფრო ეფექტიანად დაიხარჯება.

ტერიტორიული მონაწილეობითი ბიუჯეტის მოდელს ახასიათებს შემდეგი ძირითადი მახასიათებლები:

- მოდელი უფრო მეტად ფოკუსირებულია ლოკალური, კონკრეტული დასახლებული პუნქტისა და თემის პრობლემების გადაწყვეტაზე, ხოლო საპროექტო წინადადებები მეტწილად მიმართულია ინფრასტრუქტურის ლოკალურ აშენება/განახლებისაკენ;
- გართულებულია ინტერზონალური და სუბზონალური საპროექტო წინადადებების შემუშავება, განხილვა და კენჭისყრა;
- უფრო რთულია ისეთი საპროექტო წინადადებების შერჩევა, რომლებიც მიმართული იქნება მთლიანად მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული პრობლემების გადაჭრისაკენ.

მოდელის ერთ-ერთ სუსტ მხარეს წარმოადგენს აგრეთვე მაღალი ლოგისტიკური და ორგანიზაციული ძალისხმევის საჭიროება და ადამიანური რესურსების ნაკლები ხელმისაწვდომობა, თუმცა აღნიშნული საკითხები შეიძლება დარეგულირდეს ზონის სიდიდისა და დაგეგმილი სამუშაოების ოპტიმიზაციით, აგრეთვე სხვადასხვა სუბიექტებიდან (დონორები, არა-სამთავრობო და ჰუმანიტარული ორგანიზაციები, სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში ადგილობრივი ბიზნეს სტრუქტურები) დამატებითი ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების მოზიდვით.

მოდელის სუსტი მხარეების დაძლევა შესაძლებელია გარკვეული სახის ინფრასტრუქტურული პროექტების (მაგალითად, გზების მოხრეშვა, გარე განათება, კანალიზაცია, წყალმომარაგება და სხვა) მონაწილეობითი ბიუჯეტის საბიუჯეტო მუხლიდან გამორიცხვის და მათი სხვა საბიუჯეტო მუხლებში გადატანის გზითაც. ასე შესაძლებელია მეტი ფოკუსირება ინოვაციური, სოციალურ-კულტურული და მონყვლადი ჯგუფების საჭიროებებზე.

5.2 თემატური მონაწილეობითი ბიუჯეტის მოდელები

თემატური მოდელის ფარგლებში ყველა საპროექტო წინადადება უნდა შეესაბამებოდეს წინასწარ განსაზღვრულ თემატიკას, მათ შორისაა: კულტურა და ხელოვნება, სპორტი, სოციალური დახმარებები და შემწეობები, ახალგაზრდობისა და ხანდაზმული მოსახლეობის ხელშეწყობა, ბაგა-ბაღების,

სასკოლო მზაობისა და არაფორმალური განათლების სისტემის განვითარება, ზრდასრულთა გარკვეული უნარ-ჩვევების (უცხო ენები, კომპიუტერი და ა.შ.) განვითარება და სხვა.

მონაწილეობითი ბიუჯეტის თემატურ მოდელს ახასიათებს შემდეგი ძირითადი მახასიათებლები:

- მოდელი უფრო მეტად ფოკუსირებულია მუნიციპალური სერვისის პრობლემების გადაწყვეტაზე, რომლებიც აბრკოლებს მუნიციპალიტეტის მთელი მოსახლეობის მომსახურებას. პროექტების განხორციელება შესაძლებელია აგრეთვე კონკრეტული დასახლებული პუნქტის ფარგლებშიც, ოღონდ ამ შემთხვევაში სარგებელი უნდა მიიღოს მთელმა მუნიციპალიტეტმა და არა მხოლოდ ამ ადგილზე მცხოვრებმა მოქალაქემ;
- ზოგ შემთხვევაში, სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედი აღნიშნული მოდელი გამოიყენება ისეთი ინფრასტრუქტურული საპროექტო წინადადებების განხორციელებას, რომლებიც კონცენტრირებულია სარგებლის მიზნებზე მხოლოდ ერთი ტერიტორიული ერთეულისათვის.

ამ მოდელის ერთ-ერთ სუსტ მხარეს წარმოადგენს მოსახლეობის ნაკლები მზადყოფნა აქტიურად ჩაერთონ მუნიციპალური დონის პრობლემის გადაჭრის პროცესში. აქედან უკვე აშკარაა საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიის დიდი მნიშვნელობა. მხოლოდ კარგად ორგანიზებული და აქტიური კამპანია უზრუნველყოფს მოსახლეობის მაღალ ჩართულობას.

ამ მოდელის ფარგლებში მიმდინარე პროცესის უმნიშვნელოვანესი სუბიექტი სამოქალაქო საზოგადოებაა. მისი როლი მით უფრო მნიშვნელოვანია, რაც უფრო დიდია განსაკარგი ბიუჯეტის მოცულობა. სამოქალაქო საზოგადოების აქტიური წევრების ფართო ჩართვა მოდელის პროცედურების შემუშავებასა და პროცესების კონტროლში იქონიებს ერთმნიშვნელოვნად დადებით გავლენას ამ მოდელით განხორციელებული მონაწილეობითი ბიუჯეტის პროექტის ეფექტიანობაზე.

თუკი სამოქალაქო საზოგადოება სუსტი აღმოჩნდება და პროცესებში ჩართვისათვის მზადყოფნას სათანადო დონეზე ვერ გამოამჟღავნებს, ამ შემთხვევაში გადამწყვეტი იქნება, თუ რამდენად ეფექტურად იმუშავებენ მუნიციპალური სტრუქტურული ერთეულები და როგორ უზრუნველყოფენ პროცესის წარმართვას წინასწარ განსაზღვრული პროცედურებისა თუ წესების მიხედვით, ასევე ფინანსების ყაირათიან ხარჯვას. მაგრამ ამ შემთხვევაში სუსტდება მოქალაქეთა გავლენა საბოლოო გადაწყვეტილე-

ბაზე, ხოლო პროცესის არასწორად წარმართვის შემთხვევაში შეიძლება იგი მონაწილეობითი ბიუჯეტების იმიტაციასაც კი დაემსგავსოს. აღნიშნული გარემოება კიდევ უფრო დიდი დემოტივატორი იქნება ბიუჯეტების მომდევნო ციკლის ფარგლებში, რასაც შეიძლება მოჰყვეს მოსახლეობის კიდევ უფრო მეტი პასიურობა. ამ შემთხვევაში მოდელის ეფექტიან განხორციელებას მხოლოდ ყველა პროცესის მაქსიმალური ღიაობა უზრუნველყოფს.

5.3 შერეული მონაწილეობითი ბიუჯეტის მოდელები

შერეული მონაწილეობითი ბიუჯეტის მოდელი წარმოადგენს წინა ორი მოდელის კომპილაციას: მოდელის ფარგლებში დასაშვებია როგორც კონკრეტული ზონის/ტერიტორიის განვითარებისკენ მიმართული, ისე მთლიანად მუნიციპალიტეტის ფარგლებში განსახორციელებელი თემატური საპროექტო წინადადებების განხილვა და კენჭისყრა.

აქედან გამომდინარე, თავიდანვე უნდა განისაზღვროს მონაწილეობითი ბიუჯეტის რა ნაწილი დაეთმობა ტერიტორიულ და რა ნაწილი - თემატურ საპროექტო წინადადებებს. ეს თანაფარდობა შეიძლება იცვლებოდეს წლიდან წლამდე. იგივე ეხება თემების პრიორიტეტულობასაც.

მონაწილეობითი ბიუჯეტის შერეულ მოდელს ახასიათებს შემდეგი ძირითადი მახასიათებლები:

- მოდელი ფოკუსირებულია, როგორც ლოკალური - ერთი კონკრეტული დასახლებული პუნქტისა თუ თემის - პრობლემების გადაჭრაზე, ისე მთლიანად მუნიციპალიტეტის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების შემუშავებაზე;
- მოდელის ძირითადი აქტორები უნდა გახდნენ სამოქალაქო საზოგადოების აქტიური წარმომადგენლები, რომელთაგანაც ჩამოყალიბდება როგორც განმახორციელებელი, ისე მარეგულირებელი და მაკონტროლებელი ფორმალური ორგანოები.
- მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულები პროცესებში ერთვება როგორც დამხმარე ფუნქციების განმახორციელებელი აქტორები, რომლებიც უზრუნველყოფენ საპროექტო წინადადების ტექნიკურ და აზრობრივ ექსპერტიზას, აგრეთვე ლოგისტიკურ მხარდაჭერას.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, შერეული მოდელის ფარგლებში მაღალია მოსახლეობის ჩართულობა, რადგან სოციალურად აქტიურ ადამიანს

შეუძლია ბიუჯეტის პროცესში ჩაერთოს მისთვის ყველაზე მოსახერხებელ ამპლუაში (მაგალითად, მაკონტროლებელ, ორგანიზაციულ, აგრეთვე საპროექტო წინადადების შემუშავებელ ჯგუფებში). შედეგად, პროცესების სწორად წარმართვის შემთხვევაში, მაღალია როგორც მოსახლეობის მზადყოფნა პროცესებში ჩასართავად, ასევე მათი ნდობა დამდგარი შედეგებისადმი.

5.4 მონაწილეობითი ბიუჯეტის მოდელის შერჩევა და ადაპტაცია

მონაწილეობითი ბიუჯეტის მოდელის აღწერა შესაძლებელია ძირითადი მახასიათებლების მიხედვით, რომლებსაც ყველაზე მეტად ითვალისწინებენ მოდელის შერჩევისას. ეს პარამეტრებია:

1. მუნიციპალიტეტის ურბანული მოწყობა;
2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ზომა;
3. სამოქალაქო საზოგადოების განვითარება;
4. მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებს შორის საბიუჯეტო სახსრების განაწილება, მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე მოსახლეობის მხრიდან მუნიციპალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობა.

თითოეული პარამეტრი ცალკე-ცალკე და მათი კომბინაცია განსაზღვრავს, თუ რა სახის პრობლემებს შეიძლება წავაწყდეთ მონაწილეობითი ბიუჯეტის დანერგვისას, რამდენად ეფექტური იქნება თავად პროცესი, ასევე რა დონის ჩართულობას უნდა ველოდოთ მოსახლეობის მხრიდან.

5.4.1 მუნიციპალიტეტის ურბანული მოწყობა

საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის სისტემითა და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულია ორი სახის მუნიციპალიტეტი: თვითმმართველი ქალაქი და თვითმმართველი თემი, რომლებიც, თავის მხრივ, წარმოადგენენ ქალაქის, სოფლის და შერეული ტიპის დასახლებებს. იმის მიხედვით, თუ რა ტიპის დასახლებას წარმოადგენს ესა თუ ის მუნიციპალიტეტი, განისაზღვრება თუ რა რისკებს (კომუნიკაციური, ლოგისტიკური, პოლიტიკური და სხვა) უნდა ველოდოთ მონაწილეობითი ბიუჯეტის მოდელის დანერგვისას.

ქალაქის ტიპის დასახლება

ქალაქის ტიპის დასახლებაში მონაწილეობითი ბიუჯეტის დანერგვისას მოდელის მთავარი გამოწვევებია:

- მცირე ტერიტორიაზე მოსახლეობის მაღალი კონცენტრაცია. ამავე დროს, ქალაქის ტიპის დასახლებაში მაღალია იმ მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებიც არ არიან ამ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ამომრჩევლები. ამ გარემოების გათვალისწინებით დაისმის შეკითხვა: უნდა მიეცეს თუ არა ამ მოქალაქეებს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროცესში?
- ქალაქში, თვით უბნის ტერიტორიის ფარგლებშიც კი მოსახლეობის სუსტი თვითორგანიზაცია და კომუნიკაციის დაბალი დონე: ხშირად მემობლებიც კი არ იცნობენ ერთმანეთს;
- მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებისადმი ნიჰილისტური განწყობა;
- მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმირებულობის დაბალი დონე;
- დიდი და ძვირადღირებული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების საჭიროება.

თითოეული გამოწვევა ცალ-ცალკე და მათი კომბინაცია წარმოქმნის ლოგისტიკურ პრობლემებს, ართულებს სამიზნე ჯგუფებამდე ინფორმაციის მიტანას, ასევე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ფართო მასების ჩართვას.

ქალაქის ტიპის დასახლებაში მონაწილეობითი ბიუჯეტის დანერგვისას ხელსაყრელი გარემოებებია:

- მოქალაქეთა შედარებით მაღალი თვითშეგნება და სწრაფვა დემოკრატიული მმართველობისაკენ;
- კარგად განვითარებული სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ყველა სახის პრობლემის ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტის პროცესში;
- ეკოლოგიური საკითხების გარშემო მემობლების თვითორგანიზებისათვის მაღალი მზადყოფნა;
- დიდი და ნაკლებდღეფიცტური მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი;

- მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მზადყოფნა მმართველობის სფეროში ახალი ინიციატივებისა და ინოვაციური მეთოდების დასანერგად;
- კარგად განვითარებული, თანამედროვე, ციფრული და საკომუნიკაციო საშუალებები, აგრეთვე მოსახლეობის მაღალი კომპიუტერული წიგნიერება, რაც იძლევა ელექტრონული მმართველობის (eGovernment) ინსტრუმენტების დანერგვის საშუალებას.

სოფლის ტიპის დასახლებები

სოფლის ტიპის დასახლებებში მონაწილეობითი ბიუჯეტის დანერგვისას მოდელის მთავარი გამონწვევებია:

- კონსერვატიული და სიახლეების ძნელად მიმღები საზოგადოება;
- ქვეყანაში და მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებისადმი მოსახლეობის ნიჰილისტური განწყობა, ამავდროულად პოლიტიზირების მაღალი დონე;
- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში საკუთარი შემოსავლების დაბალი წილი და დამოკიდებულება ცენტრალური ბიუჯეტიდან წამოსულ მიზნობრივ და გათანაბრებით ტრანსფერტებზე;
- მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონი;
- სოფლის ტიპის დასახლებაში მაღალია ისეთ ამომრჩეველთა რაოდენობა, რომლებიც დროებით თუ მუდმივად საცხოვრებლად ან საქართველოს სხვა რეგიონებში გადავიდნენ, ან უცხოეთში წავიდნენ.

სოფლის ტიპის დასახლებებში მონაწილეობითი ბიუჯეტის დანერგვისას ხელსაყრელია შემდეგი პარამეტრები:

- უბნებზე და თემს შიგნით მოქალაქეთა შედარებით მაღალი თვითორგანიზებულობა;
- ნათესაურ კავშირებზე დაფუძნებული მაღალი კომუნიკაციის დონე;
- თემში საერთო საქმის ერთობლივად მოგვარების ისტორიულად ჩამოყალიბებული ქცევის არქეტიპი და მცხოვრებთა მზადყოფნა პროცესში ჩასართავად;
- მცირე ინვესტიციებით თვალსაჩინო შედეგების მიღწევის შესაძლებლობა;

- დიდი და ძვირადღირებული ინფრასტრუქტურული პროექტების ნაკლები საჭიროება.

შერეული ტიპის (სათემო) მუნიციპალიტეტი

შერეული ტიპის მუნიციპალიტეტი გამოირჩევა ერთდროულად როგორც ქალაქის, ისე სოფლისათვის დამახასიათებელი პრობლემებითა და დადებითი მხარეებით. ამგვარ მუნიციპალიტეტებში, როგორც წესი, ქალაქის ტიპის დასახლების ნიშნები ახასიათებს მუნიციპალიტეტის ცენტრს (ქალაქს ან დაბას), ხოლო სხვა დასახლებული პუნქტების მახასიათებელი ნიშნები შეესაბამება სოფლის ტიპის დასახლებისას.

მნიშვნელოვანია, რომ **მაქსიმალურად უნდა მოვერიდოთ** სხვადასხვა მოდელის ერთდროულ დანერგვას მუნიციპალიტეტის ცენტრსა და დასახლებულ პუნქტებში. ამან შეიძლება გაართულოს პროცესების მართვა, ასევე მოითხოვოს არაეფექტური და უყაირათო ხარჯების გაწევა.

5.4.2 მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ზომა

საბიუჯეტო შემოსავლების ოდენობის მიხედვით განისაზღვრება, თუ საკუთარი შემოსავლების რა წილის გამოყოფა შეუძლია ამა თუ იმ მუნიციპალიტეტს მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის მხარდასაჭერად: იგულისხმება როგორც მომავალი პროექტების დაფინანსება, ისე პროცესების ლოგისტიკური და საინფორმაციო მხარდაჭერა თავად ბიუჯეტირებისა თუ პროექტების განხორციელების ეტაპზე.

საბიუჯეტო შემოსავლების ოდენობიდან გამომდინარე, საქართველოში შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი სახის მუნიციპალიტეტები:

მცირე ბიუჯეტიანი მუნიციპალური ერთეულები

საქართველოს ზოგიერთი მუნიციპალიტეტი თავისი კომპეტენციების განხორციელებისას განიცდის საბიუჯეტო შემოსავლების სიმცირეს. ასეთი მუნიციპალიტეტების საკუთარი შემოსავლების წილი დაბალია, რაც გამონგეულია მათ ტერიტორიაზე მცირე რაოდენობის მსხვილი ეკონომიკური აგენტების არსებობით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საგადასახადო პოლიტიკით. ამიტომ ყველა დაგეგმილი საბიუჯეტო პროგრამის განსახორციელებლად საჭიროა მათთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გათანაბრებითი და მიზნობრივი ტრანსფერტების გადარიცხვა.

მიუხედავად იმისა, რომ მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის წარსამართად აუცილებელი „თავისუფალი“ ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა ძალზედ დაბალია, მას მაინც შეუძლია დაეხმაროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების გამოვლენასა და მწირი რესურსებით ყველაზე უფრო მწვავე პრობლემების მოგვარებაში.

შედარებით მაღალი ფინანსური რესურსების მქონე მუნიციპალური ერთეულები

როგორც წესი, შედარებით დიდი ბიუჯეტი აქვთ მუნიციპალიტეტებს, სადაც არის ქალაქის ტიპის დიდი ურბანული დასახლებები. ასეთ მუნიციპალიტეტებს შედარებით მეტი შესაძლებლობა აქვთ თავიანთი შემოსავლების ნაწილი მიმართონ ინფრასტრუქტურული, სოციალური, კულტურული თუ სხვა სახის პროექტების დაფინანსებისაკენ. მათ შეუძლიათ გამოყონ შედარებით მეტი ფინანსური რესურსი და უზრუნველყონ მათი გადანაწილების პროცესში მოსახლეობის ჩართულობა.

ფინანსურად შედარებით უზრუნველყოფილ მუნიციპალიტეტებში ადგილობრივ ხელისუფლებას მეტი ცდუნება გააჩნია ერთპიროვნულად განსაზღვროს ბიუჯეტის ხარჯვის პრიორიტეტები, სხვადასხვა ინტერესს მოარგოს მუნიციპალური ფინანსებით განსახორციელებელი პროექტების დაფინანსება და ნაკლებად გაითვალისწინოს მოსახლეობის ინტერესები. ამიტომ ასეთ მუნიციპალიტეტებში მოსახლეობის ჩართულობის ზრდას კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება.

5.4.3 სამოქალაქო საზოგადოების განვითარება

მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის ეფექტიანად წარსამართად მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების (არასამთავრობო ორგანიზაციები, ბიზნეს ასოციაციები, პროფესიული კავშირები, მოქალაქეთა ორგანიზებული ჯგუფები და სხვა) მაღალი ჩართულობა. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი შეიძლება იყოს იდეების გენერატორი ან მაკონტროლებელი ორგანოსა და გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს წევრი, ხოლო თავად ორგანიზაციები პროცესების დონორი ან/და დამხმარე სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს მათ ლოგისტიკურ მხარდაჭერას.

სამოქალაქო საზოგადოების განვითარების დონის მიხედვით საქართველოში შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი სახის მუნიციპალიტეტები:

მუნიციპალიტეტები მაღალი განვითარების მქონე საზოგადოებით

საქართველოს ბევრ მუნიციპალიტეტში სამოქალაქო საზოგადოება ძალიან კარგად არის განვითარებული. შედეგად:

- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს გააჩნიათ გავლენა მუნიციპალურ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესზე;
- აქტიურად თანამშრომლობენ როგორც მოსახლეობასთან, ისე ადგილობრივ ხელისუფლებასთან;
- გააჩნიათ ადგილობრივ დონეზე საკუთარი და საპარტნიორო ქსელი და გარე კავშირები;
- მოსახლეობაში სარგებლობენ მაღალი ავტორიტეტითა და ნდობით;
- სამოქალაქო საზოგადოებას გააჩნია მზობა და ხშირად რესურსებიც, რათა აქტიურად შეუწყოს ხელი მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესს, დაეხმაროს მუნიციპალიტეტს ინფორმაციული და საგანმანათლებლო კამპანიების წარმართვაში.

თუმცა არის საშიშროება, რომ ზოგი აქტიური ორგანიზაცია, ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების შემთხვევაში, შეეცდება მოიპოვოს გავლენა მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესზე. ამ რისკის შემცირება შესაძლებელია მონაწილეობითი ბიუჯეტის იმგვარი ფორმის შერჩევით, რომელიც უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, სამოქალაქო საზოგადოების მაღალ ჩართულობას, და, მეორე მხრივ, გადაფარავს თანმდევ რისკებს.

მუნიციპალიტეტები ნაკლებგანვითარებული სამოქალაქო საზოგადოებით

საქართველოს იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც დაბალია სამოქალაქო საზოგადოების განვითარების დონე:

- მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ფაქტობრივად კარგავს ქმედით პარტნიორს მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესში;
- მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პროცესის ფარგლებში იძულებული იქნება თავად იტვირთოს არსებული ლოგისტიკური და საინფორმაციო უზრუნველყოფის მთელი სიმძიმე;
- არ იარსებებს გარე მაკონტროლებელი, რომელიც მათ მიუთითებდა პროცესის ფარგლებში წარმოქმნილი პრობლემების შესახებ, ასევე დაეხმარებოდა მათ ამ პრობლემების აღმოფხვრაში.

შესაბამისად, უნდა შეირჩეს მონაწილეობითი ბიუჯეტირების იმგვარი ფორმა, რომლის დროსაც სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის დონე განსაზღვრული იქნება, როგორც დაბალი ან საშუალო. ამავე დროს, სწორად შერჩეული მოდელის ფარგლებში ჩატარებულმა მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესმა ამ სიტუაციაში შეიძლება ზუსტადაც ხელი შეუწყოს მუნიციპალიტეტში ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას, თემატური ჯგუფების (მონყვლადი ჯგუფების ხელშეწყობა, შშმ პირების ხელშეწყობა, ახალგაზრდობა, ხანდაზმულები, კულტურა, სპორტი და სხვა) ფორმალურ დონეზე ჩამოყალიბებას, ასევე ამ პროცესის მონაწილეებს შესძინოს ცოდნა, გამოცდილება და ავტორიტეტი.

5.4.4 მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებს შორის საბიუჯეტო სახსრების განაწილება და მთელ ტერიტორიაზე მოსახლეობის მხრიდან მუნიციპალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის თანაბრობა.

მონაწილეობითი ბიუჯეტირების მოდელის შერჩევასაც აუცილებელია ორი უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმის გათვალისწინება:

1. იმ შემთხვევაში, თუკი მუნიციპალიტეტის ტერიტორია ხასიათდება განვითარების, მოსახლეობის მხრიდან მუნიციპალურ სერვისებზე წვდომისა და საბიუჯეტო სახსრების განაწილების მაღალი უთანაბრობით (როგორც ეს იყო, მაგალითად, პორტუ ალგარეში), ეს შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი ფაქტორი ასეთ მუნიციპალიტეტში ტერიტორიული მონაწილეობითი ბიუჯეტის მოდელის დასაანერგად, რადგან ამ მოდელის მთავარი დანიშნულებაა ისეთი პროექტების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს სახსრების და რესურსების მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე განაწილებას. ტერიტორიული მონაწილეობითი ბიუჯეტის პრიორიტეტების განსაზღვრის, საბიუჯეტო ტერიტორიული ერთეულების ფორმირების და ფინანსების განაწილების პროცესის დაგეგმვისას მოსახლეობას თავისუფლად შეუძლია პრიორიტეტი მიანიჭოს მუნიციპალიტეტის სერვისების მიღების, ინფრასტრუქტურისა თუ სოციალური სფეროს განვითარების კუთხით შედარებით ჩამორჩენილი ნაწილების განვითარებასა და დაფინანსებას. შესაბამისად, ტერიტორიული მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესი, როგორც წესი, უფრო მეტად აუმჯობესებს მუნიციპალიტეტის ნაკლებად განვითარებულ ნაწილებში მცხოვრები ადამიანების საცხოვრებელ პირობებსა თუ მუნიციპალურ სერვისებზე წვდომას და ამ გზით ხელს უწყობს უთანაბრობის აღმოფხვრას.

2. ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მთავარი პრობლემა არა მისი სხვადასხვა ნაწილის (ქალაქში - უბნები, თემებში - მასში შემავალი დასახლებები) არათანაბარი განვითარება, არამედ, ზოგადად, მთელ ტერიტორიაზე მოსახლეობისათვის მისაწოდებელი სერვისების დაბალი ხარისხია. ასეთ შემთხვევაში, მუნიციპალიტეტს შეუძლია, მის მიერვე განსაზღვრული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტებისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმების დოკუმენტების საფუძველზე, განსაზღვროს მონაწილეობითი ბიუჯეტით განსახორციელებელი პროექტების შესაძლო თემატური მიმართულებები. ამ შემთხვევაში მუნიციპალიტეტს შეუძლია, თამამად აირჩიოს **თემატური მონაწილეობითი ბიუჯეტირების მოდელის დანერგვის გზა**. ასეთი მოდელის დახმარებით მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე შესაძლებელი იქნება უკეთესად გამოიკვეთოს მთლიანი მოსახლეობის თუ ცალკეული მონყვლადი ჯგუფების მოთხოვნილებები კონკრეტული უფლებამოსილების შესრულებისა თუ ახალი ან/და უკვე არსებული სერვისების მიწოდების გაუმჯობესების კუთხით. ამ პროგრამის პირობებში შესაძლებელია განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების განხორციელება, ინვესტიციების ხელშეწყობა, ახალი სერვისების დანერგვა, უკვე არსებული სერვისების გაუმჯობესება, ასევე ისეთი პროექტების განხორციელება, რომელთა ბენეფიციარი შეიძლება იყოს არა რომელიმე კონკრეტულ დასახლებაში ან ტერიტორიულ ერთეულში მცხოვრები ადამიანები, არამედ მთელი მუნიციპალიტეტის მოსახლეობა, ასევე პრიორიტეტულად გამოყოფილი რომელიმე სამიზნე ან/და სოციალური ჯგუფები (მაგალითად, შშმ პირები, ახალგაზრდობა, სპორტსმენები, პენსიონერები და სხვა). თუკი მუნიციპალიტეტს გააჩნია განვითარების მკაფიოდ ჩამოყალიბებული ხედვა, განსაზღვრული აქვს პრიორიტეტები, შექმნილი აქვს შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტები და სამოქმედო გეგმები, მაშინ ეს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს თემატური მონაწილეობითი ბიუჯეტის პროექტის ეფექტურად დაგეგმვას და განხორციელებას.

5.5 მონაწილეობითი ბიუჯეტის მოდელის ადაპტაცია

მონაწილეობითი ბიუჯეტის ნებისმიერი მოდელის დანერგვის პირველ ეტაპზე ტარდება მოდელის შერჩევის პროცედურა, რასაც უნდა მოჰყვეს მისი ადაპტაცია მუნიციპალიტეტში არსებულ გარემოებებთან.

ადაპტაციის დროს უნდა გამოვლინდეს პროცესში ჩართული ყველა სუბიექტი და განისაზღვროს მათი უფლება-მოვალეობები, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ხელისუფლების ადმინისტრაციული და პოლიტიკური მხარდაჭერის საზღვრები და მეთოდები, ასევე რესურსები, რომლებიც საჭიროა მონაწილეობითი ბიუჯეტის მოდელის დანერგვისა და ეფექტიანი განხორციელებისათვის.

5.5.1 მონაწილეობითი ბიუჯეტის მოდელის ადაპტაციის პროცედურა

მონაწილეობითი ბიუჯეტის დანერგვის პროცესის ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდია დაგეგმარების სტადია, როდესაც უნდა გაირკვეს კონკრეტულად რომელი მოდელის გამოყენება არის მიზანშეწონილი და ეფექტიანი, ყველაზე უკეთ რომელი ერგება არსებულ სიტუაციას და დასახულ მიზნებს.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, მონაწილეობითი ბიუჯეტის მოდელის შერჩევასა და გათვალისწინებული უნდა იყოს კონკრეტული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სოციალურ-კულტურული და გეოგრაფიული თავისებურებები.

ამ სტადიის მთავარ გამოწვევას წარმოადგენს კითხვა - ვინ უნდა შეარჩიოს მონაწილეობითი ბიუჯეტის მოდელი: მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ დამოუკიდებლად თუ პროგრამის განმახორციელებელმა კოლეგიურმა ორგანომ. ერთი მხრივ, რეკომენდირებულია, რომ ასეთი შერჩევა განახორციელოს მონაწილეობითი ბიუჯეტის სამუშაო ჯგუფმა (მაგალითად, მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭომ, სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭომ და სხვა), და, შესაბამისად, მომავალში სწორედ იგი აგებს პასუხს მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის განხორციელებაზე; მაგრამ, მეორე მხრივ, ამ ორგანოს სტრუქტურა, უფლება-მოვალეობები და პერსონალური შემადგენლობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული შერჩეულ მოდელზე. ამიტომაც მართებული იქნება, თუკი ცალკე გამოიყოფა მოდელის შერჩევის პროცედურა, რომელსაც განახორციელებს სპეციალური სამუშაო ჯგუფი მუნიციპალიტეტის მერის ხელმძღვანელობით, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ როგორც მერიისა და საკრებულოს, ისე მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრები. ასეთი მოდელი უზრუნველყოფს:

1. პროცესში მოქალაქეთა ჩართულობას მათი წარმომადგენლების მეშვეობით;
2. საკრებულოს მხრიდან ქმედით მხარდაჭერას;
3. შესაბამისობას მოქმედ კანონმდებლობასთან.

როგორც კი დასრულდება მოდელის შერჩევის პროცედურა, იგივე ჯგუფი შეუდგება მონაწილეობითი ბიუჯეტის სამუშაო ჯგუფის სტრუქტურისა და ფორმირების წესის განსაზღვრას, რომელიც უნდა დაამტკიცოს მერმა.

გასათვალისწინებელია, რომ როგორც თავად მოდელის, ისე განსახორციელებელ სამუშაოთა ეფექტიანობის სიღრმისეულად შესაფასებლად საჭიროა მთლიანობაში მცირე ბიუჯეტების სამი ციკლის ჩატარება.

5.5.2 მუნიციპალიტეტის მიერ მონაწილეობითი ბიუჯეტების პროცესისათვის გამოყოფილი დაფინანსების მოცულობა

ჩვეულებრივ, მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის დაფინანსება ხდება მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლებიდან, აგრეთვე დონორი (როგორც ქართული, ისე უცხოური სამთავრობო თუ არასამთავრობო) ორგანიზაციებისაგან მიღებული გრანტებისა თუ ტექნიკური დახმარების ფარგლებშიც.

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ მონაწილეობითი ბიუჯეტის პროექტის ერთი ციკლი ხორციელდება 2 საბიუჯეტო წლის განმავლობაში, რომლის დროსაც პირველ წელს (შემდგომში ვიხმართ ტერმინს “მიმდინარე წელს”) ხდება დაგეგმარება და მოსახლეობის მიერ პროექტების შერჩევა, მომდევნო საბიუჯეტო წელს კი - შერჩეული პროექტების განხორციელება და შესრულებული სამუშაოების შეფასება.

მონაწილეობითი ბიუჯეტის პროექტის განსახორციელებლად გამოყოფილი ბიუჯეტი უნდა შედგებოდეს შემდეგი ხარჯვითი მუხლებისგან:

1. მოსახლეობის მიერ შემუშავებული და შერჩეული პროექტების დაფინანსება;
2. საინფორმაციო-საგანმანათლებლო მხარდაჭერა;
3. ლოგისტიკური მხარდაჭერა;
4. საპროექტო წინადადების შესამუშავებლად აუცილებელი ექსპერტული მხარდაჭერა (საჭიროების შემთხვევაში);
5. საჯარო შეხვედრებისა და კენჭისყრის პროცესისათვის ფასილიტატორის მხარდაჭერა;
6. სხვა ხარჯები.

მნიშვნელოვანია, რომ მიმდინარე წლის ბიუჯეტის ფარგლებში წინასწარ გაინეროს და გამოიყოს დაფინანსების ოდენობა საინფორმაციო-საგანმანათლებლო და ლოგისტიკური მხარდაჭერის მიმართულებებით, ხოლო მე-4 და მე-5 პუნქტების ხარჯები კი უკეთ გამოიკვეთოს, რათა პოტენციურმა დონორმა ორგანიზაციებმა დროულად შეძლონ მათი ჩართულობის ხარისხისა და საჭირო ფინანსების ოდენობის განსაზღვრა.

კარგი იქნება, თუკი მუნიციპალიტეტის როგორც მიმდინარე, ისე მომდევნო წლის ბიუჯეტში აღნიშნული ხარჯები **გაინერება, კ როგორც დამოუკ-**

იდებელი საბიუჯეტო ხარჯვითი მუხლი, რაც შეფასებისა და ანალიზის სტადიაშივე მოგვცემს იმის უკეთ აღქმის საშუალებას, თუ ამ პროგრამის ფარგლებში რა ოდენობის თანხები გამოიყო ჯამურად და შემდგომში რომელი პროექტები დაფინანსდა.

როგორც საქართველოს გამოცდილება, ისე საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, რომ მონაწილეობითი ბიუჯეტის იმ მოდელებში, სადაც:

- გამოიყო მცირე ფინანსური რესურსები, ვერ იქნა მიღწეული დასახული მიზანი - მოსახლეობის მაქსიმალური ჩართულობა;
- ხელმისაწვდომი იყო დიდი ოდენობის ფინანსური რესურსები, იქ მეტია სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან ყურადღებისა და ფინანსების ხარჯების გაკონტროლების საჭიროება.

5.5.3 მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარება

მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარება უმეტესწილად განაპირობებს მოდელის დანერგვის დროს წარმოქმნილ ლოგისტიკურ პრობლემებს, ასევე სამიზნე ჯგუფებამდე ინფორმაციის მიტანისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ფართო მასების ჩართვის სირთულეებს. ის, რაც ქალაქის ტიპის დასახლებაში შეიძლება ადვილად გამოვიდეს, რთული რელიეფის მქონე (და არა მარტო) სასოფლო ტიპის მუნიციპალიტეტებში მოითხოვს ძალიან დიდ ლოგისტიკურ ადამიანურ და ფინანსურ დანახარჯებს.

მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარება ასახავს შემდეგ თავისებურებებს:

- შერეული ტიპის მუნიციპალიტეტების უმეტესობაში, გამომდინარე მათი სპეციფიკიდან, უფრო მარტივი იქნება მონაწილეობითი ბიუჯეტის ისეთი მოდელის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს ისტორიულად არსებული თემების, ასევე მცირე ზომის დასახლებული პუნქტების, მოსახლეობის მაღალ ჩართულობას. ამას განაპირობებს თემის შიგნით არსებული მჭიდრო - ნათესაური და სანაცნობო - კავშირები, ასევე ისტორიულად ჩამოყალიბებული თუ იმ სათემო მობილიზაციის პროექტების ფარგლებში დაგროვილი გამოცდილება, რომლებიც თემში სხვადასხვა მუნიციპალური თუ დონორი ორგანიზაციის ძალისხმევით განხორციელდა.
- ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით განსაზღვრული მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფის სტანდარტული ფორმები (დასახლების საერთო კრება, მერთან შეხვედრები და

პეტიცია) უკეთ ერგება მცირე დასახლებული პუნქტებისა თუ თემების სპეციფიკას და აქტიურად გამოიყენება მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მიერ.

- ქალაქის ტიპის დასახლების მოსახლეობა ნაკლებადაა დაკავშირებული ერთმანეთთან სოციალური ქსელებით და მჭიდრო კავშირებით, ამიტომაც მნიშვნელოვანია ამ პროცესში სამოქალაქო საზოგადოების მაქსიმალური ჩართვა, რომელიც შეასრულებს მედიატორის ფუნქციას მოსახლეობასა და ხელისუფლებას შორის.

5.5.4 სამოქალაქო საზოგადოების განვითარება

სამოქალაქო საზოგადოების განვითარების დონის ანალიზს მივყავართ მონაწილეობითი ბიუჯეტების ისეთი მოდელისაკენ, რომელიც უკეთ მოერგება მაღალი საბიუჯეტო დაფინანსების მქონე ან/და ქალაქის ტიპის ურბანულ დასახლებას. შერჩეული მოდელის ფარგლებში სამოქალაქო საზოგადოება ერთვება პროცესების მონიტორინგში, ზოგიერთ შემთხვევაში კი უზრუნველყოფს პროცესების ფასილიტირებასაც. ხშირად იგი საინფორმაციო-საგანმანათლებლო კომპანიების მხარდაჭერი სუბიექტაცაა. სამოქალაქო საზოგადოების აქტიური წარმომადგენლები ფლობენ აგრეთვე საპროექტო წინადადებების შემუშავების უნარ-ჩვევებს და შეუძლიათ შესაბამის სფეროებში ექსპერტული სამუშაოების განხორციელებაც.

მონაწილეობითი ბიუჯეტის დანერგვის არსებული პრაქტიკა აჩვენებს, რომ იმ მუნიციპალიტეტში, სადაც სამოქალაქო საზოგადოების განვითარების დონე მაღალია, ასეთივე მაღალია მონაწილეობითი ბიუჯეტის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა, პროექტებიც შედარებით ეფექტიანად ხორციელდება და საჯარო ფინანსებიც ყაირათიანად იხარჯება. ეს არის მონაწილეობითი ბიუჯეტების შერეული სახის მოდელები, რომლებშიც საპროექტო წინადადებები შეესაბამება როგორც თემატურ, ისე ტერიტორიულ მოდელებს, რაც უზრუნველყოფს დაბალ რისკებს.

5.5.5 ინტერნეტისა და ციფრული ტექნოლოგიების განვითარება

ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ინიციატივით, საქართველოში მოსახლეობისათვის სხვადასხვა საჯარო მომსახურების შეთავაზებისას, ფართოდ ინერგება ინტერნეტისა და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება. ამიტომაც მარ იქნება, თუკი ეს ტექნოლოგიები ნაწილობითი ბიუჯეტების პროცესებშიც გამოიყენება.

ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება თავისთავად არ განსაზღვრავს მოდელის სახეობას. იგი მხოლოდ მოდელის ფარგლებში ხელმისაწვდომი ერთ-ერთი ინსტრუმენტია. თუმცა მისი გამოყენების შემთხვევაში საჭირო გახდება სამუშაო პროცედურების იმგვარად შეცვლა, რამაც თავად მოდელის ცვლილებაც კი შეიძლება გამოიწვიოს. ამიტომაც შერჩევის პროცესში აუცილებელია ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობის განხილვაც. განსაკუთრებით კი მონაწილეობითი ბიუჯეტირების ისეთი მოდელის დანერგვისას, რომელიც საჭიროებს მუნიციპალიტეტის ამომრჩეველთა ელექტრონული კენჭისყრის გამოყენებას.

მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესებში ინტერნეტისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობის ანალიზისას უნდა შეფასდეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მისი ხელმისაწვდომობის საკითხი, მოსახლეობის მხრიდან ინტერნეტ-ტექნოლოგიების მოხმარების უნარი და ამ უნარის აქტიური გამოყენებისათვის მზადყოფნა. ამისათვის უნდა გაკვირვალისწინოთ შემდეგი გარემოებები:

- საქართველოში სწრაფი ინტერნეტის ქსელი ფარავს უმეტესწილად დიდი ზომის დასახლებულ პუნქტებს, ხოლო მობილური ინტერნეტი - ყველა მუნიციპალიტეტის თითქმის მთელ ტერიტორიას. თუმცა სიტუაცია ყოველწლიურად იცვლება;
- სახლებში პესონალური კომპიუტერების (ნოუტბუკების) და პლანშეტების უქონლობის გამო ინტერნეტთან წვდომა შეზღუდულია მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის;
- მოსახლეობის გარკვეულ კატეგორიებში (ხანდაზმულები, სოციალურად დაუცველები და სხვა) დაბალია ინტერნეტ-ტექნოლოგიების გამოყენების უნარ-ჩვევების დონე და მზაობა.

ამ სიტუაციაში, როგორც ალტერნატიულ (აგრეთვე როგორც დამხმარე) ტექნოლოგიად, შეიძლება განხილული იქნეს მობილური ინტერნეტი და შესაბამისი აპლიკაციები. ბოლო დროს მოსახლეობაში სმარტფონების ფართო გავრცელებამ უზრუნველყო აღნიშნული ტექნოლოგიის გამოყენების უნარ-ჩვევების დონის ზრდა. ამიტომაც მობილური აპლიკაციების ეფექტური გამოყენება ნებისმიერი დონის საჯარო მმართველობაში არა მარტო შესაძლებელია, არამედ სასურველიც.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე:

- მონაწილეობითი ბიუჯეტის ინტერნეტ-პლატფორმების გამოყენება უფრო მიზანშეწონილი იქნება მხოლოდ ქალაქებსა და დიდ ადმინისტრაციულ დასახლებებში, სადაც არსებობს ინტერნეტწვდომა;

- ინტერნეტისა და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება ჩაითვალოს ალტერნატიულ ინსტრუმენტად. მათი ნაწილობრივი გამოყენებისას მუნიციპალიტეტმა დამატებით უნდა უზრუნველყოს ინტერნეტპლატფორმასთან წვდომა როგორც საჯარო სივრცეებში (სკოლები ან/და იუსტიციის სამინისტროს სერვის-ცენტრები), ისე მობილური აპლიკაციების მეშვეობით.

5.6 მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესში ჩართული მხარეები

მონაწილეობითი ბიუჯეტირების ერთ-ერთი მიზანია მოქალაქეთა მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. შედეგად ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ ამ პროცესებში ნათლად ჩამოყალიბდეს და ერთმანეთისგან მკვეთრად გაიმიჯნოს მოსახლეობის და ყველა ჩართული მხარის როლი თუ უფლება-მოვალეობები.

მონაწილეობითი ბიუჯეტის ნებისმიერი მოდელის ფარგლებში შეიძლება გამოიყოს შემდეგი ძირითადი სუბიექტები:

5.6.1 პოლიტიკის განმსაზღვრელი და პროცესების მაკონტროლებელი სუბიექტი

პოლიტიკის განმსაზღვრელი და პროცესების მაკონტროლებელი სუბიექტი შეიმუშავებს ბიუჯეტირების პროცესებთან დაკავშირებულ პოლიტიკას, სამიზნე ნიშნულებს, შეფასების კრიტერიუმებსა და სამუშაო პროცედურებს. ამავდროულად, იგი არის პროცესების მაკონტროლებელი და საჩივრების განმხილველი ორგანო. მასვე ევალება თავად პროცესის ეფექტიანობის შეფასება და პროცედურების დახვეწა-განვითარება.

აღნიშნული სუბიექტი, მსოფლიოში მოქმედ მოდელებზე დაყრდნობით, ხშირად უზრუნველყოფს მოსახლეობის მიერ შერჩეული საპროექტო წინადადების სიობრივი კენჭისყრის გზით საბოლოო დამტკიცებასაც, რასაც იგი ნარუდგენს მუნიციპალიტეტის მერს შემდეგი წლის ბიუჯეტში შესატანად.

ამ ორგანოს ფორმირება შესაძლოა განხორციელდეს:

- მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების წამომადგენლებისაგან;
- მხოლოდ მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების წამომადგენლებისაგან; აგრეთვე შესაძლებელია (თუმცა არა აუცილებელი), რომ მათ დაემატონ დეპუტატებიც;

- როგორც სამოქალაქო საზოგადოების, ისე მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებისაგან.

გასათვალისწინებელია, რომ შერეული მოდელის ფარგლებში მოსახლეობის მხრიდან პროცესების სანდოობის გასაზრდელად რეკომენდირებულია, რომ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს ჰქონდეთ მხოლოდ სათათბირო ხმა და არა ორგანოს მართვასა თუ საპროექტო წინადადებების კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება. მათი ფუნქცია უნდა შემოიფარგლოს არსებული კონტექსტისა და მუნიციპალიტეტის ხელისუფლების პრიორიტეტების შესახებ საექსპერტო ინფორმაციების გაცემით.

5.6.2 მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის განმახორციელებელი სუბიექტი

მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის განმახორციელებელი სუბიექტი წარმოადგენს მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცედურების დაგეგმვასა და სამუშაოთა განხორციელებაზე პასუხისმგებელ ორგანოს. იგი პასუხს აგებს აგრეთვე მოსახლეობისა თუ საზოგადოების საპროექტო წინადადების შემუშავებელ გუნდებთან კომუნიკაციასა და საინფორმაციო-საკონსულტაციო მხარდაჭერაზეც.

მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის განმახორციელებელი სუბიექტი:

- ზოგიერთი მოდელის შემთხვევაში ახორციელებს საპროექტო წინადადების შერჩევას და საექსპერტო შეფასებას;
- ეხმარება მოსახლეობას საპროექტო წინადადებების შემუშავებაში, საპროექტო წინადადებების კენჭისყრის ორგანიზებაში.

მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის განმახორციელებელი სუბიექტის ფორმირება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა უფლებამოსილება გააჩნია მას თვითონ. ასე, მაგალითად:

- თუ იგი არის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესების მხოლოდ მხარდამჭერი და არა გადაწყვეტილების მიმღები ორგანო, მაშინ მისი ფორმირება შესაძლებელია მხოლოდ მუნიციპალიტეტის მერის სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლობისაგან.
- თუ მას გააჩნია უფლებამოსილება აგრეთვე რაიმე სახით დასაფინანსებელი საპროექტო წინადადების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებადაც, მაშინ მისი ფორმირება უნდა მოხდეს მოსახლეობის წარმომადგენლებით დადგენილი ასაკობრივი, ტერიტორიული

და მოქალაქეობრივი ცენზის საფუძველზე. ამ ორგანოს წევრებს ირჩევს მხოლოდ მუნიციპალიტეტის მოსახლეობა კენჭისყრის ან/და უშუალო დემოკრატიის სხვა მეთოდების მეშვეობით.

მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის განმახორციელებელი სუბიექტის ფორმირების წესი პროცედურებში მკაფიოდ უნდა გაინეროს.

ზოგ შემთხვევაში, თუკი მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის განმახორციელებელი სუბიექტის ფორმირება ხდება მოქალაქეთა მიერ უშუალო დემოკრატიული პროცედურების შედეგად, მაშინ დასაშვებია, რომ იგი ითავსებდეს ასევე პოლიტიკის განსაზღვრისა და პროცესების მკონტროლებელი სუბიექტის უფლება-მოვალეობებს, სხვა შემთხვევაში ამ ორი ორგანოს გაერთიანება კატეგორიულად დაუშვებელია.

5.6.3 საპროექტო წინადადებების წარმდგენი სუბიექტი

მონაწილეობითი ბიუჯეტის მოდელებში განსაზღვრულია საპროექტო წინადადების წარმდგენი სუბიექტი, რომელიც შეიძლება იყოს:

- მუნიციპალიტეტის 18 წელს მიღწეული ამომრჩეველი

ზოგიერთი მოდელის შემთხვევაში საპროექტო წინადადების წარმდგენი შეიძლება იყოს როგორც მუნიციპალიტეტის ამომრჩეველი, ისე მის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სხვა მუნიციპალიტეტის ან სხვა ქვეყნის მოქალაქე, აგრეთვე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კომერციული საქმიანობის განმახორციელებელი კომერციული სტრუქტურის ხელმძღვანელი ან მისი წარმომადგენელი.

ახალგაზრდული თემათიკის მქონე მონაწილეობითი ბიუჯეტის დანერგვისას მნიშვნელოვანია ახალგაზრდების ფართო ჩართულობა, ამიტომაც საჭიროა ასაკობრივი ცენზის დაწევა, მაგალითად, 18-დან 14-15 წლამდე.

- საპროექტო წინადადების წარმდგენი ჯგუფი

საპროექტო წინადადების შემუშავება და წარდგენა შეუძლია როგორც ამომრჩეველთა, ისე მცხოვრებთა ჯგუფებს. ამ შემთხვევაში შესაძლებელია მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის ეფექტურობისა და ცნობადობის ზრდა, რაც საბოლოო ანგარიშით ხელს შეუწყობს მოქალაქეთა ფართო ჩართულობას და სოციალური

კავშირების განმტკიცებას. ჯგუფს უნდა ყავდეს ოფიციალური ხელმძღვანელი (ლიდერი), რომლის ფუნქციაც იქნება მონაწილეობითი ბიუჯეტირების სხვა სუბიექტებთან კომუნიკაცია.

საპროექტო წინადადების წარმდგენი ჯგუფის ამგვარი სისტემის გამოყენება უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის იმ ნაწილის ჩართულობას, რომელიც ვერ აკმაყოფილებს საპროექტო წინადადებების წარმდგენისა და კენჭისყრაში მონაწილეობის შესახებ დაწესებულ მუნიციპალიტეტის ამომრჩევლის კანონს ან/და ასაკობრივ ცენზს, და რომელიც, ამის მიუხედავად, გამოთქვამს მზადყოფნას და სურვილსაც, რომ თავისი წვლილი შეიტანოს მუნიციპალიტეტის განვითარების პროცესში. ამისათვის კი ისიც იკმარებს, თუკი საპროექტო წინადადების წარმდგენი იქნება თუნდაც მხოლოდ ჯგუფის ხელმძღვანელი (ლიდერი).

იმისათვის, რომ მოხდეს პროცესების ოპტიმიზაცია, ზოგიერთ მოდელში დაიშვება საპროექტო წინადადების წარმდგენი რამდენიმე ისეთი ჯგუფის გაერთიანება, რომელთა მიერ წარმდგენი პროექტებს ახასიათებს ერთგვაროვანი თემატიკა და სამოქმედო არეალი. ამ შემთხვევაში მათ შესთავაზებენ, რომ საკუთარი პროექტები ნებაყოფლობით გააერთიანონ და ერთობლივად წარადგინონ.

5.6.4 საპროექტო წინადადებების შესახებ გადანყვეტილების მიმდებარე სუბიექტი

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია, თუ ვის ექნება მოსახლეობის მიერ წარმდგენილი საპროექტო წინადადებებიდან გამარჯვებული საპროექტო წინადადებების საბოლოოდ გამოვლენის/განსაზღვრის უფლებამოსილება. აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესისადმი მოსახლეობის ნდობას და უზრუნველყოფს მის ლეგიტიმაციას.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, გადანყვეტილებას იმის შესახებ, თუ ბიუჯეტი საკრებულოში დასამტკიცებლად რა სახით უნდა იყოს წარმდგენილი, იღებს მუნიციპალიტეტის მერი. საკრებულო კი ამტკიცებს საბოლოო ბიუჯეტს. ამიტომაც მნიშვნელოვანია, რომ მერმა და საკრებულოს დეპუტატებმა მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის ფარგლებში აიღონ ვალდებულება, რომ ყველა იმ საპროექტო წინადადებას მიემხრობა, რომლებსაც მოსახლეობა შეიმუშავებს და მხარს დაუჭერს.

მოსახლეობის მიერ წარმდგენილი საპროექტო წინადადების შესახებ საბოლოო გადანყვეტილების მიღება, - მოდელის ფარგლებში დადგენილი

ასაკობრივი, ტერიტორიული და მოქალაქეობრივი ცენზის გათვალისწინებით -, შეუძლია:

- მუნიციპალიტეტის ყველა მცხოვრებს;
- მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამისათვის დადგენილი საბიუჯეტო ტერიტორიული ერთეულის ყველა მცხოვრებს (ტერიტორიული მონაწილეობითი ბიუჯეტის განხორციელების დროს);
- მონაწილეობითი ბიუჯეტის განმახორციელებელ სუბიექტს, თუ მისი ფორმირება ხდება მოსახლეობის მიერ დასახელებული/არჩეული წარმომადგენლობისგან. მაგრამ თუ სუბიექტს ექნება საპროექტო წინადადებების დამოუკიდებლად შერჩევის უფლება, მაშინ აუცილებელია, რომ შერჩევა მოხდეს მხოლოდ მოსახლეობის მიერ კენჭისყრით მხარდაჭერილი პროექტებისგან.

5.6.5 პროცესის მხარდაჭერი სუბიექტები

გემოხსენებული ძირითადი ოთხი სუბიექტის გარდა, პროცესებში ჩართვა შეუძლიათ სხვა აქტორებსაც (ექსპერტები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მხარდაჭერი ჯგუფები, დონორები, ბიზნეს-კომპანიები და სხვა). სასურველია, თუმცა არა აუცილებელი, რომ წინასწარ განისაზღვროს მათი უფლება-მოვალეობები და მაქსიმალურად ხელშეწყობილი იყოს მათი ჩართულობა პროცესების სხვადასხვა ეტაპზე.

5.6.6 პოლიტიკური და ადმინისტრაციული მხარდაჭერა

მონაწილეობითი ბიუჯეტის მოდელის დანერგვის ეფექტიანობა სრულიად დამოკიდებულია მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ხელისუფლების მხრიდან პროცესის ძლიერ მხარდაჭერაზე.

მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტის ხელისუფლების ორივე შტომ მკაფიოდ განაცხადოს მზადყოფნა დასახულ პროცესებში მაქსიმალური ჩართულობის შესახებ, ასევე ღიად და საჯაროდ დადოს პირობა, რომ მოსახლეობის მიერ შერჩეული საპროექტო წინადადებები აუცილებლად დაფინანსდება მუნიციპალიტეტის მიერ.

მონაწილეობითი ბიუჯეტის დანერგვილი მოდელის სიმდგრადისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ მისი განხორციელების ვალდებულება დაამტკიცოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ თავისი გადანყვეტილებით.

ასევე შესაძლებელია მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის დებულების შემუშავება და დამტკიცება მუნიციპალიტეტის მერის მიერ. თუმცა ამ შემთხვევაში იქმნება საფრთხე, რომ საკრებულო დარჩება ძირითადი პროცესების მიღმა და მას აღარ ექნება მოქალაქეების მიერ შერჩეული საპროექტო წინადადებების უცვლელად დაფინანსების ვალდებულება.

მნიშვნელოვანია, რომ საკრებულო არ შემოიფარგლოს მხოლოდ დებულებისა და წესების დამტკიცებით, აქტიურად ჩაერთოს საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიაში და ღიად მოუწოდოს მოსახლეობას მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესში აქტიური ჩართვისაკენ.

ამავე დროს, საკრებულოს დეპუტატი და მუნიციპალიტეტის ყველა დონის ხელმძღვანელი უნდა მოერიდოს მოქალაქეების მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებების საჯარო შეფასებას და ისეთ ქმედებებს, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მოქალაქეების საბოლოო გადაწყვეტილებაზე. მონაწილეობითი ბიუჯეტის ზოგიერთ მოდელში დეპუტატებსაც და მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირებსაც საჯარო შეხვედრებზე მხოლოდ სათათბირო ხმა აქვთ და ამიტომ საპროექტო წინადადების შერჩევის პროცესში მონაწილეობას ვერ იღებენ.

5.7 მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესისთვის საჭირო რესურსები

მონაწილეობითი ბიუჯეტის მოდელი, თავისი არსით, პროექტული სახის საქმიანობაა, რომელიც ორწლიანი პროცესის ფარგლებში შესაბამისი ოდენობის ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების მობილიზებას საჭიროებს.

კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამის პირველი წლის დაფინანსებამ მოიცვას ფინანსური და მატერიალური რესურსები, რომლებიც დაფარავს პროცესის ადმინისტრირების ხარჯებს, მათ შორის: მონვეული პირების ხელფასებს, ზეგანაკვეთური სამუშაო საათების ანაზღაურებას, საინფორმაციო კამპანიისათვის საჭირო ბეჭდვითი, აუდიო-ვიზუალური მასალების მომზადებასა და გავრცელებას, საეთერო დროის შესყიდვას, სარეკლამო აბრების დაქირავებას, სატრანსპორტო მომსახურებას, საჯარო შეხვედრების ორგანიზებას და სხვა.

პროცესის ფარგლებში უნდა გამოიყოს სათანადო ოდენობისა და კვალიფიკაციის ადამიანური რესურსებიც, მათ შორის:

- საინფორმაციო კამპანიის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები

ჩვეულებრივ, ამ ფუნქციას ასრულებენ მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის თანამშრომლები, თუმცა დიდი საინფორმაციო კამპანიის უკეთ გაძღოლის მიზნით უფრო მიზანშეწონილი იქნება, თუკი გამოიყოფა თუნდაც მხოლოდ ერთი პასუხისმგებელი პირი. ასევე დასაშვებია PR-კომპანიებთან ხელშეკრულების გაფორმება საინფორმაციო კამპანიის გაძღოლის მომსახურებაზე.

- მოქალაქეების მიერ წარდგენილი საპროექტო წინადადებების სამართლებრივ და ტექნიკურ ექსპერტიზაზე პასუხისმგებელი პირები

ჩვეულებრივ, ამ ფუნქციას ასრულებს მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების (იურიდიული, შესყიდვების, კეთილმოწყობის, არქიტექტურის და სხვა) თანამშრომლები. თუმცა, ზოგ შემთხვევაში, თუკი სპეციფიკური კომპეტენციის თანამშრომელთა შერჩევა ვერ მოხერხდა მერიის თანამშრომელთა შორის, შესაძლებელია ექსპერტების გარედან მოწვევაც.

- სათემო მობილიზაციაზე პასუხისმგებელი პირები

ჩვეულებრივ, ამ ფუნქციას ასრულებს ადგილებზე მერის წარმომადგენლები, თუმცა დასაშვებია შესაბამისი უნარ-ჩვევების მქონე სხვა პირების მოძებნაც არა მარტო მერიის ანდა საკრებულოს აპარატში, ასევე მის გარეთაც (სათემო კავშირები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვა).

- საჯარო შეხვედრების ფასილიტირებაზე პასუხისმგებელი პირები.

ჩვეულებრივ, ამ ფუნქციის შემსრულებელ პიროვნებას მოეთხოვება საჯარო სხდომების წარმართვისა და ინტერპერსონალური კომუნიკაციის უნარ-ჩვევები, ამიტომაც ნაკლებად მოსალოდნელია, რომ მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა შორის მოიძებნოს საჭირო ოდენობისა და კვალიფიკაციის ფასილიტატორები, ამიტომ დასაშვებია შესაბამისი უნარ-ჩვევების მქონე გარეშე პირთა მოზიდვაც.

ყველა იმ შემთხვევაში, როცა დაგეგმილი საქმიანობის განსახორციელებლად მიზანშეწონილად ჩაითვლება გარე რესურსების მოზიდვა, მოხდება ამ პირთა სახელფასო განაკვეთის გათვალისწინება მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის ადმინისტრირების მთლიან ხარჯებში, თუმცა მათი ხელფასი ასევე შეიძლება ნაწილობრივ ან/და სრულად დააფინანსოს დონორმა ორგანიზაციამაც.

როდესაც მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესს განვიხილავთ, თავის-თავად აქტიურდება მისი ფინანსური უზრუნველყოფის საკითხიც. მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის ფარგლებში, განსაკარგავი საჯარო ფინანსების ოდენობისა და ოპერაციული ხარჯების გარდა, საჭიროა ყურადღება მივაქციოთ კიდევ ორ გარემოებას:

1. მუნიციპალური მთლიანი ბიუჯეტიდან მონაწილეობითი ბიუჯეტის პროცესის ფარგლებში გამოყოფილი ფინანსური რესურსების შეფარდებითი მოცულობა;
2. მონაწილეობითი ბიუჯეტის გავლენა მუნიციპალიტეტის ფისკალურ სტაბილურობაზე.

როგორც მსოფლიოს, განსაკუთრებით კი ბრაზილიის, მონაწილეობითი ბიუჯეტის დანერგვის პრაქტიკა აჩვენებს, ამგვარად შემუშავებული ბიუჯეტის ხვედრითი წილი მუნიციპალიტეტის საერთო ბიუჯეტში 2-დან და 10 პროცენტამდე მერყეობს. თუმცა, თავად მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის ფარგლებში, ადგილი აქვს გამოყოფილი თანხების ოდენობის შემცირების ტენდენციასაც, რაც განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ამ დროს ხდება დაგეგმილი სამუშაოებისა და რესურსების ოპტიმიზაცია, რაც თავისთავად იწვევს საერთო ფინანსური რესურსების შემცირებას მუნიციპალიტეტის საინვესტიციო ბიუჯეტის პროპორციულად.

მიუხედავად ამისა, ზოგ ქალაქში ამ მიზნისათვის შეიძლება 10 პროცენტზე მეტიც გამოიყოს. არსებობს ისეთი ქალაქებიც (მაგალითად, მუნდო ნოვო (Mundo Novo) და პორტო ალეგრე (Porto Alegre), სადაც ბიუჯეტის ასივე პროცენტის განკარგვა მოსახლეობის მონაწილეობით ხდება. თუმცა ფიქსირდება მეორე უკიდურესობაც, როცა ზოგ ქალაქში, განსაკუთრებით კი ევროპაში, მონაწილეობითი ბიუჯეტის წილი ერთ პროცენტზე ნაკლებია.

აღნიშნული პროპორცია დამოკიდებულია კონკრეტულ მუნიციპალიტეტში არსებულ კონტექსტზე. ესენია: სოციალურ-ეკონომიკური პარამეტრები, მოქალაქეების, სამოქალაქო საზოგადოებისა და ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენცია, მზაობა და სხვა. ზოგ შემთხვევაში ადგილი აქვს მონაწილეობითი ბიუჯეტის წილის ზრდას რესურსების წარმატებული განაწილების გამოცდილების ზრდის პარალელურად. დებატების მეშვეობით რაც მეტი თანხების განკარგვის შესაძლებლობას მიიღებს საზოგადოება, მით უფრო სწრაფად შეიძენს იგი სათანადო ცოდნას, გამოცდილებასა და თავდაჯერებულობას.

ლათინური ამერიკის ქვეყნების მაგალითიც ასევე აშკარად აჩვენებს, რომ მონაწილეობითი ბიუჯეტის თანმდევნი პროცესია მუნიციპალიტეტის ფისკალური შემოსულობების (გადასახადები და სხვა მიზნობრივი მოსაკრებელი) ზრდა და გადასახადებისგან თავის არიდების შემთხვევების შემცირება. აღნიშნული ტენდენცია დამოკიდებულია აგრეთვე საჯარო ფინანსების ადმინისტრირების გამჭვირვალობაზეც.

თავი 6. სამართლებრივი რეგულაციები

6.1 სამართლებრივი ჩარჩო

მონაწილეობითი ბიუჯეტირება, როგორც გადაწყვეტილების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის ერთ-ერთი მაღალი საფეხური, დღითიდღე უფრო აქტუალური ხდება მთელ მსოფლიოში და, მათ შორის, საქართველოშიც. მისი სამართლებრივი რეგულაცია ერთ-ერთი ფუნდამენტური საკითხია როგორც მონაწილეობითი ბიუჯეტირების დანერგვის, ისე ინსტიტუციურობის თვალსაზრისით. ამის შესახებ არსებობს სხვადასხვა საერთაშორისო გამოცდილება, ცალკეული ქვეყნების (მაგალითად, პოლონეთი, პორტუგალია) ეროვნულ კანონმდებლობებში უკვე აისახება მონაწილეობითი ბიუჯეტირება, როგორც ჩართულობის ერთ-ერთი მექანიზმი; ასევე გვაქვს მუნიციპალურ დონეზე (წარმომადგენლობით/საკანონდებლო დონეზე) მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც ნორმატიული ხასიათისაა.

საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო ხელშეკრულება „ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ (რათიფიცირების თარიღი - 26.10.2004), ქარტიის დამატებითი ოქმი „ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის მიღების უფლების თაობაზე“ (რათიფიცირების თარიღი - 29.05.2019) საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საქართველოს მთავრობის დადგენილება (№678 31.12.2019) „დეცენტრალიზაციის 2020-2025 წლების სტრატეგიისა და დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის შესახებ“, „ღია მმართველობა - საქართველოს 2018-2019 წლების“ სამოქმედო გეგმა აღიარებს მოქალაქეთა მონაწილეობას, როგორც დემოკრატიული მმართველობის უპირატესი მნიშვნელობის პრინციპს და ქმნის მის გარანტიებს (იხ. დანართი №6).

მონაწილეობითი ბიუჯეტირების (სამოქალაქო ბიუჯეტი) ინსტრუმენტის დანერგვის პრიორიტეტულობა დეკლარირებულია საქართველოს

მთავრობის დეცენტრალიზაციის სტრატეგიაში (2020-2025წწ)⁵ და ასევე იგი უკვე არაერთ მუნიციპალიტეტში იქცა მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან მექანიზმად. მის სამართლებრივ საფუძვლად და გარანტიად გვევლინება ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 85-ე მუხლი, სადაც აღნიშნულია, რომ მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია შესაბამისი სამართლებრივი აქტით განსაზღვროს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უკვე კანონით განსაზღვრული ფორმების (სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, დასახლების საერთო კრება, პეტიცია და აშ) გარდა სხვა, დამატებითი მექანიზმებიც, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას. უფრო მეტიც, იგი სთავაზობს მათ პროგრამულ უზრუნველყოფას და ბიუჯეტიდან ფინანსური სახსრების გამოყოფას⁶.

მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის რეგულაციებს ეძლევა სამართლებრივი აქტის სახე და მის განსაზღვრასა და დამტკიცებაში მონაწილეობს თვითმმართველობის ორივე ორგანო (მერია და საკრებულო). კერძოდ, საკრებულო ამტკიცებს ნორმატიული ხასიათის დოკუმენტს (დადგენილებას) მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის (შემდგომში - „პროგრამა“) განხორციელების წესის დადგენის შესახებ, რომლითაც განსაზღვრავს პროგრამის განხორციელების ძირითად პრინციპებს, მოქალაქეთა მხრიდან პროექტების შედგენის, განხილვის, წარდგენის, ხოლო მუნიციპალიტეტის მხრიდან ამ პროექტების შესაბამისი წლის ბიუჯეტში ასახვის, განხორციელებისა და მონიტორინგის პროცედურებს (იხ. დანართი №7 - დადგენილების ნიმუში). მერი კი ყოველწლიურად განსაზღვრავს მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის ფორმებს (ტერიტორიული, თემატური, შერეული), ვადებს, ზონებს და დაფინანსების მოცულობას, რასაც ასევე წარუდგენს საკრებულოს დასამტკიცებლად და საბოლოოდ ახორციელებს კიდევ. მნიშვნელოვანია, რეგულაციების შემუშავება მიმდინარეობდეს მონაწილეობითი პრინციპის დაცვით და მასში ჩართული იყოს

5 საქართველოს მთავრობის დადგენილება (#678 31.12.2019) დეცენტრალიზაციის 2020-2025 წლების სტრატეგიისა და დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ <https://matsne.gov.ge/document/view/4764626?publication=0> დანართი 1 პოცანა 3.3 გვ.22 <https://mrdi.gov.ge/ka/%E1%83%90%E1%83%93%E1%83%92%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%95%E1%83%98%20%E1%83%97%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%9B%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%20pdf%20%20ka>

6 საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 85-ე. <https://matsne.gov.ge/document/view/2244429?publication=45>

სპეციალისტები, საზოგადოების წარმომადგენლები, საკრებულოს წევრები, ხოლო მათი დამტკიცება მოხდეს საჯარო განხილვებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილების შემუშავება ხდება საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“⁷ და „ნორმატიული აქტების შესახებ“⁸ საქართველოს კანონის საფუძველზე და მასში შესაძლებელია განისაზღვროს შემდეგი საკითხები:

- მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის ცნება;
- პროგრამის პრინციპები;
- პროგრამის სახეები (ტერიტორიული, თემატური, შერეული);
- პროგრამის განმახორციელებელი ორგანოები და დოკუმენტები;
- მოსახლეობის ინფორმირებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურა და ინფორმირების ფორმები;
- მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს ფორმირება, უფლებამოსილება და საქმიანობა;
- მერის და საკრებულოს უფლებამოსილება;
- მონაწილეობითი ბიუჯეტის პროცესი ეტაპების მიხედვით (საპროექტო განაცხადების მიღება, გადარჩევა/ვერიფიკაცია, გამარჯვებულის გამოვლენა/ხმის მიცემა, ბიუჯეტში ასახვა, განხორციელება, ანგარიშგება, მონიტორინგი/შეფასება და სხვა);

მუნიციპალიტეტის მერი ახორციელებს პროგრამას, შესაბამისი სამართლებრივი აქტით ყოველწლიურად განსაზღვრავს ბიუჯეტს, ვადებს, მონაწილეობითი ბიუჯეტის სახეს (მოდელს), ასევე ქმნის მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს (შემდგომში - „საბჭო“). საბჭო იქმნება პროგრამის განსახორციელებლად და მისი საქმიანობა უნდა იყოს ღია და ხელმისაწვდომი. მას უნდა ჰყავდეს მაღალი ლეგიტიმაციის მქონე შემადგენლობა და წარმოდგენილი უნდა იყოს ნდობით აღჭურვილი პირებით, შესაბამისად, შესაძლებელია პროფესიული, აკადემიური წრეების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობა. არსებობს აგრეთვე ასეთი

7 საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 16-ე, მე-3 და მე-4 პუნქტი, მუხლი 61-ე, მე-2 ნაწილი, მუხლი 85 -ე, 1-ლი, მე-2 და მესამე ნაწილები. <https://matsne.gov.ge/document/view/224429?publication=45>

8 საქართველოს ორგანული კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“ მუხლის მე-2, მე-3 პუნქტები, მუხლი მე-3, მე-3 პუნქტი.

გამოცდილებაც, როცა საბჭოს ფუნქციას ასრულებს მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, ხოლო მერიის/საკრებულოს წევრები და პროექტის ავტორები სარგებლობენ სათათბირო ხმის უფლებით.

6.2 მონაწილეობითი ბიუჯეტის ადგილობრივი სამართლებრივი რეგულაციები როგორც საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი

საქართველოში მონაწილეობითი ბიუჯეტის დანერგვის ხელშეწყობა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მუნიციპალიტეტების ურთიერთთანამშრომლობით დაიწყო და გრძელდება. აღნიშნულ პროცესს მხარს უჭერს არაერთი საერთაშორისო პროგრამა თუ ადგილობრივი ორგანიზაცია (იხ. დანართი №8). 2019 წლის მდგომარეობით, მონაწილეობითი ბიუჯეტის ინსტრუმენტი განხორციელდა ცხრა (9) მუნიციპალიტეტში. ესენია: ქალაქი ბათუმი, ქალაქი ოზურგეთი, ქალაქი ზუგდიდი, დაბა მესტია, ქალაქი წყალტუბო, ქალაქი ქუთაისი, ახალციხე, გორის და სიღნაღის მუნიციპალიტეტები. თუკი შევჯამებთ, 2020 წლის ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნა 126 პროექტი, რომელთა შერჩევაში მონაწილეობა მიიღო 10 ათასზე მეტმა მოქალაქემ. ასევე ქედის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებმა შემუშავეს და დაამტკიცეს სამართლებრივი რეგულაციები, რომელთა დანერგვასაც 2020 წლისთვის გეგმავენ.

მართალია, მუნიციპალიტეტების გამოცდილებები ერთნაირად მიჰყვება აღიარებულ ეტაპებს მონაწილეობითი ბიუჯეტის პროცესის მართვის შესაბამისად, თუმცა ერთმანეთისაგანაც განსხვავდება რეგულაციების განსაზღვრისა და დამტკიცების მიხედვით. სამუშაო ჯგუფები იქმნება ძირითადად მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებისგან, თუმცა ასევე მოწვეული სპეციალისტებისა და ადგილობრივი აქტორებისგანაც. სამუშაო ჯგუფი მუშაობს მოდელსა და მონაწილეობითი ბიუჯეტის პროცედურებზე, ადგენს ნორმატიული ხასიათის სამართლებრივ აქტს, რომელსაც ამტკიცებს საკრებულო. აქტით განისაზღვრება მონაწილეობითი ბიუჯეტის მიზანი, პროცესი და ეტაპები, პროექტების მიღების, შერჩევის, განხილვის და ხმის მიცემის თუ გამარჯვებულის გამოვლენის ეტაპები, ასევე მონაწილე მხარეების უფლებამოსილებები. საკრებულოს მიერ მიღებული აქტის საფუძველზე მერი, შესაბამისი სამართლებრივი აქტით, ყოველწლიურად გამოსცემს ბრძანებას მონაწილეობითი ბიუჯეტის პროცესის დაწყების შესახებ, სადაც განისაზღვრება მისი ვადები და მნიშვნელოვანი საფეხურები. ასევე არსებობს სხვა გამოცდილებაც, როცა მონაწილეობითი ბიუჯეტის პროცესის განსაზღვრა და განხორციელება ხდება მხოლოდ მერის ბრძან-

ბის საფუძველზე, ხოლო საკრებულოს წევრებს ინვევენ მონაწილეობითი ბიუჯეტების საბჭოს წევრებად ან მონიტორინგის ჯგუფის შემადგენლობაში. თუმცა აღსანიშნავია, რომ მონაწილეობითი მექანიზმების დასაკანონებლად მონაწილეობითი ბიუჯეტების ზოგადი წესი და რეგულაციები აუცილებლად საკრებულომ უნდა დაამტკიცოს, ასევე მერის ბრძანებით უნდა განისაზღვროს მისი განხორციელების ვადები, ეტაპები თუ სხვა პროცედურები ყოველი კონკრეტული წლის მანძილზე.

მოცემულ თავში ჩვენ ვისაუბრებთ გორისა და ბათუმის მუნიციპალიტეტების გამოცდილებაზე, ასევე ცალკე გამოყოფთ ქალაქების - ოზურგეთის და ქედის მუნიციპალიტეტების რეგულაციებს, რაც საინტერესო მიგნებაა ტერიტორიული სპეციფიკის გათვალისწინებით.

6.2.1 გორის მუნიციპალიტეტის გამოცდილება

გორის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტს (მონაწილეობითი ბიუჯეტების პროგრამას და რეგულაციებს) ამტკიცებს მუნიციპალიტეტის მერი, თავად ბიუჯეტს კი - საკრებულო. მუნიციპალიტეტი საკუთარი შემოსავლებიდან სამოქალაქო ბიუჯეტისთვის ითვალისწინებს 2 მილიონ 800 ათას ლარს, რაც შემდეგ 28 ტერიტორიულ ერთეულზე თანაბრად უნდა განაწილდეს. საბოლოოდ, 2019 წელს განხორციელდა 31 პროექტი, ხოლო 2020 წლისათვის გათვალისწინებულია 54 პროექტის დაფინანსება. ეს ძირითადად ინფრასტრუქტურული პროექტებია, რომლებიც ემსახურება კეთილმოწყობას: სტადიონის მშენებლობა, გარე განათება, სკვერის კეთილმოწყობა, საბავშვო ბაღის გაფართოება, სასმელი წყლის მილების რეაბილიტაცია და სხვა.

სამოქალაქო ბიუჯეტის პროცესი შედგება რამდენიმე ეტაპისაგან:

1. პროექტის მოსამზადებელი ეტაპი, თავის მხრივ, იყოფა 3 ძირითად ქვეპროცესად:
 - ✓ პროგრამის გეოგრაფიული არეალის განსაზღვრა - ამისთვის მუნიციპალიტეტში შემავალი 33 ადმინისტრაციული ერთეული დაჯგუფდა 28 ზონად. აღნიშნული მიდგომა საჭიროა იმისათვის, რომ გამოყოფილი სახსრები უფრო სამართლიანად და თანაბრად გადანაწილდეს;
 - ✓ პროგრამის ფინანსური რესურსების და წესების განსაზღვრა - მომდევნო წლის მუნიციპალური საპროგნოზო ბიუჯეტიდან მერია პროგრამის ფარგლებში საკუთარი შემოსავლებიდან გამოყოფს მიღებულ სარგებელს. პროგრამით განსაზღვრული 28 ზონისათვის

გამოიყოფა მაქსიმუმ 100,000 (ასი ათასი) ლარი. აღნიშნული თანხა, მოსახლეობის ინტერესებისა და სურვილის გათვალისწინებით, შეიძლება მოხმარდეს ერთი ან ორი პროექტის განხორციელებას, რომელთა ჯამური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ადმინისტრაციული ერთეულისთვის (ზონისათვის) გამოყოფილ თანხას, ხოლო ერთი საპროექტო ინიციატივის შემთხვევაში მისი ღირებულება 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარზე ნაკლები არ უნდა იყოს. საპროექტო წინადადებები შეიძლება იყოს სხვადასხვა თემატიკის, მათ შორის: ინფრასტრუქტურული, ახალგაზრდული, საგანმანათლებლო, კულტურული, სოციალური, სპორტული და სხვა.

- ✓ პროექტის მმართველობითი სტრუქტურების ჩამოყალიბება - სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტის ეფექტიანად სამართავად ყალიბდება სამი (3) მმართველობითი სტრუქტურა:
 - ადმინისტრაციული ერთეულის (ზონის) კოორდინატორი - მუნიციპალიტეტის მერის მიერ თითოეულ ზონაში მოქალაქეებთან საკომუნიკაციოდ, მათი ინფორმირებისა და კოორდინაციის მიზნით, ინიშნება კოორდინატორი, რომელიც ითვლება ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლად აღნიშნული საქმიანობა შესაძლებელია განხორციელდეს საზოგადოების წარმომადგენლებთან ან არასამთავრობო ორგანიზაციებთან (შემდგომში - „თემის მობილიზატორთან“) ერთად. ზონის კოორდინატორი ვალდებულია ჩაატაროს საჯარო შეხვედრები და მოქალაქეებს მიაწოდოს ინფორმაცია სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამის განხორციელების მიზნებსა და არსებულ შესაძლებლობებზე, ასევე საინიციატივო წინადადებების წარდგენის წესებზე. იგი აგრეთვე, საჭიროებისამებრ, დაეხმარება მოსახლეობას პრობლემებისა და პრიორიტეტების გამოვლენაში.
 - წარმომადგენლობითი საბჭო - მის ფორმირებას უზრუნველყოფს ზონის კოორდინატორი აქტიური საინფორმაციო კამპანიისა და საჯარო შეხვედრების მეშვეობით. საბჭოს წევრთა რაოდენობა შეზღუდული არ არის და იგი უნდა შედგებოდეს თითოეულ ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ დასახლებებსა და უბნებში მცხოვრებთა მიერ თავიანთი რიგებიდან შერჩეული არანაკლებ ორი მოქალაქისგან. საბჭოს წარუძღვება თავმჯდომარე, რომელიც აირჩევა ხმათა უმრავლესობით წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე, ხოლო მდივნის ფუნქციას ზონის კოორდინატორი შეასრულებს. წარმომადგენლობითი საბჭო კონსუსუსის საფუძველზე (შეთანხმებისამებრ) შეარჩევს

კონკრეტულ საპროექტო ინიციატივას, რომელსაც წარუდგენს ზონის კოორდინატორს. იგი, თავის მხრივ, უზრუნველყოფს გორის მუნიციპალიტეტის მერიამის მის შემდგომ წარდგენას და მოითხოვს შემდგომი წლის მუნიციპალურ ბიუჯეტში მის ასახვას. წარმომადგენლობითი საბჭო მონიტორინგს უწევს პროექტის ფარგლებში შერჩეული პროექტების განხორციელებას. მას აქვს უფლება განახორციელოს ყველა სხვა საქმიანობა, რაც მიმართული იქნება პროგრამის ეფექტური განხორციელებისაკენ.

- სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო - იქმნება მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე და ფორმირდება გორის მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოსა და ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს წარმომადგენლები (ებ) ისაგან. მასში შესაძლებელია მონაწილე იყოს როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის, ისე საზოგადოების წარმომადგენლებიც. სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო უზრუნველყოფს საპროექტო წინადადებების ტექნიკურ ანალიზს და შესაბამისი „წარმომადგენლობითი საბჭოსათვის“ დასამტკიცებლად წარდგენას; მასვე ევალება მუნიციპალიტეტის მიერ პროექტის ფარგლებში შერჩეული პროექტების განხორციელების მონიტორინგი და ჩატარებულ სამუშაოთა ეფექტიანობისა და ხარისხის საბოლოო შეფასება, ასევე ყველა სხვა საქმიანობა, რომლებიც მიმართული იქნება პროგრამის ეფექტურ და ეფექტიან განხორციელებისაკენ.

2. საპროექტო წინადადებების წარდგენის ეტაპი:

სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამაში მონაწილეობის უფლება აქვს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ, 18 წლის ასაკს მიღწეულ ყველა მოქალაქეს. საპროექტო ინიციატივის განაცხადის წარდგენა შესაძლებელია ელექტრონულად ან/და მერიის კანცელარიაში ავტორის, ზონის კოორდინატორის ან გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ნებისმიერი მოქალაქის მიერ, რის შესახებაც კეთდება შესაბამისი ჩანაწერი სააპლიკაციო ფორმაში. წინადადების წარდგენა შესაძლებელია როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად. მოქალაქეს შეუძლია წარმოადგინოს ისეთი პროექტი, რომელიც შედის მუნიციპალიტეტის გამგეობის თვითმმართველობის კომპეტენციაში, არ აღემატება კონკრეტული ადმინისტრაციული ერთეულისთვის გამოყოფილ თანხას და ემსახურება საზოგადოებრივ კეთილდღეობას. პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს საპროექტო სააპლიკაციო ფორმით, რომელიც დამტკიცებულია მერის მიერ. განაცხადის ფორმებს ავტორის გარდა ხელი

უნდა მოაწეროს მინიმუმ ათმა (10) მხარდამჭერმა, რომლებიც ცხოვრობენ იმ ტერიტორიულ ერთეულში, სადაც პროექტის განხორციელება იგეგმება. კოორდინატორი, საჭიროებისამებრ, ეხმარება ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებლებს, სამოქალაქო ბიუჯეტის საპროექტო ინიციატივის განაცხადის სააპლიკაციო ფორმის შევსებაში. განაცხადების მიღების დროს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი პირი (მთავარი კოორდინატორი) ამოწმებს წარმოდგენილი საპროექტო განაცხადის ტექნიკურ სისწორეს. წარმოდგენილი ინიციატივის პროექტით გათვალისწინებული ბიუჯეტის ფარგლებში დაფინანსების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების საბოლოო ეტაპზე შესაძლებელია მოთხოვნილი თანხის შეცვლა, ოღონდ ინიციატივის ავტორთან შეთანხმებით.

3. საპროექტო წინადადებების შერჩევის ეტაპი:

გორის მუნიციპალიტეტში დარეგისტრირებულ საპროექტო ინიციატივებს სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო განიხილავს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- ა) სამართლებრივი ასპექტები (არის თუ არა მუნიციპალიტეტი უფლებამოსილი განახორციელოს წარმოდგენილი საპროექტო ინიციატივები?);
- ბ) ტექნიკური ასპექტები (ტექნიკურად რამდენად შესაძლებელია საპროექტო ინიციატივების განხორციელება?);
- გ) ფინანსური ასპექტები (წარმოდგენილი საპროექტო ინიციატივების სავარაუდო ღირებულების შეფასება და შესაძლებლობების განსაზღვრა);
- დ) პროექტის განხორციელების ვადები (წარმოდგენილი საპროექტო ინიციატივების განხორციელების სავარაუდო ვადების თავსებადობა შესაძლებლობების ფარგლებში);
- ე) ემსახურება თუ არა პროექტის განხორციელება საზოგადოებრივ ინტერესს (წარმოდგენილი საპროექტო ინიციატივები რამდენად აქტუალურია ადმინისტრაციული ერთეულების მცხოვრებთათვის?);

სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს მიერ შემოწმებული და მონონებული საპროექტო ინიციატივები შემდგომი განხილვისა და შერჩევისათვის გადაეცემა ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლობით საბჭოებს, რომლებიც პროგრამის პირველ ეტაპზე გამოვლენილი პრიორიტეტების გათვალისწინებით და კონსენსუსის საფუძველზე შეარჩევენ კონკრეტულ საპროექტო ინიციატივებს და წარუდგენენ მათ სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს და მუნიციპალიტეტის მერს შემდგომი დამტკიცებისათვის.

1. გამარჯვებული პროექტების ბიუჯეტში გათვალისწინება და მათი განხორციელება - წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ შერჩეული პროექტები აისახება მომდევნო წლის ბიუჯეტის პროექტში და მტკიცდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ. შესაბამისი საბიუჯეტო წლის დასაწყისშივე იწყება შესყიდვების პროცედურა, რომელშიც პროექტის ავტორიც აქტიურად ერთვება და მონაწილეობს სატენდერო წინადადებების მომზადების პროცესში.
2. მონიტორინგი და შეფასება - გორის მუნიციპალიტეტის მერიის სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში მიმდინარე პროცესის მონიტორინგი და შეფასება ეკისრება სამოქალაქო ბიუჯეტისა და ზონების წარმომადგენლობით საბჭოს. 2019 წლის პროგრამის შესაფასებლად გამოიყენეს სპეციალური კითხვარი, რომელიც შემუშავდა პარტნიორი ორგანიზაციის მხარდაჭერით. შეფასების კითხვარი მოიცავდა როგორც მოქალაქეების, ასევე ავტორების გამოკითხვას. მოკვლევის შედეგები წარედგინა სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს განსახილველად და შემდგომი პროცესის გასაუმჯობესებლად.

აღსანიშნავია, რომ გორის მუნიციპალიტეტის მერიის სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამას ერთვის განხორციელების სამოქმედო კალენდარი, რომელიც თანხვედრაშია საბიუჯეტო კალენდართან - იგი იწყება აპრილში და სრულდება ნოემბერში, მასში გამარჯვებული პროექტების ასახვის შემდეგ.

6.2.2 ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გამოცდილება

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მონაწილეობითი ბიუჯეტების ელექტრონული მოდელი 2019 წელს დაინერგა. თუმცა აღნიშნულს წინ უძღოდა ონლაინ პორტალის www.idea.batumi.ge შექმნა, ასევე მეთოდოლოგიის შემუშავება, რომელშიც ჩართული იყო მუნიციპალიტეტი, ექსპერტები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და სხვა დაინტერესებული მხარეები. მონაწილეობით პრინციპებზე შემუშავებული რეგულაციები დაამტკიცა მერმა, ხოლო ბიუჯეტი - საკრებულომ.

მონაწილეობითი ბიუჯეტის პროექტი - „შენი იდეა ბათუმს!“ - მოქალაქეებს აძლევს ბათუმის ბიუჯეტის მართვაში აქტიურად ჩართვის საშუალებას. პროექტის ფარგლებში მერიის ბიუჯეტიდან 2019 წლისთვის გამოიყო 120 ათასი ლარი, ხოლო 2020 წლისთვის - 500 ათასი ლარი. მოქალაქეებს შეუძლიათ როგორც თავიანთი იდეებისა თუ პროექტების წინასწარ დაანონსებ-

ულ ვადებში ვებგვერდზე www.idea.batumi.ge დარეგისტრირება, ისე შემდგომში, ხმის მიცემის გზით, გამარჯვებულების თავადვე გამოვლენა.

რეგისტრაციის პროცესი

რეგისტრაციის გავლა აუცილებელია როგორც პროექტის დასარეგისტრირებლად, ისე ხმის მისაცემად. მოქალაქეს შეუძლია რეგისტრაცია გაიაროს როგორც ონლაინ (www.idea.batumi.ge) - თუკი მას აქვს ელექტრონული ფაქსიმილე, ისე ბათუმის მერიაში ან 14 სერვის ცენტრში (მერიის წარმომადგენლობა ბათუმის უბნებში). რეგისტრაციის შედეგად მოქალაქეს ენიჭება მომხმარებლის სახელი და პაროლი, რომელთა მეშვეობითაც იგი შეძლებს ონლაინ პლატფორმაზე (www.idea.batumi.ge) ავტორიზაციის გავლას, იდეის დარეგისტრირებას ან/და რჩეული იდეისათვის ხმის მიცემას. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული რეგისტრაცია მას აძლევს ასევე სხვა მუნიციპალური სერვისებით ონლაინ სარგებლობის უფლებასაც.

მონაწილეობითი ბიუჯეტის პროექტის „შენი იდეა ბათუმს!“ წლიური ციკლი შემდეგნაირად გამოიყურება:

- ✓ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი გამოსცემს ბრძანებას, სადაც განისაზღვრება პროექტების მიღების პროცედურა, ვადები, თანხა, განხილვის და მიღების წესი.
- ✓ პროცესში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ ზრდასრულ მოქალაქეს (18+), რომელიც რეგისტრირებულია ბათუმში;
- ✓ შეგიძლია დაარეგისტრო პროექტი ან/და მისცე ხმა შენს რჩეულ სამ პროექტს;
- ✓ თითოეული პროექტის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 500 000 ლარს, ხოლო განხორციელების ვადა უნდა შემოსაზღვროს 2020 წლის დეკემბრით;
- ✓ პროექტი უნდა ხორციელდებოდეს ბათუმში და უნდა განეკუთვნებოდეს თვითმმართველობის კომპეტენციას;
- ✓ პროექტი მიზნად უნდა ისახავდეს საზოგადოებრივი სიკეთის შექმნას;
- ✓ პროექტი უნდა წარმოდგენდეს საზოგადოებრივ საკუთრებას და არ უნდა ითხოვდეს მნიშვნელოვანი ხარჯების განწევას მოვლა-პატრონობის კუთხით.

იდევების რეგისტრაციის შემდეგ პროექტების პირველად ანალიზს (სამართლებრივი და ფინანსური შეფასება) ახორციელებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, რის შემდეგაც სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე, ირჩევს 10 პროექტს, რომლებიც აიტვირთება შესაბამის ონლაინ-პლატფორმაზე და იწყება ხმის მიცემის პროცესი.

საპროექტო განაცხადების თემატური ჯგუფების განხილვისა და საპროექტო განაცხადების შერჩევის დროს ყურადღება ექცევა შემდეგ გარემოებებს:

- პროექტის განხორციელების შემდგომი საოპერაციო ხარჯების ოდენობა;
- პროექტის შედეგის გრძელვადიანი ეფექტი;
- საპროექტო განაცხადით გათვალისწინებული საქმიანობის დაკავშირება ან დუბლირება მუნიციპალურ პროგრამებთან;
- საპროექტო განაცხადით გათვალისწინებული საქმიანობის გენდერული ასპექტი;
- საპროექტო განაცხადის მიზნისა და ამოცანების შესაბამისობა ქ. ბათუმის განვითარების სტრატეგიასთან;
- პროექტში ჩართული ან/და პროექტის შედეგებით მოსარგებლე ადამიანების რაოდენობა; პროექტის საორგანიზაციო-ადმინისტრაციული მხარდაჭერის ხარჯები;
- პროექტის განხორციელების გეოგრაფიული არეალი.

მრჩეველთა საბჭოს მიერ საპროექტო განაცხადების შერჩევა ხდება რეიტინგული ღია კენჭისყრით. კენჭისყრა ჩაითვლება ჩატარებულად, თუ მასში მონაწილეობას იღებს მრჩეველთა საბჭოს დამსწრე წევრთა 50%-ზე მეტი. აღსანიშნავია, რომ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მრჩეველთა საბჭო ფორმირდება მერისგან დამოუკიდებლად; კერძოდ, მერი მიმართავს არასამთავრობო ორგანიზაციებს, უნივერსიტეტს, სავაჭრო პალატას, აგრეთვე ბათუმის 14 ტერიტორიულ ერთეულში არსებულ საზოგადოებრივ დარბაზებს და საუბნო კავშირებს საბჭოში კანდიდატურის წარმოდგენის მოთხოვნით, რის შემდეგ ამტკიცებს საბჭოს შემადგენლობას. საბჭო თავად ირჩევს თავმჯდომარეს, მოადგილეს და მდივანს. მონაწილეობითი ბიუჯეტების პროცესში იგი იწვევს აგრეთვე შესაბამისი დარგის სპეციალისტებს და მათთან ერთად თემატურად განიხილავს პროექტებს.

საუკეთესო საპროექტო განაცხადების გამოვლენა

საუკეთესო საპროექტო განაცხადების გამოვლენა ხორციელდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტების პლატფორმაზე ხმის პირდაპირ, ელექტრონულად მიცემის პროცედურის საშუალებით. ხმის მიცემა მიმდინარეობს წინასწარ განსაზღვრულ ვადებში. პორტალზე რეგისტრირებულ მოქალაქეს აქვს ხმის მხოლოდ ერთხელ მიცემის უფლება. მას შეუძლია ხმა მისცეს ერთდროულად სამ საპროექტო განაცხადს. განაცხადები, რომლებიც დააგროვებს ხმების ყველაზე დიდ რაოდენობას - არანაკლებ 750 ხმისა რეგიონის მიხედვით, აისახება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მომდევნო წლის ბიუჯეტში და დაექვემდებარება დაფინანსებას მონაწილეობითი ბიუჯეტისათვის განსაზღვრული ასიგნების მოცულობის ფარგლებში.

ქ. ბათუმის მონაწილეობითი ბიუჯეტების წესით განისაზღვრება მოქალაქეებთან საინფორმაციო კამპანიის წარმართვა, ასევე პორტალზე ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება. ვინაიდან მოქალაქეებს აქვთ ელექტრონული მმართველობის ნაკლები გამოცდილება, პორტალზე უნდა განთავსდეს რეგისტრაციის წესები და ასევე მიმდინარეობდეს აქტიური მედიაკამპანია ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

6.2.3 ოზურგეთის და ქედის მუნიციპალიტეტების გამოცდილება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა მონაწილეობითი ბიუჯეტების ინსტრუმენტის დანერგვა მხოლოდ ქალაქ ოზურგეთში გადაწყვიტა და ვინაიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამა ქალაქებში არ ხორციელდება, ოზურგეთის მცხოვრებლებს საპროექტო განაცხადის ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით წარდგენა (რეგისტრაცია) შესთავაზა. ამისთვის სპეციალურად შეიქმნა მართვისა და ადმინისტრირების ელექტრონული სისტემა - www.votes.oz.gov.ge⁹. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დადგენილების სახით მიიღო 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამოქალაქო ბიუჯეტის“ განხორციელების წესი, რომელშიც აღნიშნულია, **რომ საპროექტო წინადადება უნდა ეხებოდეს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლით გათვალისწინებულ ინფრასტრუქტურული ხასიათის პროექტებს, რომლებიც**

⁹ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტების ელექტრონული პლატფორმა მომზადდა გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრის მიერ პროექტის - „ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მოქალაქეთა მზარდი მონაწილეობის ინიციატივა“- ფარგლებში. პროექტი დაფინანსებულია ამერიკის ეროვნულ- დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ.

არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას და ამ წესს¹⁰. 2019 წლის ბიუჯეტი კი განისაზღვრა 150 ათასი ლარით.

საპროექტო განაცხადის წარდგენის უფლებამოსილება აქვს: ქალაქ ოზურგეთის ადმინისტრაციულ ერთეულში რეგისტრირებულ სრულწლოვან პირს, პირთა ჯგუფს, არასამეწარმეო სახის საზოგადოებრივ გაერთიანებას.

რეგისტრირებული პროექტი გადის შემდეგ პროცედურებს: დადგენილ წესთან მისი შესაბამისობის საკითხს განიხილავს ელექტრონული სისტემისა და პროექტის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი. შემდგომ იგი ქვეყნდება ვებპლატფორმაზე ხმის მიცემის პროცედურებში მონაწილეობის მიღების მიზნით. ხმის მიცემა მიმდინარეობს განსაზღვრულ ვადებში. ხმის მიცემის უფლება აქვს ქალაქ ოზურგეთში რეგისტრირებულ სრულწლოვან ან/და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს.

გამარჯვებული პროექტები გამოვლინდება განსხვავებული და ინოვაციური მეთოდის დახმარებით, კერძოდ: პროექტის ღირებულების გათვალისწინებით და მიღებული ხმების რაოდენობის საფუძველზე გამოკვეთთ ეფექტურობის კოეფიციენტი. კოეფიციენტი ადგენს ხმების შეფარდებას პროექტის ღირებულების ყოველ 1000 ლარზე და იანგარიშება შემდეგი ფორმულით: $K = R / G \times 1000$, სადაც: K არის ეფექტურობის კოეფიციენტი, G – პროექტის ღირებულება, R – მიღებული ხმების რაოდენობა. განსახორციელებელი პროექტების რიგითობა განისაზღვრება ეფექტურობის კოეფიციენტის მაჩვენებლის ოდენობის მიხედვით. პროექტები დაფინანსდება თანმიმდევრობით, რიგითობისა და პროგრამის ბიუჯეტით გამოყოფილი თანხის ოდენობის გათვალისწინებით. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია ვალდებულია განახორციელოს ყველა ის პროექტი, რომლებიც დააკმაყოფილებს ამ წესით დადგენილ პირობებს¹¹.

ქედის მუნიციპალიტეტი 2020 წლიდან იწყებს მონაწილეობითი ბიუჯეტირების ინსტრუმენტის დანერგვას, თუმცა მან ჯერ კიდევ 2019 წელს თავის მხარდამჭერ ორგანიზაციებთან ერთად, მონაწილეობით პრინციპებზე დაყრდნობით, შეიმუშავა მეთოდოლოგია/მოდეელი, განხორციელების წესი და შეათანხმა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან (ადგილობრივი მოსახლეობა, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, საკრებულო და სხვა).

10 ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №14 01/05/2019 ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამოქალაქო ბიუჯეტის“ განხორციელების წესის შესახებ დანართი მუხლი მე-2., პუნქტი 5-ე. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4552444?publication=0>

11 ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №14 01/05/2019 ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამოქალაქო ბიუჯეტის“ განხორციელების წესის შესახებ დანართი მუხლი მე-3 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4552444?publication=0>

აღნიშნულ მოდელში გაზრდილია საკრებულოს მონაწილეობა მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის დაგეგმვაში, ასევე დეტალურად არის განწერილი ქედის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესი¹².

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო ამტკიცებს მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს ფორმირებისა და საქმიანობის წესს, ასევე ადგილობრივ ბიუჯეტში პროექტის განსახორციელებლად გასათვალისწინებელი თანხის მოცულობას, რომლის განაწილებაც განხორციელდება ტერიტორიულად (პროგრამისთვის გამოყოფილ საბიუჯეტო სახსრებს ანაწილებს საკრებულო შესაბამისი წლისათვის განსაზღვრული ზონების მიხედვით), თემატურად (პროგრამისთვის გამოყოფილ საბიუჯეტო სახსრებს ანაწილებს საკრებულო შესაბამისი წლისათვის განსაზღვრული პრიორიტეტული სფეროების მიხედვით) ან შერეული სახით (პროგრამისთვის გამოყოფილი სახსრების განაწილება მოიცავს როგორც ტერიტორიულ, ისე თემატურ ნიშანს). ბოლოს კი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს ამტკიცებს საკრებულო.

მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამას მართავს ქედის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო – „მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭო“ (შემდგომში „საბჭო“). იგი შეიქმნა იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილი იყოს თვითმმართველობის ორგანოს საქმიანობის გამჭვირვალობა, ასევე თვითმმართველობის ბიუჯეტის ფორმირების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა. საბჭოს შემადგენლობაში შედიან ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელე/ები, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენელი/ები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელი/ები და ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელი/ები (არაუმეტეს 15 წევრისა). საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება ქედის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით¹³.

საბჭო მონაწილეობს „მონაწილეობითი ბიუჯეტის“ მომზადების, შერჩევისა და მონიტორინგის მიმდინარეობის ყველა ეტაპზე.

საბჭო უფლებამოსილია, „მონაწილეობითი ბიუჯეტის“ **მომზადების ეტაპზე**, განიხილოს ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული საპროექტო განაცხადები. შეამოწმოს განაცხადების სისწორე შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით: სამართლებრივი ასპექტები (არის თუ არა მუნიცი-

12 ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №9 05/12/2019 ქედის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4725527?publication=0>

13 ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №9 05/12/2019 ქედის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე მუხლი 1-ელი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4725527?publication=0>

პალიტეტი უფლებამოსილი განახორციელოს წარმოდგენილი პროექტი), ტექნიკური ასპექტები (რამდენად შესაძლებელია პროექტის განხორციელება), ფინანსური ასპექტები (წარმოდგენილი პროექტის სავარაუდო ღირებულების შეფასება), პროექტის განხორციელების ვადები, ემსახურება თუ არა პროექტის განხორციელება საზოგადოებრივ ინტერესს; ასევე საბჭო უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, პროექტის განხილვისას მოიწვიოს პროექტის ავტორი.

მოქალაქეთა შერჩეული ინიციატივები განსახილველად წარედგინება საბჭოს. საბჭო შეისწავლის და განიხილავს საპროექტო განაცხადებს, გასცემს დასკვნას ან/და რეკომენდაციას, რომელიც ეგზავნება ქედის მუნიციპალიტეტის მერს ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტში გასათვალისწინებლად.

და ბოლოს, საბჭო უფლებამოსილია პროექტის მიმდინარეობისას შეამოწმოს მოქალაქეთა მიერ კონკრეტულ დასახლებაში პროექტის განხორციელების პროცესი, თუ რამდენად ხდება დადგენილი კრიტერიუმების შესრულება.

საბჭო თავის საქმიანობას წარმართავს შემდეგი წესის მიხედვით¹⁴:

- ✓ შეიმუშავებს და ამტკიცებს წლიურ სამოქმედო გეგმას;
- ✓ საქმიანობის უკეთესად განხორციელების მიზნით, იგი უფლებამოსილია შეიმუშაოს და დაამტკიცოს საზოგადოებასთან კომუნიკაციის წლიური სტრატეგია და სამოქმედო გეგმა;
- ✓ შეიმუშავებს და ამტკიცებს საკონკურსო პროექტების განაცხადის ფორმას;
- ✓ არაუგვიანეს 1 ოქტომბრისა, იგი მერს წარუდგენს გადაწყვეტილებას მოქალაქეების მიერ შერჩეული საპროექტო წინადადებების ნუსხის შესახებ მომავალი წლის ადგილობრივ ბიუჯეტში გასათვალისწინებლად;
- ✓ იღებს გადაწყვეტილებას დასკვნის ან/და რეკომენდაციის სახით;
- ✓ უფლებამოსილია განახორციელოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ დებულებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებები.

საკრებულო თავის დადგენილებაში ასევე აზუსტებს ქედის მუნიციპალიტეტის

14 ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №9 05/12/2019 ქედის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე მუხლი მე-4, პუნქტი მე-3. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4725527?publication=0>

მონაწილეობითი ბიუჯეტის განხორციელების პროცესს, რომელიც მოიცავს შემდეგ ეტაპებს¹⁵:

- ✓ საინფორმაციო კამპანია;
- ✓ პროექტების შემუშავება და წარდგენა;
- ✓ პროექტების ვერიფიკაცია;
- ✓ მონაწილეობითი ბიუჯეტის საპროექტო ინიციატივებზე ფარული კენჭისყრის პროცედურა საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად;
- ✓ ადგილობრივ ბიუჯეტში ასახვა;
- ✓ პროექტის განხორციელება, შეფასება და მონიტორინგი.

15 ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №9 05/12/2019 ქედის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე. მუხლი მე-3, პუნქტი მე-5. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4725527?publication=0>

თავი 7. მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესი

არსებული საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, რომ არ არსებობს მონაწილეობითი ბიუჯეტის დანერგვის რაიმე უნივერსალური წესი. ყოველი შემთხვევა იქნება განსხვავებული და დამოკიდებული მრავალ ფაქტორზე, ასევე დანერგვის არეალში არსებულ სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ კონტექსტებზე.

მიუხედავად ზემოთქმულისა, დანერგვის პროცესში აუცილებლად გასათვალისწინებელია შემდეგი საკითხები:

- **მოქალაქეთა უნივერსალური მონაწილეობის უზრუნველყოფა**
მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მოქალაქეს, მიუხედავად მისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა. ამასთანავე, აუცილებლად უნდა მოიძებნოს კონკრეტული გზები, რათა უზრუნველყოფილი იყოს მოქალაქეების ყველაზე მარგინალური ჯგუფების ჩართულობა;
- **აქცენტები გენდერულ საკითხებზე**
მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესში აუცილებელია ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მონაწილეობის უზრუნველყოფა. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია, რომ საბიუჯეტო ხარჯების გამოყოფის პროცესშიც და დაგეგმილ პროექტებთან მიმართებაშიც გათვალისწინებული იყოს გენდერული ასპექტი. ეს განსაკუთრებით ადვილად მიიღწევა თემატური მოდელის ფარგლებში, სადაც იგი შეიძლება ერთ-ერთ პრიორიტეტულ თემატიკადაც ჩაითვალოს.
- **პლურალისტური კულტურული და მრავალეთნიკური აქცენტი**
მონაწილეობითი ბიუჯეტირების განხორციელებისას, საპროექტო წინადადებების წარდგენის ეტაპზეც და გადაწყვეტილების მიღების პროცესშიც, ყველა სოციალური ჯგუფთან მიმართებით უნდა გატარდეს თანაბარ შესაძლებლობათა პოლიტიკა, რათა უზრუნველყოფილი იყოს მონაცვლადი ჯგუფების მაქსიმალური ჩართულობა.

- **ბიუჯეტის გამჭვირვალობა**
წინასწარ უნდა განისაზღვროს და ყველა დაინტერესებულ მხარესთან გაზიარდეს ყოველი მომდევნო წლის ბიუჯეტში გასათვალისწინებელი პროექტების განსაკარგავი ფინანსების ოდენობაც და მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესაბამისი მუხლებიდან გამოსაყოფი ოპერაციული ხარჯებიც.

- **განხორციელების პროცედურების მოქნილობა**
ყოველი პროცედურა უნდა შემუშავდეს ისე, რომ იგი იყოს მოქნილი და უკეთესად მოერგოს მუნიციპალიტეტში არსებულ კონტექსტს. ამასთანავე, თანმდევმა პროცედურებმა უნდა უზრუნველყოს უწყვეტი შეფასება, საჭიროების შემთხვევაში კი - სამუშაო პროცესების კორექტირების განხორციელებაც. ხისტი და მოუქნელი პროცედურები ვერ უზრუნველყოფს სამუშაოთა ოპტიმალურ და ეფექტურ განხორციელებას, გამოვლენილ პრობლემებთან მიმართებაში კი მათ ხელისუფლების მხრიდან ფორმალური მიდგომების პროვოცირებაც კი შეუძლიათ;


- **გადანყვეტილებების ობიექტურობა**
ყველა გადანყვეტილება უნდა იყოს ობიექტური, ემყარებოდეს სამართლიან და წინასწარ გაწერილ კრიტერიუმებს, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის ნდობას, პროცესების მიმდევრობისა და ლეგიტიმაციის მაღალ დონეს.

- **გადანყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა**
გადანყვეტილების შემუშავების პროცესში, ყველა დაინტერესებული მხარის უშუალო ჩართულობის მიზნით, უნდა დაიგეგმოს საჯარო შეხვედრები (ფორუმები, სამუშაო ჯგუფების შეხვედრები, სხდომები და სხვა), რათა გამოვლინდეს თემატური პრიორიტეტები, მოხდეს საპროექტო წინადადებების წარდგენა გამოყოფილი ფინანსური რესურსების გასანაწილებლად, აგრეთვე განხორციელდეს სამოქალაქო კონტროლი საჯარო ფინანსების ხარჯზე.

- ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს:
- აქტიური მოქალაქეობის ცნობიერების დამკვიდრებას;
 - საჯარო პოლიტიკის შემუშავების პროცესში მოქალაქეების პირდაპირ (უშუალო) ჩართულობას;

- სახელმწიფო რესურსების მიზნობრივი და ეფექტური განაწილების მეშვეობით საზოგადოებაში სოციალური თანასწორობის მიღწევას.

მონაწილეობითი ბიუჯეტის სამუშაოთა სტანდარტული სტრუქტურა, გამომდინარე კარგი მმართველობის კონცეფციიდან, შეესაბამება ე.წ. PDCA წრიულ ციკლს, რომელსაც აგრეთვე დემინგის ციკლს უწოდებენ. დემინგის ციკლი შედგება ოთხი ძირითადი სტადიისგან: დაგეგმვა (Plan), განახორციელება (Do), შეამოწმე (Check) და გაანალიზე (Analyse). დემინგის ციკლი ხასიათდება პროცესების უწყვეტობით, ე.ი. ყოველი ოთხი სტადიის გავლის შემდეგ ციკლი მეორდება და ამ გამეორებას აქვს დროში განგრძობადი, უწყვეტი სახე.



Source: Municipality of Pinheiral – The Participatory Budget Cycle of children

ილუსტრაცია 3 პინეირალის მუნიციპალიტეტი (ბრაზილია) მონაწილეობითი ბიუჯეტის პროცესი

ამდენად, მონაწილეობითი ბიუჯეტის პროცესი მუნიციპალიტეტის მართვის ერთჯერადი შემადგენელი კი არაა, არამედ პერიოდულად განმეო-

რებადი, ორწლიან პერსპექტივაზე გათვლილი უწყვეტი საქმიანობა. იგი მჭიდროდ უკავშირდება მუნიციპალური ბიუჯეტის შემუშავების არსებულ ციკლს.

გაითვალისწინეთ: მონაწილეობითი ბიუჯეტის პროცესს შეესაბამება ორი სრული საბიუჯეტო წელი, ამასთან პირველ ფისკალურ წელს ხორციელდება სტადიებით - „დაგეგმვა“ (Plan) და „განახორციელება“ (Do) - განსაზღვრული სამუშაოები, ხოლო მომდევნო ფისკალურ წელს კი - სამუშაოები, რომლებიც განსაზღვრულია სტადიებით: „შეამოწმე“ (Check) და „გაანალიზე“ (Analyse).

მონაწილეობითი ბიუჯეტის პროცესი შედგება ორი ფაზისგან: 1) გეგმარებისა და გადაწყვეტილების მიღების ფაზა, 2) განხორციელებისა და შეფასების ფაზა. ესენიც, თავის მხრივ, იყოფა ორ-ორ ეტაპად:

1. მონაწილეობითი ბიუჯეტის გეგმარებისა და გადაწყვეტილების მიღების ფაზა:
 - მონაწილეობითი ბიუჯეტის გეგმარების ეტაპი (Plan);
 - საპროექტო წინადადებების წარდგენის და შერჩევის ეტაპი (Do);
2. განხორციელებისა და შეფასების ფაზა, რომელიც ხორციელდება მომდევნო ფისკალურ წელს:
 - საპროექტო წინადადებების განხორციელების და მონიტორინგის ეტაპი (Check);
 - მონაწილეობითი ბიუჯეტის პროცესის შეფასების ეტაპი (Analyse);

მონაწილეობითი ბიუჯეტის პირველი ფაზა იწყება მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შესაბამისი ნორმატიული აქტის მიღებით და გრძელდება მანამ, სანამ არ მოხდება ბიუჯეტის პროექტის დამტკიცება საკრებულოს მიერ¹⁶. ხოლო მეორე ფაზა იწყება მომდევნო წლის 1 იანვარს და სრულდება 31 დეკემბრამდე.

მონაწილეობითი ბიუჯეტის ყოველი ფაზა გრძელდება 2 თვიდან 1 წლამდე. შესაბამისად, მონაწილეობითი ბიუჯეტის პროცესში ჩართულ ყველა სუბიექტს მოეთხოვება ორწლიანი ინტენსიური მუშაობა, აგრეთვე საკმარისი ოდენობის დროისა და რესურსების გამოყოფა. დეტალური გეგმის გარეშე

16 მაგალითად ბელო ორეზონტეს (ბრაზილია) მონაწილეობითი ბიუჯეტის პირველი ციკლი იწყება მარტში და სრულდება ოქტომბერში

დარჩენილი, დაჩქარებულად და სპონტანურად მიმდინარე მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესი კი განწირულია მარცხისათვის, რასაც მოჰყვება საჯარო ფინანსებისა და რესურსების უყარათო ხარჯვა, მოსახლეობაში ნებისმიერი მონაწილეობითი ფორმის მიმართ უნდობლობის გაჩენა. აქედან გამომდინარე, ხელისუფლებაც, ნებისთ თუ უნებლიედ, უარს იტყვის მოქალაქეთა ნებისმიერი მონაწილეობის ამ მოდელის გამოყენებაზე, რასაც მას კანონმდებლობა ისედაც არ ავალდებულებს.

ამიტომაც, ყოველი ფაზისა თუ მისი შემადგენელი ეტაპების გავლამდე, საჭიროა წინასწარ განისაზღვროს ყველა სამუშაო პარამეტრი, განხორციელების ვადები, გამოიყოს შესაბამისი მოცულობის ფინანსური, ადამიანური და მატერიალური რესურსები.

გემოხსენებულ ყველა სტადიაზე განსახორციელებელ სამუშაოთა დაგეგმვისას ძალიან მნიშვნელოვანია, რომ უზრუნველყოთ მოქალაქეთა ჩართულობის მაღალი დონე, თან ისე, რომ არ დაზიანდეს თავად პროცესის ეფექტიანობა და კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

სწორედაც დემინგის ციკლზე დამყარებული, ორწლიან პერიოდზე გათვლილი სამუშაოების განხორციელების ვალდებულება გამოარჩევს მონაწილეობით ბიუჯეტს მოქალაქეთა ჩართულობის სხვა მოდელისგან, მათ შორის საქართველოში არსებული სოფლის დახმარების პროგრამისგან და იგი, სათანადოდ ჩატარებული სამუშაოების შემთხვევაში, პროცესების ეფექტიანობის მუდმივ განახლებასა და გაუმჯობესებასაც უზრუნველყოფს.

განვიხილოთ მონაწილეობითი ბიუჯეტირების ყოველ სტადიაში განსახორციელებელი ამოცანები და მთავარი მახასიათებლები.

7.1 მონაწილეობითი ბიუჯეტის გეგმარების ეტაპი

მონაწილეობითი ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპის (Plan) მნიშვნელობა დიდია, რადგან ამ ეტაპზე შემუშავებული გეგმა და სამოქმედო პრინციპები განსაზღვრავს უმეტესწილად იმას, თუ რამდენად ადეკვატურად შეირჩა მონაწილეობითი ბიუჯეტის მოდელი, რამდენად ეფექტიანია შემუშავებული პროცედურები, რამდენადაა განხორციელებული საქმიანობა შედეგზე ორიენტირებული და რამდენად სამართლიანია დამდგარი შედეგი.

მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის ეფექტიანობისათვის მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერს შორის უფლება-მოვალეობები სწორად გადანაწილდეს. საკრებულო ამტკიცებს ნორმატიულ აქტს, რომლითაც განისაზღვრება მოდელის, პროგრამის

განხორციელების ძირითადი წესები, ფინანსური პარამეტრები, მონიტორინგის მექანიზმები და ამ პროცესში მუნიციპალიტეტის ორგანოების უფლებამოსილებები.

ეს დოკუმენტი უნდა ასახავდეს შემდეგ ინფორმაციას:

1. რა წარმოადგენს მონაწილეობითი ბიუჯეტის მიზანს;
2. განხორციელების ძირითადი ვადები: პროცესის დასაწყისი და დასასრული, ყოველი ეტაპის განხორციელების ვადები;
3. რა ოდენობით და რომელი წყაროდან უნდა მოხდეს დაფინანსება; მოსახლეობის მიერ წარდგენილი საპროექტო წინადადებებისა და პროცესის ლოგისტიკური და საინფორმაციო კამპანიის ხარჯები;
4. მონაწილეობითი ბიუჯეტის მოდელის ძირითადი პარამეტრები:
 - მოდელის სახეობა: თემატური, ტერიტორიული თუ შერეული;
 - მუნიციპალიტეტის ტერიტორიული მახასიათებელი შერჩეული მოდელის მიხედვით: დაყოფა ზონების მიხედვით, დაყოფა ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით, მუნიციპალური და შერეული დაყოფა;
 - პროცესში მონაწილე ყველა სუბიექტი და მათი უფლებამოსილებები: განმახორციელებელი, მაკონტროლებელი, გადანყვეტილების მიმღები და სხვა;
 - საპროექტო წინადადებებისადმი ძირითადი მოთხოვნები: ვის შეუძლია საპროექტო წინადადებების წარდგენა, ბიუჯეტის მაქსიმალური მოცულობა, მხარდაჭერთა საჭიროება და რაოდენობა, ერთი პირის მიერ წარდგენილ საპროექტო წინადადებათა რაოდენობა და სხვა;
 - გადანყვეტილების მიღების პრინციპები: კენჭისყრა, კონსენსუსი და სხვა;
 - ანგარიშგების პრინციპები, მასზე პასუხისმგებელი პირები და ვადები;
 - მოდელის განსაკუთრებული მახასიათებლები: გადანყვეტილების გასაჩივრების დაშვებადობა, პროცესებში არასრულწლოვანთა და უცხოელთა მონაწილეობის შესაძლებლობა;
 - შერჩეული მოდელიდან გამომდინარე - მოთხოვნები საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემებისადმი;
 - სხვა საკითხები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაწილეობითი ბიუჯეტის პროცესის ეფექტიან წარმართვას.

აღნიშნული მოდგომა უზრუნველყოფს მოდელის განხორციელების წესებისა და საბიუჯეტო პარამეტრების უფრო მარტივ, ნაკლებად ბიუროკრატიულ პროცედურასა და მუნიციპალიტეტის ორთავე შტოს თანაბარ გავლენასა და პასუხისმგებლობას პროცესის ეფექტიანობაზე.

მერი, ამ ნორმატიული აქტის საფუძველზე, უზრუნველყოფს სამუშაო ჯგუფების ფორმირებას, შესაბამისი დებულებისა თუ სამოქმედო გეგმის შემუშავებას და პროცესების წარმართვას, ხოლო საკრებულოს ექნება პროცესის ზედამხედველობის ფუნქცია.

აუცილებელია, რომ მერმა გეგმარების ეტაპზე განახორციელოს შესაბამისი ქმედებები:

- განსაზღვროს სამუშაო ჯგუფის წევრთა შერჩევის წესი და დააკომპლექტოს მისი შემადგენლობა;
- გამოყოს გეგმარების ეტაპისათვის საჭირო ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსები;
- განსაზღვროს სამუშაო ჯგუფის სამუშაოთა გრაფიკი და ვადები, თუ როდის უნდა იქნეს წარდგენილი სამუშაო დოკუმენტაცია: პროცედურები, წესები, სამუშაო ფორმები, სამუშაო გეგმები და სხვა;
- უზრუნველყოს სამუშაო ჯგუფის ეფექტიანი და დროული საქმიანობა;
- უზრუნველყოს შემუშავებული დოკუმენტაციის შესაბამისობა მონაწილეობითი ბიუჯეტის ჩარჩო დოკუმენტთან;
- დაამტკიცოს სამუშაოებისა და საინფორმაციო კამპანიის გეგმა, აგრეთვე ამ სამუშაოებზე ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების საჭიროება და ოდენობა.

მონაწილეობითი ბიუჯეტის დებულება სრულად უნდა შეესაბამებოდეს ჩარჩო დოკუმენტში მოყვანილ მიდგომებსა და პარამეტრებს, მასში უნდა აღინიშნოს სამუშაო პროცედურები, რომლებითაც უზრუნველყოფილი იქნება მონაწილეობითი ბიუჯეტის დეკლარირებული მიზნების მიღწევის გზები.

დებულებაში უნდა აღინიშნოს, სულ მცირე, შემდეგი პროცედურები:

1. მონაწილეობითი ბიუჯეტის სამუშაო ჯგუფის ფორმირების და მუშაობის პროცედურა;
2. საპროექტო წინადადებების შემუშავებისა და წარდგენის პროცედურა;

3. საპროექტო წინადადებების შესახებ გადანყვეტილების მიღების პროცედურა;
4. საინფორმაციო კამპანიის ჩატარების პროცედურა;
5. მონაწილეობითი ბიუჯეტის ფარგლებში დაფინანსებული პროექტების განხორციელებაზე მონიტორინგის პროცედურა;
6. მონაწილეობითი ბიუჯეტის პროცესების ეფექტიანობის შეფასების პროცედურა.

მონაწილეობითი ბიუჯეტის ჩარჩო დოკუმენტისა და დებულების მოთხოვნების საფუძველზე სამუშაო ჯგუფი განსაზღვრავს სამუშაო და საინფორმაციო კამპანიის გეგმას, აგრეთვე ამ სამუშაოებისათვის საჭირო ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების ოდენობას და წარუდგენს მერს დასამტკიცებლად.

საპროექტო წინადადებების შემუშავებისა და წარდგენის პროცედურა

საპროექტო წინადადებების შემუშავებისა და წარდგენის პროცედურა უნდა ასახავდეს იმ მიდგომებსა და მახასიათებლებს, რომლებიც თავიდანვე იყო ჩადებული მონაწილეობითი ბიუჯეტის შერჩეულ მოდელში:

- ვინ არის საპროექტო წინადადებების წარმდგენი სუბიექტი: მხოლოდ მოქალაქე თუ დასაშვებია მოქალაქეთა ჯგუფების მიერ წარდგენაც;
- დოკუმენტაციის წინადადებების წარდგენა ხდება ინტერნეტ-სისტემით თუ დოკუმენტის სახით.

მართალია, ეს მხოლოდ ტექნიკური სახის საკითხებია, მაგრამ სამუშაო პროცედურების შემუშავება მოითხოვს როგორც წინამდებარე კითხვების, ისე მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული მახასიათებლების კარგ გააზრებას, აგრეთვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემების განვითარების დონის გათვალისწინებასაც.

მნიშვნელოვანია, რომ საპროექტო წინადადებების წარდგენისას მოინახოს ამომრჩეველთა ინტერესებთან მათი მაქსიმალური მორიგების და დაახლოების ყველა შესაძლო გზა. ასე, მაგალითად, საპროექტო წინადადებების წარდგენა დამატებით შესაძლებელი იყოს დასახლებულ პუნქტებში განლაგებულ სკოლებშიც (სამინისტროს თანხმობის შემთხვევაში), რისთვისაც, ერთი მხრივ, თავიდანვე უნდა შემუშავდეს შესაბამისი პროცედურები, მეორე მხრივ კი, გამოიყოს შესაბამისი სახსრები და ადამიანური რესურსები.

მონაწილეობითი ბიუჯეტის შემუშავების ეტაპი დამოკიდებულია მოდელზე, რომლის ფარგლებშიც უფრო მეტი ყურადღება მიექცევა მოქალაქეთა მცირე ჯგუფებად შეხვედრებს, ან მთელი ყურადღება ფოკუსირდება მოქალაქეთა წარმომადგენლების არჩევანზე. მაგრამ რა მოდელიც არ უნდა შეირჩეს, აქტიური და საყოველთაო საინფორმაციო კამპანიის ჩატარება ბიუჯეტირების ყველა ეტაპზე მაინც სავალდებულო იქნება,

საპროექტო წინადადებების შესახებ გადანყვეტილების მიღების პროცედურა

იმისდა მიხედვით, თუ ვინ არის, მონაწილეობითი ბიუჯეტის შერჩეული მოდელის ფარგლებში, უფლებამოსილი საპროექტო წინადადებების შესახებ საბოლოო გადანყვეტილების მისაღებად, უნდა შემუშავდეს შესაბამისი პროცედურა. პროცედურის შინაარსი აგრეთვე დამოკიდებულია იმაზე, თუ რა წესით მოხდება კენჭისყრა: ელექტრონულად თუ საარჩევნო უბნებზე ხმის მიცემით.

მონაწილეობითი ბიუჯეტის ძირითადი მოთხოვნაა, რომ მოქალაქეთა მიერ დაფინანსებული საპროექტო წინადადება გამოვლინდეს კენჭისყრის საშუალებით, რაც შეიძლება განხორციელდეს ერთ-ერთი წესის გამოყენებით, კერძოდ:

- **უშუალოდ მოქალაქეების მიერ პირდაპირი ხმის მიცემა, ყველა დონის არჩევნებში გამოყენებული ტრადიციული კენჭისყრის პროცედურა**

აღნიშნული წესი მოითხოვს დიდ ლოგისტიკურ, ადამიანურ და ფინანსურ დანახარჯებს, აგრეთვე, დაბალი ინტერესის შემთხვევაში, მოსალოდნელია მოსახლეობის ნაკლები მზადყოფნა საარჩევნო უბნებზე მისასვლელად. თუმცა, შესაძლებელია მოწყვლადი ჯგუფების მაქსიმალური ჩართულობის მიღწევა მათთვის სპეციალური უბნის მოწყობის საშუალებით. მონაწილეობის მაღალი დონის შემთხვევაში, ამ წესით გაკეთებული არჩევანის ლეგიტიმაციის დონე უფრო მაღალია.

- **უშუალოდ მოქალაქეების მიერ ელექტრონული კენჭისყრის პროცედურების გამოყენება**

ეს წესი წინას ანალოგიურია და ეყრდნობა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, რისთვისაც გამოიყენება სპეციალურად შექმნილი ვებგვერდები და სატელეფონო აპლიკაციები. ამ წესის სუსტი მხარეა მოსახლეობის გარკვეულ ჯგუფებში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებისათვის აუცილებელი

უნარ-ჩვევების დაბალი მაჩვენებელი და გარკვეულ მუნიციპალიტეტებში ინტერნეტთან წვდომასთან დაკავშირებული ტექნიკური პრობლემები. ძლიერი მხარე კი ისაა, რომ მოქალაქეს არ უწევს საარჩევნო უბანზე მისვლა.

- **მოქალაქეთა ჯგუფებიდან (მათ შორის, დასახლების კრებაზე ან/და კიდევ უფრო მცირე რაოდენობიდან) არჩეული წარმომადგენლებისგან შემდგარი წარმომადგენლებითი ორგანოების მიერ გადანყვეტილების მიღება.**

აღნიშნული წესი მოითხოვს დიდ დროსა და ადამიანურ რესურსებს, რათა სხვადასხვა ჯგუფთან მუშაობის შედეგად მოხდეს მათი წარმომადგენლების შერჩევა. ამ წესის ყველაზე დიდი ნაკლია ის გავლენა, რაც შერჩეული ინდივიდების სუბიექტურმა არჩევანმა საბოლოო გადანყვეტილებაზე შეიძლება მოახდინოს, რის შედეგადაც მოსახლეობის განწყობა ადეკვატურად ვერ აისახოს.

წესის ძლიერი მხარე კი ის გარემოებაა, რომ გადანყვეტილებები მიიღება სწრაფად და დაბალია ამ პროცესის თანმდევი ლოგისტიკური და ფინანსური დანახარჯები.

თავად გადანყვეტილება შეიძლება მიღებული იქნეს შემდეგი სახის კენჭისყრის წესით:

1. კენჭისყრა ერთი არჩევანით, როცა მოქალაქე კენჭისყრის ბიულეტენში ირჩევს მხოლოდ ერთ, მისთვის ყველაზე მისაღებ, საპროექტო წინადადებას;
2. კენჭისყრა მრავალი არჩევანით, როცა მოქალაქე კენჭისყრის ბიულეტენში ირჩევს რამდენიმე, მისთვის ყველაზე მისაღებ, საპროექტო წინადადებას;
3. კენჭისყრა პრიორიტეტულობის განსაზღვრით, როცა მოქალაქე კენჭისყრის ბიულეტენში ირჩევს რამდენიმე, მისთვის ყველაზე მისაღებ, საპროექტო წინადადებას, ალაგებს მათ პრიორიტეტულობის მიხედვით, ხოლო ამ შერჩევის შედეგად კი ხდება საპროექტო წინადადებების რეიტინგის ფორმირება.

ის, თუ რამდენ პროექტს შეიტანენ მუნიციპალიტეტის მომავალი წლის ბიუჯეტში, დამოკიდებულია, მათ შორის, გამოყოფილი ფინანსების ოდენობაზეც. ამიტომ წინასწარ უნდა განისაზღვროს დასაფინანსებელი პროექტების ოდენობა. თუმცა, საჭიროების შემთხვევაში (მაგალითად, წარდგენილია უფრო მეტი საყურადღებო საპროექტო წინადადებები), ეს პარამეტრი სასურველია მხოლოდ გაიზარდოს.

იმისათვის, რომ ბიუჯეტირების პროცესი იყოს კიდევ უფრო ეფექტიანი, შესაძლებელია კენჭისყრის რამდენიმე წესის ერთდროული გამოყენება, რომლებიც მორგებული იქნება თითოეულ სამუშაო პროცედურაზე (მაგალითად ელექტრონული კენჭისყრის დროს) და სუბიექტის უფლებამოსალობებზე. მაგალითად, პირველ ეტაპზე ხდება კენჭისყრა პრიორიტეტულობის განსაზღვრით, რის შედეგადაც გამოიკვეთება გარკვეული რაოდენობის პრიორიტეტული საპროექტო წინადადებები, რომელთა შორის გამარჯვებულის გამოსავლენად უკვე გამოიყენება კენჭისყრა ერთი ან/და მრავალი არჩევანით.

საინფორმაციო კამპანიის ჩატარების პროცედურა

საინფორმაციო კამპანია წარმოადგენს მონაწილეობითი ბიუჯეტის ერთ-ერთ ქვაკუთხედს. მისი მნიშვნელობა უტოლდება მოქალაქეთა ჩართულობით გამოწვეულ მნიშვნელობას, რადგან იგი ახალისებს და ცხადს ხდის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესთან დაკავშირებულ სიკეთებს. ამიტომაც საინფორმაციო კამპანიის ჩატარების პროცედურა საჭიროებს დიდ ყურადღებას და ზრუნვას იმისათვის, რომ მან მოიცვას მაქსიმალურად დიდი ოდენობის მოსახლეობა. იგი არ უნდა ემყარებოდეს ერთჯერად ქმედებას და უნდა უზრუნველყოფდეს კამპანიის ეფექტიანობას.

საინფორმაციო კამპანიის დაგეგმვისას უნდა იყოს გათვალისწინებული, რომ:

- კამპანია უნდა მიმდინარეობდეს პროცესის განხორციელების პირველივე დღიდან და მხარს უჭერდეს ყოველ ფაზაში მიმდინარე სამუშაოებს;
- კამპანიამ უნდა უზრუნველყოს მოსახლეობისა და პროცესში ჩართული ყოველი სუბიექტის სრული, სანდო და დროული ინფორმირება;
- კამპანიამ უნდა მოიცვას ყველა ჩართული მხარე და მისცეს მათ თავიანთი საპროექტო წინადადებების წარმოჩენის საშუალება;
- პროცესის ამსახველი ნებისმიერი ინფორმაცია უნდა იყოს ხელმისაწვდომი.

შესაბამისად, პროცედურის დაგეგმვისას უნდა გამოიყენებოდეს ის საინფორმაციო არხები ანდა მეთოდები, რომლებიც უკეთესად ერგება მუნიციპალიტეტში არსებულ კონტექსტს და იქ დანერგილ მოდელს. მაგალითად, თუ კენჭისყრა უნდა მოხდეს ელექტრონულად, უფრო ეფექტიანი იქნება, თუკი საინფორმაციო კამპანიის დიდი ნაწილიც ელექტრონული პლატფორმების

გამოყენებით ჩატარდება. თუმცა, ამ შემთხვევაში, არ უნდა გამოირიცხოს ტრადიციული მეთოდებიც, რათა არ მოხდეს მოსახლეობის გარკვეული ჯგუფების უნებლიე გარიყვა მონაწილეობითი ბიუჯეტის პროცესიდან მხოლოდ იმიტომ, რომ მათ არ გააჩნიათ მუდმივი წვდომა ინტერნეტთან.

მონაწილეობითი ბიუჯეტის ფარგლებში დაფინანსებული პროექტების განხორციელებაზე მონიტორინგის პროცედურა

მონაწილეობითი ბიუჯეტირების მეთოდის სხვა მონაწილეობითი მეთოდებისაგან განმასხვავებელ ერთ-ერთ მთავარ ნიშანს წარმოადგენს დაფინანსებული პროექტების განხორციელებაზე მონიტორინგის პროცედურის არსებობა. ამ პროცედურამ უნდა უზრუნველყოს საპროექტო წინადადების წარმდგენის „ზედამხედველობა“ მიმდინარე სამუშაოებზე, სამუშაოთა ხარისხის საიმედოობა და თვით მონაწილეობითი ბიუჯეტის განხორციელების შედეგად მიღებული წარმატებული შედეგების წარმოჩენა.

პროცედურა უნდა აიგოს იმგვარად, რომ შეესაბამებოდეს საჯარო შესყიდვების სფეროში საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და, მეორე მხრივ, უზრუნველყოფდეს აგრეთვე მოქალაქეთა მაქსიმალურ ჩართულობას საპროექტო წინადადებით განსაზღვრულ სამუშაოთა გეგმარების, სამშენებლო, მომსახურების შესყიდვისა და დასრულებულ სამუშაოთა მიღება-ჩაბარების პროცესებში.

მონაწილეობითი ბიუჯეტის პროცესების ეფექტიანობის შეფასების პროცედურა

მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესისა და სამუშაო პროცესების შეფასების სამუშაო პროცედურები აუცილებლად უნდა განხორციელდეს მონაწილეობითი ბიუჯეტის მოდელის გაუმჯობესების, სამუშაოთა ეფექტიანობის გაზრდის, მოსახლეობის ნდობის მოპოვებისა და განმტკიცების მიზნით.

შეფასების პროცედურებს ახორციელებს პოლიტიკის განმსაზღვრელი და პროცესების მაკონტროლებელი სუბიექტი. შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ რამდენად ზედმიწევნით შესრულდა პროცედურები, ადგილი ხომ არ ჰქონია სისტემურ პრობლემებს ანდა პროცესებში მონაწილე სუბიექტების მხრიდან პრეტენზიებს, როგორ გადაიტრა არსებული პრობლემები და რამდენად ეფექტიანად დაიხარჯა გამოყოფილი თანხები.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიის ეფექტიანობას და პროცესებში მონაწილე ჯგუფების ჩართულობას.

თავი 8. მონაწილეობითი ბიუჯეტის ტერიტორიული მოდელი

8.1 მონაწილეობითი ბიუჯეტის ფორმირების მოსამზადებელი ეტაპის მიზნები და ამოცანები

მონაწილეობითი ბიუჯეტირების მოსამზადებელ ეტაპზე საკრებულო, მერის წარდგინებით, შეიმუშავებს მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის ნორმატიულ ბაზას, განსაზღვრავს მონაწილეობითი ბიუჯეტის ერთეულების ტერიტორიულ საზღვრებს, ამტკიცებს პრიორიტეტებს და პროექტების ტექნიკური შესაბამისობის კრიტერიუმებს.

მონაწილეობითი ბიუჯეტირების საბჭო

მუნიციპალიტეტში მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის მიზნით, მერის ბრძანებით, იქმნება **მონაწილეობითი ბიუჯეტირების საბჭო**. საბჭო შეიძლება დაკომპლექტდეს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლების, ადგილობრივი არასამთავრობო თუ მუნიციპალიტეტის განვითარებაზე მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და სამოქალაქო აქტივისტებისგან.

მნიშვნელოვანია, რომ მონაწილეობითი ბიუჯეტირების საკითხებზე საინფორმაციო კამპანიების დაგეგმვისა და კვალიფიციური გადამწყვეტილების მისაღებად საბჭოს მუშაობაში სათათბირო ხმით ჩაერთონ მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის, იურიდიული, საფინანსო და ინფრასტრუქტურის სამსახურების წარმომადგენლები.

საკრებულოს ჩართულობის უზრუნველსაყოფად შესაძლებელია, რომ მერმა საბჭოში სათათბირო ხმის უფლების მქონე წევრებად მიიწვიოს საკრებულოს ის მაჟორიტარი დეპუტატები, რომელთა საარჩევნო ოლქებშიც ხორციელდება მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამა.

მონაწილეობითი ბიუჯეტირების საბჭოს მუშაობაში სათათბირო ხმით შეიძლება ჩაერთონ აგრეთვე საპროექტო წინადადების ავტორები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ განხილვისა და შეფასების პროცესებში.

მონაწილეობითი ბიუჯეტირების საბჭოს ფორმირების პროცესის სწორად წარსამართად მნიშვნელოვანია, რომ მერმა გამართოს შესაბამისი კონსულტაციები და შეხვედრები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი არასამთავრობო სექტორის, მუნიციპალიტეტის განვითარებაზე მომუშავე ორგანიზაციების („ლაგების“, „ამაგები“ და ა.შ.), სათემო ჯგუფებისა და სხვათა წარმომადგენლებთან.

მონაწილეობითი ბიუჯეტირების საბჭო ადგენს და ამტკიცებს მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის სამოქმედო გეგმას, შეიმუშავებს და მუნიციპალიტეტის მერს დასამტკიცებლად წარუდგენს საპროექტო წინადადების წარდგენის ფორმებს.

8.2 მონაწილეობითი ბიუჯეტირების პირველ ეტაპზე მოსახლეობასთან ურთიერთობის ფორმები

სამოქმედო გეგმის დამტკიცების შემდეგ **მონაწილეობითი ბიუჯეტირების საბჭოს** უპირველესი ამოცანაა მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროექტის თაობაზე მოსახლეობის ინფორმირება და შესაბამისი საინფორმაციო კამპანიის ჩატარება. ამ კამპანიის მიზანია მოსახლეობას მიანოდოს ინფორმაცია:

- მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის არსის, მიზნებისა და პრიორიტეტების შესახებ;
- მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის პროცედურების, საპროექტო წინადადებების წარდგენის, მათი განხილვის, გადამწყვეტილების მიღების წესებისა და ვადების შესახებ.

კამპანიის მოსამზადებელ ეტაპზე **მონაწილეობითი ბიუჯეტირების საბჭომ** უნდა უზრუნველყოს:

- კამპანიის მიზნის მკაფიოდ ჩამოყალიბება; აგიტაციის ფორმების განსაზღვრა;
- კამპანიისათვის აუცილებელი სააგიტაციო და საინფორმაციო მასალების სახეობების განსაზღვრა;
- კამპანიის მხარდამჭერი ჯგუფების - არასამთავრობო, პროფესიული ორგანიზაციები, ადგილობრივი აქტივისტები - იდენტიფიცირება;
- ერთიანი სააგიტაციო გეგმის შედგენა წინასწარ შერჩეული აგიტაციის ყველა ფორმის გამოყენებით - კარდაკარი, გარე რეკლამა, შეხვედრები მოსახლეობასთან, მედია-კამპანია, ფეისბუქ-კამპანია და სხვა;

- მერიისა და საბჭოს მხრიდან კამპანიაში ჩართული პირების გადაზღვრა: მათთვის ძირითადი მესიჯ(ებ)ის მიწოდება, მოქალაქეებთან ურთიერთობის ფორმები, შეხვედრების ორგანიზება და სხვა. ასევე უნდა შედგეს პროგრამაში ჩართულ პირთა ტრენინგების გეგმა.

კამპანიის დაგეგმვისას უნდა განისაზღვროს მუნიციპალიტეტის მხრიდან მოსახლეობის ინფორმირების კამპანიაში მონაწილეთა წრე. კამპანიის შესაძლო მონაწილეები შეიძლება იყოს:

- მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური;
- მერი. მერის მოადგილეები;
- მაჟორიტარი დეპუტატები და საკრებულოს წევრები;
- მერის რწმუნებულები;
- მონაწილეობითი ბიუჯეტის, სამოქალაქო მრჩეველთა, გენდერული, ახალგაზრდული და მერთან/მუნიციპალიტეტთან არსებული სხვა საბჭოების წევრები;
- მოხალისეები;

მოსახლეობასთან ურთიერთობის ფორმები

მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის მთავარი გამოწვევაა მოსახლეობაში არსებული ნიჰილიზმი იმის თაობაზე, რომ „ჩვენ მაინც არავინ არაფერს შეგვეკითხება“, „გადანწყვეტილებას ხომ მაინც ჩვენი აზრის გათვალისწინების გარეშე მიიღებენ“ და ა.შ. ამრიგად, მონაწილეობითი ბიუჯეტის პირველი ეტაპის საინფორმაციო კამპანიის წარმართვისას ძირითადი აქცენტი უნდა გაკეთდეს იმაზე, რომ მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამით განსახორციელებელი პროექტების თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილებას, ყველა სხვა პროგრამისგან განსხვავებით, იღებს მოსახლეობა.

მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის თაობაზე მოსახლეობის ინფორმირების კამპანიისათვის მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭომ შეიძლება გამოიყენოს მრავალი ფორმა:

1) დასახლების ან/და უბნის კრებები;

მოსახლეობის ინფორმირების ერთ-ერთი ეფექტური ფორმაა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირების - მერის, მისი მოადგილეების, საკრებულოს თავმჯდომარის, საკრებულოს წევრების - შეხვედრა მოსახლეობასთან, ასევე საუბნო ან დასახლების საერთო კრებების (სოფლებში) ორგანიზება.

კრების ორგანიზებაზე პასუხისმგებელი პირი ამ ადმინისტრაციულ ერთეულში შეიძლება იყოს მერის რწმუნებული ან/და მაჟორიტარი დეპუტატი.

უმჯობესია, თუკი კრების ორგანიზებას გააკეთებს არა მხოლოდ ადმინისტრაციის წარმომადგენელი (დეპუტატი ან რწმუნებული), არამედ მათ მიერ აქტიური მოქალაქეებისაგან ჩამოყალიბებული კრების საინიციატივო ჯგუფიც. სასურველია საინიციატივო ჯგუფში უზრუნველყოფილი იყოს გენდერული ბალანსის დაცვა და ყველა მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენელთა ჩართულობა.

პირველი ეტაპის საინფორმაციო კამპანიის დროს შეხვედრების მიზანია მოსახლეობისათვის პროგრამის თაობაზე სრული ინფორმაციის მიწოდება, ასევე მათი დარწმუნება, რომ გადანწყვეტილებას, თუ რომელი პროექტი განხორციელდება, იღებს თავად მოსახლეობა. შესაბამისად, შეხვედრებზე მოსახლეობას უნდა განემარტოს:

- მონაწილეობითი ბიუჯეტის რაობა;
- მონაწილეობითი ბიუჯეტის მიზნები;
- მონაწილეობითი ბიუჯეტის პრიორიტეტები;
- მონაწილეობითი ბიუჯეტის პროცედურები, წინადადებების წარდგენის, მათი განხილვის, გადანწყვეტილების მიღების წესები და ვადები.

რა უნდა გავითვალისწინოთ შეხვედრის დაგეგმვისას?

- ადგილი, სადაც ვატარებთ მოდერაციას;
- რამდენი ადამიანი მიიღებს შეხვედრაში მონაწილეობას;
- ვიზუალიზაციის რა ფორმებს გამოვიყენებთ;
- ჩატარების დრო;
- თემის თავისებურებანი.

შეხვედრის სტრუქტურა

- მისალმება;
- დღის წესრიგის გაცნობა;
- იდეის გაცნობა - პრეზენტაცია - ვიზუალიზაციის ფორმატი;
- მიზნის ბუსტად განსაზღვრა;
- კითხვების დასმა მოდერატორის მიერ;
- კითხვა-პასუხი;

- ანალიზი და სწორი დასკვნების გაკეთება;
- სამოტივაციო დახურვა.

მნიშვნელოვანია, რომ შეხვედრის წამყვანი ზედმინვენით კარგად ფლობდეს საკითხს, გარკვეული იყოს დეტალებში და მას შეეძლოს კვალიფიციური პასუხის გაცემა მოსახლეობის მხრიდან დასმულ კითხვებზე. უმჯობესი იქნება, თუკი პირველი ეტაპის საინფორმაციო კამპანიის დროს, როცა მოსახლეობას უნდა მიეწოდოს ინფორმაცია მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის დაწყების თაობაზე, შეხვედრებში მონაწილეობას მიიღებენ მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირები: მერი, საკრებულოს თავმჯდომარე, მაჟორიტარი დეპუტატი. უმჯობესი იქნება, თუკი შეხვედრაზე მოსახლეობას ზეპირი ინფორმაციის გარდა დაურიგდება აგრეთვე ბეჭდური მასალაც (ფლაერები, ბროშურები, პოსტერები), სადაც ინფორმაცია მოკლედ იქნება მოცემული.

შეხვედრების წარმართვისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შეხვედრის მონაწილეთა ჩართულობას. მოდერატორმა უნდა უზრუნველყოს შეხვედრის წარმართვა არა მონოლოგის, არამედ დიალოგის/კითხვა-პასუხის რეჟიმში. შეხვედრის დაგეგმვისა და წარმართვისას აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იყოს ისეთი სპეციფიკური შეკითხვები, როგორებიცაა:

- არის თუ არა საარჩევნო წელი?
- რამდენად პოლიტიზებულია ვითარება ქვეყანაში და იმ დასახლებებში, სადაც შეხვედრა იმართება?
- როგორია ადგილობრივი მოსახლეობის განწყობა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირების მიმართ?
- არსებობს თუ არა ამ დასახლების მოსახლეობისათვის შეუსრულებელი დაპირებები?
- და სხვა.

შეხვედრის დაგეგმვისას უნდა მოხდეს ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინება. შეხვედრის ორგანიზატორებს მართებთ შესაბამისი მომზადება მოსახლეობასთან სასაუბროდ.

პირველი ეტაპის საინფორმაციო შეხვედრების ამოცანაა აჩვენოს მოსახლეობას, რომ მთავარ როლს მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის განხორციელების პროცესში სწორედ ისინი ასრულებენ და მათ უნდა გადაწყვიტონ, თუ რა გაკეთდება მუნიციპალიტეტსა თუ კონკრეტულად მათ დასახლებაში მონაწილეობითი ბიუჯეტის პრო-

გრამით.

2) კარდაკარი

მონაწილეობითი ბიუჯეტის შესახებ მოსახლეობის ინფორმირების ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა მუნიციპალიტეტში კარდაკარ კამპანიის ორგანიზება.

რა არის აუცილებელი კარდაკარ კამპანიის დასაგეგმად?

- ძირითადი მესიჯის (მესიჯების) ჩამოყალიბება;
- საინფორმაციო მასალების მომზადება;
- კარდაკარის გეგმის შემუშავება: კომპლექსისა და მოსახლეობის რაოდენობის დადგენა; რესურსების განსაზღვრა, ზონების გამოყოფა; ჯგუფების რაოდენობის განსაზღვრა; კამპანიის ხანგრძლივობის დადგენა;
- ადამიანური რესურსის განსაზღვრა და სააგიტაციო ჯგუფების - საკრებულოს წევრები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მოხალისეები - ფორმირება;
- მონიტორინგის ჯგუფის ფორმირება და კარდაკარის შედეგების შერჩევითი გადამოწმება პროგრამის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის ამაღლების კუთხით;

კარდაკარ კამპანიის ჩასატარებლად აუცილებელია ორ-სამ კაციანი ჯგუფების ფორმირება, რომლებიც შეიძლება დაკომპლექტდეს მერიის, საკრებულოს წარმომადგენლებისა და მოხალისეებისგან. მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ ჯგუფში, გარდა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის თანამშრომლებისა, იყოს აგრეთვე თუნდაც ერთი მოხალისე. ასევე ჯგუფში დაცული იყოს გენდერული ბალანსი. ეს მნიშვნელოვნად ზრდის პროცესისადმი მოსახლეობის ნდობას.

კარდაკარი უნდა დაიგეგმოს იმგვარად, რომ თითოეულ ოჯახში შესვლა და საინფორმაციო მასალის შეტანა შესაძლებელი გახდეს მინიმუმ ერთხელ მაინც.

3) მუნიციპალიტეტში არსებულ მიზნობრივ ჯგუფებთან მუშაობა

მოსახლეობის ინფორმირებისათვის მნიშვნელოვანია, რომ მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭომ, კარდაკარის გარდა, მუნიციპალიტეტში არსებულ მიზნობრივ ჯგუფებთანაც აქტიურად იმუშაოს. კამპანიის დაგეგმვისას მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭომ უნდა მოახდინოს მუნიციპალიტეტში არსებული მნიშვნელოვანი ჯგუფების იდენტიფიცირება. ესენი

შეიძლება იყვნენ: ახალგაზრდები, ვეტერანთა ორგანიზაციები, ქალები (დიასახლისები), არასამთავრობო ორგანიზაციები („ლაგები“, „ამაგები“ და სხვა).

საბჭომ უნდა დაგეგმოს და ჩაატაროს შეხვედრები მუნიციპალიტეტში მოქმედ მიზნობრივ ჯგუფებთან. ამ შეხვედრებზე ხაზი უნდა გაესვას მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამის დანერგვის მნიშვნელობას მუნიციპალიტეტში სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების პროცესისათვის. შეხვედრის მონაწილეებს უნდა მიეწოდოთ დეტალური ინფორმაცია მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცედურების, ასევე ამ პროგრამაში მოქალაქეების როლისა და უფლებების შესახებ. ასეთ შეხვედრებზე შეიძლება მოხდეს საინფორმაციო კამპანიისათვის მოხალისეთა კორპუსის დაკომპლექტება. მნიშვნელოვანია, რომ ასეთ შეხვედრებში მონაწილეობა მიიღოს მუნიციპალიტეტის მერმა, ისევე როგორც სხვა ხელმძღვანელმა პირებმა.

მოსახლეობის ინფორმირების სხვა ფორმები

გარდა მოსახლეობასთან შეხვედრებისა და კარადაკარ კამპანიისა, მონაწილეობითი ბიუჯეტირების საბჭომ, თავისი შესაძლებლობის ფარგლებში, უნდა გამოიყენოს მოსახლეობის ინფორმირების სხვა მექანიზმებიც:

- საინფორმაციო არხების გამოყენება - ტრადიციული და ახალი მედია, პირდაპირი კომუნიკაცია, ოფიციალური და არაოფიციალური საინფორმაციო წყაროები;
- ინფორმაციის განთავსება მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე;
- სოციალური ქსელის იმ მომხმარებელთა იდენტიფიცირება, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მათთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება;
- სმს-სერვისების გამოყენება;
- ადგილობრივი მედიის აქტიური ჩართულობა მოქალაქეთა ინფორმირების მიზნით;
- მოსახლეობის ინფორმირებულობის გასაზრდელად მუნიციპალიტეტში არსებული ტრადიციული დღესასწაულების გამოყენება.

ტერიტორიული პრინციპით მონაწილეობითი ბიუჯეტირების კამპანიის ჩატარების ვადები შეიძლება სხვადასხვა მუნიციპალიტეტში განსხვავებული იყოს. ამიტომ პროგრამის ჩატარების ვადები თითოეულმა მუნიციპალიტეტმა უნდა განსაზღვროს ინდივიდუალურად, თავისი მახასიათებლების (კლიმატური პირობები, სეზონური სამუშაო და სხვა) მიხედვით.

საინიციატივო ჯგუფების ფორმირება და იდეების

წარდგენა

საპროექტო იდეის წარდგენის უფლება აქვს:

- მოქალაქეს;
- საინიციატივო ჯგუფს;
- არასამთავრობო ორგანიზაციას, მათ შორის, ლაგებს და სათემო კავშირებს.

საპროექტო იდეის წარდგენა შესაძლებელია:

1. მერიაში;
2. მერის წარმომადგენლის ოფისში;
3. ელექტრონული ფორმით მერიის ვებგვერდზე.

მნიშვნელოვანია, რომ საპროექტო წინადადების წარდგენის პროცედურა მაქსიმალურად გამარტივებული იყოს როგორც ცალკეული მოქალაქისათვის, ისე საინიციატივო ჯგუფების წარმომადგენლებისათვის. ამიტომ უმჯობესი იქნება, თუკი მონაწილეობითი ბიუჯეტირების საბჭო საპროექტო წინადადების ავტორებს მისცემს საშუალებას, რათა ისე წარადგინონ პროექტი, როგორც მათ ურჩევნიათ: იქნება ეს მერიაში, მერის წარმომადგენლის ოფისში, თუ ელექტრონული ფორმით მერიის ვებგვერდზე. ეს დაეხმარება მოქალაქეს, რათა მან მაქსიმალურად უპრობლემოდ, მისთვის მოსახერხებელ ნებისმიერ ადგილას თუ ნებისმიერი ფორმით შეძლოს საკუთარი საპროექტო წინადადების წარდგენა.

მონაწილეობითი ბიუჯეტირების საბჭომ უნდა შეიმუშაოს და დაამტკიცოს საპროექტო წინადადების წარდგენის მარტივი ფორმა. საინიციატივო ჯგუფი ან მოქალაქე შეავსებს ამ ფორმას და საპროექტო იდეას წარადგენს ზემოთჩამოთვლილი სამი შესაძლებლობიდან ერთ-ერთის გამოყენებით. ამის შემდეგ პროექტი გადის რეგისტრაციას და მას ენიჭება ნომერი. პროექტი გადაეცემა **მონაწილეობითი ბიუჯეტირების საბჭოს** ტექნიკური შემოწმებისთვის (წარმოდგენილი საპროექტო იდეის შესაბამისობა ბიუჯეტთან და მონაწილეობითი ბიუჯეტის პრიორიტეტებთან). დადებითი დასკვნის შემთხვევაში, შესაძლებელი გახდება საპროექტო იდეის მოსახლეობასთან ერთად განხილვის პროცედურის დაწყება.

მნიშვნელოვანია, რომ საპროექტო იდეის წარდგენის შემდეგ საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლებს ჰქონდეთ შესაძლებლობა საპროექტო იდეის შესახებ, მისი მიზნებისა და ამოცანების უკეთ ჩამოყალიბების მიზნით კონსულტაცია გაიარონ მონაწილეობითი ბიუჯეტირების საბჭოში ან/და მერიის შესაბამის სამსახურებთან,

რათა საჭიროების შემთხვევაში შეძლონ საპროექტო წინადადების დაზუსტება, ასევე საკუთარი მიზნების, ამოცანების და მათი გადაჭრის გზების უკეთ ჩამოყალიბება.

მონაწილეობითი ბიუჯეტირების საბჭოს როლი და ფუნქცია საპროექტო წინადადების გამოვლენის, წარდგენისა და განხილვის პროცესში

მონაწილეობითი ბიუჯეტირების საბჭოს როლი საპროექტო წინადადების გამოვლენის, წარდგენისა და განხილვის პროცესში არის მნიშვნელოვანი და ის არ შემოიფარგლება მხოლოდ პროცესის ზოგადი ორგანიზებით. მონაწილეობითი ბიუჯეტირების საბჭოს ფუნქციაა:

1. გამოავლინოს ჯგუფები, რომლებსაც შესაძლებელია ჰქონდეთ საპროექტო წინადადებები;
2. დაგეგმოს შეხვედრები მიზნობრივ ჯგუფებთან;
3. დაგეგმოს კარდაკარ კამპანია საპროექტო წინადადების შესახებ მოსახლეობის ინფორმირების მიზნით;
4. მოახდინოს წარმოდგენილი პროექტების წინასწარი გადარჩევა მათი შესაბამისობის მიხედვით თვითმმართველობის უფლებამოსილებებთან და მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამით გამყოფილ თანხებთან;
5. ჩაუტაროს საპროექტო წინადადების მქონე საინიციატივო ჯგუფებს კონსულტაციები პრობლემების, ამოცანებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ პროექტის დახვეწისა და კორექტირების მიზნით.

8.3 საპროექტო წინადადების განხილვის მექანიზმები; საინიციატივო ჯგუფების მიერ წარდგენილი საპროექტო წინადადებების მოსახლეობასთან განხილვის კამპანია და მისი მექანიზმები;

მონაწილეობითი ბიუჯეტირების საბჭომ უნდა შეიმუშაოს საინფორმაციო კამპანიის გეგმა. მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილი ყველა საპროექტო იდეა უნდა განთავსდეს მერიის ვებგვერდზე გამოყოფილ სპეციალურ ადგილას ან სპეციალურად შექმნილ ვებგვერდზე, აგრეთვე მერიის ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზეც. პროექტების შესახებ მოსახლეობის ინფორმირება უნდა მოხდეს ადგილობრივი მედიით. ინფორმაციის განთავსების დროს დაცული უნდა იყოს გარკვეული თანასწორობის პრინციპი.

მონაწილეობითი ბიუჯეტირების საბჭომ, შემოსული საპროექტო წინადადების მოსახლეობისათვის გაცნობის მიზნით, შესაძლებელია გამოიყენოს შემდეგი ფორმები:

- **დასახლების ან საუბნო კრებები, საინფორმაციო შეხვედრები მოსახლეობასთან** - ამ შეხვედრების დროს მოსახლეობას უნდა წარედგინოს ყველა საპროექტო იდეა, რომელთა პრეზენტაციაც უნდა გააკეთონ თავად საპროექტო იდეის ავტორებმა. უმჯობესი იქნება, თუკი ამ შეხვედრებზე მოსახლეობას დაურიგდება საპროექტო წინადადებების მოკლე შინაარსის ამსახველი ბეჭდური მასალა.
- **პრეზენტაციები** - პროექტების პრეზენტაციები შეიძლება გაიმართოს მერიაში, მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ ერთეულებში მრგვალი მაგიდისა თუ სხვა ფორმატის გამოყენებით. კარგი იქნება, თუ საპროექტო წინადადების პრეზენტაციები მოეწყობა ადგილობრივი მედიასაშუალებებითაც დისკუსიებისა და ტოკშოუების მეშვეობით, რომლებშიც თავად საპროექტო წინადადების ავტორები მიიღებენ მონაწილეობას.

საინფორმაციო შეხვედრები მოსახლეობასთან

მერია უნდა შეადგინოს მონაწილეობითი ბიუჯეტის დაგეგმვის ზონებში საინფორმაციო შეხვედრების გრაფიკი (მინიმუმ ერთი შეხვედრა თითო ზონაში, თუკი ზონა ფარავს ერთ დასახლებას, ხოლო თუკი ზონა რამდენიმე დასახლებას მოიცავს, მაშინ თითოეულ დასახლებაში საჭიროა მინიმუმ თითო შეხვედრა) და აცნობოს ამის თაობაზე საპროექტო წინადადების ავტორებს. ყველა იდეის ავტორს უნდა მიეცეს თანაბარი საშუალება, რათა მოსახლეობის წინაშე საკუთარი იდეა თავად წარადგინოს და მის განხილვასაც დაესწროს.

საპროექტო წინადადების ავტორთა საინფორმაციო კამპანია

ამ ბოლო დროს საქართველოში მოსახლეობის ჩართულობით განხორციელებული რამდენიმე პროექტის გამოცდილებამ აჩვენა, თუ მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესისადმი ნდობის ამაღლებისა და მოსახლეობის აქტივობის გაზრდისათვის რამდენად მნიშვნელოვანია თავად ამ საპროექტო წინადადების ავტორთა აქტიური კომუნიკაცია მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებთან.

მათ მიერ ჩატარებული კარდაკარ თუ სხვა სახის კამპანია, რომლის დროსაც მოქალაქეს ეძლევა საშუალება, რომ წარმოდგენილი იდეის ავკარგიანობა შეაფასოს არა მხოლოდ ხელისუფლების წარმომადგენლებთან, არამედ საპროექტო იდეის ავტორთან კომუნიკაციის

პროცესში, მნიშვნელოვნად ამაღლებს მოსახლეობის ინტერესს და ნდობას მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის მიმართ, ხელს უწყობს გადანყვეტილების მიღების პროცესში მოსახლეობის აქტიური ჩართულობის სტიმულირებას.

ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესში საინიციატივო ჯგუფების წარმომადგენლებს, გარდა მონაწილეობითი ბიუჯეტირების საბჭოს მიერ დაგეგმილ განხილვებში მონაწილეობისა, მიეცეთ იმის შესაძლებლობაც, რომ თავადაც გასწავლინ საკუთარი პროექტების აგიტაცია და, სურვილის შემთხვევაში, ჩაატარონ შეხვედრები, კარდაკარ კამპანია, პრეზენტაციები, დისკუსიები და სხვა. მერია და მისდამი დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულები ვალდებული არიან მაქსიმალურად ხელი შეუწყონ საინიციატივო ჯგუფების ამ სახის აქტივობებს. კარგი იქნება, თუკი მერია ბიუჯეტიდან გამოყოფს მცირე თანხებს (100-დან 200 ლარამდე) საინიციატივო ჯგუფებისათვის საპროექტო წინადადების ამსახველი საინფორმაციო მასალის (ფლაერები, ტრიპლეტები, პოსტერები) დასაბეჭდად, რათა საინიციატივო ჯგუფების წარმომადგენლებს შეხვედრების დროს ჰქონდეთ მოსახლეობასთან არა მხოლოდ თავიანთი საპროექტო იდეის შესახებ გასაუბრების, არამედ მათთვის ვიზუალური მასალის გადაცემის საშუალებაც. ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებსა და მუნიციპალური დაწესებულებების ხელმძღვანელებს უნდა მიეცეთ შესაბამისი მითითება, რათა მათ საჭიროების შემთხვევაში, საკუთარი კომპეტენციისა და შესაძლებლობის ფარგლებში, ხელი შეუწყონ საპროექტო წინადადების ავტორებს შეხვედრებისა თუ მოსახლეობის ინფორმირების კამპანიის სხვა ფორმების გამოყენების ორგანიზებაში.

8.4 საპროექტო წინადადების თაობაზე გადანყვეტილების მიღება და გადანყვეტილების მიმღები ორგანოების ფორმირება

გადაწყვეტილება, თუ რომელი საპროექტო იდეა განხორციელდეს, შეუძლია მიიღოს:

- ✓ **დასახლების საერთო კრებამ** - საქართველოს ორგანული კანონით - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - დადგენილი წესით, თუკი დაგეგმვის ზონა მოიცავს ერთ დასახლებას;
- ✓ **ზონალურმა საბჭომ** - მრავალდასახლებიან ზონებში. დასახლების საერთო კრებაზე თითოეული სოფელი აირჩევს თავის წარმომადგენლებს ზონალურ საბჭოში. ამავე საბჭოებში აგრეთვე შედიან საპროექტო წინადადების ავტორები (თითო ხმით). კენჭისყრი-

სას მათ არ აქვთ საკუთარი საპროექტო იდეისათვის ხმის მიცემის უფლება.

- ✓ **მოსახლეობამ** - კენჭისყრით გამარჯვებული საპროექტო იდეის გამოსავლენად მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტირების საბჭომ უნდა გაუწიოს ორგანიზება ხმის მიცემის პროცედურას, დაადგინოს ხმის მიცემის თარიღი, დრო, საარჩევნო უბნების მდებარეობა და ადგილებზე ხმის მიცემის პროცესის წარმართვაზე პასუხისმგებელი პირები.

მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის ტერიტორიული მოდელით განხორციელებისას კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება აქვს მხოლოდ იმ ტერიტორიულ ერთეულში რეგისტრირებულ ამომრჩევებს, რომელშიც შეიძლება განხორციელდეს განსახილველი იდეები. მონაწილეობითი ბიუჯეტირების საბჭო იღებს გადაწყვეტილებას მონაწილეობითი ბიუჯეტის ტერიტორიულ ერთეულებში კენჭისყრის ჩატარების წესისა და თარიღის შესახებ. უძობესი იქნება, თუკი ხმის მიცემის პროცედურის ორგანიზებაში ადმინისტრაციასთან ერთად ჩაერთვებიან საპროექტო წინადადების ავტორებიც.

- ✓ **მოსახლეობამ მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე ელექტრონული ხმის მიცემით**

ელექტრონული წესით ხმის მიცემის ორგანიზებისათვის მერიამ უნდა უზრუნველყოს ხმის მიცემის პროცედურა საკუთარ ვებგვერდზე, სადაც უკვე განთავსებული იქნება საპროექტო წინადადები. აქვე უნდა იყოს განთავსებული ხმის მიცემის პროცედურის დაწვრილებითი აღწერა. გამარჯვებული საპროექტო წინადადების ამ წესით შერჩევის პროცედურის ორგანიზებულად წარმართვაზე, ხმის მიცემის პროცედურაზე და ვებგვერდის გამართულ მუშაობაზე პასუხისმგებელი უნდა იყოს მერიის შესაბამისი სამსახური, რომელსაც ევალება მერიის ონლაინ-პლატფორმების გამართულ ფუნქციონირებაზე ზედამხედველობა.

წარდგენილი პროექტების თაობაზე გადანყვეტილების მიღების წესის არჩევა უნდა მოხდეს მუნიციპალიტეტის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით (მაგალითად, მუნიციპალიტეტის ინტერნეტიზაციის დონე და სხვა). პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს გადანყვეტილების მიღების იმ მექანიზმს, რომელიც უფრო მეტად უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და მოქალაქეთა უკეთეს ჩართულობას.

თავი 9. თემატური მონაწილეობითი ბიუჯეტი

9.1 პრიორიტეტული საპროექტო წინადადების გამოვლენის ინსტრუმენტები

თემატური მონაწილეობითი ბიუჯეტების მაკოორდინირებელი ორგანოს ფორმირება

საკრებულოსთან კონსულტაციის შემდეგ მერი გამოსცემს ბრძანებას, რითაც განისაზღვრება მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის თემატური პრიორიტეტები. მერი ამავე ბრძანებით ადგენს პროექტების ტექნიკური შესაბამისობის კრიტერიუმებს;

მუნიციპალიტეტის განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრა არის მუნიციპალიტეტის ექსკლუზიური უფლებამოსილება. ეს შეიძლება იყოს მუნიციპალურ უფლებამოსილებებში შემავალი სხვადასხვა სფერო: კულტურა, სპორტი, ფერმერთა ან მცირე მენარმეთა პრობლემების გადაჭრის ხელშეწყობა, ახალგაზრდობის პროგრამები, დასვენება-გართობა და სხვა.

თემატური მონაწილეობითი ბიუჯეტის მაკოორდინირებელი ორგანო შეიძლება შეიქმნას მერთან არსებულ მრჩეველთა საბჭოს ბაზაზე და, როგორც წესი, კომპლექტდება მუნიციპალიტეტში მოქმედი სამოქალაქო ორგანიზაციებისა და სხვადასხვა პროფესიული სფეროს წარმომადგენლებით. გამომდინარე მისი დაკომპლექტების წესისა და შემადგენლობიდან, სწორედ ამ ორგანოს ფუნქცია გახლავთ მუნიციპალიტეტის განვითარების ამა თუ იმ ასპექტის, სხვადასხვა თემატური თუ სოციალური ჯგუფისათვის აქტუალური საკითხების მერის წინაშე დაყენება და მასთან ერთად ამ საკითხების განხილვა. ამიტომაც არის თემატური მონაწილეობითი ბიუჯეტების პრიორიტეტებით განსაზღვრულ თემებზე მუშაობა ძალიან ახლოს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ფუნქციებთან. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით, მერი ვალდებულია ბიუჯეტის პროექტი განიხილოს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოსთან ერთად, შესაბამისად, კიდევ უფრო გამართლებულია ამ ორგანოს ჩართვა მონაწილეობითი ბიუჯეტების პროცესსა და ბიუჯეტით განსახორციელებელი პროექტების შერჩევაში. ამით რეალურ დატვირთვას შეიძენს ბიუჯეტის განხილვის პროცესში მონაწილეობის თაობაზე სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოსთვის „საქართველოს ადგი-

ლობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ მინიჭებული უფლებამოსილებებიც. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტებში (განსაკუთრებით თვითმმართველ თემში) იგრძნობა ისეთი აქტიური პროფესიონალების აშკარა ნაკლებობა, რომლებიც არ არიან დასაქმებულნი საჯარო სექტორში. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ნაცვლად ორი საბჭოს დაკომპლექტებისა, აჯობებს გამოვიყენოთ არსებული რესურსი და მონაწილეობითი ბიუჯეტების საბჭო ჩამოვყალიბოთ მრჩეველთა საბჭოს ბაზაზე, მის შემადგენლობაში იმ ადამიანების დამატებით, რომელთა ჩართულობაც მნიშვნელოვანია თემატური მონაწილეობითი ბიუჯეტების პროცესში.

თემატური მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის განხორციელებისას აუცილებელია სწორად და კვალიფიციურად წარმართოს საპროექტო წინადადებების ტექნიკური გადარჩევა იმისდა მიხედვით, თუ როგორ შეესაბამებიან ისინი თვითმმართველობის უფლებამოსილებებს, მერის და საკრებულოს დადგენილ პრიორიტეტებს და მონაწილეობითი ბიუჯეტისათვის გამოყოფილ თანხებს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ მონაწილეობითი ბიუჯეტების საკითხებზე საინფორმაციო კამპანიების დაგეგმვისა თუ კვალიფიციური გადამწყვეტილების მიღების საკითხებზე საბჭოს მუშაობაში სათათბირო ხმით ჩაერთონ მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის, იურიდიული და საფინანსო, სამსახურების წარმომადგენლები. მონაწილეობითი ბიუჯეტების საბჭოს დებულების თანახმად, სხვა სამსახურებიდან შესაბამისი სპეციალისტების მოწვევის უფლება საბჭოს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ გამომდინარე შემოსული საპროექტო წინადადების თემატიკიდან.

თემატური მონაწილეობითი ბიუჯეტების საბჭოს მუშაობაში შეიძლება ჩაერთონ საპროექტო წინადადების ავტორები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ იდეების განხილვისა და შეფასების პროცესებში.

ამ პროცესმა - საინიციატივო ჯგუფების წარმომადგენელთა ჩართვამ - შეიძლება მნიშვნელოვანწილად გამოაცოცხლოს როგორც მონაწილეობითი ბიუჯეტების საბჭოს, ისე მერთან არსებული მრჩეველთა საბჭოს საქმიანობა, ამასთანავე მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვისა და განხილვის პროცესში ჩართოს ახალი აქტიური ადამიანები, რეალური ფუნქცია და მნიშვნელობა შესძინოს თავად მრჩეველთა საბჭოს ფუნქციონირებას.

მონაწილეობითი ბიუჯეტების საბჭოს ფორმირების პროცესის სწორად წარსამართად მნიშვნელოვანია, რომ მერმა გამართოს შესაბამისი კონსულტაციები და შეხვედრები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედ არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციების, ლაგებისა და სხვა გაერთიანებების წარმომადგენლებთან ერთად.

9.2 მონაწილეობითი ბიუჯეტების საბჭოს მიერ მერიის მიერ დადგენილი თემატური პრიორიტეტების შესაბამისი სამიზნე ჯგუფების გამოყოფა და მათი ჩართულობის მექანიზმების განსაზღვრა

თემატური მონაწილეობითი ბიუჯეტების პროცესის სწორად წარსამართად აუცილებელია მერის მიერ დადგენილ პრიორიტეტულ მიმართულებებში სწორად აისახოს ყველა ის პრობლემა თუ ამოცანა, რომელთა გადაჭრამაც უნდა უზრუნველყოს მუნიციპალიტეტისათვის თემატური მონაწილეობითი ბიუჯეტების პროგრამით დასახული ამოცანების შესრულება. ამიტომ ამ ეტაპზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ **მონაწილეობითი ბიუჯეტების საბჭომ** სწორად შეარჩიოს სამიზნე ჯგუფები.

სამიზნე ჯგუფების შერჩევის პროცესში მონაწილეობითი ბიუჯეტების საბჭომ უნდა მოიძიოს ინფორმაცია, თუ რომელი ორგანიზაციები თუ აქტივისტთა ჯგუფები საქმიანობენ მონაწილეობითი ბიუჯეტების პრიორიტეტებით დადგენილ სფეროებში მუნიციპალიტეტის მასშტაბით, შექმნას ასეთი ორგანიზაციებისა თუ აქტივისტების მონაცემთა ბაზა.

ამ ეტაპის ამოცანაა, რომ ასეთი ჯგუფები აქტიურად ჩაერთონ მონაწილეობითი ბიუჯეტების პროცესში, მათ შორის, პრიორიტეტულ მიმართულებებში პრობლემების იდენტიფიკაციის, ამოცანების დასახვისა და საპროექტო წინადადების წარმოდგენის კუთხით.

მსგავსი ჯგუფების იდენტიფიცირებისთვის საბჭოს შეუძლია აგრეთვე, გარდა ინფორმაციის მოძიებისა, გამოთქვას სურვილი პრიორიტეტული საკითხებით დაინტერესებულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შესახებ და შესაბამისი ინფორმაცია:

- ✓ განათავსოს მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე და ფეისბუქის გვერდებზე;
- ✓ დაუგზავნოს წერილების სახით (მათ შორის ელექტრონული ფორმით) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

მონაწილეობითი ბიუჯეტების საბჭომ, მონაწილეობითი ბიუჯეტების პრიორიტეტული თემებით დაინტერესებული ორგანიზაციებისა და ჯგუფების იდენტიფიკაციის შემდეგ, აუცილებლად უნდა მოიწვიოს შეხვედრაზე მათი წარმომადგენლები, სადაც ისინი მიიღებენ შესაბამის ინფორმაციას მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის, პრიორიტეტების და იმ ფუნქციისა

თუ როლის შესახებ, რაც ამ ორგანიზაციებმა და ჯგუფებმა შეიძლება შეასრულონ მონაწილეობითი ბიუჯეტების პროცესში.

გამომდინარე მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებებიდან და მონაწილეობითი ბიუჯეტის შესაძლო პრიორიტეტებიდან, ასეთი ინტერესთა ჯგუფები შეიძლება იყოს: ახალგაზრდობა, ფერმერები, შშმ პირები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მცირე მენარმეები, ლაგები, სათემო კავშირები, ეთნიკური უმცირესობები და ა.შ.

მონაწილეობითი ბიუჯეტების საბჭომ ამ ჯგუფებთან მუშაობის შედეგად შეიძლება შექმნას კონკრეტული თემატური მიმართულებით არსებული პრობლემებისა და ამოცანების რუკა, რომელთა მოგვარებას და გადაჭრასაც უნდა ემსახურებოდეს თემატური ბიუჯეტის პროგრამით ინიცირებული საპროექტო წინადადები.

პრობლემებისა და ამოცანების რუკის შესადგენად სხვადასხვა ჯგუფთან მუშაობაში მონაწილეობითი ბიუჯეტების საბჭომ შეიძლება გამოიყენოს **ბრენშტორმინგის, ფოკუს-ჯგუფების და/ან ფასილიტაციის „მსოფლიო კაფე“ (The World Cafe) მეთოდი, რომელიც იდეალურია მაშინ, როდესაც საჭიროა დიდ ჯგუფებში ინფორმაციის დაგროვება მნიშვნელოვანი საკითხებისა და პრობლემების შესახებ.** ამ პროცესის მთავარი ამოცანა უნდა იყოს მუნიციპალიტეტში არსებული ორგანიზაციებისა და აქტივისტთა ჯგუფებისგან ინფორმაციისა და მოსაზრებების მიღება, თუ რა საკითხები და ამოცანები უნდა წამოიწიოს მერიის მიერ დადგენილ პრიორიტეტულ მიმართულებებში, რომლებიც შეიძლება გადაიჭრას თემატური მონაწილეობითი ბიუჯეტების პროცესში წარმოდგენილი საპროექტო წინადადების მეშვეობით.

პრობლემებისა და ამოცანების რუკის შედგენის პროცესის მაქსიმალურად ეფექტიანად განსახორციელებლად მიზნობრივ ჯგუფებთან მუშაობის მეთოდის შერჩევა და პროცესის სწორად წარმართვა უმჯობესია მოხდეს ამ საკითხებზე მომუშავე შესაბამისი ორგანიზაციებისა და პირების დახმარებით, რომლებიც პროფესიულ დონეზე უზრუნველყოფენ შესაბამისი მეთოდების შერჩევა-განხორციელებას და მიღებული მონაცემების კვალიფიციურ ანალიზს.

თემატური მონაწილეობითი ბიუჯეტებისას პრიორიტეტების შესაბამისი სამიზნე ჯგუფების გამოყოფა, მათთან ურთიერთობის ხარისხიანად წარმართვა აუცილებელია იმისათვის, რომ პროექტების პოტენციურმა ინიციატორებმა მოახერხონ მერიის მიერ გამოყოფილ პრიორიტეტულ მიმართულებებში არსებული პრობლემების, ასევე განვითარების მიმართულებების სწორად იდენტიფიცირება. მონაწილეობითი ბიუჯეტების საბჭოს მიერ ამ

ეტაპის კარგი დაგეგმვისა და განხორციელების გარეშე საინიციატივო ჯგუფებს გაუჭირდებათ მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესში ადეკვატური საპროექტო წინადადების წარმოდგენა.

9.3 საინფორმაციო კამპანია, შეხვედრების ორგანიზება მერიის მიერ გამოყოფილი ინტერესთა ჯგუფების წარმომადგენლებთან

ეს პროცესი მნიშვნელოვანია, რათა მერიამ სწორად შეძლოს თემატური ბიუჯეტირების რაობაზე კამპანიის წარმართვა და შესაბამისი ინფორმაციის ყველა იმ ჯგუფისთვის მიზნობრივად მიწოდება, რომელთა ჩართვამაც უნდა უზრუნველყოს მუნიციპალიტეტისათვის საჭირო და მნიშვნელოვანი პროექტების წარმოდგენა.

კამპანიის პირველი ეტაპი

მერიამ:

1. დადგინილი თემატური პრიორიტეტების შესაბამისად, უნდა გამოყოს სათანადო სამიზნე ჯგუფები;
2. განსაზღვროს ამ სამიზნე ჯგუფების ინფორმირებისათვის საჭირო მეთოდები.

ამ მიზნით, შესაძლებელია, გამოყენებული იქნეს:

- ✓ ინფორმაციის განთავსება მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე და ფეისბუქგვერდებზე;
- ✓ საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება მერიის მიერ გამოყოფილი ინტერესთა ჯგუფების წარმომადგენლებთან. ესენია: ახალგაზრდობა, ფერმერები, შშმ პირები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მცირე მეწარმეები, ლაგები, სათემო კავშირები და სხვა. ეს ჯგუფები გამოიკვეთება მერიის მიერ დამტკიცებული თემატური პრიორიტეტების მიხედვით;
- ✓ საკრებულოს წევრების შეხვედრები მოსახლეობასთან;
- ✓ ადგილობრივი მედიით შესაბამისი ინფორმაციის გავრცელება;
- ✓ წერილების დაგზავნა ელ. ფოსტისა თუ სოციალური ქსელების გამოყენებით.
- ✓ აუცილებელია პოტენციური ბენეფიციარების ინფორმირება მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის რაობის, მიზნებისა და პროცედურების შესახებ.

ინფორმაცია უნდა შეიცავდეს:

- მონაწილეობითი ბიუჯეტირების ძირითად პრინციპებსა და პროცედურებს;
- მერიის მიერ დადგენილ, მონაწილეობითი ბიუჯეტირების თემატურ პრიორიტეტებს;
- პროექტების წარდგენის, განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმებსა და წესებს;
- მონაწილეობითი ბიუჯეტის განხორციელების პროცესში მოქალაქეთა მონიტორინგის შესაძლებლობებს;
- მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებების და ყველა იმ მექანიზმის/ შესაძლებლობის შესახებ, რომელიც გააჩნია მუნიციპალიტეტს.

საინფორმაციო შეხვედრები

შეხვედრების დაგეგმვის დროს, პირველ რიგში, სწორად უნდა განისაზღვროს შეხვედრის მიზანი.

პირველი ეტაპის საინფორმაციო კამპანიის დროს შეხვედრების მიზანია მოსახლეობას მივანდოთ სრული ინფორმაცია პროგრამის თაობაზე და დავარწმუნოთ ისინი, რომ გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ რომელი პროექტი უნდა განხორციელდეს, იღებს თავად მოსახლეობა. შესაბამისად შეხვედრებზე მოსახლეობას უნდა განემართოს:

- ✓ მონაწილეობითი ბიუჯეტის რაობა;
- ✓ მონაწილეობითი ბიუჯეტის მიზნები;
- ✓ მონაწილეობითი ბიუჯეტის პრიორიტეტები;
- ✓ მონაწილეობითი ბიუჯეტის პროცედურები, წინადადებების წარდგენის, მათი განხილვის, გადაწყვეტილების მიღების წესები და ვადები.

რა უნდა გავითვალისწინოთ შეხვედრის დაგეგმვისას?

- ✓ ადგილი, სადაც ვატარებთ მოდერაციას;
- ✓ რამდენი ადამიანი მიიღებს შეხვედრაში მონაწილეობას;
- ✓ ვიზუალიზაციის რა ფორმებს გამოვიყენებთ;
- ✓ ჩატარების დრო;
- ✓ თემის თავისებურებანი.

შეხვედრის სტრუქტურა

- ✓ მისალმება;
- ✓ დღის წესრიგის გაცნობა;
- ✓ იდეის გაცნობა - პრეზენტაცია - ვიზუალიზაციის ფორმატი;
- ✓ მიზნის ზუსტად განსაზღვრა;
- ✓ კითხვების დასმა მოდერატორის მიერ;
- ✓ კითხვა-პასუხი;
- ✓ ანალიზი და სწორი დასკვნების გაკეთება;
- ✓ სამოტივაციო დახურვა.

მნიშვნელოვანია, რომ შეხვედრის წამყვანი ზედმინევით კარგად ფლობდეს საკითხს, ერკვეოდეს დეტალებში და შეედლოს კვალიფიციური პასუხის გაცემა მოსახლეობის მიერ დასმულ კითხვებზე. უმჯობესი იქნება, თუკი პირველი ეტაპის საინფორმაციო კამპანიის დროს, როცა მოსახლეობას მიეწოდება ინფორმაცია მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის დაწყების თაობაზე, შეხვედრებში მონაწილეობას მიიღებენ მუნიციპალიტეტის პოლიტიკური თანამდებობის პირები - მერი და საკრებულოს თავმჯდომარე. უმჯობესი იქნება, თუკი შეხვედრაზე მოსახლეობას, გარდა ზეპირი ინფორმაციისა, დაურიგდება ბეჭდური მასალაც (ფლაერები), რომელშიც მოკლედ იქნება განმარტებული:

- ✓ **მონაწილეობითი ბიუჯეტის რაობა;**
- ✓ **მონაწილეობითი ბიუჯეტის მიზნები;**
- ✓ **მონაწილეობითი ბიუჯეტის პრიორიტეტები;**
- ✓ **მონაწილეობითი ბიუჯეტის პროცედურების, წინადადებების წარდგენის, მათი განხილვის და გადანაცვების მიღების წესები და ვადები.**

შეხვედრების წარმართვისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შეხვედრის მონაწილეთა ჩართულობას. მოდერატორმა უნდა უზრუნველყოს შეხვედრის წარმართვა არა მონოლოგის, არამედ დიალოგის/კითხვა-პასუხის რეჟიმში. შეხვედრის დაგეგმვისა და წარმართვისას აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იყოს ისეთი სპეციფიკური საკითხები, როგორც:

- ✓ არის თუ არა საარჩევნო წელი?
- ✓ რამდენად პოლიტიზებულია ვითარება ქვეყანაში და იმ დასახლებებში, სადაც შეხვედრა იმართება?

- ✓ როგორია ადგილობრივი მოსახლეობის განწყობა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირების მიმართ?
- ✓ არსებობს თუ არა ამ დასახლების მოსახლეობისათვის შეუსრულებელი დაპირებები?
- ✓ და სხვა.

შეხვედრის დაგეგმვისას ყველა ეს ფაქტორი უნდა იყოს გათვალისწინებული და შეხვედრის ორგანიზატორები შესაბამისად უნდა მოემზადონ მოსახლეობასთან საუბრისთვის.

პირველი ეტაპის საინფორმაციო შეხვედრების ამოცანაა აჩვენოს მოსახლეობას, რომ მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის განხორციელების პროცესში მთავარი როლი აკისრია ამომარჩეველს, მან უნდა გადაწყვიტოს, თუ რა უნდა გაკეთდეს მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამით მუნიციპალიტეტში.

9.4 საინიციატივო ჯგუფების ფორმირება და იდეების წარდგენა. საპროექტო წინადადებების კამპანიის წარმართვის ფორმები და მექანიზმები

საპროექტო იდეის წარდგენის უფლება აქვს:

- ✓ მოქალაქეს;
- ✓ საინიციატივო ჯგუფს;
- ✓ არასამთავრობო ორგანიზაციას, ლაგებს და სათემო კავშირებს.

პროექტის ან პროექტის იდეის წარდგენა შესაძლებელია:

- ✓ მერიაში;
- ✓ მერის წარმომადგენლის ოფისში;
- ✓ ელექტრონული ფორმით მერიის ვებგვერდზე.

მნიშვნელოვანია, რომ როგორც ცალკეული მოქალაქისათვის, ისე საინიციატივო ჯგუფების წარმომადგენლებისათვის მაქსიმალურად გამარტივებული იყოს საპროექტო წინადადების წარდგენის პროცედურა. ამიტომ უმჯობესი იქნება, თუკი მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭო საშუალებას მისცემს საპროექტო წინადადების ავტორებს, ჰქონდეთ არჩევანი, წარადგინონ პროექტი იქ, სადაც მათთვის უფრო მოსახერხებელია: მერიაში, მერის წარმომადგენლის ოფისში, თუ ელექტრონული ფორმით მერიის ვებგვერდზე. ეს მაქსიმალურად ხელს შეუწყობს მოქალაქეებს უპრობლემოდ, მათთვის

მოსახერხებელ ნებისმიერ ადგილას წარადგინონ საკუთარი საპროექტო იდეა.

მონაწილეობითი ბიუჯეტირების საბჭომ უნდა შეიმუშაოს და დაამტკიცოს საპროექტო წინადადების წარდგენის მარტივი ფორმა. საინიციატივო ჯგუფი ან მოქალაქე შეავსებს ამ ფორმას და წარადგენს საპროექტო იდეას ზემოთ ჩამოთვლილი სამი შესაძლებლობიდან ერთ-ერთის გამოყენებით. ამის შემდეგ პროექტი გადის რეგისტრაციას და მას ენიჭება ნომერი. პროექტი გადაეცემა **მონაწილეობითი ბიუჯეტირების საბჭოს** ტექნიკური შემოწმებისთვის (წარმოდგენილი საპროექტო იდეის შესაბამისობა ბიუჯეტთან, ასევე მონაწილეობითი ბიუჯეტის პრიორიტეტებთან). დადებითი დასკვნის შემთხვევაში შესაძლებელი გახდება პროექტის მოსახლეობასთან განხილვის პროცედურის დაწყება.

მნიშვნელოვანია, რომ საპროექტო იდეის წარდგენის შემდეგ საინიციატივო ჯგუფების წარმომადგენლებს ჰქონდეთ შესაძლებლობა საპროექტო იდეის, მისი მიზნებისა და ამოცანების უკეთესად ჩამოსაყალიბებლად გაიარონ კონსულტაცია მონაწილეობითი ბიუჯეტირების საბჭოში, ასევე მერიის შესაბამის სამსახურებთან, რათა საჭიროების შემთხვევაში მათ შეძლონ საპროექტო წინადადების დაზუსტება, მათი მიზნების, ამოცანებისა თუ გადაჭრის გზების უკეთ ჩამოყალიბება.

იდეებისა და პროექტების განხილვა. საინფორმაციო კამპანია, მისი მიზნები, ამოცანები და ფორმები

მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილი ყველა საპროექტო იდეა თავსდება მერიის ვებგვერდზე გამოყოფილ სპეციალურ ადგილას ან სპეციალურად შექმნილ ვებგვერდზე, აგრეთვე მერიის ფეისბუქის გვერდზე. პროექტების შესახებ მოსახლეობის ინფორმირება ასევე უნდა მოხდეს ადგილობრივი მედიით. მერიამ საპროექტო წინადადების განთავსების დროს უნდა დაიცვას გარკვეული თანასწორობის პრინციპი.

მერიამ უნდა უზრუნველყოს სამიზნე ჯგუფებში პროექტების განხილვა. ასეთი განხილვის ფორმები დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი სამიზნე ჯგუფები იქნება გამოყოფილი მერიის მიერ თემატური პრიორიტეტების მიხედვით.

შესაბამისად, წარდგენილი პროექტების თაობაზე სამიზნე ჯგუფებისა და მოსახლეობის ინფორმირებისა და განხილვებისათვის მერიამ შეიძლება გამოიყენოს სხვადასხვა ფორმები:

- ✓ **საინფორმაციო შეხვედრები მოსახლეობასთან** - ამ შეხვედრების დროს მოსახლეობას უნდა წარედგინოს ყველა საპროექტო იდეა, რომელთა პრეზენტაციაც უნდა გააკეთონ თავად საპროექტო იდეის

ავტორებმა. უმჯობესი იქნება, თუკი ამ შეხვედრებზე მოსახლეობას დაურიგდება პროექტების მოკლე შინაარსის ამსახველი ბეჭდური მასალა.

- ✓ **პრეზენტაციები** - საპროექტო წინადადების პრეზენტაციები შეიძლება გაიმართოს მერიაში, მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ ერთეულებში, აგრეთვე განთავსდეს მერიის ვებგვერდზე და ფეისბუქ-გვერდებზე;

ამ მიზნით შესაძლებელია მოეწყოს:

- ✓ **დისკუსიები;**
- ✓ **დარბაზებში შეხვედრები, სატელეფონო დისკუსიები და მრგვალი მაგიდები;** მონაწილეობითი ბიუჯეტირების საბჭოს შეუძლია დაგეგმოს დისკუსიები როგორც ადგილობრივი მედია საშუალებების გამოყენებით, ისე დარბაზებში, სადაც საპროექტო იდეების ავტორებს მიეცემათ აქტივისტებთან, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების, ლაგების და სხვათა წარმომადგენლებთან, ჟურნალისტებთან და ადგილობრივი საზოგადოების დაინტერესებულ წარმომადგენლებთან შეხვედრის შესაძლებლობა, სადაც მოხდება წარმოდგენილი საპროექტო წინადადების განხილვა და ანალიზი.
- ✓ **მოსახლეობის აზრის ელექტრონული გამოკითხვა პროექტების თაობაზე** - მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია, რომ მერიის ვებგვერდზე და ფეისბუქგვერდებზე ჩატარდეს მოსახლეობის აზრის გამოკითხვა წარდგენილი პროექტების თაობაზე.
- ✓ პროექტების თაობაზე ინფორმაციის შემცველი ფლაერებისა და სხვა ბეჭდვითი პროდუქციის გავრცელება;
- ✓ პროექტების ექსპერტული ანალიზი და ექსპერტების ჩართვა პროექტების განხილვაში.

9.5 საინიციატივო ჯგუფების კამპანია

ამ ბოლო დროს საქართველოში მოსახლეობის ჩართულობით განხორციელებული რამდენიმე პროექტის გამოცდილებამ აჩვენა, თუ მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესისადმი ნდობის ამაღლებისა და მოსახლეობის აქტივობის გაზრდისათვის რამდენად მნიშვნელოვანია თავად ამ საპროექტო წინადადების ავტორთა აქტიური კომუნიკაცია მუნიციპალიტეტის მცხოვრებლებთან.

თავად საპროექტო წინადადების ავტორთა მიერ ჩატარებული კარდაკარი თუ სხვა სახის კამპანიები, როცა მოქალაქეს ეძლევა საშუალება წარმოდგენილი იდეის ავტორიანობა შეაფასოს არა ხელისუფლების წარმომადგენლებთან, არამედ საპროექტო იდეის ავტორთან კომუნიკაციის პროცესში, მნიშვნელოვნად ამაღლებს მოსახლეობის ინტერესს და ნდობას მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის მიმართ, ამავე დროს ხელს უწყობს და ახდენს კიდევ მოსახლეობის სტიმულირებას, რათა ისინი აქტიურად ჩაერთონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესში საინიციატივო ჯგუფების წარმომადგენლებს, მონაწილეობითი ბიუჯეტირების საბჭოს მიერ დაგეგმილი განხილვების ჩატარების გარდა, იმის შესაძლებლობაც მიეცეთ, რომ საკუთარ პროექტებს აგიტაცია თავად გაუწიონ და, სურვილის შემთხვევაში, ჩაატარონ შეხვედრები, კარდაკარ კამპანია, პრეზენტაციები, დისკუსიები და სხვა. მერია და მისდამი დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულები ვალდებული არიან მაქსიმალურად ხელი შეუწყონ საინიციატივო ჯგუფების ამ სახის აქტივობებს. კარგი იქნება, თუკი მერია ბიუჯეტიდან გამოყოფს მცირე თანხებს (100-დან 200 ლარამდე) საინიციატივო ჯგუფებისათვის პროექტების ამსახველი საინფორმაციო მასალის დასაბეჭდად, რათა საპროექტო წინადადების ავტორებს შეხვედრების დროს ჰქონდეთ საშუალება მოსახლეობას თავიანთ საპროექტო წინადადებებზე არა მხოლოდ გაესაუბრონ, არამედ ვიზუალური მასალაც დაუტოვონ. ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებსა და მუნიციპალური დაწესებულებების ხელმძღვანელებს უნდა მიეცეთ შესაბამისი მითითება, რათა მათ, საჭიროების შემთხვევაში და საკუთარი კომპეტენციისა თუ შესაძლებლობათა ფარგლებში, ხელი შეუწყონ საინიციატივო ჯგუფების წარმომადგენლებს შეხვედრებისა თუ მოსახლეობის ინფორმირების კამპანიის სხვა ფორმების გამოყენების ორგანიზებაში.

9.6 პროექტების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების მექანიზმები და გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების ფორმირება

თემატური მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის განხორციელებისას საპროექტო წინადადებებზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება შეიძლება მოხდეს:

- ✓ მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს მიერ;
- ✓ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მიერ კენჭისყრით;

✓ ელექტრონული ხმის მიცემით მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე.

მონაწილეობითი ბიუჯეტირების საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღება

მონაწილეობითი ბიუჯეტირების საბჭო დაკომპლექტებულია მუნიციპალიტეტში მერის მრჩეველთა საბჭოსა და ტერიტორიული ერთეულების წარმომადგენლების მიერ. მის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ მოქმედი სამოქალაქო ორგანიზაციებისა და სხვადასხვა პროფესიული სფეროს წარმომადგენლები.

მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესში გამარჯვებული საპროექტო იდეის შერჩევის ამ მოდელის სუსტი მხარეა ის, რომ შეიძლება დაიკარგოს მონაწილეობითი ბიუჯეტირების მთავარი პრინციპი, რომლის მიხედვითაც გამარჯვებულ პროექტს ავლენს მოსახლეობა და არა ადმინისტრაციის მიერ დანიშნული პირი. ამიტომ შესაძლებელია, რომ მონაწილეობითი ბიუჯეტირების საბჭომ მიიღოს გადაწყვეტილება და პროექტებზე კენჭისყრის პროცედურაში მოსახლეობის წარმომადგენლობის გაზრდის უზრუნველსაყოფად თავის რიგებში, წინასწარ დადგენილი კვოტებით, შემოიყვანოს დასახლებების წარმომადგენლები, რომელთა არჩევის წესს განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის მერი (ეს შეიძლება იყოს დასახლების საერთო კრება, ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალი დასახლებების წარმომადგენელთა კრება და სხვა).

გარდა ამისა, მონაწილეობითი ბიუჯეტირების საკითხებზე გადაწყვეტილების მისაღებად მონაწილეობითი ბიუჯეტირების საბჭოს მუშაობაში სათანადო ხმით უნდა ჩაერთონ საპროექტო წინადადების ავტორები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ პროექტების განხილვებსა და შეფასების პროცესში. საინიციატივო ჯგუფების წარმომადგენელთა ჩართვა მნიშვნელოვანია ხმის მიცემის პროცედურის მიმართ ნდობის ამაღლებისათვის როგორც საპროექტო იდეების ავტორთა შორის, ისე საზოგადოებაში.

გადაწყვეტილების მიღება მოსახლეობის მიერ კენჭისყრით

მოსახლეობის მიერ კენჭისყრის შედეგად გამარჯვებული საპროექტო იდეის გამოსავლენად მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტირების საბჭომ უნდა გაუწიოს ორგანიზება ხმის მიცემის პროცედურას, დაადგინოს ხმის მიცემის თარიღი, დრო, საარჩევნო უბნების მდებარეობა და ადგილებზე ხმის მიცემის პროცესის წარმართვაზე პასუხისმგებელი პირები.

ხმის მიცემის პროცესის სანდობის ამაღლების მიზნით, კენჭისყრის პროცესის ორგანიზებაში აუცილებლად უნდა ჩაერთონ საპროექტო წინადადების ავტორები.

ხმის მიცემის ორგანიზებისათვის შეიძლება გამოიყენონ საარჩევნო უბნები, ან მერის წარმომადგენლის შენობები, სადაც დაიდგმება ურნები და მოსახლეობას მიეცემა საშუალება ხმა მისცეს სასურველ პროექტს. სასურველია, რომ ყველა უბანზე გამოკრული იყოს ინფორმაცია პროექტების თაობაზე, ხოლო ხმის დამთვლელ კომისიაში წარმოდგენილი იყვნენ საინიციატივო ჯგუფების წარმომადგენლები.

გადანყვეტილების მიღება მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე ელექტრონული ხმის მიცემით

ელექტრონული წესით ხმის მიცემის ორგანიზებისათვის მერიამ საკუთარ ვებგვერდზე, სადაც უკვე განთავსებული იქნება მონაწილეობითი ბიუჯეტების პროგრამა, უნდა უზრუნველყოს ხმის მიცემის შესაძლებლობა. აქვე უნდა იყოს განთავსებული ხმის მიცემის პროცედურის დანვრილებითი აღწერა. ამ წესით გამარჯვებული პროექტების შერჩევის პროცედურის ორგანიზებულად წარმართვაზე, ხმის მიცემის პროცედურაზე და ვებგვერდის გამართულ მუშაობაზე პასუხისმგებელი უნდა იყოს მერიის შესაბამისი სამსახური, რომელსაც ევალება მერიის ონლაინ რესურსების გამართულ ფუნქციონირებაზე ზედამხედველობა.

წარდგენილი საპროექტო წინადადების თაობაზე გადანყვეტილების მიღების წესის არჩევა უნდა მოხდეს მუნიციპალიტეტის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით (მაგალითად, მუნიციპალიტეტის ინტერნეტიზაციის დონე და სხვა). პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს გადანყვეტილების მიღების იმ მექანიზმს, რომელიც უფრო მეტად უზრუნველყოფს მოქალაქეთა ჩართულობას და უკეთეს გამჭვირვალებას.

თავი 10. მონაწილეობითი ბიუჯეტების საინფორმაციო უზრუნველყოფა

ვინაიდან მონაწილეობითი ბიუჯეტების არსი ისაა, რომ მოსახლეობა თავად განსაზღვრავს საკუთარ საჭიროებებს და თავადვე წყვეტს, თუ რა პროექტები უნდა განხორციელდეს, აუცილებელია, დაიგეგმოს მძლავრი, ეფექტური და სხვადასხვა სამიზნე ჯგუფზე ორიენტირებული საინფორმაციო კამპანია იმისათვის, რომ მასში უფრო მეტი ადამიანი ჩაერთოს.

უნდა გვახსოვდეს, რომ მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის წარმატებით განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ის მიმდინარეობს გამჭვირვალედ და ასევე უზრუნველყოფილია პროცესში მოქალაქეთა მაქსიმალური ჩართულობა.

საკომუნიკაციო გუნდმა კამპანიის დაგეგმვისას აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, რომ:

1. მოქალაქეები სრულად და დეტალურად უნდა იყვნენ ინფორმირებული მონაწილეობითი ბიუჯეტის არსის, მასში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმებისა და შესაძლებლობების, გადანყვეტილების მიღების წესისა და პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტების შესახებ;
2. მონაწილეობითი ბიუჯეტების პროცესი უნდა განხორციელდეს გამჭვირვალედ, წინასწარ განერილი წესების შესაბამისად; ინფორმაცია წესების თაობაზე მოსახლეობას უნდა მიეწოდოს პროცესის დაწყებამდე და გზადაგზა არ უნდა იცვლებოდეს;
3. მოსახლეობა საწყის ეტაპზევე ინფორმირებული უნდა იყოს როგორც მონაწილეობითი ბიუჯეტების თემატური პრიორიტეტების, ისე ტერიტორიული დაგეგმვის, პროექტების შერჩევის მეთოდის, მუნიციპალიტეტის კომპეტენციებისა და მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმების თაობაზე;
4. მონაწილეობითი ბიუჯეტების არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ პროექტების წარდგენით, ან კონკურენტ პროექტებს შორის ერთ-ერთის ამორჩევით. ის უნდა ეფუძნებოდეს მოსახლეობის აქტიურობას და წარმომადგენდეს მოქალაქეებს შორის გამართული დისკუსიების შედეგს; მუნიციპალიტეტმა მოქალაქეებს უნდა მისცეს

რაც შეიძლება მეტი შესაძლებლობა და სივრცე თანამშრომლობისათვის, მათ შორის, ადგილობრივი საჭიროებების განხილვის, პროექტების მომზადების, ხარჯების ეფექტიანობის განხილვის, პროექტების შერჩევისა და მათი განხორციელების პერიოდში.

10.1 საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავება

მონაწილეობითი ბიუჯეტირების საინფორმაციო უზრუნველყოფისათვის, პირველ რიგში, აუცილებელია, რომ მუნიციპალიტეტმა შეიმუშაოს საკომუნიკაციო სტრატეგია, რომელიც განსაზღვრავს მის მიზნებს, ამოცანებსა და განხორციელების გზებს.

კონკრეტულად, რისგან უნდა შედგებოდეს მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის საკომუნიკაციო სტრატეგია?

უპირველესად, სტრატეგიამ უნდა განსაზღვროს, თუ რა მიზნის მიღწევა სურს მუნიციპალიტეტის მერიას მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის დანერგვისას, ამ მიზნის მისაღწევად რა ამოცანებს ისახავს, ასევე კონკრეტულად რა ღონისძიებებს/საინფორმაციო კამპანიებს გეგმავს ამ ამოცანების შესასრულებლად და სტრატეგიით განსაზღვრული მიზნის მისაღწევად.

ნაბიჯი I - ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი

პირველი, რითაც საკომუნიკაციო გუნდმა სტრატეგიის მომზადება უნდა დაიწყო, არის ინფორმაციის შეგროვება. ინფორმაცია უნდა მოიცავდეს:

1. მუნიციპალიტეტის შესახებ ზოგად ინფორმაციას, მათ შორის, დეტალებს ადმინისტრაციული მოწყობის შესახებ;
2. მოსახლეობის რაოდენობის შესახებ ყველა მონაცემს, მათ შორის, ასაკობრივსაც, გენდერულსაც და ასევე ეთნიკური უმცირესობების ჭრილშიც, თუკი ასეთი მონაცემები მუნიციპალიტეტს მოეპოვება;
3. მუნიციპალიტეტში მოქმედი არასამთავრობო, სათემო და მედიაორგანიზაციების, ასევე აქტიური სამოქალაქო ჯგუფების, გენდერული და ახალგაზრდული საბჭოების, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოებისა და სხვათა შესახებ სრულ ინფორმაციას;
4. მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის შესახებ სრულ ინფორმაციას.
5. ამ ინფორმაციის შეგროვება და ერთიან ფორმატში წარმოდგენა აუცილებელია, რათა სწორად შედგეს swot-ანალიზი, რომელიც საკომუნიკაციო სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი ნაწილია.

ნაბიჯი II - SWOT-ანალიზის მომზადება

დასახული სტრატეგიული მიზნის/მიზნების მისაღწევად საკმარისი არ არის მხოლოდ კონკრეტული საინფორმაციო კამპანიების დაგეგმვა. იმისათვის, რომ სწორად გაინეროს მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის საკომუნიკაციო სტრატეგია და მისგან გამომდინარე - საინფორმაციო კამპანია/კამპანიებიც, უპირველესად, საჭიროა ორგანიზაციის ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების დეტალური ანალიზი.

SWOT-ანალიზი ზრდის იმის შესაძლებლობას, რომ ახალი მუნიციპალური პროგრამა მაქსიმალურად იქნება ორიენტირებული შედეგზე-ძლიერი და სუსტი მხარეების შესწავლა და გარემოს ანალიზი კი დაეხმარება საკომუნიკაციო გუნდს, რათა მან სწორად დასახოს მიზნები, კარგად დაგეგმოს და შემდგომში ეფექტიანად განახორციელოს საინფორმაციო კამპანია/კამპანიები.

როგორც წესი, swot-ანალიზი შემდეგი კომპონენტებისგან შედგება: ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები.

ძლიერი და სუსტი მხარეები - ამ ნაწილში უნდა განისაზღვროს, თუ რა ძლიერი და სუსტი მხარეები აქვს თავად მუნიციპალიტეტს და მის ადმინისტრაციულ ორგანოს (მერიას/საკრებულოს). მაგალითად, აქვს თუ არა მუნიციპალიტეტის ორგანოს მაღალი ცნობადობა საზოგადოებაში? რამდენად მაღალია მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და თანამდებობის პირთა სანდოობა? აქვს თუ არა მუნიციპალიტეტს მოქალაქეთა მონაწილეობით პროექტების განხორციელების გამოცდილება? აქვს თუ არა თვითმმართველობის ორგანოს გამართული საკომუნიკაციო არხები? თანამშრომლობს თუ არა იგი ადგილობრივ არასამთავრობო თუ სათემო ორგანიზაციებთან, ლაგებთან, სამოქალაქო ჯგუფებთან და აქტივისტებთან? გამოვლენილი ჰყავს თუ არა აქტიური მოქალაქეები? არსებობს თუ არა მუნიციპალიტეტში მერთან არსებული სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, გენდერული საბჭო, ახალგაზრდული საბჭო და ა.შ., რომლებიც მუნიციპალურ ორგანოსთან ერთად ჩართულნი არიან გადაწყვეტილების მიღების პროცესში? აქვთ თუ არა მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეებს ახალი პროგრამის შესახებ საკმარისი ცოდნა და მზაობა მონაწილეობით ბიუჯეტირებაზე გადასასვლელად? აქვს თუ არა თვითმმართველობის ორგანოს საკმარისი ადამიანური და ტექნიკური რესურსი საინფორმაციო კამპანიების სანარმოებლად (ძირითადად, იგულისხმება, თუ რამდენად გამართულია საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურები)?

მიუხედავად იმისა, რომ swot-ანალიზის შედგენისას, ტრადიციულად, მხოლოდ კონკრეტული ორგანიზაციის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა ხდება, საკომუნიკაციო გუნდს მოუწევს მუნიციპალიტეტში არსებული ვითარე-

ბის შეფასებას, ვინაიდან საქმე ეხება არა მხოლოდ კონკრეტულად მერს ან საკრებულოს, არამედ მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის საკომუნიკაციო სტრატეგიასაც, რომლის უმთავრესი აქტორი მოქალაქეა. ამიტომაც, შესასწავლი იქნება, აქვთ თუ არა მუნიციპალიტეტის მცხოვრებლებს ცოდნა ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმების შესახებ? რამდენად პასიურები ან აქტიურები არიან ისინი საჯარო საკითხების გადაწყვეტისას? განიცდის მუნიციპალიტეტი სამოქალაქო ინიციატივათა ნაკლებობას თუ პირიქით?

ეს იმ კითხვების ნაწილია, რომელთა შემოწმებითაც swot-ანალიზისას საკომუნიკაციო საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს შეუძლიათ მუნიციპალიტეტის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოკვეთა.

შესაძლებლობები - შესაფასებელია ის შესაძლებლობები, რომლებსაც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო იყენებს მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის წარმატებით განსახორციელებლად. მაგალითად, შესაძლებელია თუ არა ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მედიასთან თანამშრომლობის გაძლიერება? ანდა მუნიციპალიტეტში არსებული რესურსების (მაგალითად, ახალგაზრდული ცენტრი, სამოქალაქო მრჩეველთა და გენდერული საბჭოები, სხვა სამოქალაქო და სათემო ჯგუფები, რომლებიც მუნიციპალიტეტში არსებობს) ჩართვა მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის დანერგვა-განხორციელებაში? აქვს თუ არა მუნიციპალიტეტს შესაძლებლობა, გააუმჯობესოს პირდაპირი კომუნიკაცია მოქალაქეებთან? შეუძლია თუ არა მუნიციპალურ ორგანოს ონლაინ რესურსების უკეთესი და უფრო ეფექტური გამოყენება მოქალაქეთა მონაწილეობის გასაზრდელად და სხვა.

საფრთხეები - საფრთხეების გაანალიზებისას, ცხადია, პირველ რიგში, გარეფაქტორების ანალიზი უნდა მოხდეს. მაგალითად, როგორია პოლიტიკური გარემო ზოგადად და კონკრეტულად იმ მუნიციპალიტეტში, სადაც პროგრამა იწვევება? შესაძლებელია თუ არა, რომ ეს გარემო პროგრამის წარმატებისთვის ხელის შემშლელ პირობად იქცეს (მაგალითად, საარჩევნო წელი, პროგრამის დაკავშირება ამომრჩეველთა მოსყიდვასთან და სხვა)? თუკი მუნიციპალიტეტის მცხოვრებლები გამოირჩევიან დაბალი საზოგადოებრივი აქტიურობით, შეიძლება თუ არა, რომ ეს იქცეს საფრთხედ? ე.ი. მოქალაქეების შესაძლო პასიურობა შეიძლება თუ არა გამოიხატოს, ერთი მხრივ, პროექტების სიმწირეში, მეორე მხრივ კი, პროექტების შერჩევისას მოქალაქეთა დაბალ ჩართულობაში? ხომ არ არსებობს პროგრამის შებლუდული არეალი, რამაც, შესაძლოა, მუნიციპალიტეტის სხვა დასახლებების მცხოვრებთა უკმაყოფილება გამოიწვიოს?

როდესაც ვსაუბრობთ საფრთხეების არსებობაზე, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს, შესაძლოა, მხოლოდ გარეფაქტორებზე არ

იყოს დამოკიდებული. ამიტომაც საკომუნიკაციო გუნდმა კარგად უნდა შეაფასოს მუნიციპალური ორგანოს სუსტი მხარეები - ხომ არ იქცევა რომელიმე მათგანი პროგრამის წარმატებით განხორციელებისთვის საფრთხედ და ბარიერად? მაგალითად, თუკი მუნიციპალიტეტის ორგანოებს მოქალაქეთა მონაწილეობით პროექტების განხორციელების ნაკლები გამოცდილება აქვთ, ანდა მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამაში ჩართულ მოხელეებსა თუ სხვა პირებს არ აქვთ სრულფასოვანი ცოდნა თავად პროგრამის შესახებ, მაშინ არსებობს საფრთხე, რომ მოქალაქემდე ინფორმაცია არასრულად, ან არასწორად მივიდეს. არსებობს თუ არა შეუსრულებელი დაპირებები, რომელთა განხორციელებაც მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო? ხომ არ მოხდება მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის გაიგივება სოფლის მხარდაჭერის პროგრამასთან? ყოველივე ამან, შესაძლოა, გაზარდოს პროგრამის წარუმატებლობის რისკები.

ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების განსაზღვრა გარემოს გულწრფელ ანალიზს უნდა ეფუძნებოდეს. ვითარების არასრულად, არასწორად ან შელამაზებულად წარმოჩენა მუნიციპალიტეტს ვერ დააზღვევს რისკებისგან, საკომუნიკაციო გუნდს კი გაუჭირდება საინფორმაციო კამპანიის ისე დაგეგმვა, რომ წარმატებას მიაღწიოს!

ნაბიჯი III - სტრატეგიული მიზნის/მიზნების განსაზღვრა

მიზანი უნდა იყოს მკაფიო და პასუხობდეს კითხვას - რა შედეგის მიღება მსურს? მიზნის სწორად და მკაფიოდ ჩამოყალიბება უმთავრესია, ვინაიდან სწორედ მიზნის მიღწევამზე ორიენტირებული საინფორმაციო კამპანია/ები, რომლის დაგეგმვაც საკომუნიკაციო გუნდს მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის ეფექტურად განსახორციელებლად სჭირდება.

რა შეიძლება იყოს მონაწილეობითი ბიუჯეტის სტრატეგიული მიზანი/მიზნები? ეს შეიძლება იყოს:

სტრატეგიული მიზანი N1: **მონაწილეობითი ბიუჯეტის არსის შესახებ მოქალაქეთა ინფორმირებულობის გაზრდა;**

სტრატეგიული მიზანი N2: **მოქალაქეთა მონაწილეობის გაზრდა მუნიციპალური ბიუჯეტის დაგეგმვისა და პროექტების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში;**

სტრატეგიული მიზანი N3: **მუნიციპალიტეტის ორგანოებსა და მოსახლეობას შორის უკეთესი კომუნიკაციის ჩამოყალიბება;**

ნაბიჯი IV - სამიზნე აუდიტორია;

სამიზნე აუდიტორიის სწორად განსაზღვრა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია იმისათვის, რათა დაიგეგმოს ეფექტური საინფორმაციო კამპანია და ამ პროცესში ჩაერთოს მაქსიმალურად მეტი ადამიანი და სამიზნე ჯგუფი.

აუდიტორიის განსაზღვრისას საკომუნიკაციო გუნდმა, პირველ რიგში, კარგად უნდა შეისწავლოს მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამა და მასთან დაკავშირებული ნორმატიული ბაზა - მისი განხორციელების არეალი (შესაძლებელია, ის არ ხორციელდებოდეს მთელი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მხოლოდ რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულს მოიცავდეს), პროგრამაში მონაწილეობის მიღების ასაკობრივი ჭრილი (როგორც წესი, მონაწილეობით ბიუჯეტირებაში ჩართვა შეუძლიათ 14 წლიდან ზემოთ მოქალაქეებს, თუმცა, ეს თავად მუნიციპალიტეტის გადასაწყვეტია) და სხვა.

თუ მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამა საპილოტეა და იგი მხოლოდ რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელდება, ცხადია, პირველად სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენენ სწორედ ამ ადმინისტრაციული ერთეულების მცხოვრებლები, თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტის სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრებ მოქალაქეებს პროგრამის შესახებ ინფორმაცია არ უნდა მიეწოდებოდეთ. მეორად აუდიტორიასთან საინფორმაციო კამპანიის წარმოება ისევე აუცილებელია, როგორც პირველადთან. გასათვალისწინებელია, რომ მომდევნო წლებში, სავარაუდოდ, პროგრამის არეალი გაიზრდება, ამიტომაც მეორად აუდიტორიასთან განეული სამუშაო წინაგდებული საქმეა - მოქალაქეებს უკვე ეცოდინებათ მონაწილეობითი ბიუჯეტირების არსი და სხვა ადმინისტრაციულ ერთეულ(ებ)ში ამ პროგრამით მიღებული სიკეთეები.

საკრებულოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტით, სავარაუდოდ, განსაზღვრული იქნება, თუ რომელი ასაკიდან შეეძლება მოქალაქეებს მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამაში ჩართვა. ამიტომ საინფორმაციო კამპანიის დაგეგმვისას აუცილებელია, გათვალისწინებული იყოს თითოეული ასაკობრივი ჯგუფი, მათი ინტერესები, მათთვის მისაღები და ხელმისაწვდომი საკომუნიკაციო არხები და სხვა.

გასათვალისწინებელია, აგრეთვე, მიგრაციის საკითხიც. როგორც წესი, საქართველოს მუნიციპალიტეტებიდან 18-24 წლის ახალგაზრდების მიგრაცია ყველაზე მაღალია. ისინი სასწავლებლად სხვადასხვა ქალაქში მიდიან, თუმცა, მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამაში ჩართვა მათ ისევე უნდა შეეძლოს, როგორც მუნიციპალიტეტში მუდმივად მცხოვრებ სხვა ადამიანებს. ამიტომაც ამ ჯგუფისთვის ინფორმაციის მისაწოდებლად და

პროგრამაში ჩასართველად შესაბამისი საკომუნიკაციო არხები უნდა იყოს გამოყენებული. ამ შემთხვევაში ყველაზე ეფექტური ონლაინ რესურსები იქნება.

საკომუნიკაციო სტრატეგია უნდა ითვალისწინებდეს ისეთი მონყვლადი ჯგუფების გააქტიურებას, როგორებიცაა: ეთნიკური უმცირესობები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, პენსიონერები, ქალები, რომელთა გადანყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის დონე, გარკვეულ მუნიციპალიტეტებში და გარკვეული სტერეოტიპების გამო, ჯერ კიდევ ძალიან დაბალია. აუცილებელია, რომ საკომუნიკაციო გუნდის მიერ დაგეგმილი ყოველი საინფორმაციო კამპანია თითოეულ ამ ჯგუფზე მკაფიოდ იყოს გათვლილი.

ნაბიჯი V - საკომუნიკაციო არხების განსაზღვრა

კიდევ ერთი ნაბიჯი, რაც საკომუნიკაციო სტრატეგიის შედგენისას აუცილებელია, ეს არის საკომუნიკაციო არხების სწორად განსაზღვრა. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს:

- ✓ პირდაპირი შეხვედრები მოსახლეობასთან;
- ✓ „კარდაკარ“ კომუნიკაცია, მოხალისეები;
- ✓ სმს-სერვისი;
- ✓ ოფიციალური ვებგვერდი;
- ✓ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (მერიის/საკრებულოს) ოფიციალური გვერდები სოციალურ ქსელში და სოციალური მედია;
- ✓ ტრადიციული საკომუნიკაციო საშუალებები (ქუჩის ბანერები, სარეკლამო კამპანიები), ბეჭდური და სატელევიზიო მედია.

10.2 საინფორმაციო კამპანიის დაგეგმვა

თუ საკომუნიკაციო გუნდი ზედმინვნით სწორად შეასრულებს ზემოთ ჩამოთვლილ სამუშაოებს, მას აღარ გაუჭირდება ეფექტური საინფორმაციო კამპანიის დაგეგმვა. მთავარია, გუნდს ახსოვდეს, რომ კამპანიის ფარგლებში დაგეგმილი თითოეული ღონისძიება მას უნდა აახლოებდეს სტრატეგიით დასახული მიზნის მიღწევასთან. ეს მიზანი კი, უმთავრესად, მოქალაქეთა მონაწილეობით მუნიციპალური ბიუჯეტის დაგეგმვა და გადანყვეტილების მიღების პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვაა.

ამასთან, თავიდანვე უნდა იყოს გააზრებული, რომ გარკვეულ ვადაში ერთჯერადად ჩატარებული საინფორმაციო კამპანია უშედეგოა. ის აუცილებლად განგრძობადი უნდა იყოს და რამდენიმე კომპონენტს მოიცავდეს.

ეს კომპონენტებია:

- ✓ საინფორმაციო კამპანია თავად მონაწილეობითი ბიუჯეტის არსის შესახებ;
- ✓ საინიციატივო ჯგუფების მიერ წარდგენილი საპროექტო წინადადების შესახებ მოქალაქეთა ინფორმირება;
- ✓ საპროექტო წინადადების კენჭისყრა;
- ✓ გამარჯვებული საპროექტო წინადადების შესახებ მოქალაქეთა ინფორმირება;
- ✓ გამარჯვებული საპროექტო წინადადების განხორციელების შესახებ მოქალაქეთა ინფორმირება.

კამპანიის დაგეგმვისას გასათვალისწინებელია, თუ რომელი პრინციპით - თემატური თუ ტერიტორიული - ახორციელებს მუნიციპალიტეტი მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამას, რადგან, თუკი ტერიტორიული პრინციპით განხორციელების შემთხვევაში, მაგალითად, ე.წ. „კარდაკარის მეთოდი“ ინფორმაციის გავრცელების კარგი ხერხია, თემატური პრინციპით განხორციელების შემთხვევაში ეს მეთოდი საერთოდ გამოუსადეგარია. ანდა პირიქით, - თუკი თემატური პრინციპით განხორციელებისას აქცენტი, ძირითადად, კონკრეტულ სამიზნე ჯგუფებთან (ახალგაზრდულ ჯგუფებთან, შშმ პირებთან, განათლების ან კულტურის სფეროს წარმომადგენლებთან, მენარმეებთან და ა.შ.) ინტენსიურ შეხვედრებზე უნდა გაკეთდეს, ტერიტორიული პრინციპით პროგრამის განხორციელებისას ეს, შესაძლოა, გამოყენებული იყოს მხოლოდ მონაწილეობის გაზრდის დამხმარე ინსტრუმენტად.

კამპანიის დაგეგმვისას აუცილებლად გასათვალისწინებელია თავად მუნიციპალიტეტისა თუ იქ მცხოვრებთა თავისებურებები და ტრადიციები. მაგალითად, დღის რომელ მონაკვეთში და როგორ გარემოშია უფრო სასურველი შეხვედრის გამართვა? რა ჯობია, ამ შეხვედრას გაუძღვს ადგილობრივი მხარდაჭერი, ვისაც თემში ენდობიან და რომელსაც მაღალი ავტორიტეტი გააჩნია, თუ მონაწილეობითი ბიუჯეტირების საბჭოს/ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელი (მაგალითად, მერის წარმომადგენელი ადმინისტრაციულ ერთეულში)? შეიძლება თუ არა, ინფორმაციის გასავრცელებლად გამოვიყენოთ ადგილობრივი დღეობები და დღესასწაულები? რომელი საკომუნიკაციო არხების გამოყენებაა უკეთესი ამა თუ იმ კონკრეტულ დასახლებაში და სხვა.

თავიდანვე კარგად უნდა გავიაზროთ, თუ როგორ გარემოში იწყება კამპანია - საკომუნიკაციო გუნდს ჰყავს თუ არა გამოვლენილი პოტენციური მოკავშირეები და მონაწილეობის მისაღწევად? კამპანიის დაწყებისას მათ წინასწარ უნდა იცოდნენ პასუხები შემდეგ კითხვებზე:

- ✓ როგორი დამოკიდებულება აქვს სხვადასხვა მხარეს ერთმანეთთან და როგორია მათი დამოკიდებულება მუნიციპალური ორგანოების მიმართ, შეუძლიათ თუ არა მათ ურთიერთთანამშრომლობა?
- ✓ რამდენად ექნებათ მონაწილე მხარეებს სურვილი და საშუალება, დაეხმარონ პროგრამას, ან ხელი შეუშალონ მის განხორციელებას, შესაბამისად, ჩაერთონ მასში, ან ბოიკოტი გამოუცხადონ მას?
- ✓ რომელ მხარეებზე კონცენტრირება მოიტანს სასურველ შედეგს? შესაძლებელია თუ არა ნეიტრალური მხარის მხარდამჭერად გარდაქმნა და რა მეთოდების გამოყენებაა ამისთვის საჭირო?

მაგრამ მთავარი, რაც აუცილებლად შესასრულებელია, არის კამპანიის განგრძობითობა - თუკი მუნიციპალიტეტი მართლაც დაინტერესებულია, რომ პროგრამამ მოიპოვოს სანდოობა და მასში მოქალაქეთა ჩართულობა მაქსიმალურად მაღალი იყოს, მაშინ მისი განხორციელების თითოეულ ეტაპზე მოსახლეობა უნდა ფლობდეს სრულ და უტყუარ ინფორმაციას!

10.3 მონაწილეობითი ბიუჯეტირების საინფორმაციო მხარდაჭერა პროცესის ეტაპების მიხედვით

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საინფორმაციო კამპანია განგრძობადი უნდა იყოს და რამდენიმე კომპონენტს უნდა მოიცავდეს. ეს კომპონენტებია:

- ✓ საინფორმაციო კამპანია მონაწილეობითი ბიუჯეტირების არსის შესახებ;
- ✓ საინიციატივო ჯგუფების მიერ წარდგენილი საპროექტო წინადადების შესახებ მოქალაქეთა ინფორმირება;
- ✓ საპროექტო წინადადების კენჭისყრა;
- ✓ გამარჯვებული საპროექტო წინადადების შესახებ მოქალაქეთა ინფორმირება;
- ✓ გამარჯვებული საპროექტო წინადადების განხორციელების შესახებ მოქალაქეთა ინფორმირება.

საინფორმაციო კამპანიის პირველი ეტაპი - მოქალაქეთა ინფორმირება ტერიტორიული პრინციპით მონაწილეობითი ბიუჯეტების არსის შესახებ

მონაწილეობითი ბიუჯეტების არსის შესახებ მოქალაქეთა ინფორმირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ მუნიციპალიტეტებისთვის, რომლებიც ახლა ნერგავენ აღნიშნულ პროგრამას. ამიტომაც ადგილობრივი თვითმმართველობისა და მონაწილეობითი ბიუჯეტების საბჭოს უპირველესი ამოცანა უნდა იყოს, წარმართოს აქტიური საინფორმაციო კამპანია და მოქალაქეებს მკაფიოდ აუხსნას, თუ რას ნიშნავს აღნიშნული პროგრამა და რას მისცემს ამ პროგრამის განხორციელება მოსახლეობას.

აღნიშნული კამპანიის სწორად წარმართვა, ერთი მხრივ, გახდება მოქალაქეთა აქტიურობის გაზრდის საფუძველი, ხოლო მეორე მხრივ, შეამცირებს იმ საფრთხეებს, რომლებიც პროგრამის განხორციელებისას, შესაძლოა, წარმოიშვას (იხ. Swot-ანალიზი).

კამპანიის პირველ ეტაპზე საკომუნიკაციო გუნდმა მუნიციპალიტეტის მასშტაბით უნდა ჩაატაროს მძლავრი საინფორმაციო კამპანია მონაწილეობითი ბიუჯეტის რაობის, მისი პრიორიტეტების, პროცედურების, საპროექტო წინადადების წარდგენისა და გადაწყვეტილების მიღების მექანიზმების თაობაზე.

კამპანიის ფარგლებში მოქალაქეებისთვის მისაწოდებელი ინფორმაცია უნდა შეიცავდეს:

1. მონაწილეობითი ბიუჯეტის არსს, მის ძირითად პრინციპებსა და პროცედურებს;
2. მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამისთვის დადგენილ პრიორიტეტებს;
3. მონაწილეობითი ბიუჯეტის დაგეგმვის ზონებს;
4. პროექტების წარდგენის, განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის ფორმებსა და წესებს;
5. საპროექტო წინადადების წარდგენის ვადებს;
6. კენჭისყრის პროცედურას;
7. მონაწილეობითი ბიუჯეტის განხორციელების პროცესში მოქალაქეების მხრიდან მონიტორინგის შესაძლებლობებს;
8. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების შესახებ ინფორმაციას.

ტერიტორიული პრინციპით მონაწილეობითი ბიუჯეტების კამპანიის ჩატარების ვადები სხვადასხვა მუნიციპალიტეტში განსხვავებული შეიძლება იყოს და ის ინდივიდუალურად უნდა განისაზღვროს თითოეული მუნიციპალიტეტის მახასიათებლების მიხედვით (კლიმატური პირობები, სეზონური სამუშაო და სხვა).

მოქალაქეთა ინფორმირება თემატური პრინციპით მონაწილეობითი ბიუჯეტების არსის შესახებ

თემატური მონაწილეობითი ბიუჯეტების ძირითადი აქტორები არიან სხვადასხვა სამიზნე ჯგუფები, ამიტომ კამპანია, პირველ რიგში, უნდა იყოს მიმართული იმ ჯგუფებზე, რომლებიც მერიამ პრიორიტეტულად მიიჩნია, თუმცა, მონაწილეობითი ბიუჯეტების შესახებ ინფორმაცია უნდა მიეწოდოს მთელ მოსახლეობას, ვინაიდან გამარჯვებული საპროექტო წინადადების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება არ ხდება მხოლოდ ამ ვიწრო ჯგუფების მიერ.

კამპანიის ფარგლებში მოქალაქეებისთვის მისაწოდებელი ინფორმაცია უნდა შეიცავდეს:

- მონაწილეობითი ბიუჯეტების ძირითად პრინციპებსა და პროცედურებს;
- მერიის მიერ დადგენილ მონაწილეობითი ბიუჯეტების თემატურ პრიორიტეტებს;
- პროექტების წარდგენის, განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის ფორმებსა და წესებს;
- მონაწილეობითი ბიუჯეტის განხორციელების პროცესში მოქალაქეთა მხრიდან მონიტორინგის შესაძლებლობებს;
- მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების შესახებ ინფორმაციას.

საინფორმაციო კამპანიის მეორე ეტაპი - საინიციატივო ჯგუფების მიერ წარდგენილი საპროექტო წინადადების შესახებ მოქალაქეთა ინფორმირება

წინასწარ უნდა შემუშავდეს საინფორმაციო კამპანიის გეგმა, რათა მუნიციპალიტეტის მერიამ წარდგენილი ყველა საპროექტო იდეის შესახებ ინფორმაცია მივიდეს მაქსიმალურად ბევრ ადამიანამდე.

გახსოვდეთ, რომ საბოლოო გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ რომელი საპროექტო იდეა განხორციელდება, იღებს ხალხი. იმისათვის კი, რომ მათ შეძლონ ინფორმირებული არჩევნის გაკეთება, აუცილებელია, რომ მათ თითოეული საპროექტო იდეის შესახებ ინფორმაცია, საინიციატივო ჯგუფებთან ერთად, თქვენც მაქსიმალურად მიანოდოთ.

ამისათვის აუცილებელია დაიგეგმოს როგორც საჯარო განხილვები, ისე სატელევიზიო დისკუსიები.

საინფორმაციო კამპანიის მესამე ეტაპი - საპროექტო წინადადების კენჭისყრა

თუ საპროექტო წინადადების შერჩევა მოსახლეობის მიერ პირდაპირი კენჭისყრის გზით, ანდა ონლაინ ხმის მიცემით ხდება, უნდა ჩატარდეს მძლავრი საინფორმაციო კამპანია, რათა მოქალაქეთა აქტივობა მაღალი იყოს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, რომ მოქალაქეებმა მონაწილეობა მიიღონ კენჭისყრის პროცედურაში. კამპანიის მთავარი ამოცანაა მოქალაქეების იმაში დარწმუნება, რომ მათ ხმას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ამასთან, კენჭისყრის დაწყებამდე, მათ მკაფიოდ უნდა განემარტოთ, თუ როგორ წარიმართება აღნიშნული პროცედურა.

თუ საპროექტო წინადადებას საბჭო არჩევს, საკომუნიკაციო გუნდს დიდი ძალისხმევის განევა მოუწევს იმისათვის, რომ პროცესი მაქსიმალურად გამჭვირვალედ და სანდო გარემოში წარიმართოს. ეს გაცილებით რთული მისაღწევია, მით უფრო მაშინ, როცა არ არსებობს პროექტების ამგვარად შერჩევის გამოცდილება, დაბალია ნდობა თავად უწყებებისადმი, ხოლო მოსახლეობა უშუალოდ არ მონაწილეობს საპროექტო წინადადების შერჩევის პროცესში. ამიტომაც არის აუცილებელი, რომ ამ წესით პროექტების შერჩევისას საკომუნიკაციო გუნდმა უზრუნველყოს მაქსიმალური გამჭვირვალობა. ამისათვის შესაძლებელია საბჭოს სხდომების პირდაპირ ეთერში ტრანსლირება სოციალური ქსელის მეშვეობით, რათა ყველა დაინტერესებულმა პირმა შეძლოს მისთვის თვალის მიდევნება. თავად სხდომას კი აუცილებლად უნდა ესწრებოდნენ როგორც საპროექტო წინადადების ავტორები, ისე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სათემო ჯგუფების წარმომადგენლები.

საინფორმაციო კამპანიის მეოთხე ეტაპი - გამარჯვებული საპროექტო წინადადების განხორციელების შესახებ მოქალაქეთა ინფორმირება

გამარჯვებული საპროექტო წინადადების გამოვლენის შემდეგ იწყება არანაკლებ მნიშვნელოვანი პროცესი. გარდა ანგარიშვალდებულებისა, რომელიც ადგილობრივ თვითმმართველობას მოქალაქეთა წინაშე აკისრია, პროგრამის მომდევნო წლებში წარმატებით გასაგრძელებლად აუცილებელია, მოსახლეობას მიენდოს დეტალური ინფორმაცია გამარჯვებული საპროექტო წინადადების განხორციელების პერსპექტივების შესახებ. თუმცა, არც არარეალური მოლოდინები არ უნდა შეიქმნას - მოსახლეობას უნდა განემარტოს, თუ რა პროცედურები აქვს გასავლელი მერიას საიმისოდ, რომ საპროექტო იდეა პროექტად იქცეს, რა ვადებში დაამტკიცებს მას

საკრებულო და შემდეგ რა ვადებში შეძლებს მერია აღნიშნული პროექტის განხორციელებას. ამასთან, მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რომ მას აქვს პროექტის განხორციელების პროცესის მონიტორინგის შესაძლებლობა. აგრეთვე, მოქალაქეებს უნდა განემარტოს, თუ როგორ შეძლებენ ისინი ამ პროცესებში ჩართვას.

კამპანიის ეს ნაწილი, შესაძლოა, ყველაზე ხანგრძლივიც კი აღმოჩნდეს. მოქალაქეებმა ინფორმაცია უნდა მიიღონ დროში დაგეგმილად და იმ ეტაპის შესაბამისად, რომელსაც გამარჯვებული საპროექტო იდეა კონკრეტულ მომენტში გადის.

10.4 მონაწილეობითი ბიუჯეტირების გზავნილები, სლოგანები და ლოგოები

სტრატეგიული მიზნების ჩამოყალიბებისა და საინფორმაციო კამპანიის დაგეგმვის პარალელურად, აუცილებლად უნდა შემუშავდეს სლოგანი და მთავარი გზავნილები. ამასთან, სლოგანიც და გზავნილებიც (ე.წ. მესიჯები) უნდა იყოს სამიზნე აუდიტორიისთვის გასაგები, მარტივი და არ უნდა იყოს ამოვარდნილი ყოველდღიური ლექსიკიდან.

საილუსტრაციოდ წარმოგიდგინთ რამდენიმე სლოგანს, რომლებიც სხვადასხვა დროს სხვადასხვა ქალაქში მონაწილეობითი ბიუჯეტირებისას გამოიყენებოდა:

- მოქალაქეთა ჩართულობა - ცვლილებები განვითარებისთვის;
- დროა ერთობლივი ბიუჯეტირებისა;
- მე ვიცნობ ჩემს ბიუჯეტს;
- კიოლნს სჭირდება მდგრადი იდეები ურბანული დაგეგმვისთვის;
- ბიუჯეტი - ეს თქვენი ფულია, ცოდნა - თქვენი პასუხისმგებლობა;
- რეალური ფული, რეალური პროექტები, რეალური ძალა/რეალური ხალხი;
- ხალხის ბიუჯეტი - გვინდა მოგიყვებ, თუ როგორ დაიხარჯა თქვენი ფული;
- აირჩიე და გადანყვიტე, როგორ დახარჯავ 1 მილიონს?
- სხვანაირი ქალაქიც შეიძლება (Another city is possible);

კარგი იქნება, თუკი, მთავარ სლოგანთან ერთად, სხვა სლოგანებიც და გზავნილებიც დაიყოფა კამპანიის ეტაპების შესაბამისად. მაგალითად, თუკი პირველ ეტაპზე მოქალაქეთა ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ მათი მონაწილეობა ბიუჯეტირების პროცესში მნიშვნელოვანია, ვინაიდან ისინი თავად დაგეგმვენ და შეცვლიან საკუთარ საცხოვრებელ გარემოს, მაშინ მთავარი ლოზუნგიც და გზავნილიც ამავე შინაარსს უნდა ატარებდეს. შემდეგ ეტაპზე, როცა საკომუნიკაციო გუნდი საპროექტო წინადადების წარდგენის კამპანიაზე გადავა, შესაძლებელია სლოგანი შეიცვალოს (მაგალითად, მე მაქვს იდეა ჩემი ქალაქისთვის/სოფლისთვის/ მუნიციპალიტეტისთვის (შეგიძლიათ, დააკონკრეტოთ ქალაქის, სოფლის, მუნიციპალიტეტის სახელი)). ამ ლოზუნგით და საპროექტო წინადადების ავტორთა მონაწილეობით შეიძლება მომზადდეს მცირე საინფორმაციო კლიპები, რომლებიც გამოდგება როგორც სოციალური ქსელისთვის, ისე სატელევიზიო სივრცისთვის. ამავე სლოგანით შესაძლებელია, აგრეთვე, მცირე საინფორმაციო ფურცლების დამზადება და მოსახლეობაში გავრცელება, რათა მოქალაქეებს ჰქონდეთ ინფორმაცია თითოეული საპროექტო იდეის შესახებ. განსაკუთრებით აუცილებელია, რომ თავად იდეასთან ერთად მისი ავტორი/ავტორთა ჯგუფიც წარმოჩინდეს. ეს მოსახლეობაში გააჩენს უფრო მეტ ინტერესს პროცესის მიმართ, აამაღლებს მოტივაციას მოქალაქეთა შორის, რათა ისინი პროგრამის მიმდინარეობაში თვითონაც ჩაერთონ.

კამპანიის შესაბამის - ხმის მიცემის ეტაპზე გადასვლისას, მთავარ ლოზუნგთან ერთად, შესაძლებელია, დამატებით ახალი სლოგანიც შემუშავდეს. (მაგალითად, მე ვირჩევ, ჩემი ქალაქი/სოფელი/მუნიციპალიტეტი იგებს). თუ ხმის მიცემის პროცესი გარკვეული პერიოდის განმავლობაში გრძელდება (მაგალითად, ელექტრონული ხმის მიცემის შემთხვევაში), კიდევ ერთი სლოგანის გამოყენებაც შეიძლება იმისათვის, რომ უფრო მეტი ყურადღება გამახვილდეს ხმის მიცემის პროცესზე და მოქალაქეებს კენჭისყრაში მონაწილეობის სურვილი გაუჩინდეთ (მაგალითად, მე უკვე მივეცი ხმა. შენ?).

კამპანიის დასკვნით - მეოთხე ეტაპზე კი საკომუნიკაციო გუნდს შეუძლია, გამარჯვებული საპროექტო წინადადების განხორციელების შესახებ ინფორმაციის გავრცელებისას, გამოიყენოს სლოგანი: „მე/ჩვენ უკვე გავაკეთეთ XXX (მიუთითეთ, რა პროექტიც გაკეთდა) პროექტი. ახლა ჯერ შენზეა!“. ეს ეტაპი, ამავდროულად, გამოყენებული უნდა იყოს მომდევნო წლის მონაწილეობითი ბიუჯეტირების საინფორმაციო კამპანიის დასაწყებადაც.

10.5 საინფორმაციო კამპანიის ინსტრუმენტები

ყოველთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რამდენად ეფექტურად იწყება საინფორმაციო კამპანია. ცხადია, მუნიციპალიტეტი არ არის რომელიმე კერძო კომპანია, იგი არ აპირებს ბაზარზე ახალი პროდუქტის დანერგვას და ამიტომ, შესაძლოა, მან ვერ გამოიყენოს კამპანიის ყველა ის ინოვაციური ხერხი და მეთოდი, რასაც კერძო კომპანიები გამოიყენებდნენ. თუმცა, საკომუნიკაციო გუნდს შეუძლია, განსაკუთრებით კი კამპანიის პირველ ეტაპზე, მოაწყოს საინფორმაციო შტურმი ინფორმაციის გასავრცელებლად და ამისათვის კომუნიკაციის სხვადასხვა არხი ინტეგრირებულიად და გეგმაზომიერად გამოიყენოს.

10.5.1 ვებგვერდი, სოციალური ქსელები და ტრადიციული მედია

საინფორმაციო კამპანიის დაგეგმვისას მნიშვნელოვანია ყველა ამ ინსტრუმენტის გამოყენება, ვინაიდან თითოეულ მათგანს თავისი განსაკუთრებული როლი აქვს.

ვებგვერდი - კარგი იქნება, თუ ახალი პროგრამისთვის ცალკე შეიქმნება მონაწილეობითი ბიუჯეტირების ვებგვერდი, რომელზეც განთავსდება ყველა ინფორმაცია პროგრამის თაობაზე - ნორმატიული ბაზა, სიახლეები, შეხვედრების გრაფიკი, პრესრელიზები და, რაც მთავარია, თავად საპროექტო წინადადები. ეს დაინტერესებულ პირებს გაუადვილებს ინფორმაციის მიღებას. თუ საპროექტო წინადადების შერჩევა ელექტრონული ხმის მიცემით ხდება, ცხადია, ვებგვერდს ეს ფუნქციაც აუცილებლად უნდა ჰქონდეს.

სოციალური ქსელები - ვებგვერდისგან განსხვავებით, სოციალური ქსელით ინფორმაციის გავრცელებისას საკომუნიკაციო გუნდს მეტი თავისუფლება ეძლევა. სოციალური მედიით უფრო თამამი სოციალური კამპანიების დაგეგმვაა შესაძლებელი. აუცილებელია, რომ აქ, ვებგვერდისგან განსხვავებით, საკომუნიკაციო გუნდი მოერიდოს ოფიციალური ენით საუბარს, არ გამოაქვეყნოს ოფიციალური დოკუმენტები, მოერიდოს მშრალი პრესრელიზების გავრცელებას.

სოცმედიით კამპანია უნდა დაიგეგმოს ისე, რომ მოსახლეობას ინფორმაცია მიენოდოს გაცილებით საინტერესოდ - ფოტოსურათებისა და ცოცხალი ენით დანერგილი მოკლე ამბების საშუალებით. მოამზადეთ მცირე ზომის ვიდეო-

რგოლები და მოუყვებით თქვენი გვერდის მომხმარებლებს, თუ როგორ დაიწყო და მიმდინარეობს პროცესი, ვინ არიან ის ადამიანები, რომლებიც მონაწილეობით ბიუჯეტირებაში ჩაერთნენ, რა იდეები და ინიციატივები აქვთ მათ, როგორ შეცვლის მათი საპროექტო იდეა იმ გარემოს, რომელშიც ისინი ცხოვრობენ.

ტრადიციული მედია - მიუხედავად იმისა, რომ სოციალური ქსელების მომხმარებელთა რაოდენობა ჩვენს ქვეყანაშიც დიდია, ინფორმაციის მიღების ძირითად წყაროდ საქართველოში მაინც ჯერ კიდევ ტრადიციული მედია რჩება. ამიტომაც ამ საკომუნიკაციო არხის გამოყენების გარეშე ინფორმაციის სასურველ აუდიტორიამდე მითანა, ცხადია, გაჭირდება.

კამპანიის დაწყებამდე საკომუნიკაციო გუნდმა უნდა შეადგინოს მედიაგეგმა, განსაზღვროს, რა სახის ინფორმაციის მიწოდებას აპირებს იგი მოსახლეობისათვის ტელევიზიისა და პრესის მეშვეობით და რომელი მედიასაშუალებები (ტელევიზია, რადიო, პრესა) უფრო მეტად გამოადგება მას ამ ინფორმაციის მიზნობრივ აუდიტორიამდე მისატანად. კარგი იქნება, თუ აქცენტი გაკეთდება იმ მუნიციპალიტეტსა თუ რეგიონში მოქმედ მედიაზე, სადაც მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამა მიმდინარეობს. უნდა შეიქმნას მეტი საინფორმაციო საბაბი პროგრამის მიმდინარეობის გასაშუქებლად. უნდა დაიგეგმოს სტატიები, ინტერვიუები და დისკუსიები, რომლებშიც მიიღებენ მონაწილეობას არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირები, ან მონაწილეობითი ბიუჯეტირების საბჭოს წევრები, არამედ მოქალაქეები და საპროექტო წინადადების ავტორებიც.

10.5.2 პირდაპირი კომუნიკაცია

მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციული და ახალი მედია ინფორმაციის გავრცელების კარგი ინსტრუმენტია, ის მოქალაქეებთან პირდაპირ კომუნიკაციას მაინც ვერ ჩაანაცვლებს. მერია უნდა გაითვალისწინოს, რომ პროგრამა, რომელსაც ის მუნიციპალიტეტში იწყებს, სრულიად ახალია. მოსახლეობის დიდ ნაწილს, ერთი მხრივ, არ აქვთ ინფორმაცია და გამოცდილება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მიიღოს მონაწილეობა ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტაში, მეორე მხრივ კი, მათ აქვთ უნდობლობა და ნიჰილიზმი ადმინისტრაციული ორგანოების მიმართ. ამ ვითარებაში პირდაპირ კომუნიკაციას ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა, რადგან მისი მეშვეობით შესაძლებელია, უფრო მეტი ადამიანი ჩაერთოს მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესში.

საკომუნიკაციო გუნდმა უნდა შეადგინოს მოსახლეობასთან შეხვედრების გეგმა-გრაფიკი. თუკი მონაწილეობითი ბიუჯეტირება ხორციელდება

ტერიტორიული პრინციპით, საორგანიზაციო ჯგუფს თითოეულ დასახლებაში მოუწევს რამდენიმე შეხვედრის ჩატარება. თუკი მონაწილეობითი ბიუჯეტირება ხორციელდება თემატური პრინციპით, მაშინ შესაბამის სამიზნე ჯგუფებთან შეხვედრები უნდა დაიგეგმოს მუნიციპალიტეტის მიერ დადგენილი პრიორიტეტების მიხედვით.

აღნიშნულ შეხვედრებზე მოქალაქეებმა უნდა:

1. შეიტყონ პროგრამის მთავარი არსის შესახებ, თუ როგორ შეძლებენ ისინი ბიუჯეტირებაში ჩართვას, საპროექტო წინადადების წარდგენას, როგორი იქნება გამარჯვებული იდეის გამოვლენის (ხმის მიცემის) პროცედურა;
2. დარწმუნდნენ იმაში, რომ მათი იდეები მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანია და გამარჯვების შემთხვევაში ეს იდეები აუცილებლად განხორციელდება;
3. გაიგონ, რომ მონაწილეობითი ბიუჯეტირების საბჭო დაეხმარება მათ საპროექტო წინადადების ჩამოყალიბებაში;
4. გაიგონ, რომ მათ მიეცემა შესაძლებლობა, ჩაერთონ დისკუსიებში, განიხილონ თითოეული საპროექტო იდეა და მიიღონ გადაწყვეტილება.

10.5.3 ტრადიციული საშუალებების გამოყენება - ქუჩის ბანერები, საინფორმაციო მასალა

ეს ერთ-ერთი ყველაზე აპრობირებული დამხმარე მასალაა იმისათვის, რომ მოქალაქეებმა უფრო დეტალური ინფორმაცია მიიღონ პროგრამისა და მისი ეტაპების შესახებ. მოსახლეობამ შეხვედრებისა და კარდაკარ კამპანიის დროს აუცილებლად უნდა მიიღოს ფლაერები და მცირე საინფორმაციო ბროშურები, რომლებშიც მარტივად და გასაგებ ენაზე იქნება განმარტებული თითოეული ეტაპი. ეს მათ, აგრეთვე, მიღებული ინფორმაციის უკეთ გააზრებაშიც დაეხმარება.

მსოფლიოს ბევრ ქალაქსა და მუნიციპალიტეტში, სადაც მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამა ხორციელდება, დგას სპეციალური სტენდები, რომლებზეც განთავსებულია მცირე ზომის პლაკატები და დამხმარე საინფორმაციო მასალა. ეს სტენდები ამ ქალაქებსა და სოფლებში დიდი პოპულარობით სარგებლობს. საკომუნიკაციო გუნდს შეუძლია, ასეთი სტენდები განათავსოს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში და მოსახლეობას დამატებითი ინფორმაცია ამ ფორმითაც მიანდოს.

გახსოვდეთ, რომ რაც უფრო მეტ ხერხს გამოიყენებთ მოქალაქეთა გასააქტიურებლად, მით უფრო მაღალი იქნება მათი ჩართულობა მონაწილეობითი ბიუჯეტებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

10.6 საინფორმაციო კამპანიის მიმდინარეობა

როგორც უკვე ვთქვით, მერიამ საინფორმაციო კამპანია უნდა დაიწყო სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის გამოყენებით. მაგალითად, საწყის ეტაპზე შესაძლებელია, მომზადდეს სოციალური რეგული მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის დაწყების შესახებ და სოციალური რეკლამის სტატუსით განთავსდეს ადგილობრივ ტელევიზიებში. მისი გამოყენება, აგრეთვე, შესაძლებელია სხვადასხვა ონლაინ-გამოცემასა თუ მერიისა და საკრებულოს სოც-გვერდებზეც (Facebook, Twitter, Youtube და სხვა).

სასურველია, მომზადდეს და გავრცელდეს მერის ვიდეო-მიმართვა, ან მერმა თავადვე ჩაატაროს პრესკონფერენცია, თუ რა არის მონაწილეობითი ბიუჯეტირება, რა მიზნით ნერგავს მას მუნიციპალიტეტი, რამდენად მნიშვნელოვანია მოქალაქეთა აქტიურობა და რა პოზიტიური მოლოდინები აქვს მას ახალ პროგრამასთან დაკავშირებით. მერმა, აგრეთვე, უნდა მოუწოდოს მოქალაქეებს, ადგილობრივ სათემო ჯგუფებს, არასამთავრობო და მედიაორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომ ყველა აქტიურად ჩაერთოს როგორც პროგრამის მიმდინარეობაში, ისე მისი მონიტორინგისა და გამუქების პროცესებში, რათა ის მაქსიმალურად ღიად და გამჭვირვალედ წარიმართოს.

გარდა მიმართვისა თუ პრესკონფერენციისა, უნდა დაიგეგმოს ამავე თემაზე საინფორმაციო შეხვედრა, რომელსაც დაესწრებიან მუნიციპალიტეტში მოქმედი არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციები, აქტიური მოქალაქეები, სხვადასხვა სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლები. მერმა მათ პირადად უნდა გააცნოს მონაწილეობითი ბიუჯეტის ახალი პროგრამა, წარადგინოს მონაწილეობითი ბიუჯეტების საბჭოს წევრები, მოისმინოს მონვეული პირების მოსაზრებები და შენიშვნები, გასცეს პასუხი ყველა შეკითხვას. საინფორმაციო შეხვედრა უნდა იყოს საჯარო. ეს შეხვედრა, გარდა აქტიურ მოქალაქეებთან პირდაპირი კომუნიკაციისა, უნდა იქცეს კიდევ ერთ საინფორმაციო საბაბად და მის გასაშუქებლად მონვეული უნდა იყოს მედია.

პირველი საინფორმაციო შეხვედრების მოსამზადებელი სამუშაოები

იმისათვის, რომ პროგრამის შესახებ მოქალაქეების დიდმა ნაწილმა შეიტყოს, პარალელურად:

- ✓ მერიის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში უნდა განთავსდეს ინფორმაცია მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის დაწყების შესახებ;
- ✓ უნდა შემუშავდეს შეხვედრების გრაფიკი, რომელიც გამოქვეყნდება ვებგვერდზე და ასევე გავრცელდება სოციალური ქსელებით;
- ✓ უნდა დაიბეჭდოს მოსაწვევები, რომლებზეც, გარდა საინფორმაციო შეხვედრის ადგილისა და დროისა, დატანილი იქნება ინფორმაცია თავად მონაწილეობითი ბიუჯეტის არსისა და პროცედურების შესახებ;
- ✓ მოსაწვევების გასავრცელებლად უნდა ჩამოყალიბდეს მოხალისეთა ჯგუფები, რომლებიც „კარდაკარის“ პრინციპით დაარიგებენ მოსაწვევებს და, ამასთან ერთად, თითოეულ მოქალაქეს პირადად აუხსნიან მონაწილეობითი ბიუჯეტის მნიშვნელობას და ამ პროცესში მათი ჩართულობის აუცილებლობას;
- ✓ თვალსაჩინო ადგილებში (მაღაზიებთან, თავშეყრის ადგილებზე) უნდა გამოიკრას პლაკატები, რომლებზეც იქნება ინფორმაცია შეხვედრების შესახებ;
- ✓ უნდა გააქტიურდეს სმს-სერვისი..

პირდაპირი საინფორმაციო შეხვედრები მოსახლეობასთან

- ✓ პირდაპირი შეხვედრებისათვის მუნიციპალიტეტი უნდა დაიყოს ოპტიმალურ ზონებად;
- ✓ კარგად უნდა შეირჩეს შეხვედრის დრო და ადგილი (იქნება ეს დახურულ სივრცეში, თუ ღია ცის ქვეშ). აუცილებელია, რომ შეხვედრაზე მოსული ადამიანები იყვნენ კომფორტულ გარემოში;
- ✓ კარგად უნდა შეირჩეს მოდერატორი, რომელმაც უნდა წაიყვანოს შეხვედრა. გახსოვდეთ, სწორი მოდერატორია უმნიშვნელოვანესია პირდაპირი კომუნიკაციის დროს;
- ✓ მონაწილეობითი ბიუჯეტების საბჭომ შეხვედრები მხოლოდ თავისი სათქმელის გასახმოვანებლად არ უნდა გამოიყენოს; მოქალაქეებს უნდა მიეცეთ ამრის გამოთქმის, წინადადებების დაყენების, კითხვების დასმის შესაძლებლობა;
- ✓ შეძლებისდაგვარად ამომწურავად უნდა გაეცეს პასუხი ყველა დასმულ შეკითხვას, შეხვედრის ორგანიზატორები უნდა გამოეხმაურონ ყველა მოსაზრებას და იდეას, რაც კი შეხვედრაზე გამოითქმება;

- ✓ საკომუნიკაციო გუნდმა ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, რომ დიალოგში ჩაერთოს დამსწრეთა დიდი ნაწილი. ამისათვის კი საჭიროა მათში ინტერესის გაღვივება;
- ✓ უნდა იყოს გამოყენებული ვიზუალური მასალა - ფლაერები, საინფორმაციო ბროშურები, მცირე ზომის პლაკატები, ინფოგრაფიკები. თუ შეხვედრა იმართება დახურულ სივრცეში, შესაძლებელია, მომზადდეს პრეზენტაცია;
- ✓ შეხვედრა არ უნდა დასრულდეს პესიმისტურად. ორგანიზატორების მთავარი ფუნქციაა შეხვედრის მონაწილეებში იმ გრძნობის გაღვივება, რომ მათი ჩართულობა პროცესში აუცილებელი და გადამწყვეტია;
- ✓ პირველი საინფორმაციო შეხვედრიდან საპროექტო წინადადების წარდგენამდე პერიოდში სასურველი იქნება, თუკი დამატებით კვლავ გაიმართება შეხვედრები პოტენციურ საინიციატივო ჯგუფებთან.

საინიციატივო ჯგუფების მიერ საპროექტო წინადადების წარდგენა და მათ შესახებ მოქალაქეთა ინფორმირება

- ✓ თავდაპირველად სოციალურ ქსელსა და ვებგვერდზე უნდა გამოქვეყნდეს ინფორმაცია, რომ საპროექტო წინადადების წარდგენა დაიწყო; უნდა მიეთითოს ვადები, შესაბამისი პროცედურები და ადგილები, სადაც შესაძლებელია საპროექტო წინადადების რეგისტრაცია;
- ✓ ყველა საპროექტო იდეა პროაქტიულად უნდა განთავსდეს ვებგვერდზე;
- ✓ სოციალური ქსელისთვის უნდა შეიქმნას საპროექტო წინადადების ავტორთა მცირე ვიდეოები, რომლებშიც ისინი თავად მოყვებიან, თუ რა იდეა აქვთ, რატომ არის ამ იდეის განხორციელება აუცილებელი და რას მოუტანს ეს იდეა იმ დასახლებას, სადაც ის უნდა განხორციელდეს;
- ✓ „კარდაკარის“ მეშვეობით უნდა გავრცელდეს ბროშურა/ბიულეტენი, რომელშიც თავმოყრილი იქნება ინფორმაცია ყველა საპროექტო იდეის შესახებ. აქვე მითითებული უნდა იყოს საპროექტო წინადადების განხილვის თარიღი, კენჭისყრის ვადები და პროცედურა;
- ✓ საკომუნიკაციო გუნდმა პროგრამის ყველა ეტაპზე უნდა მოამზადოს პრესრელიზები მედიისთვის; უნდა დაგეგმოს ინტერვიუები და დისკუსიები სატელევიზიო სივრცეში;

- ✓ უნდა შემუშავდეს საპროექტო წინადადების განხილვის გრაფიკი. შესაბამის ტერიტორიულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და სმს-სერვისის მეშვეობით უნდა გავრცელდეს ინფორმაცია საპროექტო წინადადების განხილვის თარიღის შესახებ. იგივე ინფორმაცია საკომუნიკაციო გუნდმა ასევე უნდა გაავრცელოს სოციალური ქსელითა და ვებგვერდით;
- ✓ საკომუნიკაციო გუნდმა უნდა გახსნას დისკუსია სოციალურ ქსელში - მოქალაქეებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, გამოხატონ საკუთარი მოსაზრება;
- ✓ საკომუნიკაციო გუნდი უნდა დაეხმაროს საინიციატივო ჯგუფებს თავიანთი საინფორმაციო კამპანიის ჩატარებაში (შეხვედრების ორგანიზება, საინფორმაციო მასალის ვიზუალიზაცია/დამზადება); საორგანიზაციო ჯგუფმა უნდა მისცეს იდეის ავტორებს თანაბარი შესაძლებლობა, რათა მათ მოსახლეობას წარუდგინონ საკუთარი პროექტი.

კენჭისყრის პროცედურა

თუ საპროექტო წინადადების შერჩევა პირდაპირი კენჭისყრის, ან ონლაინ-ხმის მიცემით ხდება, ამის შესახებ ინფორმაცია ერთდროულად რამდენიმე საკომუნიკაციო არხის მეშვეობით უნდა გავრცელდეს:

- ✓ მოხალისეების დახმარებით;
- ✓ სმს-შეტყობინებებით;
- ✓ ვებგვერდით და სოციალური ქსელით;
- ✓ სპეციალურ სტენდებზე საინფორმაციო პლაკატების გამოკვრით.

თავად კენჭისყრის პროცესის გამჭვირვალედ წარმართვისთვის აუცილებელია, რომ საორგანიზაციო გუნდმა ჩართოს ადგილობრივი არასამთავრობო და მედია ორგანიზაციები.

გამარჯვებული საპროექტო წინადადების შესახებ მოქალაქეთა ინფორმირება

გამარჯვებული საპროექტო წინადადების შესახებ მოქალაქეთა ინფორმირებისთვის:

- ✓ ინფორმაცია უნდა განთავსდეს ვებგვერდზე;
- ✓ სოციალური ქსელისთვის უნდა შეიქმნას მცირე ვიდეო-რგოლები გამარჯვებული საპროექტო წინადადების შესახებ მათი ავტორების მონაწილეობით;

- ✓ გამარჯვებული საპროექტო წინადადების შესახებ ინფორმაცია მოსახლეობამ, ასევე, სმს-შეტყობინებებითაც უნდა მიიღოს;
- ✓ მედიასთან თანამშრომლობით უნდა მომზადდეს სატელევიზიო სიუჟეტები, როგორც გამარჯვებული საპროექტო წინადადების, ისე იმ პროცედურის შესახებ, რომელიც მერიამ და საკრებულომ უნდა გაიაროს (პროექტის მომზადება, ბიუჯეტში ასახვა, ტენდერის გამოცხადება, პროექტის განხორციელება).

არ დაგავიწყდეთ იმ სლოგანებისა და გზავნილების გამოყენება, რომლებიც კამპანიის დაგეგმვისას თითოეული ამ ეტაპისთვის მოამზადეთ!

10.7 მონყვლად სამიზნე ჯგუფებზე ორიენტირებული საინფორმაციო კამპანია

სამიზნე აუდიტორიის განსაზღვრისას საკომუნიკაციო გუნდს არ უნდა გამორჩეს ისეთი მონყვლადი ჯგუფები, როგორებიცაა ეთნიკური უმცირესობები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, პენსიონერები, ქალები, რომელთა გადანყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობაც გარკვეულ მუნიციპალიტეტებში, გარკვეული სტერეოტიპების გამო, ჯერ კიდევ ძალიან დაბალია.

საინფორმაციო კამპანია უნდა დაიგეგმოს იმგვარად, რომ ამ ჯგუფების მონაწილეობა პროცესში მაღალი იყოს. ამისათვის:

- ✓ ყველა საინფორმაციო მასალა, რომელიც მომზადდება, უნდა იყოს იმ ეთნოსის ენაზეც, რომლის წარმომადგენლებიც ცხოვრობენ მუნიციპალიტეტში; მათი ჩართულობის გასაზრდელად გამოყენებული უნდა იყოს ამ თემისთვის ავტორიტეტად მიჩნეული ადამიანები. თუ მუნიციპალიტეტის მცხოვრებლებს ენობრივი ბარიერი აქვთ, უნდა გაკეთდეს ორენოვანი ვებგვერდი, ხოლო სოციალურ ქსელში ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს ორივე - სახელმწიფო და შესაბამისი ეთნიკური უმცირესობის - ენაზე. ვიდეორგოლები უნდა მომზადდეს სუბტიტრებით, რათა ის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვისაც გასაგები და საინტერესო გახდეს;
- ✓ იმისათვის, რომ გაიზარდოს ახალგაზრდებისა და ქალთა მონაწილეობა აღნიშნულ პროგრამაში, საკომუნიკაციო გუნდმა უნდა გამოიყენოს მერიის მიერ შექმნილი ახალგაზრდული და გენდერული საბჭოები, ქალთა ოთახები, რომლებიც, პრაქტიკულად, ყველა მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს. გარდა სტანდარტული შეხვედრებისა, დამატებით უნდა დაიგეგმოს შეხვედრები სპეციალურად ამ ჯგუფებისთვის;

- ✓ ვინაიდან მონაწილეობით ბიუჯეტირებაში ჩასართველად ასაკობრივი ზღვარი, როგორც წესი, საკმაოდ დაბალია, პედაგოგების დახმარებით შესაძლებელია შეხვედრების სკოლებშიც დანერგვა. საკომუნიკაციო გუნდს შეუძლია, სკოლის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, გამოიყენოს სამოქალაქო განათლების გაკვეთილებიც - მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის ერთ-ერთი ასპექტი ხომ სამოქალაქო კულტურის ამალგებია. არ დაგავიწყდეთ ის ახალგაზრდებიც, რომელთა დიდი ნაწილიც მუნიციპალიტეტიდან დროებით გასულია. მიეცით მათ შესაძლებლობა, ჩაერთონ პროგრამაში. ამისთვის თქვენ შეგიძლიათ, მათი საპროექტო წინადადები ელექტრონულად, ვებგვერდის მეშვეობით, მიიღოთ. ონლაინ-ტექნოლოგიების ეპოქაში მათ საკუთარი იდეის მხარდაჭერთა მობილიზება დისტანციურადაც შეუძლიათ.

10.8 ბიუჯეტი ეფექტური PR-კამპანიისთვის

როგორც წესი, PR-კამპანიის საწარმოებლად ბიუჯეტის შედგენა ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის, არსებული ფინანსური რესურსებიდან გამომდინარე, ყველაზე რთულ საქმეს წარმოადგენს, თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ აქ დაზოგილი თანხა პროგრამის არაეფექტურად განხორციელებაზე პირდაპირპროპორციულად აისახება.

ცხადია, წინასწარ საკმაოდ რთულია ყველა ხარჯის დეტალური გაანგარიშება, ამიტომაც ბიუჯეტის შედგენისას აუცილებლად გადადეთ თანხა „გაუთვალისწინებელი ხარჯებისთვის“. სხვა მხრივ კი, მისი დაგეგმვისას საკომუნიკაციო გუნდი უნდა მიჰყვეს კამპანიის ფაზებს. მაგალითად, სავარაუდოდ, რამდენი ვიდეორგოლის გადაღება და დამზადება დასჭირდებათ კამპანიის პირველ, მეორე და ა.შ. ფაზაში? სჭირდებათ თუ არა თანხა ფოტოების გადასაღებად? რა თანხის დახარჯვა მოუწევთ ტრადიციულ თუ სოციალურ მედიაში სარეკლამო კამპანიის საწარმოებლად? რამდენი ბროშურა, ბანერი, საინფორმაციო ფურცელი/ბროშურა/პლაკატი უნდა დაამზადონ თითოეულ ეტაპზე? გასათვალისწინებელია კარდაკარ კამპანიის ბიუჯეტიც.

გარდა ამისა, მერიამ კარგად უნდა გაიაზროს, რამდენად საკმარისია მისი ადამიანური და ტექნიკური რესურსი იმისათვის, რომ ამ მასშტაბის კამპანია უზრუნველყოს. ხომ არ სჭირდება მას როგორც ადამიანური, ისე ტექნიკური რესურსის გაძლიერება? ან იქნებ უმჯობესია საკომუნიკაციო სფეროში გამოცდილი კომპანიის დაქირავება?

ამ საკითხების გათვალისწინებით, შესაძლებელია, ბიუჯეტი შემდეგნაირად დაიგეგმოს:

1. ადამიანური რესურსები (მაგალითად, ფოტოგრაფი, ოპერატორი, მოხალისეები, ე.წ. სფირაითერი, ჟურნალისტი, შესაბამისი კომპანია და სხვა);
2. ტექნიკური რესურსები (მაგალითად, ფოტოაპარატი, ვიდეოკამერა, შტატივი, ლეპტოპი და ა.შ.);
3. კამპანიის სანარმოებლად საჭირო ფინანსები (მაგალითად, ვიდეორგოლების მომზადება, ფოტოგადაღება, სარეკლამო თანხები, საინფორმაციო ბროშურების, ბანერების და ა.შ. დიზაინი-ბეჭდვა და სხვა);
4. გაუთვალისწინებელი ხარჯები.

10.9 საკომუნიკაციო სტრატეგიით განსაზღვრული საინფორმაციო კამპანიებისა და ღონისძიებების ეფექტიანობის მონიტორინგი

იმისათვის, რომ გაიზომოს მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის საკომუნიკაციო სტრატეგიით დაგეგმილი კამპანიებისა და ღონისძიებების ეფექტიანობა, თითოეული საინფორმაციო კამპანიის დასრულების შემდეგ აუცილებლად უნდა ჩატარდეს ონლაინ და სატელეფონო გამოკითხვა.


მონიტორინგი უნდა იყოს სამფაზიანი და გამოავლინოს:

1. მოსახლეობის ინფორმირების დონე მონაწილეობითი ბიუჯეტ-ირების არსისა და მუნიციპალიტეტის მიერ პროგრამის დაწყების შესახებ;
2. საპროექტო წინადადებისა და პროექტების წარდგენის შემდეგ მოსახლეობის ინფორმირების დონე;
3. კენჭისყრის პროცესში მოქალაქეთა აქტიურობის ხარისხი და გამარჯვებული საპროექტო იდეის შესახებ ინფორმირებულობა.

მონიტორინგი დაეხმარება მერიას და საკომუნიკაციო გუნდს, სწორად განსაზღვროს, თუ რამდენად მოახერხა სტრატეგიით განსაზღვრული მიზნების მიღწევა და შეიტანოს შესაბამისი კორექტივები მომდევნო წელს განსახორციელებელი პროგრამის საკომუნიკაციო სტრატეგიასა და კამპანიაში.

თავი 11. მონიტორინგი და შეფასება

მონაწილეობითი ბიუჯეტების პროცესში მონიტორინგი და შეფასება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფეხურია. აუცილებელია განორციელდეს როგორც რეგულაციების შესრულების მონიტორინგი, ისე პროცესის სრულად შეფასება, მაგალითად, რამდენად ეფექტიანად მოხდა მოქალაქეთა მონაწილეობა აღნიშნულ პროცესში. მონიტორინგი და შეფასება პროცესის ორი განსხვავებული გზაა, რაც გვეხმარება პროგრამის თუ პროექტის გამოშვება/შეფასებაში, ასევე იმის დადგენაში, თუ რამდენადაა შედეგზე ორიენტირებული განვიღონი ღონისძიებები და რა უნდა გაკეთდეს დასახული მიზნის მისაღწევად. ეს მიდგომა, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს პროგრამის დროულ და დინამიკურ განახლებას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს პროცესის საბოლოო მიზნების მიღწევას და განხორციელების ხარჯების ეფექტიანობის ზრდას.



ილუსტრაცია 4 - მონიტორინგი და შეფასება

მონიტორინგისა და შეფასების უმთავრესი მიზნებია წარმოაჩინოს:

- ✓ არის თუ არა მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამით განსაზღვრული მიზნები და ამოცანები განხორციელებული;
- ✓ ხორციელდება თუ არა პროგრამა ეფექტიანად და სრულფასოვნად;
- ✓ რა ნაკლოვანებები, პრობლემები და გამოწვევები ჩნდება მართვის პროცესში,

რათა მოხდეს პროგრამის დროული კორექტირება, გაუმჯობესება და მომდევნო წლისთვის უკეთესი დაგეგმვა/განხორციელება.

მონიტორინგისა და შეფასების კომპლექსური ბუნების გამო, აუცილებელია თავიდანვე აღინიშნოს მათ შორის მჭიდრო კავშირის მთავარი ასპექტები,

ასევე არსებული განსხვავებები. მონიტორინგი არის პროცესი, რომელიც გულისხმობს მუდმივად ინფორმაციის გროვებას და მის ანალიზს, რათა „თვალყური მიადევნო“ და სულ აკონტროლო, თუ „რა ხდება“. შეფასების არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ პერიოდულად მოამზადოს ნიადაგი „კი“ ან „არა“ სახის გადანყვეტილების მისაღებად, პოლიტიკისა და პროგრამების ინფორმირებული და უფრო ეფექტიანი შემუშავება-განახლება – გაუმჯობესებისათვის¹⁷.

შეფასების და მონიტორინგის ცხრილი : ¹⁸

კითხვა	მონიტორინგი	შეფასება
რა	პროექტის შეფასება პროექტის განხორციელების კონკრეტულ ეტაპზე, მონიტორინგი ხუთი კრიტერიუმის მიხედვით: შესაბამისობა, ეფექტურობა, ნაყოფიერება, ამ დრომდე არსებული ზემოქმედება, მდგრადობის პერსპექტივები	პროექტის, პროგრამის ან სტრატეგიის ზემოქმედებისა და მდგრადობის შეფასება
რატომ	იმის უზრუნველყოფა, რომ პროექტი გეგმის მიხედვით მიმდინარეობს და საქმიანობები და შედეგები ხელს უწყობენ პროექტის დანიშნულების და საბოლოო ჯამში პროექტის ძირითადი მიზნის მიღწევას. გადაუდებელი ქმედების განხორციელება იმ შემთხვევაში, თუ შემოთავაზებული პროექტის შედეგები არ სრულდება.	უკუკავშირი სამომავლო დაგეგმვისთვის და პროგრამის შემუშავებისთვის
როგორ	შეფასების ჩატარება პროექტის განხორციელების კონკრეტულ ეტაპზე	საფუძვლიანი ანალიზი
ვინ	პროექტის მართვა (შიდა მონიტორინგი) – მონიტორინგის განმახორციელებელი გარეშე პირები (გარე მონიტორინგი) მონიტორინგი ბენეფიციარის მხრიდან	გარეშე მფასებლები
როდის	პროექტის განხორციელებისას, უწყვეტად (შიდა), ან რეგულარული ინტერვალებით (გარე)	პროექტის დაწყებამდე, შუალედური და მისი დასრულების შემდეგ
სფერო	პროექტი	პროექტი, პროგრამა, დარგი, სტრატეგია

17 სოფრომაძე ლ. ადგილობრივ დონეზე საგზაო რუქის (PAR) მონიტორინგის პროცესის რეალიზაცია მუნიციპალურ დონეზე, ტრენინგის მოდული, 2020, გვ.4.

18 პროექტის ციკლის მართვის (პკმ) სახელმძღვანელო, ეპტისა/eptisa გვ. 54.

მონიტორინგი

მონაწილეობითი ბიუჯეტების სწორად წარსამართად საჭიროა ყველა ეტაპზე განხორციელდეს მონიტორინგი და რეაგირება ხდებოდეს პროცესშივე, ბოლოს კი პროექტი შეფასდეს ზეგავლენის და მდგრადობის მიხედვით. ეტაპობრივი მონიტორინგი გადანყვეტილებების მიღების პროცესს უჭერს მხარს იმ მხრივ, რომ ის უზრუნველყოფს გაფრთხილების სისტემას, რაც იძლევა პროექტის განხორციელების პროცესისა და მისი კორექტირების საშუალებას მაშინ, როდესაც ის გეგმას აცდება. ამგვარად, ის ქმნის პროექტის განხორციელების პროცესზე ანგარიშვალდებულებას და წარმოადგენს საფუძველს სამომავლო შეფასებისთვის.

აღიარებულია, რომ მონაწილეობითი ბიუჯეტების დანერგვის პროცესში მოქალაქეები არა მარტო საპროექტო წინადადებების წარდგენის ეტაპზე უნდა იყვნენ აქტიურად ჩართულები, არამედ განხორციელების ყველა ეტაპზე, რაც უზრუნველყოფს მათ გავლენას გადანყვეტილებებზე, პროექტების წარმატებით განხორციელებაზე. ასე იზრდება მათი კეთილგანწყობა პროცესისადმი. სწორედ ამიტომ, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ მოქალაქეების მონაწილეობა არ დასრულდეს, მაგალითად, გამარჯვებული პროექტის ბიუჯეტში ასახვის ეტაპზე, არამედ მათ უნდა მიეცეთ საშუალება პროექტის მიმდინარეობას ყველა ეტაპზე დააკვირდნენ, გარკვეულწილად «გააკონტროლონ» კიდევ, თუ როგორ ხორციელდება იგი და რა არის შედეგი. ამით ორივე მხარე შეძლებს იმის დანახვას, თუ რა გავლენა მოახდინა მონაწილეობითი ბიუჯეტების პროცესმა საზოგადოებაზე და რა მივიღეთ შედეგად. აუცილებელია მონიტორინგის წესი დეტალურად იყოს განვრილი რეგულაციებში ან/და სამოქმედო გეგმაში და იქვე იყოს გამოკვეთილი მოქალაქის როლი და ფუნქციები. ასევე მნიშვნელოვანია საკრებულოს, როგორც მაკონტროლებელი ორგანოს, უფლებამოსილების განსაზღვრა და მისი ჩართულობის უზრუნველყოფა მონიტორინგის პროცესში.

მონაწილეობითი ბიუჯეტის მონიტორინგი შეიძლება განხორციელდეს ორ დონეზე:

- ✓ მონაწილეობითი ბიუჯეტების პროცესის თითოეული საფეხურის მონიტორინგი (პროცედურების და რეგულაციების დაცვა, საინფორმაციო კამპანია და სხვა);
- ✓ შერჩეული/გამარჯვებული პროექტის განხორციელების მონიტორინგი (საბიუჯეტო პროცედურების დაცვის კუთხით).


მონიტორინგის პროცესის სამოქმედო გეგმა კი ასე გამოიყურება:

- ✓ სამუშაო ჯგუფის შექმნა მონაწილეობითი ბიუჯეტის მონიტორინგისა და შეფასების განსახორციელებლად, ამოცანებისა და პასუხი-

სმგებლობების დეტალური განერა. ჯგუფში ასევე უნდა მოიწვიონ საკრებულოს წევრები, სპეციალისტები, მოქალაქეები, პროექტის ავტორები და კვლევითი ორგანიზაციების წარმომადგენლები;

- ✓ თუ პროცესი კომპლექსურია და მოიცავს როგორც მონიტორინგს, ისე შეფასებას, აუცილებელია ბიუჯეტიდან თანხების გამოყოფა და აღნიშნული გარემოება შესაბამისად უნდა აისახოს საბიუჯეტო პროგრამაშიც;
- ✓ ინდივიდუალური თუ ნორმატიული აქტების შეგროვება/თავმოყრა, რაც შეიცავს: მონაწილეობითი ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციას, კერძოდ: ვადებს, პროცედურებს, ინიციატორებს, პასუხისმგებელ პირებს და სხვა;
- ✓ ანალიზისა და კითხვარისთვის მეთოდების შერჩევა და ინფორმაციის ჩამონათვალის მომზადება;
- ✓ შედეგების შეგროვება და მათი დამუშავება;
- ✓ მონიტორინგის და შეფასების კარგ პრაქტიკად ითვლება მონაწილეობითი ბიუჯეტირების პირამიდაზე დაფუძნებული მეთოდოლოგიით შეფასება. მისი არსი მდგომარეობს შეფასების სფეროების და საკითხების შერჩევაში, ასევე იმ კრიტერიუმების განსაზღვრაში, რომლებიც აფასებს ღონისძიებებს და ქმედებებს. ძირითად კითხვებზე პასუხის გაცემა მარტივია, ხოლო შეფასების შედეგად შესაძლებელი იქნება ისეთი ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც მიზნად ისახავს მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას. პირამიდის წვერთან განლაგებული კრიტერიუმები და საკითხები, რომლებიც ეხება შედეგებს და გავლენებს, უფრო საფუძვლიანი და ზუსტია და გვეხმარება სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებაში. თუმცა, ამავე დროს, ისინი მოითხოვს მეტ მუშაობას და უფრო რთულ/სიღრმისეულ კვლევებს (იხ ილუსტრაცია №6).
- ✓ დაინტერესებულ და მონაწილე ჯგუფებთან/ფოკუს-ჯგუფებთან კონსულტაციების ჩატარება; პროექტის ავტორები, პროექტის კონტრაქტორები, რიგითი მოქალაქეები - ვინც კი სხვადასხვა ეტაპზე მონაწილეობას იღებდა. შედეგად განზოგადებული წინადადებების მომზადება;
- ✓ მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის გაუმჯობესების შესახებ სემინარის/ფორუმის ჩატარება;
- ✓ მონიტორინგის ანგარიშის მომზადება, გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან წარდგენა და საჯაროდ გამოქვეყნება.

მონაწილეობითი ბიუჯეტირების შეფასების პირამიდა :



ილუსტრაცია 5 - მონაწილეობითი ბიუჯეტირების შეფასების პირამიდა 19

როგორც უკვე აღინიშნა, მონაწილეობითი ბიუჯეტირების ყველა ეტაპს უნდა ერთვოდეს მონიტორინგის გეგმა, ასევე წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმები, თუ როგორ ხდება პროცესის შეფასება. აქვე გიზიარებთ პროცესის შეფასების უკვე გამოყენებულ პრაქტიკას, თუმცა მონაწილეობითი ბიუჯეტირების საბჭოს შეუძლია შეიმუშაოს მუნიციპალიტეტის სპეციფიკის და მოდელის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საჭიროებაზე მორგებული ინდიკატორი:

ეტაპები				
	მომზადება	პროცესი	განხორციელება	ანგარიშგება
ინდიკატორი	სამართლებრივი უზრუნველყოფა	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	ჩართულობა/ლიაობა	მერის ანგარიში
	მოქალაქის ინფორმირებულობა	მონაწილეთა რაოდენობა	გამარჯვებული პროექტების განხორციელება	საკრებულოს ანგარიში
	სამოქალაქო საზოგადოების/ექსპერტების ჩართულობა	საპროექტო წინადადებები	პროექტების შედეგიანობა/მიზნის მიღწევა	მონაწილეობითი ბიუჯეტირების საბჭოს ანგარიში

19 სახელმძღვანელო „მონაწილეობითი ბიუჯეტის განხორციელება და გაუმჯობესება: პრაქტიკა და რეკომენდაციები“ პროექტი „მარტნიორობა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებისთვის და დემოკრატიული მმართველობისთვის“ (PLEDDG) 2019, გვ .45 www.pleddg.org.ua; https://pauci.org/upload/files/PB_Guide_2019_UA.pdf

შეფასება

მონაწილეობითი ბიუჯეტის გრძელვადიანი ზეგავლენის და მდგრადობის დასადგენად აუცილებელია მისი შეფასება პროცესის დასრულებამდე ან/და დასრულების შემდეგ. შეფასება ხელს შეუწყობს მონაწილეობითი ბიუჯეტ-ირების პროცესის გაუმჯობესებას იმით, რომ შესაძლებელი იქნება რეკომენდაციების გაცემა კონკრეტული პროგრამის, რეგულაციის ან აქტივობის შესახებ. პროცესის დასრულების შემდეგ პროგრამის შეფასება დაეხმარება მუნიციპალიტეტებს უკეთ განსაზღვრონ, თუ როგორ ხდებოდა მისი მართვა, ასევე რა ზემოქმედება მოახდინა მან მუნიციპალიტეტსა და მოქალაქეებზე და, საბოლოოდ, რა სარგებელი მოუტანა მათ.

პროგრამის შეფასება შრომატევადი და ხანგრძლივი პროცესია. სასურველია მუნიციპალიტეტმა გაითვალისწინოს შესაბამისი ფინანსური რესურსი და მოიწვიოს საკონსულტაციო ორგანიზაციები. შეფასებისთვის საჭიროა შემდეგი ინფორმაცია:

- ✓ პროგრამა, რეგულაციები და პროცედურები;
- ✓ პროგრამის მონიტორინგის ანგარიშები;
- ✓ პროგრამის ანგარიშები;
- ✓ პროგრამის ლოგიკურ-სტრუქტურული მატრიცა;
- ✓ შეფასების ტექნიკური დავალება;
- ✓ პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტები;
- ✓ ფინანსური დოკუმენტაცია.

ზოგადად, არსებობს შეფასების სამი ტიპი: პროექტის დაწყებამდე, შუალედური და პროექტის დასრულების შემდეგ.

პროექტის **დაწყებამდე** განხორციელებული შეფასება კეთდება პროგრამის ან სტრატეგიის ფორმულირების ეტაპზე, ხოლო პროექტების შემთხვევაში შეფასების ეს ტიპი ძალზედ იშვიათად გამოიყენება. ასეთი შეფასების ჩატარების ძირითადი მიზანია გამოიკვეთოს ძირითადი მიმართულებები, მხარდამჭერები, საჭირო რესურსები და სხვა. ამ ეტაპზე შეფასება ასრულებს, ძირითადად, დამხმარის ფუნქციას პროგრამის შემუშავების პროცესში. მას შეუძლია აგრეთვე პროექტის მონიტორინგის ეტაპების დადგენა, რომლებითაც გაიზომება ის, თუ რამდენად შესრულდა მხარდამჭერის სტრატეგიული დანიშნულება.

შუალედური შეფასება, ზოგადად, პროგრამის განხორციელების შუაში კეთდება. ის აქცენტს აკეთებს შემდეგ საკითხებზე:

- ✓ რამდენად აქვს პროგრამას სასურველი ზემოქმედება გარემოზე;
- ✓ რამდენად უწყობს ხელს პროგრამის მიზნების მიღწევას პროგრამის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები/ეტაპები;
- ✓ რამდენად ეფექტურად და ნაყოფიერად ხორციელდება პროექტები;
- ✓ რამდენად აქვთ პროექტებს სასურველი ზემოქმედება.

შუალედური შეფასება იძლევა პროგრამის გარდაქმნის საშუალებას. ეს შეიძლება მოხდეს გარემო პირობებში მომხდარ ცვლილებებთან ადაპტირების მიზნით, ან იმ შემთხვევაში, თუკი შეფასების შედეგმა გვიჩვენა, რომ პროგრამა არ ახდენს სასურველ ზეგავლენას.

პროექტის **დასრულების** შემდეგ განხორციელებული შეფასება პროგრამის დასრულებიდან რამდენიმე ხანში კეთდება. ის შეიძლება დასრულებიდან ერთი, ან ორი წლის შემდეგ იმის შესამოწმებლად ჩატარდეს, თუ რამდენად მიაღწია პროგრამამ დასახულ მიზანს. ზოგადად, ეს შეფასება ორიენტირებულია პროგრამის ზეგავლენასა და მდგრადობაზე.

შეფასების პროცესი მეტწილად იმავე პრინციპებს მიჰყვება, რასაც მონიტორინგის პროცესი. იგულისხმება, რომ ის ეყრდნობა მონიტორინგის და შეფასების ხუთ კრიტერიუმს, ოღონდ უფრო მეტად ორიენტირებულია ბოლო ორ კრიტერიუმზე: ზეგავლენასა და მდგრადობაზე.

თავი 12. ბიბლიოგრაფია

- Arnstein, S. (1969). A Ladder of Citizen Participation. *Journal of the American Institute of Planners*, No. 4, 216-224.
- Bächtiger, A., Dryzek, J., Mansbridge, J., & Warren, M. (2018). *The Oxford Handbook of Deliberative Democracy*. (M. Warren, Ed.) Oxford.
- Beteiligung und Beschwerde in Kindertageseinrichtungen - Fachliche Empfehlung zur Gestaltung und Sicherung der Verfahren zur Beteiligung und Beschwerde in Kindertageseinrichtungen nach § 8b Abs. 2 Nr. 2 und § 45 Abs. 2;. (2016, 08 23). Retrieved from Freistaat Thüringen.
- Böhm, B. (2018). Bürgerrat und Zukunftsrat, Lecture in Neumünster on 05.12.2018. Bürgerbeteiligung mit Bürgergutachten. Retrieved from https://www.partizipative-methoden.de/images/pdf/bhm_vortrag_brgerbeteiligung_neumnster_051218_final_web.pdf,
- British Columbia Citizens' Assembly on Electoral Reform. (2004). Retrieved 09 25, 2019, from <https://citizensassembly.arts.ubc.ca>
- Bürgerrat. (2019). Bürgerrat Demokratie. Retrieved from https://www.buergerrat.de/fileadmin/illustrationen_3/Konzept_Buergerrat_V3.pdf
- Bürgerräte. (2019). Retrieved 09 25, 2019, from https://vorarlberg.at/web/land-vorarlberg/contentdetailseite/-/asset_publisher/qA6AJ38txu0k/content/demokratie-lebt-von-beteiligung-die-buergerinnen-raete-in-vorarlberg?article_id=131324
- Chalmers, P. (2019, 02 08). How 99 strangers in a Dublin hotel broke Ireland's abortion deadlock. *The Guardian*.
- Ford, A. (2009). *El Presupuesto Participativo en Rosario, Una apuesta renovada al experimentalismo democrático*. Rosario: Poryecto Urbal.
- Kerstin, A. (2010). *Handbuch Bürgerbeteiligung. Für Land und Gemeinden*. Retrieved from Landesregierung Voralberg, Wien - Bregenz: <https://>

vorarlberg.at/documents/21336/245118/Handbuch+Bürgerbeteiligung/793788df-23f8-4209-b603-a0aba6a5e87c

- Miraftab, F. (2004). Invited and Invented Spaces of Participation: Neoliberal Citizenship and Feminists' Expanded Notion of Politics. *Wagadu*. Retrieved from https://www.researchgate.net/publication/265233099_Invited_and_Invented_Spaces_of_Participation_Neoliberal_Citizenship_and_Feminists'_Expanded_Notion_of_Politics
- Moynihan, D. P. (2007). Citizen Participation in Budgeting: Prospects for Developing Countries. In A. Shah, *Participatory Budgeting*, (pp. 55-87). Washington, DC: The World Bank.
- Roth, R. (2017, 9). Aktueller und drängender denn je: eine Demokratie-Enquete im nächsten Bundestag, in: Newsletter für Engagement und Partizipation in Deutschland. eNewsletter Wegweiser Bürgergesellschaft. Retrieved from https://www.buergergesellschaft.de/fileadmin/pdf/gastbeitrag_roth_170915.pdf
- Shah, A. (2007). *Participatory Budgeting*. Washington D.C.: The World Bank. Retrieved from <https://siteresources.worldbank.org/PSGLP/Resources/ParticipatoryBudgeting.pdf#page=160>,
- Sintomer, Y., Herzberg, C., Rocke-Humboldt, A., & Allegretti, G. (2012). Transnational Models of Citizen Participation: The Case of Participatory Budgeting. *Journal of Public Deliberation*, 8(2).
- The Participatory Budgeting Project. (2019, March 22). Retrieved from www.participatorybudgeting.org/pb-map/
- Walz, S., Kast, A., Schulze, G., Born, L., & Krüger, K. (Berlin). *Handbuch zur Partizipation*. 2011: Senatsverwaltung für Stadtentwicklung Berlin. Retrieved from https://www.stadtentwicklung.berlin.de/soziale_stadt/partizipation/download/Handbuch_Partizipation.pdf
- ლოსაბერიძე, დ., კანდელაკი, კ., აბულაძე, მ., & კონჯარია, თ. (2016). ადგილობრივი თვითმმართველობა. თბილისი: ა(ა)იპ მწვანე კავკასია.
- ციფიანი, დ. (2019). მონაწილეობითი ბიუჯეტირება: საქართველოში დანერგვის პრაქტიკის კვლევა. თბილისი: სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი.

თავი 13. დანართები

დანართი 1. შერი პ. არნშტეინის მოქალაქეთა მონაწილეობის კიბე

შერი პ. არნშტეინი თავის 1969 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „მოქალაქეთა მონაწილეობის კიბე“ გვთავაზობს მოქალაქეთა მონაწილეობის პროცესის რვა დონეს, რომლებიც შეესაბამება საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის არსებულ ურთიერთდამოკიდებულებას. თვალსაჩინოებისთვის ეს დონეები კიბის სახითაა წარმოდგენილი (იხ. სქემა 1). თითოეული საფეხური შეესაბამება საბოლოო შედეგის განსაზღვრაში მოქალაქეთა მონაწილეობის გარკვეულ დონეს. ეს დონეებია:

1. მანიპულირება;
2. თერაპია;
3. ინფორმირება;
4. კონსულტირება;
5. გულის მოგება;
6. პარტნიორობა;

უფლებამოსილების დელეგირება;


1. სამოქალაქო კონტროლი.
2. აღნიშნული რვა დონე თავისი მხრივ დაჯგუფებულია სამ ჯგუფად:

არამონაწილეობის დონეები;

1. სიმბოლური მონაწილეობის დონეები;
2. მოქალაქეთა უფლებამოსილების დონეები.

არნშტეინის კიბის ყველაზე ქვედა საფეხურებია მანიპულირება და თერაპია. ეს ორი საფეხური ასახავს ე.წ. „არამონაწილეობის“ დონეებს, რომლებიც რეალურ მონაწილეობას ჩაანაცვლებს. მათი რეალური მიზანია – არ დაუშვან ადამიანები [პროგრამების] დაგეგმვისა და განხორციელების პროცესებთან, ამგვარად, ხელისუფლებას აქვს შესაძლებლობა მოქალაქეებს „ასწავლოს“ და „უმკურნალოს“.

მესამე და მეოთხე საფეხურები (შესაბამისად, „ინფორმირება“ და „კონსულტირება“) წარმოადგენენ სიმბოლური მონაწილეობის დონეებს, რომლებიც



ილუსტრაცია 6 - შერი პ. არნშტეინის მოქალაქეთა მონაწილეობის კიბე

იძლევა მოქალაქეების მხრიდან - აზრის გამოთქმის, ხელისუფლების მხრიდან კი - მათი აზრის მოსმენის საშუალებას. მოქალაქეებს უჩნდებათ შანსი, რომ მათ მოუსმენენ, თუმცა ჯერ კიდევ არ აქვთ იმის გარანტია, რომ ხელისუფლება მათ აზრს გაითვალისწინებს. ასევე იმის შემონახვაც შეუძლებელია, თუ როგორ სრულდება დაპირებები, რადგან არ არსებობს შემონახვის არავითარი მექანიზმი. ამ დონეზე მოქალაქე ჯერ კიდევ არ არის დარწმუნებული, რომ არსებული მდგომარეობა რაიმენაირად შეიცვლება, ან თუნდაც რომ შეიცვალოს, მის ხმას ვინმე შეისმენს.

მეხუთე საფეხური (გულის მოგება) – ეს არის სიმბოლურ ღონისძიებათა უფრო მაღალი დონე, რამდენადაც, თამაშის არსებული წესების მიხედვით, ამ დონეზე უკვე ითვალისწინებენ მოქალაქეთა სათათბირო ხმის უფლების არსებობას, თუმცა გადანაცვლებების მიღების პრეროგატივა კვლავ მხოლოდ ხელისუფლებას ეკუთვნის.

ზედა საფეხურებზე განთავსებულია იმ მოქალაქეთა მონაწილეობის დონეები, რომელთაც გადანაცვლებების მიღებისას მზარდი პრივილეგიები გააჩნიათ. მოქალაქეებს შეუძლიათ ერთმანეთთან პარტნიორული ურთიერთობების (მე-6 დონე „პარტნიორობა“) დამყარება, რაც მათ მისცემს ხელისუფლებასთან დიალოგის წარმოებისა და კომპრომისების მიღწევის საშუალებას. ყველაზე ზედა საფეხურებს იკავებს „უფლებამოსილებათა დელეგირება“ და „სამოქალაქო კონტროლი“ (შესაბამისად, მე-7 და მე-8 დონეები), რომლებიც მოქალაქეებს აძლევს კოლექტიური გადანაცვლებების მიღების შესაძლებლობას, ან მმართველობით გადანაცვლებებზე სრული კონტროლის საშუალებას.

დანართი 2. მსოფლიოში დანერგილი მოდელები

დანართი 2.1. მონანილოების ისტორია გერმანიაში მონანილოების ჩარჩო და პირობები

მონანილოების საქმეში ყველა ქვეყანას საკუთარი ისტორია და ეტაპები აქვს. განსხვავებული ნარატივი თვით ერთი და იმავე ქვეყნის ამა თუ იმ ქალაქს ან რეგიონს შეიძლება ჰქონდეს. განსაკუთრებით ეხება ეს გერმანიას, რომელიც 1989 წლამდე ორ განსხვავებულ სახელმწიფოდ არსებობდა.

ომისა და ნაცისტური დიქტატურის შემდეგ დასავლელმა მოკავშირეებმა დასავლეთ გერმანიაში დემოკრატიული მმართველობა დაამყარეს, აღმოსავლეთ გერმანიაში კი, საბჭოთა კავშირის მფარველობით, კომუნისტური რეჟიმი გამეფდა. ომის შემდგომი 20 წლის მანძილზე დასავლეთ გერმანიაში დემოკრატია ძირითადად არჩევნების სახით არსებობდა. ბევრ ქვეყანაში, განსაკუთრებით დასავლურში, სტუდენტურმა აჯანყებებმა თუ 1968 წლის პრადის გაზაფხულის მოთხოვნებმა აქტუალური გახადა საზოგადოებრივ პროცესებში მეტი ჩართულობა, და ეს ეხება არა მხოლოდ დასავლეთ გერმანიას, სადაც ცვლილებების ამ ატმოსფერომ გამოხატულება ჰპოვა კანცლერ ვილი ბრანტის მიერ 1969 წლის გამოსვლისას ნათქვამ ფრაზაში: „mehr Demokratie wagen“ („ვბედავთ მეტ დემოკრატიაში“) იგი მოსახლეობას დაპირდა, რომ მომავალში ქვეყნის განვითარების მთავარ წარმმართველ ძალად აქცევდა უფრო მეტ ჩართულობასა და თანაპასუხისმგებლობას. (SenStadt 2011, გვ.33). მართლაც, ღია საზოგადოების შექმნის მიზნით, ბევრი რეფორმა გატარდა. მაგალითად, 1970-იანი წლების დასაწყისში დაკანონდა ურბანულ განვითარებაში მონანილოების ვალდებულება.

დემოკრატიისა და მონანილოების განვითარების თვალსაზრისით, აღმოსავლეთ გერმანიის ცენტრალური ნარატივია 1989 წლის არსებითი პოლიტიკური ცვლილებები და ბერლინის კედლის დაცემა.

1990 წლის შემდეგ დემოკრატიული განვითარება საერთაშორისო შეთანხმებებისა და პროგრამების დახმარებით უფრო ინტენსიური გახდა, და არა მხოლოდ გაერთიანებულ გერმანიაში. „მდგრადი განვითარების რიოს 1992 წლის დეკლარაციის“, „ევროპის მდგრადი დიდი და პატარა ქალაქები მეტი მდგრადობისთვის“, 1994 წლის აალბორგის ქარტიის და „მდგრადი ევროპული ქალაქების“ ლაიფციგის 2007 წლის ქარტიის თანახმად გადანყვრეტლების მიღება კიდევ უფრო მონანილოებითი უნდა გახდეს და ამის დამადასტურებელი მაგალითებიც არსებობს. მაგალითად, 1990-იანების დასაწყისში დაარსებული მონანილოებითი ბიუჯეტის შედგენის პროცედურა, ან ბოლო ოცი წლის მანძილზე რეფერენდუმის ხშირი გამოყენება ლოკალურ

დონეზე. ამავე დროს, სოციალური მედიისა და ონლაინ-ინსტრუმენტების მეშვეობით მიღწეული მეტი საჯაროობა საზოგადოებრივი ცხოვრების ბევრ სფეროში იძლევა საკუთარი აზრის გამოხატვის მეტ საშუალებას. ამის მიუხედავად, ბევრი ჩივის დემოკრატიის ნაკლებობისგან, არჩევნებისგან და წარმომადგენლობითი დემოკრატიისგან დაღლის შესახებ. ამის ერთ-ერთი შედეგი ისაა, რომ გერმანიის არჩევნებში პოპულისტური მოსაზრებებისა და ასეთივე იდეოლოგიის პარტიების მხარდამჭერთა რიცხვი სულ უფრო და უფრო იზრდება.

განვითარების ამ ორ განსხვავებულ მიმართულებაზე ზოგადი პასუხი დემოკრატიის განმტკიცებაა, რის საშუალებასაც ზემოხსენებულ განხილვაზე დაფუძნებული დემოკრატიის შესახებ დისკუსიები, სამოქალაქო ფორუმთა ახალ-ახალი ფორმების გამოყენება, ასევე ამ პროცესში ონლაინ-მონანილოება იძლევა. გერმანიის ბევრ ქალაქში შეკითხვათა ფართო სპექტრზე თვითმმართველობების შესაბამისი პასუხების გამცემ მხარედ „მონანილოების დირექტივები“ გვევლინება. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ მრავალწლიანი არაფორმალური მონანილოების შემდეგ სამოქალაქო მონანილოებაზე გადასვლა მოითხოვს ზოგადი სტანდარტებისა და ხარისხის უფრო მაღალ კრიტერიუმს, ასევე უფრო მეტ სტრუქტურას.

მონანილოების დირექტივები როგორც არაფორმალური მონანილოების ხარისხის ამაღლების ინსტრუმენტები

ჩამოყალიბების პროცესი

მონანილოების დირექტივები გერმანიის 60-ზე მეტ თემში იხვეწებოდა. მათი უმეტესობა ჩამოყალიბების პროცესშია და უმრავლეს შემთხვევებში უპირატესობა ეძლევა მონანილოებით მიღებული გაუმჯობესების პრინციპს. სამმხრივი დისკუსიის ფორმატი გულისხმობს პოლიტიკოსების, ადმინისტრაციის და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების მონანილოებას, რომელთა ერთობლივ მუშაობას ნეიტრალური მოდერატორი არეგულირებს. ბერლინში (და სხვა ქალაქებშიც) სამუშაო ჯგუფი შედგება 24 ადამიანისგან, რომლებიც ერთმანეთს 18 თვის განმავლობაში 20-ჯერ შეხვდნენ და სამუშაო ჯგუფთან ერთად სამ დიდ სემინარზე მიღებული წინასწარი შედეგები ფართო საზოგადოებას გააცნეს და ერთობლივად განიხილეს, ასევე დამატებით სემინარებზე სპეციალური სამიზნე ჯგუფები მოინვიეს და თავიანთ წინასწარ შედეგებზე მიღებული კომენტარები ონლაინ-რეჟიმში გამოაქვეყნეს. სამუშაო ჯგუფმა, ვიდრე ფინალურ ვერსიას საბოლოოდ დაამტკიცებდნენ, ყველა კომენტარი და საკამათო საკითხი განიხილა, თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილების მიღება მაინც ქალაქის საკრებულოს ან პარლამენტის კომპეტენციაში დატოვა. ეს ბოლო ნაბიჯი კი ჯერ კიდევ განხილვის პროცესშია. (SenStadtWohnen, 2019 გვ. 6 და შემდეგ).

ვინმე ალბათ იფიქრებს, რომ ეს პროცესი შეიძლება დაჩქარდეს სხვა ქალაქებისთვის შემუშავებული დირექტივების ახალ სიტუაციებზე მორგების წყალობით, თუმცა ამგვარი დამზოგველი მეთოდი ვერ ჩაანაცვლებს ამ დირექტივების ეტაპობრივი განხილვისა და ამ იდეით ადმინისტრაციის ან ქალაქის მოსახლეობის სხვადასხვა ფენების გაჯერების პროცესს, რომელსაც მოითხოვს იდეის ფართო განხილვა და რის მეშვეობითაც იგი მოქმედებს, როგორც მოქალაქეებთან ურთიერთობის და განვრცობის ფორმა. დირექტივების უმეტესობა ორი სახისაა. სახელმძღვანელო პრინციპს, თუ როგორი უნდა იყოს მონაწილეობა, უპირატესად პირველ ნაწილში განვიხილავთ, ხოლო მისი იმპლემენტაციის ინსტრუმენტებს - მეორე ნაწილში.

სახელმძღვანელო პრინციპები

მონაწილეობის დღევანდელი ძირითადი პრინციპები აირეკლავს სამოქალაქო მონაწილეობის პრაქტიკის ქვევიდან ზევით და ზევიდან ქვევით მოძრაობის პოზიტიურ და ნეგატიურ მხარეებს. შესაძლოა გამოთქმები და გამოსვლები თანამამომდევრობა განსხვავდებოდეს, მაგრამ იმ ქალაქებში, სადაც მონაწილეობის ამ პრინციპებით ხელმძღვანელობენ, მათი შინაარსი ერთი და იგივეა. შემდეგი კომპილაცია წარმოადგენს ბერლინის ცენტრალური უბნის ‚Mitte‘ (რაიონის გამგეობა 2017) და ბერლინის სივრცით განვითარებაში სამოქალაქო მონაწილეობის სახელმძღვანელო პრინციპების განზოგადოებას (SenStadtWohnen, 2019).

მართლია, ეს სახელმძღვანელო პრინციპები გერმანიაში, გერმანიის ქალაქებისა და თვითმმართველობებისათვის ჩამოყალიბდა, მაგრამ მაინც შეიძლება ჩაითვალოს ხარისხიან კრიტერიუმად უკრაინის, საქართველოს, სომხეთის და სხვა ქვეყნების პოზიტიური მონაწილეობისთვის.

დიალოგი, წესიერება და ნეიტრალური წამყვანი

სერიოზული საუბრისა და დისკუსიის დროს დიალოგი, წესიერება და ურთიერთპატივისცემა მნიშვნელოვანი ღირებულებები და წესებია. იგულისხმება, რომ ადამიანებმა ერთმანეთს უნდა მოუსმინონ, ერთმანეთს საუბარი არ შეწყვეტონ და სხვების მოსაზრებებს პატივი სცენ, რაც ყველა მონაწილის როლის, ინტერესისა და კომპეტენციის შესახებ ღია ინფორმაციის მიწოდებასაც გულისხმობს. ასეთ ატმოსფეროში მოღვაწეობას უზრუნველყოფს ნეიტრალური მოდერატორი, რომელიც არც ერთი მხარის პოზიციას არ გამოხატავს და ხელმძღვანელობს კომუნიკაციის, ქცევისა და მოსმენის ყველასათვის ცხადი წესებით.

გასაგები ენა

ექსპერტების და თვითმმართველობის წევრების უმრავლესობა შემოკლებას და სპეციალურ ტერმინებს იყენებს და ხშირად საკმაოდ რთული კონსტრუქციებით მსჯელობს. ეს ართულებს გაგებას და წარმოშობს არასასურველ დისტანციას მათსა და მონაწილეთა შორის. წარმატების ერთ-ერთი წინაპირობაა გასაგები ენით მსჯელობა და ეს სასწავლო პროცესია.

ადრეული და გამჭვირვალე ინფორმაცია

თუკი ქალაქი მონაწილეობის პროცესზე სერიოზულად ფიქრობს, ის ვალდებულია დაგეგმილი პროექტებისა და მომავალი გეგმების შესახებ მოქალაქეებს რაც შეიძლება ადრე შეატყობინოს. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და კითხვებზე პასუხის გაცემისთვის მზადყოფნა მონაწილეობის დაწყების მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ზოგადად, ოპტიმალური ვადის განსაზღვრა რთულია და ცალკეულ შემთხვევებში სხვადასხვაგვარად ხდება. ეს შეიძლება დაემთხვეს ანალიზის და მიზნების ჩამოყალიბების პროცესს და მონაწილეობითი მიდგომების პარადოქსის ნეგატიური შედეგები შეამციროს.

მიზნების და გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო დროის თაობაზე მკაფიო კომუნიკაცია

მონაწილეობის პროცესში ჩართულმა პირებმა უნდა იცოდნენ პროცესის მიზნების და გადაწყვეტილებებისთვის არსებული დროის შესახებ, რაც, პირველ რიგში, ეხება იმ ფინანსურ და სამართლებრივ პრობლემებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიოს გადაწყვეტილების მიღებაზე და რაც მონაწილეობის დონის შესახებ გადაწყვეტილებასაც გულისხმობს. გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო პირობების ასე მკაფიოდ ჩამოყალიბების შემთხვევაში მონაწილეობის პროცედურები ღია უნდა იყოს შესაძლო ცვლელულებისთვის. მაგალითად, თუკი ადმინისტრაცია მომავალი პროექტის ან ნამონწყების შესახებ მოქალაქეების ინფორმირებას გადაწყვეტს, ეს უნდა მოხდეს პატიოსნად და თამამად, არ უნდა გასცდეს ინფორმაციის მიწოდების ფარგლებს და არ უნდა ჩაითვალოს მონაწილეობად.

სამიზნე ჯგუფებზე ორიენტირებული მიდგომა

სპეციფიკური ჯგუფების, მაგ. ბავშვების, ხანდაზმულების, ლტოლვილების, მიგრანტების ან იძულებით გადაადგილებულებისა თუ სხვა ჯგუფების მოსაზრებებმა და ინტერესებმა პროექტის იდეებსა და განვითარებაზე შეიძლება სერიოზული ზეგავლენა იქონიოს. მათი მოსაზრებები არანაკლებ ფასეულია, ვიდრე საკუთარი იდეებისა და ხედვების გამოხატვის უფრო ქმედითი საშუალებების მქონე პირებისა ხოლო ამ ჯგუფების პოვნაში

დაგვეხმარება მონაწილე მხარეების ყოვლისმომცველი გაანალიზება. ამგვარი მოსაზრებების თუ სპეციფიკური, ლოკალური ცოდნის მოპოვებაში დაგვეხმარება ადეკვატური მეთოდები, მიდგომები, ინფორმაციის მოპოვების არხები და გასაგები ენა. ჩვეულებრივ, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში სხვადასხვა დაინტერესებული მხარე და მეთოდი გვხვდება.

ინტერესების, გამოცდილების და ცოდნის მრავალფეროვნება აძლიერებს მონაწილეობის პროცესის ხარისხს.

შედეგების დოკუმენტირება

მონაწილეობის პროცესის შედეგები მათი მიღწევისთანავე უნდა გამოქვეყნდეს გამჭვირვალედ და დოკუმენტურად, რაც ხორციელდება მონაწილეობისთვის მათ იმეილზე მიწოდების, ბეჭდვითი საშუალებებისა და ინტერნეტის მეშვეობით. თუკი მონაწილეობითი პროცესის შედეგად და მის საფუძველზე გადანიშნულივებს სხვები (მაგალითად, ქალაქის საკრებულო) იღებენ, მძაში მონაწილეებს უნდა განემართოს ზოგიერთი მათი იდეის ან წვლილის უგულებელყოფის მიზეზი.

შედეგების დამავალდებულებელი ხასიათი

პოზიტიური სამოქალაქო მონაწილეობა ეფუძნება ვალდებულებას. მიღებულ შედეგებს პატივი უნდა ვცეთ და ისინი უნდა შესრულდეს დამავალდებულებელი და სანდო მეთოდების გამოყენებით. მათი განხორციელება უნდა დაიწყოს გადანიშნულების მიღებისთანავე. სხვაგვარად ამან შეიძლება შეხვედრების მონაწილეთა შორის დროის ფუჭად კარგვით გამოწვეული იმედგაცრუება გამოიწვიოს.

გადანიშნულების მიმართ პატივისცემა ყველა მხარე უნდა გაიზიაროს, ეს კი ქალაქის მესვეურებისგან მოითხოვს მონაწილეობის და დიალოგის მაღალ კულტურას, რათა იმ შემთხვევაში, თუკი ამ პროცესში ჩართულმა ადამიანებმა, რომლებიც თუნდაც არ ეთანხმებოდნენ მონაწილეობით პროცესში მიღებულ გადანიშნულებებს და კომპრომისებს, მათ წინააღმდეგ ხმა მაინც არ აღიმართოს. მათი ამაში დარწმუნება ხშირად ბევრად აღემატება მუნიციპალიტეტის კომპეტენციებს. ასეთმა დამოკიდებულებამ შეიძლება გრძელვადიანი სოციალური და კულტურული ევოლუციის მიმართ გაუცხოებაც კი გამოიწვიოს.

საკმარისი რესურსები

მონაწილეობის შესახებ არსებული ბევრი დოკუმენტი მის ხარჯიანობაზე ლაპარაკობს. მართალია, ეს მოსაზრება საკმაოდ ბუნებრივად გამოიყურება,

მაგრამ მონაწილეთა რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში გადამწყვეტი ხდება, რადგან მონაწილეობაში ხარჯებიც იგულისხმება. მონაწილეობის ბიუჯეტი არის არა მარტო პროექტის თანხა, არამედ ფინანსური დახმარებაც და/ან საზოგადოებასთან ურთიერთობაც და ამაში იგულისხმება ინფორმაციის ნებაყოფლობითი მხარდაჭერაც და ხმის მიცემის ტექნოლოგიის დაფინანსებაც. საჭიროა ოთახების დაქირავება და შეხვედრებისთვის მათი მომზადება, ასევე მოდერატორებისა და ამ პროცესის ორგანიზებისთვის პასუხისმგებელი სხვა პირების ანაზღაურება. გარდა ამისა, ამ მიზნის განსახორციელებლად საჭიროა მუნიციპალიტეტის პერსონალის საკმარისი რაოდენობა.

იმპლემენტაციის ინსტრუმენტები

არსებობს ქალაქის მმართველობის მიერ შემნილი მთელი რიგი ინსტრუმენტები და მექანიზმები, რასაც იგი ზემოხსენებული ძირითადი პრინციპების ხორცშესახმელად იყენებს კიდევაც. ბევრ შემთხვევაში, ისინი განეკუთვნება, მონაწილეობის პრინციპების მეორე ნაწილს.

პროექტების ჩამონათვალი

ზოგიერთმა ქალაქმა უკვე დაიწყო მიმდინარე და სამომავლო პროექტების ჩამონათვალის შედგენა. მათი უმეტესობა განეკუთვნება ქალაქის განვითარების და მშენებლობის სფეროს და ჩამონათვალში აღინიშნება, მონაწილეობა უკვე არსებობს თუ იგეგმება. ხშირად რუკების არსებობა ნავიგაციას აადვილებს. ამოსავალი წერტილი ისაა, რომ ცოდნა წარმოადგენს პოზიტიური მონაწილეობის წინაპირობას. საჭირო ინფორმაციის არსებობა ხშირად ხსნის დისკუსიის საჭიროებას და გვაზღვევს იმ ეჭვებისა და ბრალდებებისგან, რაც არასაკმარის ინფორმაციას ახლავს ხოლმე. ამის კარგი მაგალითებია შტუტგარტისა და ჰაიდელბერგის სიები (იხ. ბიბლიოგრაფიის ბმულები).

მონაწილეობის საინფორმაციო სამსახური

სამოქალაქო ჩართულობის ინტენსიფიკაციის სხვა საშუალებას წარმოადგენს მონაწილეობის საკონტაქტო ინსტრუმენტის შექმნა. ხშირად ამას აგვარებს ადმინისტრაცია, ხოლო ზოგიერთ ქალაქში, მაგ. პოტსდამში - ადმინისტრაცია და სამოქალაქო ინსტიტუციები. ყველა შემთხვევაში ოფისი აქვეყნებს მოქალაქეების, ადმინისტრაციის და პოლიტიკოსების მონაწილეობასთან დაკავშირებულ ინფორმაციებს, აწყობს კურსებს ყველა დაინტერესებულისთვის და რჩევებით ხელს უწყობს მონაწილეობის პროცესს. ხანდახან პროექტის სიასა და მრჩევლების საბჭოზე პასუხისმგებლობაც მათ ეკისრებათ.

მრჩევლების საბჭო

ასეთი მონაწილეობისთვის განკუთვნილი საბჭოები არცთუ ისე ბევრ გერმანულ ქალაქში არსებობს. მისი წევრები წარმოადგენენ მოქალაქეებს, სხვადასხვა ინსტიტუციას, პოლიტიკოსებს და ადმინისტრაციას. როგორც წესი, მათი მიზანი და მოვალეობაა მეთვალყურეობა შესაბამისი ინსტიტუტების გამოყენებაზე, პრინციპების დაცვაზე, ასევე სახელმძღვანელო პრინციპების შეფასება. ხანდახან საბჭოს აქვს კონფლიქტების მედიაციის უფლებაც.

პერსპექტივები

მონაწილეობის სახელმძღვანელო პრინციპები საკმაოდ ახალია გერმანიისთვის და ამჟამად არ არსებობს მათი იმპლემენტაციის დიდი გამოცდილება. მიუხედავად ამისა, აქ გაკეთებული მცირე შეფასებები ზოგადად პოზიტიურ ტენდენციებზე მეტყველებს. ადამიანები პოზიტიური შედეგებისთვის გაღებულ ძალისხმევას აფასებენ. ეს ასევე გვიჩვენებს მათი ზემოქმედების შეფასებისა და მათი ზეგავლენის მასშტაბების დადგენის სირთულეს, რაც მუნიციპალური ორგანოების მხრიდან მეტ მუშაობას მოითხოვს (ჰაიდელბერგი 2017, როკი და რაიმანი ქალაქ პოტსდამისთვის). ცხადია, კიდევ ბევრი ნაბიჯის გადადგმა იქნება საჭირო პერსპექტიულ ქალაქებში და მთელს გერმანიაში მონაწილეობის პრინციპის ფართოდ დასანერგად.

დანართი 2.2. ქალაქ ჩიკაგოს (აშშ) მუნიციპალიტეტის 49-ე ოლქის მონაწილეობითი ბიუჯეტის რეორგანიზაციის მოდელი

ძირითადი მახასიათებლები

ქალაქ ჩიკაგოს მუნიციპალიტეტის 49-ე ოლქში დანერგილი მონაწილეობითი ბიუჯეტის მოდელის განხილვისას მნიშვნელოვანია, რომ გავითვალისწინოთ აშშ-ში არსებული შემდეგი გარემოებები, რომლებიც ზოგადად ახასიათებს ადგილობრივ დონეზე აშშ-ს მართვის სისტემას:

1. აშშ არის ფედერალური მართვის მოდელის მქონე ქვეყანა, სადაც ფუნქციონირებს მრავალდონიანი ადგილობრივი თვითმმართველობა, რომელსაც გააჩნია ფართო ექსკლუზიური კომპეტენციები, ამასთანავე, ფედერალური კანონმდებლობა მინიმალურად ერევა თვითმმართველობის მართვის პროცესში;
2. საკანონმდებლო ხარხო უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის დამოუკიდებლობის ძალიან მაღალი დონეს

და იძლევა საშუალებას, რომ მან, თავისი კომპეტენციების ფარგლებში, დამოუკიდებლად განსაზღვროს ფინანსური, ადამიანური და მატერიალური რესურსების განკარგვის საკითხები;

3. აშშ-ში ძალიან კარგად არის განვითარებული სამოქალაქო საზოგადოება, თავისუფალი მედია, აგრეთვე მაღალია მოსახლეობის სამოქალაქო კულტურა. ყოველივე ეს უზრუნველყოფს მათ მაღალ ჩართულობას ფედერალურ და ადგილობრივ დონეზე მართვის პროცედურებში და მათ გავლენას საბოლოო გადაწყვეტილებაზე.
4. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ხელისუფლების (ქალაქის საბჭოს) ფორმირება ხორციელდება მაჟორიტარული წესით;
5. აშშ-ში ძალზედ დაბალია კორუფციის დონე²⁰.

თავად ქალაქ ჩიკაგოს მუნიციპალიტეტის 49-ე ოლქში (Chicago 49th Ward) დანერგილი მონაწილეობითი ბიუჯეტის პროცედურები ხასიათდება შემდეგი ნიშან-თვისებებით:

1. ყოველი საბიუჯეტო წელი იწყება ოქტომბრის თვეში, შესაბამისად ბიუჯეტის ნებისმიერი პროცესები უნდა დასრულდეს არაუგვიანეს მაისისა;
2. როგორც სამუშაო პროცესებში, ისე კენჭისყრაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ქალაქ ჩიკაგოს მუნიციპალიტეტის 49-ე ოლქის ნებისმიერ 14 წელს მიღწეულ მცხოვრებელს, მიუხედავად მისი მოქალაქეობისა და უფლებისა მონაწილეობა მიიღოს ჩიკაგოს მუნიციპალურ არჩევნებში;
3. მონაწილეობითი ბიუჯეტის მთელი პროცესი ეყრდნობა მცირე ზომის სამეზობლოს (Neighborhood Assemblies) და ახალგაზრდულ (Youth Assemblies) შეკრებებზე (კრებებში), აგრეთვე მათ წარმომადგენლთა შეხვედრებზე ჩატარებულ დებატებს.
4. დიდი ყურადღება ექცევა განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ახალგაზრდული, ეთნიკური და სხვა მონაცვლადი ჯგუფების ჩართვას;
5. საზოგადოების წარმომადგენლთა შეხვედრაზე, კონსენსუსის წესით, მიიღება გადაწყვეტილება, თუ რა თემატიკისაა პროექტი და შემდეგში რა სახით განხორციელდება;
6. მოსახლეობა პირდაპირი კენჭისყრის გზით იღებს გადაწყვეტილებას, თუ საზოგადოების წარმომადგენლთა მიერ შემოთავაზებული რომელი პროექტი იქნება განხორციელებული მომდევნო წელს;

²⁰ World Corruption Perceptions Index 2016, Transparency International, https://www.transparency.org/news/feature/corruption_perceptions_index_2016

- პროცესში ჩართულია როგორც მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი, ისე წარმომადგენლობითი ხელისუფლების წარმომადგენლები, თუმცა პირველის როლი შემოიფარგლება მხოლოდ პროცესების ინიციატორის ფუნქციით, ხოლო მეორე ასრულებს დაგეგმილი სამუშაოების ტექნიკური ექსპერტის როლს. ამავე დროს, ორთავე შტოს წარმომადგენლებს გადანაცვებების მიღების პროცესში გამართულ ასამბლეებზე და შეხვედრებზე გააჩნიათ მხოლოდ სათათბირო ხმა და კენჭისყრაში მონაწილეობას არ იღებენ. თუმცა, საბოლოო კენჭისყრის დროს, მუნიციპალიტეტის სხვა მცხოვრებლების მსგავსად, ისინიც სარგებლობენ თანაბარი უფლებებით და კენჭისყრისას გააჩნიათ თითო ხმა;
- წახალისებულია როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირების მიერ მონაწილეობითი ბიუჯეტის ფარგლებში შემუშავებული როგორც გამარჯვებული, ისე უარყოფილი საპროექტო წინადადების სრული და ნაწილობრივი თანადაფინანსება;
- ჩიკაგოში სკოლის, საავადმყოფოს, პოლიციის, რელიგიური დაწესებულებისა და სხვა სახის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები უმეტესწილად ეკუთვნის ადგილობრივ თემს, ამიტომაც ისინი ხშირად გამოიყენება მონაწილეობითი ბიუჯეტის პროცესში.

პროცედურის მონაწილე ჩართული მხარეები

ჩიკაგოს მუნიციპალიტეტის 49-ე ოლქის მონაწილეობითი ბიუჯეტის პროცესის ჩართული მხარეები არიან:

- მოსახლეობა;
- ჩიკაგოს მუნიციპალიტეტის 49-ე ოლქის აღმასრულებელი ხელისუფლების (მერის) სტრუქტურული ერთეულები;
- ქალაქის საბჭოს (საკრებულოს) წევრები (Alderman of City Council);
- მონაწილეობითი ბიუჯეტის საქალაქო ხელმძღვანელი კომიტეტი (PB Steering Committee);
- მოსახლეობისაგან შემდგარი სამეზობლო (Neighborhood Assemblies) და ახალგაზრდული (Youth Assemblies) ასამბლეები;
- საზოგადოების წარმომადგენლთა შეხვედრები (Community Representative Meetings).



ილუსტრაცია 7 - ქალაქ ჩიკაგოს მუნიციპალიტეტის 49-ე ოლქის მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის განხორციელებაში ჩართული აქტორები

საზოგადოებრივი ბიუჯეტის პროცესების განმახორციელებელი ძირითადი სუბიექტებია:

1) მონაწილეობითი ბიუჯეტის საქალაქო ხელმძღვანელი კომიტეტი

მონაწილეობითი ბიუჯეტის საქალაქო ხელმძღვანელი კომიტეტი (PB Steering Committee) პასუხისმგებელია მონაწილეობითი ბიუჯეტის შემუშავების სამართლიან, გამჭვირვალე და ეფექტიანად წარმართვაზე. მისი სხდომები საჯაროა. იგი წარმოადგენს მონაწილეობითი ბიუჯეტის პროცესების მაკონტროლებელ ორგანოს. კომისია უფლებამოსილია:

- მონაწილეობითი ბიუჯეტის პროცესებზე სამოქალაქო კონტროლისა და მონიტორინგის განხორციელებაზე;
- საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიის გეგმის შემუშავებაზე;
- პროცედურების დახვეწის მიზნით განხორციელებული სამუშაოების ანალიზზე, წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადებაზე;

საქალაქო ხელმძღვანელი კომიტეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს და შესდგება არასამთავრობო, რელიგიური, ჰუმანიტარული, კომერციული ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან და საზოგადოებაში ნდობის მქონე ცნობადი სახეებისაგან.

2) სამეზობლოს და ახალგაზრდული ასამბლეები

სამეზობლო (Neighborhood Assemblies) და ახალგაზრდული (Youth Assemblies) ასამბლეები მონაწილეობითი ბიუჯეტის პროცესის მთავარი მამოძრავებელი ძალაა, ისინი ორიენტირებულია პრიორიტეტული თემატიკისა და საპროექტო წინადადებების იდეების შემუშავებაზე, მათ შესახებ ინფორმაციის გავრცელებაზე, მხარდაჭერა შემოკრებაზე, პროექტების ეფექტიანად განხორციელებასა და დამდგარი შედეგების შეფასებაზე.

სამეზობლოს და ახალგაზრდული ასამბლეების უფლებამოსილებას წარმოადგენს:

1. საჯარო დებატების საშუალებით შეიმუშაოს მონაწილეობითი ბიუჯეტების პრიორიტეტული თემატიკა და საპროექტო წინადადების იდეა და წარუდგინოს განსახილველად საზოგადოების წარმომადგენლთა შეხვედრების წევრებს;
2. პროექტის იდეის შემუშავების ეტაპზე მიიღოს კონსულტაცია და ინფორმაციული მხარდაჭერა საზოგადოების წარმომადგენლთა შეხვედრების წევრებისაგან;
3. საპროექტო განაცხადის მხარდასაჭერად მოიზიდოს მხარდამჭერები, შესთავაზოს როგორც იურიდიულ, ისე ფიზიკურ პირებს პროექტის სრული ან/და ნაწილობრივი დაფინანსების უზრუნველყოფა;
4. სამეზობლოს და ახალგაზრდული ასამბლეების წევრები დამოუკიდებლად განსაზღვრონ მართვისა და წევრთა შორის ურთიერთობების წესები.

გუნდი ფორმირდება ჩიკაგოს მუნიციპალიტეტის 49-ე ოლქის ტერიტორიაზე 14 წელს მიღწეულ მცხოვრებლებისაგან, მიუხედავად მათი მოქალაქეობისა და ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობის უფლებისა.

3) საზოგადოების წარმომადგენლთა შეხვედრები

საზოგადოების წარმომადგენლთა შეხვედრები (Community Representative Meetings) წარმოადგენს მონაწილეობითი ბიუჯეტის პროცედურების დაგეგმვასა და ეფექტიანად და დადგენილი წესების შესაბამისად განხორციელებაზე პასუხისმგებელ, დამმართველობითი ფუნქციებით აღჭურვილ ორგანოს. მის უფლებამოსილებას წარმოადგენს:

1. მონაწილეობითი ბიუჯეტის ყველა ეტაპზე სამუშაოთა გეგმარება;
2. სამეზობლოსა და ახალგაზრდული ასამბლეების მიერ მოწოდებული პრიორიტეტების თემატიკისა და საპროექტო წინადადების ურთიერთშეჯერება და ფორმალიზება;

3. საპროექტო წინადადების ფორმირება ბიუჯეტების წესების შესაბამისად და კენჭისყრის პროცესისათვის საპროექტო წინადადების სიების მომზადება;
4. შერჩეული საპროექტო წინადადების შესახებ საჯარო განხილვებისა და ექსპერტიზის ჩატარების უზრუნველყოფა.
5. საინფორმაციო კამპანიის წარმოება;
6. საპროექტო წინადადებათა კენჭისყრის შედეგების გათვალისწინებით გამარჯვებული პროექტების დამტკიცება;
7. პროექტების დაფინანსების მიზნით დონორებთან კომუნიკაციის განხორციელება.

საზოგადოების წარმომადგენლთა შეხვედრების ფორმირება ხდება სამეზობლოსა და ახალგაზრდული ასამბლეების მიერ, ამ კრების წევრებისგან კენჭისყრის საშუალებით.

მონაწილეობითი ბიუჯეტის პროცედურები

ქალაქ ჩიკაგოს მუნიციპალიტეტის 49-ე ოლქში (Chicago 49th Ward) დანერგილი მონაწილეობითი ბიუჯეტების პროცესის ფარგლებში სამუშაოები მიმდინარეობს 8 თვის განმავლობაში: ყოველი საბიუჯეტო წლის ოქტომბრიდან მომდევნო წლის მაისამდე.

დანერგილი მოდელის ფარგლებში სამუშაოები ლოგიკურად იყოფა შემდეგ ფაზებად:

1. გეგმარების ფაზა;
2. საპროექტო წინადადების შერჩევის ფაზა;
3. განხორციელების ფაზა
4. ანალიზის ფაზა.

თითოეულ ფაზაში მოქმედ აქტორებს მკაცრად განსაზღვრული უფლება-მოვალეობები გააჩნიათ და ისინი დროში შეზღუდული არიან.

1) გეგმარების ფაზა

მონაწილეობითი ბიუჯეტის გეგმარების ფაზაში ხორციელდება პროცესების განმახორციელებელი ძირითადი სუბიექტების ფორმირება, გასული წლის ბიუჯეტის ფორმირების სამუშაოთა პარამეტრების გადახედვა და, საჭიროების შემთხვევაში, ახლებურად ჩამოყალიბება და საინფორმაციო კამპანიის ჩასატარებლად სამუშაოთა გეგმარება.

მონაწილეობითი ბიუჯეტის გეგმარების ფაზა მიმდინარეობს ყოველი წლის ოქტომბერ-ნოემბერში და ხორციელდება შემდეგი სამუშაოები:

- **საქალაქო ბიუჯეტის პროცესების ინიცირება, ძირითადი მიზნების, აგრეთვე სამუშაო და საინფორმაციო კამპანიის გეგმების შემუშავება და დამტკიცება**

ბიუჯეტის ფორმირების სამუშაოთა მიზნების შემუშავებასა და სამუშაო გეგმის დაზუსტებაზე პასუხისმგებელია მერიის მიერ შერჩეული მონაწილეობითი ბიუჯეტირების საქალაქო ხელმძღვანელი კომიტეტი.

- **სამეზობლო და ახალგაზრდული ასამბლეების ფორმირება**

სამეზობლო/საუბნო (Neighborhood Assemblies) და ახალგაზრდული (Youth Assemblies) ასამბლეების კრებას უძღვება უმრავლესობით არჩეული თავმჯდომარე. კრებების ინიცირებაში და შემდგომ განხილვებში მონაწილეობენ ქალაქის საბჭოს მკვირთარი დეპუტატები.

2) საპროექტო წინადადების შერჩევის ფაზა

საპროექტო წინადადების შერჩევის ფაზაში დაგეგმილ სამუშაოთა მონიტორინგს ახორციელებენ საზოგადოების წარმომადგენლთა შეხვედრების წევრები.

მონაწილეობითი ბიუჯეტის ფორმირების პროცედურები შეიძლება დაიყოს შემდეგ საქმიანობებად:

- **სამეზობლო და ახალგაზრდულ ასამბლეებზე საპროექტო სფეროებისა და პრობლემური საკითხების შესახებ წინადადებათა შემუშავება**

სამეზობლო და ახალგაზრდულ ასამბლეებზე განიხილება, თუ როგორ და რომელ პროექტებში დაიხარჯა წინა წლის ბიუჯეტი, განისაზღვრება პრიორიტეტული საბიუჯეტო სფეროები, რომლების დაფინანსებაც სასურველია მოხდეს მომდევნო საბიუჯეტო წელიწადში, სახელდება კონკრეტული სერვისები, ანდა ინფრასტრუქტურული ობიექტები, რომელთა დანერგვა/განვითარებას ექნება დიდი მნიშვნელობა როგორც უბნის, ისე მთლიანად 49-ე ოლქისა და თავად ქალაქისთვისაც.

მონყვლადი ჯგუფების ჩართულობის უზრუნველსაყოფად კრებები ტარდება როგორც მუნიციპალურ შენობებში, ისე რელიგიურ დაწესებულებებში, დაწყებით და საშუალო სკოლის შენობებში, პარკებში და საზოგადოებრივი ცენტრის შენობებში, ხოლო

მასალები მომზადებულია როგორც ინგლისურ, ისე ესპანურ ენაზე.

- **საზოგადოების წარმომადგენლთა შეხვედრების წევრთა არჩევა**

საზოგადოების წარმომადგენლთა შეხვედრების (Community Representative Meetings) შემადგენლობის ფორმირება ხდება ღია კენჭისყრის წესით სამეზობლო და ახალგაზრდული ასამბლეების წარმომადგენლებისგან.

- **საზოგადოებრივი განხილვებისა და საკონსულტაციო შეხვედრების ჩატარება**

მომდევნო 5 თვის მანძილზე საზოგადოების წარმომადგენლთა შეხვედრებზე ტარდება სხვადასხვა სახის საზოგადოებრივი განხილვები და საკონსულტაციო შეხვედრები. ამ შეხვედრებზე:

- სანყის ეტაპზე მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ხელისუფლების (მერიის) სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები საზოგადოების წარმომადგენლთა შეხვედრების წევრებისათვის ატარებენ საგანმანათლებლო სემინარებს, სადაც ასწავლიან შემდეგ უნარ-ჩვევებს: საჯარო ბიუჯეტის შედგენა, საპროექტო განაცხადების შედგენა, სამართლიანი გადაწყვეტილების მიღება და ეფექტური კომუნიკაციების წარმოება;
- საზოგადოების წარმომადგენლთა შეხვედრების წევრები ერთიანდებიან თემატურ და დემოგრაფიულ (ახალგაზრდობა, ეთნიკური ჯგუფები) სამუშაო ჯგუფებში, რათა როგორც ტერიტორიულად, ასევე თემატურად შეაჯერონ სამეზობლო და ახალგაზრდულ ასამბლეებზე გამოთქმული პრიორიტეტული საბიუჯეტო სფეროები;
- საზოგადოების წარმომადგენლთა შეხვედრების წევრები სამეზობლოს და ახალგაზრდულ ასამბლეებზე ატარებენ საჯარო განხილვებს საპროექტო წინადადების დაზუსტების მიზნით;
- სამეზობლო და ახალგაზრდულ ასამბლეებზე გამოთქმული საპროექტო წინადადებები განიხილება პრიორიტეტული საბიუჯეტო სფეროების გათვალისწინებით, იცხრილება შეთანხმებული კრიტერიუმების მიხედვით; საჭიროების შემთხვევაში, ხდება მათი გამსხვილება ანდა გაერთიანება, ასევე ფინანსური თუ ადამიანური რესურსებისა და დამდგარი შედეგების რეალისტური შეფასება. საჭიროების შემთხვევაში, საზოგადოების წარმომადგენლთა შეხვედრების წევრები მიმართავენ როგორც მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ხელისუფლების (მერიის) სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებს, ისე გარე ექსპერტებს

პრობლემის აქტუალობის, ბიუჯეტის რელევანტურობისა და რისკების შესაფასებლად.

- წინასწარ შეისწავლება, არის თუ არა როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირების მხრიდან მზაობა საბიუჯეტო წინადადებების სიიდან პროექტების სრული ან/და ნაწილობრივი თანადაფინანსებისთვის.
- საზოგადოების წარმომადგენლთა შეხვედრების წევრები საყოველთაო კენჭისყრაზე გასატანად ამზადებენ საპროექტო წინადადების საბოლოო სიებს.

• საინფორმაციო კამპანიის ჩატარება

საზოგადოების წარმომადგენლთა შეხვედრების წევრები ატარებენ საპროექტო წინადადების საბოლოო სიებში მოხვედრილი პროექტების შესახებ საინფორმაციო კამპანიას, რომელიც ტარდება როგორც მთელი ქალაქის მასშტაბით, ისე დაწყებითი და საშუალო სკოლების შენობებში.

მოსახლეობის მაქსიმალური ინფორმირებისა და ჩართულობის მიზნით:

- საინფორმაციო კამპანიის საწარმოებლად მაქსიმალურად ფართოდ მოიზიდება მოხალისეები, განსაკუთრებით კი მოხალისე სტუდენტები, რომლებიც კარდაკარის პრინციპით შედიან უშუალო კომუნიკაციაში მოსახლეობასთან;
- ინტენსიურად გამოიყენება ელფოსტა, სმს-გზავნილები, ტელევიზია, ბეჭდური მედია და სოციალური ქსელები;
- სააგიტაციო-სარეკლამო სახის ბეჭდურ სარეკლამო მასალას განათავსებენ რელიგიურ დაწესებულებებში, საჯარო სივრცეებში, საზოგადოების თავშეყრის ადგილებში, მუნიციპალური ტრანსპორტის გაჩერებებზე, სკოლებში და, თანხმობის შემთხვევაში, კომერციული დაწესებულებებშიც;
- საზოგადოების წარმომადგენლთა შეხვედრების წარმომადგენლები, სამეგობლო და ახალგაზრდული ასამბლეების წევრები, აგრეთვე ქალაქის საბჭოს წევრები ატარებენ საინფორმაციო-სააგიტაციო შეხვედრებს მოსახლეობასთან;

• საპროექტო წინადადებების საინფორმაციო-სააგიტაციო გამოფენები

ყოველი წლის მარტ-აპრილის პერიოდში საზოგადოების წარმომადგენლთა შეხვედრების წევრები მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ხელისუფლების (მერიის) სტრუქტურულ ერთეულებთან და მონაწილეობითი საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად ატარებენ საპროექტო წინადადებების საინფორმაციო-სააგიტაციო გამოფენებს.

გამოფენებზე წარმოადგენენ შერჩეული საპროექტო წინადადებების ამსახველ სრულ დოკუმენტაციას, აგრეთვე მასთან დაკავშირებულ ფოტო, ვიდეო და ნაბეჭდ მასალებს, ტარდება პრეზენტაციები და ავტორებთან საჯარო შეხვედრები, სადაც მოსახლეობას საშუალება აქვს უშუალოდ დაუსვან მათ კითხვები და გამოთქვან პროექტის შესახებ საკუთარი აზრი.

• საპროექტო წინადადებების კენჭისყრა

საპროექტო წინადადებების კენჭისყრა ტარდება საარჩევნო უბნებზე, თუმცა, ჩვეულებრივი სარჩევნო კენჭისყრისაგან განსხვავებით, 49-ე ოლქში სულ სამი საარჩევნო უბანი ეწყობა. თუმცა მცხოვრებლებს დამატებით შეუძლიათ:

- კენჭისყრამდე 3 დღით ადრე წინასწარ მისცენ ხმა როგორც საფოსტო გზავნილის საშუალებით, ისე უშუალოდ კენჭისყრის უბანში;
- ხელმისაწვდომობის გასაზრდელად მაქსიმალურად ფართოდ გამოიყენონ ე.წ. მობილური კენჭისყრის უბნები, რომლებიც მოძრაობს ოლქის შიგნით, წინასწარ განსაზღვრულ ადგილებში;

ახალგაზრდობის მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველსაყოფად მობილური კენჭისყრის უბნები მიდია აგრეთვე უშუალოდ საშუალო სკოლებში.

კენჭისყრის შედეგად გამარჯვებულად ითვლება 15 საპროექტო წინადადება, რომლებმაც დააგროვა ყველაზე მეტი ხმათა რაოდენობა.

გამარჯვებული საპროექტო წინადადების საბოლოო სიას ამტკიცებენ საზოგადოების წარმომადგენლთა შეხვედრების წევრები. ეს სია გადაეცემა მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს (მერიის) სტრუქტურულ ერთეულებს, რათა აისახოს მომდევნო წლის ბიუჯეტის პროექტში.

გარდა ამისა, საზოგადოების წარმომადგენლთა შეხვედრების წევრებს შეუძლიათ მიმართონ დონორებს, რათა მათ დააფიქსირონ თავიანთი მზაობა სრულად ანდა ნაწილობრივ დააფინანსონ კენჭისყრის შედეგად გამარჯვებული ანდა სიაში შესული საპროექტო წინადადებები. პრინციპში,

რეგულაციები არ უკრძალავს დონორს არც იმ საპროექტო წინადადებების დაფინანსებას, რომლებიც კენჭისყრის სიაში საერთოდ არ შევიდა.

მონაწილეობითი ბიუჯეტის პროცესების დასრულების შემდეგ მონაწილეობითი ბიუჯეტების საქალაქო ხელმძღვანელი კომიტეტი მოახდენს ბიუჯეტების პროცედურების ეფექტიანობის შეფასებას და, საჭიროების შემთხვევაში, მომზადდება ცვლილებების ამსახველი დასკვნა.

3) განხორციელების ფაზა

ქალაქის მუნიციპალიტეტის 49-ე ოლქში საპროექტო წინადადების წარდგენისა და ბიუჯეტის ფორმირებიდან მომდევნო ფისკალურ წელს იწყება პროექტების განხორციელების ფაზა. ამ ფაზის განმავლობაში საპროექტო წინადადების რეალიზაციისათვის საჭირო სამუშაოების გეგმარებას, ისევე როგორც მოიჯარის განსაზღვრას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები საპროექტო წინადადების ავტორთან კონსულტაციის გზით.

ყოველი ეტაპის დასრულების შემდეგ მერია აქვეყნებს დაწვრილებით ანგარიშს სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში განსახორციელებელ პროექტებზე სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ.

4) ანალიზის ფაზა

მონაწილეობითი ბიუჯეტების მიმდინარეობის ყოველ წელს საზოგადოების წარმომადგენლთა შეხვედრების წევრები აფასებენ ბიუჯეტის შემუშავების პროცესს. შეფასების ანგარიში უნდა შეიცავდეს:

- თუ რამდენადაა შესაძლებელი დასახული მიზნების მიღწევა;
- სამუშაო პროცესების, პროცედურების, მეთოდებისა და ინსტრუმენტების შეფასებას მათი ეფექტიანობის თვალსაზრისით, რომლებიც გამოიყენება ბიუჯეტის ფორმირების ყველა ეტაპზე;
- პროცესებში ცვლილებების შეტანის რეკომენდაციებს.

დანართი 2.3. პოზნანის (პოლონეთი) მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის მოდელი

ძირითადი მახასიათებლები

პოზნანის (Poznań) მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის მოდელის განხილვისას მნიშვნელოვანია, რომ გავითვალისწინოთ პოლონეთში არსებული შემდეგი გარემოებები, რომლებიც ზოგადად ახასიათებს ადგილობრივ დონეზე მართვის სისტემას:

- პოლონეთი ფართოდ დეცენტრალიზებული ქვეყანაა, სადაც ფუნქციონირებს მრავალდონიანი ადგილობრივი თვითმმართველობა და მუნიციპალიტეტებს გააჩნიათ ფართო ექსკლუზიური კომპეტენციები;
- საკანონმდებლო ჩარჩო უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის დამოუკიდებლობის ძალიან მაღალ დონეს და იძლევა საშუალებას, რათა მათ, თავიანთი კომპეტენციების ფარგლებში, დამოუკიდებლად განსაზღვრონ ფინანსური, ადამიანური და მატერიალური რესურსების განკარგვის საკითხები;
- პოლონეთში ძალიან კარგად არის განვითარებული სამოქალაქო საზოგადოება, თავისუფალი მედია, აგრეთვე მაღალია მოქალაქეთა სამოქალაქო კულტურაც, მაღალია მოქალაქეთა ჩართულობა საჯარო მართვის პროცედურებში, რასაც გააჩნია რეალური გავლენა საბოლოო გადაწყვეტილებებზე.
- მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ხელისუფლების (ქალაქის საბჭოს) ფორმირება ხორციელდება როგორც მაჟორიტარული წესით (ოლქში, სადაც 40 000-მდე ამომრჩეველია), ისე პროპორციული წესით (40 000-ზე მეტი);
- პოლონეთში ძალზე დაბალია კორუფციის დონე²¹.

თავად პოზნანის მუნიციპალიტეტში დანერგილი სამოქალაქო ბიუჯეტის მოდელის პროცედურები ხასიათდება შემდეგი ნიშან-თვისებებით:

- როგორც სამუშაო პროცესებში, ისე კენჭისყრაში მონაწილეობის მიღება შეუძლია პოზნანის ნებისმიერ მცხოვრებელს, მიუხედავად მისი მოქალაქეობისა და უფლებისა მონაწილეობა მიიღოს მუნიციპალურ არჩევნებში;

21 World Corruption Perceptions Index 2016, Transparency International, https://www.transparency.org/news/feature/corruption_perceptions_index_2016

- დიდი ყურადღება ექცევა განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ახალგაზრდებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების ჩართვას;
- სამოქალაქო ბიუჯეტის პროცესის წარმმართველ ორგანოს წარმოდგენს პოზნანის მუნიციპალიტეტის მერია და მისი სტრუქტურული ერთეულები;
- სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში მუნიციპალიტეტი დაყოფილია 13 რაიონად;
- გამოყოფილი თანხები მიემართება როგორც მუნიციპალურ, ასევე, რაიონულ დონეზე არსებული პრობლემების გადასაჭრელად.
- თითოეული რაიონისათვის გამოიყოფა არანაკლებ 600 000 ზლოტისა²², მაგრამ მისი ოდენობა დამოკიდებულია მუნიციპალურ და ზონალურ პროექტებზე და საბოლოო ოდენობა გამოითვლება შემდეგი ალგორითმის მიხედვით: თანხის 50%-ს შეადგენს მუნიციპალურ პროექტებზე გამოყოფილი თანხა, რომელიც იყოფა ზონის მოსახლეობის რაოდენობაზე, 30%-ს - ზონალურ პროექტებზე გამოყოფილი თანხა, რომელიც იყოფა ზონის ტერიტორიაზე, ხოლო დარჩენილი 20% კი დამოკიდებულია საპროექტო წინადადებების ზომაზე. შედეგად, თანხა მერყეობს 640 000 ზლოტიდან (V რაიონი) 1 440 000-მდე (XI რაიონი);
- მოსახლეობა პირდაპირი ფარული კენჭისყრით იღებს გადაწყვეტილებას, თუ რომელი პროექტი განხორციელდება მომდევნო წელს;
- როგორც მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი, ისე წარმომადგენლობითი ხელისუფლების წარმომადგენლები, ისევე როგორც მუნიციპალიტეტის სხვა მცხოვრებლები, საბოლოო კენჭისყრისას სარგებლობენ თანაბარი უფლებებით და კენჭისყრისას გააჩნიათ თითო ხმა;

პროცედურის მონაწილე ჩართული მხარეები

პოზნანის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის პროცესში ჩართული მხარეებია:

1. მოსახლეობა;
2. პოზნანის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა (მერი) და სტრუქტურული ერთეულები;
3. ქალაქის საბჭოს (საკრებულოს) წევრები;
4. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები.



ილუსტრაცია 8 - პოზნანის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამის განხორციელებაში ჩართული აქტორები

სამოქალაქო ბიუჯეტის პროცესების განმხორციელებელი ძირითადი სუბიექტებია:

1) მოსახლეობა

სამოქალაქო ბიუჯეტის პროცესებში მოსახლეობას გააჩნია უფლებამოსილება:

- წარადგინოს არაუმეტეს 3 საპროექტო წინადადებისა;
- მათი მხარდაჭერების მოზიდვის მიზნით ჩაატაროს საინფორმაციო კამპანია;
- პირდაპირი კენჭისყრის გზით ხმა მისცეს მისთვის სასურველ პროექტებს; ერთ მუნიციპალურ და 2 რაიონულ პროექტს;
- დარეგისტრირდეს როგორც დამკვირვებელი და დააკვირდეს კენჭისყრისა და შედეგების დათვლის პროცესებს.

2) პოზნანის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა (მერი) და სტრუქტურული ერთეულები

სამოქალაქო ბიუჯეტის განხორციელებაზე პასუხისმგებელია პოზნანის მერი, რომელიც უზრუნველყოფს სამოქალაქო ბიუჯეტის შემუშავების სამართლიან, გამჭვირვალე და ეფექტიანად წარმართვას. მისი გადაწყვეტილებები საჯაროა. იგი უფლებამოსილია:

22 პოზნანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის სამოქალაქო ბიუჯეტის წესები

- განახორციელოს სამოქალაქო ბიუჯეტის პროცესები, ასევე მათი კონტროლი და მონიტორინგი;
- შეიმუშაოს საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიის გეგმა და განახორციელოს იგი;
- პროცედურების დახვეწის მიზნით ჩაატაროს განხორციელებულ სამუშაოთა ანალიზი და მოამზადოს წინადადებები თუ რეკომენდაციები;
- შეიმუშაოს სამოქალაქო ბიუჯეტის პრიორიტეტული თემატიკა სამოქალაქო საზოგადოებასთან საჯარო დებატების საშუალებით;
- მოახდინოს საპროექტო წინადადებების ტექნიკური ანალიზი დადგენილ კრიტერიუმებთან მათი შესაბამისობის შესამოწმებლად.

სამოქალაქო ბიუჯეტის პროცედურები

პოზნანის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის პროცესის ფარგლებში სამუშაოები მიმდინარეობს 8 თვის განმავლობაში: ყოველი საბიუჯეტო წლის აპრილიდან ოქტომბრის ბოლომდე.

დანერგული მოდელის ფარგლებში სამუშაოები ლოგიკურად იყოფა შემდეგ ფაზებად:

1. გეგმარების ფაზა;
2. საპროექტო წინადადების შერჩევის ფაზა;
3. განხორციელების ფაზა;
4. ანალიზის ფაზა.

თითოეულ ფაზაში მოქმედ აქტორებს მკაცრად განსაზღვრული უფლება-მოვალეობები გააჩნიათ და დროში არიან შეზღუდულნი.

3) გეგმარების ფაზა

სამოქალაქო ბიუჯეტის გეგმარების ფაზაში ხორციელდება გასული წლის ბიუჯეტის ფორმირების სამუშაოთა პარამეტრების გადახედვა და, საჭიროების შემთხვევაში, ახლებურად ჩამოყალიბება, ასევე საინფორმაციო კამპანიის ჩასატარებლად სამუშაოთა გეგმარება.

სამოქალაქო ბიუჯეტის გეგმარების ფაზა მიმდინარეობს ყოველი წლის აპრილში და ხორციელდება შემდეგი სამუშაოები:

- **საქალაქო ბიუჯეტის პროცესების ინიცირება, ძირითადი მიზნების, აგრეთვე სამუშაოებისა და საინფორმაციო კამპანიის გეგმების შემუშავება და დამტკიცება**

ბიუჯეტის ფორმირების სამუშაოთა მიზნების შემუშავებასა და სამუშაო გეგმის დაზუსტებაზე პასუხიმგებელია მერი.

ამავე პერიოდში ხდება საინფორმაციო კამპანიის ინიცირება და განხორციელების დაწყება.

4) საპროექტო წინადადების შერჩევის ფაზა

სამოქალაქო ბიუჯეტის ფორმირების პროცედურები შეიძლება დაიწყოს შემდეგ საქმიანობებად:

- **საპროექტო სფეროებისა და პრობლემური საკითხების წინადადებების შემუშავება**

მერი სამოქალაქო საზოგადოების წევრებთან ერთად განიხილავს, თუ როგორ და რა პროექტებში დაიხარჯა წინა წლის ბიუჯეტი, განისაზღვრება პრიორიტეტული საბიუჯეტო სფეროები, რომელთა დაფინანსებაც სასურველი იქნებოდა მომდევნო საბიუჯეტო წელიწადში.

- **საპროექტო წინადადებების წარდგენა**

მოსახლეობის მიერ შემუშავებული საპროექტო წინადადებების მერიაში წარდგენა ხდება 1-ელიდან 31 მაისამდე.

წარდგენის უფლებას ფლობს პოზნანის მუნიციპალიტეტის ყველა მცხოვრები, რომელთაგან თითოეულს აქვს 3 საპროექტო წინადადების წარდგენის უფლება.

საპროექტო წინადადების შესადგენად ავტორს შეუძლია გაიაროს კონსულტაცია მერიის შესაბამის ერთეულებში. ყველა საპროექტო წინადადებას უნდა დაერთოს 10 მხარდამჭერის ხელმოწერა.

საპროექტო წინადადება მერიაში შეიძლება წარდგენილი იყოს როგორც ელექტრონულად მერიის ვებგვერდზე, ისე გაიგზავნოს ფოსტის საშუალებით წინადადების წარდგენის ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 3 დღისა.

- **საპროექტო წინადადებების ტექნიკური შეფასება**

მერიაში წარდგენილი ყველა საპროექტო წინადადება გადის მერიის შესაბამისი ერთეულის მხრიდან ტექნიკურ შეფასებას. შეფასების ფარგლებში ყურადღება ექცევა, შესაბამეობა თუ არა ისინი შეთანხმებულ კრიტერიუმებს, ასევე მოხდა თუ არა ფინანსური და ადამიანური რესურსებისა და დამდგარი შედეგების რეალისტური შეფასება. საჭიროების შემთხვევაში, პრობლემის აქტუალურობის, ბიუჯეტის რეალისტურობისა და რისკების შესაფასებლად მერია მიმართავს გარე ექსპერტებსაც. შემომწმების შემდეგ ხდება საპროექტო წინადადების საბოლოო სიების შედგენა საყოველთაო კენჭისყრაზე გასატანად.

ამავე დროს, წინასწარ შეისწავლება, არის თუ არა როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირების მხრიდან საბიუჯეტო წინადადებების სიიდან რომელიმე პროექტის სრული ან/და ნაწილობრივი თანადაფინანსების მზაობა.

• **საინფორმაციო კამპანიის ჩატარება**

მერია ატარებს საპროექტო წინადადების საბოლოო სიებში მოხვედრილი პროექტების შესახებ საინფორმაციო კამპანიას. კამპანიები ტარდება როგორც საქალაქო, ისე რაიონების დონეზე.

მოსახლეობის მაქსიმალური ინფორმირებისა და ჩართულობის მიზნით:

- საინფორმაციო კამპანიის საწარმოებლად მაქსიმალურად ფართოდ ხდება მოხალისეების მოზიდვა, აგრეთვე უშუალო კომუნიკაციის სხვა ხერხების გამოყენება;
- ინტენსიურად გამოიყენება ელფოსტა, სმს-გზავნილები, ტელევიზია, ბეჭდური მედია და სოციალური ქსელები;
- სააგიტაციო-სარეკლამო სახის ბეჭდური სარეკლამო მასალა განთავსდება საჯარო სივრცეებში, საზოგადოების თავშეყრის ადგილებში, მუნიციპალური ტრანსპორტის გაჩერებებზე, სკოლებში და, თანხმობის შემთხვევაში, კომერციულ დაწესებულებებშიც;
- საპროექტო წინადადების ავტორები ატარებენ საინფორმაციო-სააგიტაციო შეხვედრებს მოსახლეობასთან;

• **საპროექტო წინადადებების კენჭისყრა**

საპროექტო წინადადებების კენჭისყრა ტარდება ელექტრონულად მერიის ვებგვერდზე. ხელმისაწვდომობის გასაზრდელად მაქსიმალურად ფართოდ გამოიყენება როგორც სტაციონარული, ისე ე.წ. მობილური კენჭისყრის უბნები, რომლებიც ოლქის შიგნით წინასწარ განსაზღვრულ ადგილებში მოძრაობს. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობასაც ასევე შეუძლია თავად გახსნას კენჭისყრის უბანი, რომლის შესახებაც უნდა ეცნობოს მერიას.

კენჭისყრის შედეგად გამარჯვებულად ითვლება ის საპროექტო წინადადება, რომელმაც დააგროვა ხმათა ყველაზე მეტი რაოდენობა. გაუნაწილებელი თანხების არსებობის შემთხვევაში ფინანსდება მომდევნო საუკეთესო შედეგის მქონე საპროექტო წინადადება, ხოლო ფინანსების დანაკლისი იფარება სარეზერვო ფონდიდან.

გამარჯვებული საპროექტო წინადადებების საბოლოო სიას ამტ-

კიცებს მერი, ხოლო შესაბამისი სტრუქტურულ ერთეულები ასახავენ მათ მომდევნო წლის ბიუჯეტის პროექტში.

გარდა ამისა, მერი მიმართავს დონორებს, რათა მათ დააფინანსონ თავიანთი მზაობა სრულად ან/და ნაწილობრივ დააფინანსონ კენჭისყრის შედეგად გამარჯვებული ანდა სიაში შესული საპროექტო წინადადებები. პრინციპში, რეკლამაციები არ უკრძალავს დონორს იმ საპროექტო წინადადებების დაფინანსებას, რომლებიც საერთოდ არ შევიდა კენჭისყრის სიაში.

5) განხორციელების ფაზა

პომანის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის დებულების შესაბამისად, შემდეგ ფისკალურ წელს იწყება პროექტების განხორციელების ფაზა.

ამ ფაზის განმავლობაში ხდება:

• **საპროექტო წინადადების რეალიზაციისათვის საჭირო სამუშაოების გეგმარება და მოიჯარის განსაზღვრა**

ამ პროცესს უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები საპროექტო წინადადების ავტორთან კონსულტაციის გარეშე. ავტორი ერთვება იმ შემთხვევაში, თუ დაგეგმილ პროექტში საჭიროა მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა, რისთვისაც სავალდებულოა ავტორებთან კონსულტაციის გავლა. ხოლო საინვესტიციო პროექტის შემთხვევაში, პროექტის შეთანხმების პროცესში ერთვება დასახლების საბჭოს წარმომადგენლები.

მერია, ყოველი კვარტლის დასრულებიდან 15 დღეში, აქვეყნებს სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში განსახორციელებელ პროექტებზე მიმდინარე სამუშაოთა შესახებ დაწვრილებით ანგარიშს.

6) ანალიზის ფაზა

სამოქალაქო ბიუჯეტის კენჭისყრის ციკლის დასრულების შემდეგ, არაუგვიანეს 31 დეკემბრისა, მერია, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით, აფასებს სამოქალაქო ბიუჯეტის შემუშავების პროცესს.

შეფასების ანგარიში უნდა შეიცავდეს:

- დასახული მიზნების მიღწევის გზების ეფექტურობის შეფასებას;
- ორგანიზაციული ეფექტიანობის, მათ შორის იმ პროცესების, პროცედურების, მეთოდებისა და ინსტრუმენტების შეფასებას, რომლებიც გამოიყენება ბიუჯეტის ფორმირების ყველა ეტაპზე;
- რეკომენდაციებს პროცედურების ცვლილებებისათვის;

დანართი 2.4. დამბროვა გურნიცის (პოლონეთი) მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის მოდელი

ძირითადი მახასიათებლები

დამბროვა გურნიცის (Dąbrowa Górnicza) მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის მოდელის განხილვისას მნიშვნელოვანია, რომ გავითვალისწინოთ პოლონეთში არსებული შემდეგი გარემოებები, რომლებიც ზოგადად ახასიათებს ადგილობრივ დონეზე მართვის სისტემას:

- პოლონეთი არის ფართოდ დეცენტრალიზებული ქვეყანა, სადაც ფუნქციონირებს მრავალდონიანი ადგილობრივი თვითმმართველობა და მუნიციპალიტეტებს გააჩნიათ ფართო ექსკლუზიური კომპეტენციები;
- საკანონმდებლო ჩარხო უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობების დამოუკიდებლობის ძალიან მაღალ დონეს და იძლევა საშუალებას, რომ მათ, თავიანთი კომპეტენციების ფარგლებში, დამოუკიდებლად განსაზღვრონ საკუთარი ფინანსური, ადამიანური და მატერიალური რესურსების განკარგვის საკითხები;
- პოლონეთში ძალიან კარგად არის განვითარებული სამოქალაქო საზოგადოება, თავისუფალი მედია, აგრეთვე მაღალია მოქალაქეთა სამოქალაქო კულტურაც, მაღალია მოქალაქეთა ჩართულობა საჯარო მართვის პროცედურებში, რომელთაც გააჩნიათ რეალური გავლენა საბოლოო გადაწყვეტილებზე.
- მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ხელისუფლების (ქალაქის საბჭოს) ფორმირება ხორციელდება როგორც მაჟორიტარული წესით (ოლქში სადაც 40 000-მდე ამომრჩეველია), ისე პროპორციული წესით (40 000-ზე მეტი);
- პოლონეთში ძალზედ დაბალია კორუფციის დონე²³.

თავად ქალაქ დამბროვა გურნიცის მიერ დანერგილი სამოქალაქო ბიუჯეტის მოდელის პროცედურები ხასიათდება შემდეგი ნიშან-თვისებებით²⁴:

- მუნიციპალიტეტი არის შერეული სახის, ე.ი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის როგორც ქალაქის, ისე სოფლის ტიპის

დასახლებები;

- სამოქალაქო ბიუჯეტის პროცესები განსახორციელებლად მუნიციპალიტეტი დაყოფილია 35 დასახლებულ მიკრორაიონად (ზონად). რაც არ ემთხვევა მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ დაყოფას. რამდენიმე ტერიტორია, როგორც მიკრორაიონი, არ მონაწილეობს ბიუჯეტის შემუშავების პროცესებში;
- თითოეულ მიკრორაიონზე წინასწარ გამოყოფილია თანხები, რომლებიც დამოკიდებულია მცხოვრებელთა რაოდენობაზე და მერყეობს 63 000-დან (700 მოსახლე) 440 000 (8800 მოსახლე) ზლოტს შორის;
- ყოველ მიკრორაიონში იქმნება საკონსულტაციო ცენტრი და ფორმირდება მიკრორაიონის მოსახლეობის ფორუმი;
- საინფორმაციო კამპანია მიმდინარეობს მთელი წლის განმავლობაში;
- როგორც სამუშაო პროცესებში, ისე კენჭისყრაში მონაწილეობის მიღება შეუძლია დამბროვა გურნიცის ნებისმიერ მცხოვრებელს, მიუხედავად მისი მოქალაქეობისა და უფლებისა მონაწილეობა მიიღოს მუნიციპალურ არჩევნებში.
- არც საპროექტო წინადადების წარმდგენის, არც ფორუმების და არც კენჭისყრის მონაწილეთა ასაკი არ არის განსაზღვრული;
- დიდი ყურადღება ექცევა განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ზონების მიხედვით მოსახლეობის ფართო ჩართულობას;
- სამოქალაქო ბიუჯეტის პროცესის წარმმართველ ორგანოს წარმომადგენს ქალაქ დამბროვა გურნიცის მერია და მისი სტრუქტურული ერთეულები;
- დასახლებული ზონის კონსულტაციებს უძღვება ფასილიტატორი (Animator);
- თითოეული მიკრორაიონისთვის გამოყოფილი თანხა მხოლოდ შესაბამის ტერიტორიაზე უნდა დაიხარჯოს;
- საპროექტო წინადადებებს შეარჩევს მიკრორაიონის მოქალაქეთა ფორუმი;
- გადაწყვეტილება, თუ მომდევნო წელს რომელი პროექტი განხორციელდება, მიიღება ან მიკრორაიონის მოქალაქეთა ფორუმზე შეთანხმების გზით, ანდა - თუკი ასეთი შეთანხმება მიღწეული ვერ იქნა - მიკრორაიონის მოქალაქეთა მიერ პირდაპირი კენჭისყრის გზით;

23 World Corruption Perceptions Index 2016, Transparency International, https://www.transparency.org/news/feature/corruption_perceptions_index_2016

24 დამბროვა გურნიცის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის 2020 წლის დოკუმენტაცია, <http://bip.dabrowa-gornicza.pl/5839/dokument/124005>

- მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ხელისუფლების ჩართულობა დაბალია, რადგან მთელი პროცესები მიმდინარეობს ერთი ქალაქის ფარგლებში;
- როგორც ქალაქის აღმასრულებელი ხელისუფლების, ისე მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ხელისუფლების წარმომადგენლები საბოლოო კენჭისყრაში სარგებლობენ, ისევე როგორც მუნიციპალიტეტის სხვა მცხოვრებლები, თანაბარი უფლებით და კენჭისყრისას გააჩნიათ თითო ხმა.

პროცედურის მონაწილე ჩართული მხარეები

ქალაქ დამბროვა გურნიცის სამოქალაქო ბიუჯეტის პროცესის ჩართული მხარეები არიან:

1. მოსახლეობა;
2. მიკრორაიონის მოქალაქეთა ფორუმი;
3. ქალაქ დამბროვა გურნიცის აღმასრულებელი ხელმძღვანელობა (მერი) და სტრუქტურული ერთეულები;
4. ფასილიტატორი (Animator).



ილუსტრაცია 9 - ქალაქ დამბროვა გურნიცის სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამის განხორციელებაში ჩართული აქტორები

სამოქალაქო ბიუჯეტის პროცესების განმახორციელებელ ძირითად სუბიექტებს წარმოადგენენ:

1) მოსახლეობა

სამოქალაქო ბიუჯეტის პროცესებში მოსახლეობას გააჩნია უფლებამოსილება:

- წარადგინოს არაუმეტეს 3 საპროექტო იდეისა,
- მხარდამჭერების მოზიდვის მიზნით აწარმოოს საინფორმაციო კამპანია და წარადგინოს თავისი საპროექტო იდეა მიკრორაიონის მოსახლეობის ფორუმზე;
- მონაწილეობა მიიღოს მიკრორაიონის მოსახლეობის ფორუმში;
- გადაწყვეტილების მიღების პროცესში ერთი სასურველი შეარჩიოს მხოლოდ მის მიკრორაიონში განსახორციელებელი პროექტებიდან, რომელსაც, პირდაპირი კენჭისყრის შემთხვევაში, მისცემს ხმას, ანდა ჩაერთვება მიკრორაიონის მოსახლეობის ფორუმზე კონსენსუსის გზით პროექტების გამოვლენის პროცესში.
- დარეგისტრირდეს, როგორც დამკვირვებელი და დააკვირდეს კენჭისყრის და შედეგების დათვლის პროცესებს.

2) მიკრორაიონის მოსახლეობის ფორუმი

მიკრორაიონის მოსახლეობის ფორუმი ფორმირდება მხოლოდ ამ მიკრორაიონის მოსახლეობისგან. მის მუშაობას უძღვება ფასილიტატორი. მიკრორაიონის მოსახლეობის ფორუმი უფლებამოსილია:

- განიხილოს საპროექტო იდეები, წინასწარ დადგინილი კრიტერიუმებით მოახდინოს მათი გარდაქმნა პროექტებად, სადაც განერილი იქნება მათი ძირითადი პარამეტრები (დასახელება, მიზანი, ადგილმდებარეობა, სამუშაოთა მოცულობა, ფინანსები);
- განიხილოს შემუშავებული პროექტის განხორციელების მიზანშეწონილობის საკითხი და კონსენსუსის გზით შეარჩიოს. თუკი კონსენსუსის გზით გადაწყვეტილება ვერ იქნება მიღებული, შეარჩიოს 3 საუკეთესო პროექტი და გაიტანოს ამ მიკრორაიონის მოსახლეობის კენჭისყრაზე.

3) ქალაქ დამბროვა გურნიცის აღმასრულებელი ხელმძღვანელობა (მერი) და სტრუქტურული ერთეულები

სამოქალაქო ბიუჯეტის განხორციელებაზე პასუხისმგებელია დამბროვა გურნიცის მერი, რომელიც უზრუნველყოფს სამოქალაქო ბიუჯეტის შემუშავების სამართლიან, გამჭვირვალე და ეფექტიანად წარმართვას. მისი გადაწყვეტილებები საჯაროა. იგი უფლებამოსილია:

- განახორციელოს სამოქალაქო ბიუჯეტის პროცესები, ასევე მათი კონტროლი და მონიტორინგი;
- შეიმუშაოს საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიის გეგმა და განახორციელოს იგი;
- პროცედურების დახვეწის მიზნით ჩაატაროს განხორციელებულ სამუშაოთა ანალიზი და მოამზადოს წინადადებები თუ რეკომენდაციები;
- მოახდინოს საპროექტო წინადადებების ტექნიკური ანალიზი დადგენილ კრიტერიუმებთან მათი შესაბამისობის შესამოწმებლად.

4) ფასილიტატორი

მიკრორაიონის შიგნით ყველა სახის საქმიანობას უძღვება ფასილიტატორი (Animator), რომელიც არ შეძლება იყოს ამ ტერიტორიის მცხოვრებელი.

ფასილიტატორის უფლებამოსილებას წარმოადგენს:

- მოახდინოს მიკრორაიონის შიგნით მოსახლეობის მობილიზაცია, ინფორმირება და მიკრორაიონის მოსახლეობის ფორუმის ფორმირება;
- უზრუნველყოს მიკრორაიონის საკონსულტაციო ცენტრის მუშაობა;
- დაეხმაროს მოსახლეობას საპროექტო იდეების შემუშავებაში;
- გაუძღვეს მიკრორაიონის მოსახლეობის ფორუმის შეხვედრებს და დაეხმაროს მის წევრებს გადაწყვეტილების მიღებაში.

ფასილიტატორის საქმიანობა არის ანაზღაურებადი.

სამოქალაქო ბიუჯეტის პროცედურები

ქალაქ დამბროვა გურნიცის სამოქალაქო ბიუჯეტის პროცესის ფარგლებში სამუშაოები მიმდინარეობს 9 თვის განმავლობაში: აპრილიდან ნოემბრის ჩათვლით.

დანერგული მოდელის ფარგლებში სამუშაოები ლოგიკურად იყოფა შემდეგ ფაზებად:

1. მიკრორაიონის დიაგნოსტიკის ფაზა;
2. საპროექტო იდეის წარდგენის ფაზა;
3. პირველადი შემონიშნების ფაზა;
4. საპროექტო წინადადების შემუშავების ფაზა;

5. გადაწყვეტილების მიღების ფაზა;
6. პროცესის შეფასების ფაზა.

თითოეულ ფაზაში მოქმედ აქტორებს მკაცრად განსაზღვრული უფლება-მოვალეობები გააჩნიათ და დროში არიან შეზღუდულნი.

1) მიკრორაიონის დიაგნოსტიკის ფაზა

ფასილიტატორის მიერ მიკრორაიონის დიაგნოსტიკის ფაზა მიმდინარეობს ყოველი წლის აპრილში და ხორციელდება შემდეგი სამუშაოები:

- გასული წლის ბიუჯეტის (მათ შორის სამოქალაქო ბიუჯეტის) შესრულებისა და ჩატარებული სამუშაოების ანალიზი;
- სამომავლო საჭიროების გამოვლენა, ამოცანების განსაზღვრა, რომელთა შესრულებაც მომავალი წლის მუნიციპალური ბიუჯეტიდან იგეგმება;
- მოსახლეობის მოთხოვნებისა და მოთხოვნილებების შესწავლა, მიკრორაიონის სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლენა.

მიკრორაიონის დიაგნოსტიკისათვის ფასილიტატორი შეისწავლის მიკრორაიონის მახასიათებლებს და იქ არსებულ სიტუაციას, ხვდება მოსახლეობას და ქალაქის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლებს, მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს.

დიაგნოსტიკის ფაზაში ტარდება აგრეთვე მოსახლეობასთან ღია საკონსულტაციო შეხვედრები, რომლებსაც წარმართავს ფასილიტატორი. საკონსულტაციო შეხვედრებზე მიკრორაიონის მოსახლეობა, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები და ქალაქის ხელმძღვანელობა დიალოგის რეჟიმში განიხილავს მიკრორაიონში არსებულ პრობლემებს, მოსახლეობის თხოვნებს და სურვილებს.

2) საპროექტო იდეის წარდგენის ფაზა

მოსახლეობის მიერ შემუშავებული საპროექტო იდეების მერიაში წარდგენა ხდება აპრილი-მაისის განმავლობაში.

წარდგენის უფლებას ფლობს დამბროვა გურნიცის მუნიციპალიტეტის ყველა მცხოვრები, რომელაც შეუძლია წარადგინოს რამდენიმე საპროექტო იდეა. საპროექტო იდეა არის კონკრეტულ მიკრორაიონში კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტის გზის შეთავაზება.

საპროექტო იდეის შესადგენად ავტორს შეუძლია გაიაროს კონსულტაცია მერიის შესაბამის ერთეულებში, აგრეთვე საკონსულტაციო ცენტრში და ფასილიტატორთან.

საპროექტო იდეა მერიაში შეიძლება წარდგენილ იქნეს:

- ელექტრონული ფოსტით;
- პირდაპირ მერიაში;
- ფოსტის საშუალებით;
- მერიასთან არსებულ სამოქალაქო აქტივობის ცენტრში.

მერიაში წარდგენილი ყველა საპროექტო იდეის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება მერიის საიტზე და გადაეცემა შესაბამის ფასილიტატორებს.

3) პირველადი შემონმების ფაზა

მერიაში წარდგენილი ყველა საპროექტო იდეა გადის მერიის შესაბამისი ერთეულის მხრიდან ტექნიკურ შეფასებას. შეფასების ფარგლებში ყურადღება ექცევა, შეესაბამება თუ არა ეს იდეა შეთანხმებულ კრიტერიუმებს. ასევე, მოხდა თუ არა ფინანსური და ადამიანური რესურსებისა და დამდგარი შედეგების რეალისტური შეფასება. საჭიროების შემთხვევაში, მერია მიმართავს გარე ექსპერტებსაც პრობლემის აქტუალობის, ბიუჯეტის რელევანტურობისა და რისკების შესაფასებლად.

საკითხების დაზუსტების მიზნით მერიის შესაბამისი ერთეულის წარმომადგენელი, ან/და ფასილიტატორი, მიმართავს უშუალოდ საპროექტო იდეის ავტორებს.

პირველადი შემონმების პროცესი ხორციელდება მაისიდან ივნისის ჩათვლით.

4) საპროექტო წინადადების შემუშავების ფაზა

საპროექტო იდეის პროექტად გარდაქმნისა და მისი დაფინანსების შესახებ გადანყვეტილების მიღების მიზნით, ფასილიტატორი იწვევს მიკრორაიონის მოსახლეობის ფორუმს, რომელსაც აგრეთვე ესწრებიან იდეის ავტორები, რათა თავად წარმოადგინონ და განავითარონ საკუთარი საპროექტო იდეები. აღნიშნული პროცესი ხორციელდება მაისიდან ოქტომბრის ჩათვლით.

მიკრორაიონის მოსახლეობის ფორუმის მიზანია:

- ფორუმში ჩართულ მოსახლეობას, ტრენინგებისა და პრეზენტაციების გზით, მიეცეს საჯარო ბიუჯეტის ფორმირების შესახებ საბაზი-

სო ცოდნა და პრაქტიკული უნარები.

- წარმოდგენილი საპროექტო იდეების საფუძველზე ქალაქის ბიუჯეტში შესატანი პროექტის, ან/და პროექტების, შემუშავება მიკრორაიონზე გამოყოფილი ფინანსური კვოტის გათვალისწინებით.
- შეირჩეს სამი საუკეთესო პროექტი, რომლებიც შეიძლება დააყენონ კენჭისყრაზე იმ პირობით, რომ მათი დაფინანსების ოდენობა არ აღემატება მიკრორაიონის დაფინანსების კვოტას.

მოსახლეობის მიერ პროექტების შემუშავების პროცესის პარალელურად, ფასილიტატორი გადასცემს პროექტებს ტექნიკური ექსპერტიზისათვის მერიის შესაბამის სამსახურებს, რომელთა შენიშვნებიც კვლავ განიხილება მოსახლეობის მიერ.

5) გადანყვეტილების მიღების ფაზა

ქალაქ დამბროვა გურნიცის სამოქალაქო ბიუჯეტის პროცესის ფარგლებში საპროექტო წინადადებაზე შემუშავებული პროექტების შესახებ გადანყვეტილების მიღებისას ორ მეთოდს იყენებენ:

- პროექტების შემუშავების შემდეგ მიკრორაიონის მოსახლეობის ფორუმში დებატებისა და კონსენსუსის გზით იღებს გადანყვეტილებას, თუ რომელი მათგანი უნდა განხორციელდეს მომდევნო წელს.
- თუ მიკრორაიონის მოსახლეობის ფორუმმა ვერ მიიღო გადანყვეტილება, მაშინ წინასწარ შერჩეულ სამ პროექტზე მოსახლეობა გადანყვეტილებას მიიღებს ღია კენჭისყრის გზით.

რა მეთოდიც არ უნდა იქნეს გამოყენებული, საბოლოო გადანყვეტილება უნდა მიღებულ იქნეს არაუგვიანეს ნოემბრის ბოლოსა.

კენჭისყრის პროცესი მიმდინარეობს მხოლოდ იმ მიკრორაიონებში, სადაც მოსახლეობის ფორუმების მიერ კონსენსუსის გზით ვერ იქნა მიღებული გადანყვეტილება. თავად პროცესის განხორციელებას უზრუნველყოფს მერია, რის შედეგებსაც აქვეყნებს თავის ვებგვერდზე.

მიღებული ხმების ოდენობით განისაზღვრება პროექტების რეიტინგი. მომდევნო წლის ბიუჯეტში მოხვდება ის პროექტი, რომელმაც ყველზე მეტი ხმა დააგროვა. ყველა მომდევნო პროექტის დაფინანსებისას განიხილება საკითხი, მათი ჯამური დაფინანსება ხომ არ აჭარბებს მიკრორაიონზე გამოყოფილ კვოტას? თუ პროექტებმა დააგროვეს ხმათა ერთნაირი რაოდენობა, მაშინ აუცილებლად დაფინანსდება ის პროექტი, რომლის ბიუჯეტიც უფრო მეტია.

გამარჯვებული საპროექტო წინადადებების საბოლოო სიას ამტკიცებს მერი, ხოლო შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები ასახავენ მათ მომდევნო წლის ბიუჯეტის პროექტში.

6) პროცესის შეფასების ფაზა

სამოქალაქო ბიუჯეტის კენჭისყრის ციკლის დასრულების შემდეგ მერია, მოსახლეობისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით, აფასებს სამოქალაქო ბიუჯეტის შემუშავების პროცესს.

ინფორმაციას პროცესის მიმდინარეობისას უკუკავშირის შესახებ მერი მოსახლეობას აწვდის ელექტრონულად, მიკრორაიონის ფორუმებზე ან/და ღია შეხვედრებზე.

დანართი 2.5. ტარტუს (ესტონეთი) მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის მოდელი

ძირითადი მახასიათებლები

ქალაქ ტარტუს (Tartu) მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის მოდელის განხილვისას მნიშვნელოვანია, რომ გავითვალისწინოთ ესტონეთში არსებული შემდეგი გარემოებები, რომლებიც ზოგადად ახასიათებს ადგილობრივ დონეზე მართვის სისტემას:

- ესტონეთი ფართოდ დეცენტრალიზებული ქვეყანაა, სადაც ფუნქციონირებს მრავალდონიანი ადგილობრივი თვითმმართველობა და მუნიციპალიტეტებს გააჩნია ფართო ექსკლუზიური, ასევე დელეგირებული კომპეტენციები;
- ესტონეთის 226 მუნიციპალიტეტიდან ორ მესამედში ცხოვრობს 3000-მდე მოსახლე;
- საკანონმდებლო ჩარჩო უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის დამოუკიდებლობის ძალიან მაღალი დონეს და იძლევა საშუალებას, რომ მათ თავიანთი კომპეტენციების ფარგლებში, დამოუკიდებლად განსაზღვრონ ადამიანური და მატერიალური რესურსების განკარგვის საკითხები;
- მუნიციპალური შემოსავლები დაბალია, ბიუჯეტის უმეტეს წილს შეადგენს ცენტრალური ხელისუფლებიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერტები;
- ესტონეთში ძალიან კარგად არის განვითარებული სამოქალაქო საზოგადოება, თავისუფალი მედია, აგრეთვე მაღალია მოქალაქეთა სამოქალაქო კულტურა, მაღალია მოქალაქეთა მზობა ჩაერთოს საჯარო განხილვებში;

- ესტონეთში ძალზედ დაბალია კორუფციის დონე²⁵.

თავად ქალაქ ტარტუს მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი სამოქალაქო ბიუჯეტის მოდელის პროცედურები ხასიათდება შემდეგი ნიშან-თვისებებით:

- სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში არსებული, პრაქტიკულად ყველა პროცესი (საპროექტო წინადადების მიღება, შერჩევა, საინფორმაციო კამპანია, კენჭისყრა და სხვა) ხორციელდება მუნიციპალური საინფორმაციო სისტემის „VOLIS“ პლატფორმის გამოყენებით;
- კენჭისყრაში მონაწილეობის მიღება შეუძლია 14 წელს მიღწეულ, ქალაქ ტარტუსში რეგისტრირებულ, ნებისმიერ მცხოვრებელს, რომელსაც გააჩნია ID-ბარათი ანდა Mobii-ID;
- დიდი ყურადღება ექცევა განხილვისა და გადანყვეტილების მიღების პროცესებში ახალგაზრდებისა და სხვა მონყველადი ჯგუფების ჩართვას;
- სამოქალაქო ბიუჯეტის პროცესის წარმმართველ ორგანოს წარმოდგენს ქალაქ ტარტუს მუნიციპალიტეტის მერია და მისი სტრუქტურული ერთეულები;
- სამოქალაქო ბიუჯეტის პროცესი მიმდინარეობს მუნიციპალურ დონეზე და მისი დაყოფა მცირე ზონებად არ ხდება;
- მუნიციპალური ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოიყოფა სულ ცოტა 200 000 ევრო²⁶, საიდანაც მოქალაქეების მიერ წარდგენილი პროექტის დაფინანსების ზომა არ უნდა აღემატებოდეს 100 000 ევროს, რაც იძლევა სულ მცირე 2 საპროექტო წინადადების დაფინანსების შესაძლებლობას მაინც;
- მოსახლეობა პირდაპირი კენჭისყრით გზით იღებს გადანყვეტილებას, თუ რომელი პროექტი უნდა განხორციელდეს მომდევნო წელს;
- კენჭისყრა მიმდინარეობს ან ელექტრონულად მუნიციპალური საინფორმაციო სისტემის „VOLIS“ საშუალებით, ანდა უშუალოდ მუნიციპალიტეტის შენობაში, მერიის საინფორმაციო ცენტრში;
- როგორც მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი, ისე წარმომადგენლობითი ხელისუფლების წარმომადგენლები საბოლოო კენჭისყრაში სარგებლობენ მუნიციპალიტეტის სხვა მცხოვრებლებთან თანაბარი უფლებით და კენჭისყრისას გააჩნიათ თითო ხმა;

25 World Corruption Perceptions Index 2016, Transparency International, https://www.transparency.org/news/feature/corruption_perceptions_index_2016

26 ქალაქ ტარტუს მუნიციპალიტეტის 2020 წლის სამოქალაქო ბიუჯეტის წესები: <https://www.tartu.ee/en/narodnyibudzet#narodnyj-budzet-na-2019-god>

პროცედურის მონაწილე ხართული მხარეები

ქალაქ ტარტუს მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის პროცესის ხართული მხარეები არიან:

1. მოსახლეობა;
2. ქალაქ ტარტუს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ხელმძღვანელობა (მერი) და სტრუქტურული ერთეულები;
3. ექსპერტები,



ილუსტრაცია 10 - ქალაქ ტარტუს მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამის განხორციელებაში ხართული აქტორები

სამოქალაქო ბიუჯეტის პროცესების განმარტოვებულ ძირითად სუბიექტებს წარმოადგენენ:

1) მოსახლეობა

სამოქალაქო ბიუჯეტის პროცესებში მოსახლეობას გააჩნია უფლებამოსილება:

- წარადგინოს საპროექტო იდეები;
- ჩაერთოს სადისკუსიო შეხვედრებში, როგორც საპროექტო იდეის ავტორი/ავტორთა ჯგუფის წევრი ანდა როგორც მონაწილე, და გამოთქვას საკუთარი მოსაზრებები ნებისმიერი საპროექტო იდეის შესახებ;
- მხარდამჭერების მოზიდვის მიზნით ჩაატაროს საინფორმაციო კამპანია;
- პირდაპირი კენჭისყრის გზით ხმა მისცეს მისთვის სასურველ საპროექტო იდეებს.

2) ქალაქ ტარტუს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ხელმძღვანელობა (მერი) და სტრუქტურული ერთეულები

სამოქალაქო ბიუჯეტის განხორციელებაზე პასუხისმგებელია ქალაქ ტარტუს მერი, რომელიც უზრუნველყოფს სამოქალაქო ბიუჯეტის შემუშავების სამართლიან, გამჭვირვალე და ეფექტიანად წარმართვას. მისი გადაწყვეტილებები საჯაროა. იგი უფლებამოსილია:

- განახორციელოს სამოქალაქო ბიუჯეტის პროცესები, ასევე მათი კონტროლი და მონიტორინგი;
- შეიმუშაოს საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიის გეგმა და განახორციელოს იგი;
- პროცედურების დახვეწის მიზნით ჩაატაროს განხორციელებულ სამუშაოთა ანალიზი და მოამზადოს წინადადებები თუ რეკომენდაციები;
- უზრუნველყოს მუნიციპალური საინფორმაციო სისტემის „VOLIS“ შეუფერხებელი მუშაობა, ხელმისაწვდომობა და მონაცემების დაცულობა.

3) ექსპერტები

სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი პასუხისმგებელია:

- მოსახლეობის მიერ წარდგენილი საპროექტო იდეების ტექნიკურ და კრიტერიუმებთან შესაბამისობის შეფასებაზე, საჭიროების შემთხვევაში კი - ადაპტაციაზეც;
- იდეის ავტორებთან და ყველა დაინტერესებულ პირთან სადისკუსიო შეხვედრებზე განიხილონ წარდგენილი საპროექტო იდეების აქტუალობა და მათი განხორციელების საჭიროება.

ექსპერტებად შეირჩევიან მერიის შესაბამისი სამსახურების დარგის სპეციალისტები, საკრებულოს წევრები და სხვადასხვა დარგის გარეშე სპეციალისტები.

სამოქალაქო ბიუჯეტის პროცედურები

ქალაქ ტარტუს მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის პროცესის ფარგლებში სამუშაოები მიმდინარეობს თითქმის 7 თვის განმავლობაში: ყოველი საბიუჯეტო წლის აპრილიდან ოქტომბრის ჩათვლით.

დანერგული მოდელის ფარგლებში სამუშაოები ლოგიკურად იყოფა შემდეგ ფაზებად:

1. გეგმარების ფაზა;
2. საპროექტო იდეების წარდგენის ფაზა;
3. საპროექტო იდეების სიცოცხლისუნარიანობის ექსპერტული შეფასების ფაზა;
4. საჯარო დისკუსიების ფაზა;
5. იდეების გაცნობის ფაზა;
6. კენჭისყრის ფაზა;
7. განხორციელების ფაზა.

თითოეულ ფაზაში მოქმედ აქტორებს მკაცრად განსაზღვრული უფლება-მოვალეობები გააჩნიათ და დროში არიან შეზღუდულნი.

1) გეგმარების ფაზა

სამოქალაქო ბიუჯეტის გეგმარების ფაზაში ხორციელდება გასული წლის ბიუჯეტის ფორმირების სამუშაოთა პარამეტრების გადახედვა და, საჭიროების შემთხვევაში, ახლებურად ჩამოყალიბება, ასევე საინფორმაციო კამპანიის ჩასატარებლად სამუშაოთა დაგეგმვა. აღნიშნული სამუშაოები ხორციელდება 1-ელიდან 10 აპრილის ჩათვლით.

სამოქალაქო ბიუჯეტის გეგმარების ფაზა მიმდინარეობს ყოველი წლის აპრილში და ხორციელდება შემდეგი სამუშაოები:

- საქალაქო ბიუჯეტის პროცესების ინიცირება, ძირითადი მიზნების, აგრეთვე სამუშაო და საინფორმაციო კამპანიის გეგმების შემუშავება და დამტკიცება

ბიუჯეტის ფორმირების სამუშაოთა მიზნების შემუშავებაზე და სამუშაო გეგმის დაზუსტებაზე პასუხიმგებელია მერი.

ამავე პერიოდში ხდება საინფორმაციო კამპანიის ინიცირება და განხორციელების დაწყება

2) საპროექტო იდეების წარდგენის ფაზა;

მოსახლეობის მირ შემუშავებული საპროექტო იდეების მერიაში წარდგენა ხდება 10-დან 30 აპრილამდე.

წარდგენის უფლებას ფლობს ქალაქ ტარტუს მუნიციპალიტეტის ყველა მცხოვრები, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე.

საპროექტო იდეის განსახორციელებლად შეიძლება გამოყოფილ იქნეს არაუმეტეს 100 000 ევროსი. საპროექტო იდეის შესადგენად ავტორს შეუძლია გაიაროს კონსულტაცია მერიის შესაბამის ერთეულებში.

იდეის ავტორისაგან ელიან აგრეთვე, რომ იგი აქტიურად ჩაერთვება სამოქალაქო ბიუჯეტირებაში ამ პროცესის ყველა ეტაპზე, განსაკუთრებით კი საჯარო დისკუსიებისა და გაცნობის ეტაპებზე.

საპროექტო იდეის მერიაში წარდგენა შესაძლებელია როგორც ელექტრონულად მუნიციპალური საინფორმაციო სისტემის „VOLIS“ საშუალებით, ისე უშუალოდ მუნიციპალიტეტის შენობაში, მერიის საინფორმაციო ცენტრში.

3) საპროექტო იდეების სიცოცხლისუნარიანობის ექსპერტული შეფასების ფაზა

ყველა წარდგენილი საპროექტო იდეა ექვემდებარება მერიის ტექნიკურ შეფასებას, რომელსაც ახორციელებენ ექსპერტები. სამუშაოები ტარდება მაისის თვეში.

ექსპერტები ერთიანდებიან თემატურ ჯგუფებში, რომლებშიც შედიან: შესაბამისი დარგის ექსპერტები მერიის სტრუქტურული ერთეულებიდან, საკრებულოს წევრები და მონვეული ექსპერტები.

შეფასების მიზანია ყოველი საპროექტო იდეის სიცოცხლისუნარიანობა შეფასდეს დროითი, ფინანსური და ტექნიკური ასპექტების გათვალისწინებით. შეფასების ფარგლებში ყურადღება ექცევა, შეესაბამება თუ არა ისინი შეთანხმებულ კრიტერიუმებს. მოხდა თუ არა ფინანსური და ადამიანური რესურსებისა და დამდგარი შედეგების რეალისტური შეფასება, მათ შორის:

- რამდენი ადამიანი იღებდა შემუშავების პროცესში მონაწილეობას;
- მოსალოდნელი გავლენა ქალის გარემოზე;
- იდეის ორიგინალურობა;
- თემის/საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის ჩართულობის ხარისხი და ერთობლივი მუშაობის შესაძლებლობა;
- ცხოვრების აქტიური სტილის ხელშეწყობა.

ექსპერტებს აქვთ უფლებამოსილება, რომ იდეის ავტორებს შესთავაზონ საპროექტო იდეების მოდიფიცირება (შეამცირონ სამუშაოთა მოცულობა, ტერიტორია, გაერთიანდნენ სხვა ანალოგიური საპროექტო იდეის ავტორთან და სხვა). განხილვიდან გამოირიცხება ის საპროექტო იდეები, რომელთა იმავე საბიუჯეტო წელში განხორციელებას მერია ისედაც გეგმავდა.

4) საჯარო დისკუსიების ფაზა

მერია, საპროექტო იდეების სიცოცხლისუნარიანობის შეფასების შემდეგ, ატარებს საჯარო დისკუსიებს, რათა გამოვლენილ იქნეს იდეების საბოლოო ნუსხა, რომელიც დადგება კენჭისყრაზე. დისკუსიები ტარდება, როგორც წესი, ივნისში.

საჯარო დისკუსიაში მონაწილეობენ ავტორები იმ იდეისა, რომელიც ექსპერტებმა დეკლარირებული კრიტერიუმების შესაბამისად მიიჩნიეს, აგრეთვე თავად ექსპერტები და ყველა სხვა დაინტერესებული პირი.

საჯარო დისკუსიის მიმდინარეობისას ავტორები წარადგენენ საკუთარ საპროექტო იდეებს. დისკუსიების გზით უნდა წარმოჩნდეს ყველა პროექტის ძლიერი და სუსტი მხარეები, აგრეთვე ის სარგებელი, რასაც ტარტუს საზოგადოება მიიღებს და უნდა დასაბუთდეს ამ პროექტის საჭიროება.

5) იდეების გაცნობის ფაზა

მერია ატარებს საპროექტო იდეათა საბოლოო სიებში მოხვედრილი პროექტების შესახებ საინფორმაციო კამპანიას. საინფორმაციო კამპანია მიმდინარეობს ივლის-სექტემბერში.

მოსახლეობის მაქსიმალური ინფორმირებისა და ჩართულობის მიზნით:

- საინფორმაციო კამპანიის საწარმოებლად უშუალო კომუნიკაციის სხვადასხვა ხერხის მაქსიმალურად ფართო გამოყენება;
- ინტენსიურად გამოიყენება ელფოსტა, სმს-გზავნილები, ტელევიზია, ბეჭდური და ელექტრონული მედია, ასევე სოციალური ქსელები;
- სააგიტაციო-სარეკლამო სახის ბეჭდური სარეკლამო მასალა განთავსდება საჯარო სივრცეებში, საზოგადოების თავშეყრის ადგილებში, მუნიციპალური ტრანსპორტის გაჩერებებზე, სკოლებში და, თანხმობის შემთხვევაში, კომერციულ დაწესებულებებში;
- საპროექტო იდეის ავტორები ატარებენ საინფორმაციო-სააგიტაციო შეხვედრებს მოსახლეობასთან;
- დისკუსიის მთელი მსვლელობა გადაიცემა მუნიციპალური საინფორმაციო სისტემის „VOLIS“ საშუალებით და ყველა მსურველს აქვს საშუალება თვალყური ადევნოს მას როგორც საჯარო შეხვედრის მსვლელობისას, ისე მას შემდეგაც, რათა მიიღოს გადამწყვეტილება, თუ რომელ საპროექტო იდეას დაუჭიროს მხარი

6) საპროექტო იდეების კენჭისყრა

საპროექტო იდეების კენჭისყრა ტარდება მუნიციპალური საინფორმაციო სისტემის „VOLIS“ საშუალებით, ანდა უშუალოდ მუნიციპალიტეტის შენობაში, მერიის საინფორმაციო ცენტრში.

კენჭისყრა ტარდება, როგორც წესი, ოქტომბრის პირველ ნახევარში და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია 14 წელს მიღწეულ, ქალაქ ტარტუში რეგისტრირებულ, ნებისმიერ მცხოვრებელს, რომელსაც გააჩნია ID-ბარათი ანდა Mobii-ID.

ყოველ ადამიანს შეიძლება ხმა მისცეს მხოლოდ სამ, მისთვის სასურველ, საპროექტო იდეას.

კენჭისყრის შედეგად გამარჯვებულად ითვლება ის საპროექტო იდეა, რომელმაც დააგროვა ხმათა ყველაზე მეტი რაოდენობა.

7) განხორციელების ფაზა

ქალაქ ტარტუს მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის შესახებ საპროექტო წინადადების წარდგენისა და ბიუჯეტის ფორმირების შემდეგ, მის მომდევნო ფისკალურ წელს, იწყება პროექტების განხორციელების ფაზა.

ამ ფაზის განმავლობაში ხდება საპროექტო წინადადების რეალიზაციისათვის საჭირო ყველა სამუშაოს დაგეგმვა და მოიჯარის განსაზღვრა. ამ პროცესის წარმართვას უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები, საპროექტო წინადადების ავტორთან კონსულტაციის გარეშე. თუმცა ავტორი ჩაერთვება, თუკი დაგეგმილ პროექტში საჭირო გახდება მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა, რისთვისაც სავალდებულოა ავტორებთან კონსულტაციის გავლა. ხოლო საინვესტიციო პროექტის შემთხვევაში, პროექტის შეთანხმების პროცესში ერთვებიან დასახლების საბჭოს წარმომადგენლები.

დანართი 3. მონაწილეობითი მოდელის ტიპოლოგია

ამჟამად მსოფლიოში არსებული მონაწილეობითი ბიუჯეტების პრაქტიკული მოდელების აღწერის, მახასიათებლების დადგენისა და სისტემატიზაციის მიზნით 2012 წელს შემუშავდა მონაწილეობითი ბიუჯეტის ტიპოლოგია (Sintomer, Herzberg, Rocke-Humboldt, & Allegretti, 2012).


ტიპოლოგიის ფარგლებში გამოიყო მონაწილეობითი ბიუჯეტის შემდეგი ექვსი პრაქტიკული მოდელი:

1. მონაწილეობითი დემოკრატიის (Participatory Democracy) მოდელი;
2. სამეზობლო (სიახლოვის) დემოკრატიის (Proximity Democracy) მოდელი;
3. მონაწილეობითი მოდერნიზაციის (Participatory Modernization) მოდელი;
4. დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობის (Multi-Stakeholder Participation) მოდელი;
5. ნეო-კორპორატივიზმის (Neo-Corporatism) მოდელი;
6. სათემო განვითარების (Community Development) მოდელი.

თითოეული პრაქტიკული მოდელი აღიწერება სამი ძირითადი მახასიათებლის გამოყენებით:

- **ტერიტორიული მახასიათებელი** - მონაწილეობითი ბიუჯეტი, უპირველეს ყოვლისა, მოიაზრება, როგორც კონკრეტულ ტერიტორიაზე მიმდრეკილი ფინანსური და მმართველობითი ინსტრუმენტი. ტერიტორიული მახასიათებელი შეიძლება იყოს: სამეზობლო, უბანი, ქალაქი, მუნიციპალიტეტი და გუბერნია, ასევე პროცესის ოპტიმიზაციის მიზნით სპეციალურად განსაზღვრული ტერიტორიული ერთეულები - სამოქმედო ზონებიც.
- **თემატური მახასიათებელი** - მოდელის ფარგლებში საბიუჯეტო რესურსები მიემართება წინასწარ დეკლარირებული და პრიორიტეტების მიხედვით ჩამოყალიბებული საკითხების გადაჭრისაკენ, როგორებიცაა: ტრანსპორტი, გარემოს დაცვა, საცხოვრისი, განათლება, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება და სხვა. პრობლემები და თემები დროთა განმავლობაში შესაძლებელია შეიცვლოს.
- **პროცესის აქტორის მახასიათებელი** - მოდელის ფარგლებში საბიუჯეტო რესურსები განკუთვნილია მონყვლადი და დაუცველი, ანდა

სხვა რომელიმე სოციალური ჯგუფების პრობლემების მოსაგვარებლად, როგორებიცაა: ახალგაზრდობა, ქალები, ხანდაზმულები, მიგრანტები, სექსუალური და რელიგიური უმცირესობები და სხვა. დროთა განმავლობაში შესაძლებელია შეიცვლოს სამიზნე ჯგუფებიც.



ილუსტრაცია 11 - მონაწილეობითი ბიუჯეტის ტიპები

არსებულ პრაქტიკაში ადგილი აქვს აგრეთვე ამ საბაზისო მახასიათებლების კომბინაციასაც. მაგალითად, კონკრეტულ ტერიტორიაზე შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კულტურულ-სპორტული თემატიკის პროექტების დაფინანსება (გამოყენებულია ორი მახასიათებელი: ტერიტორიული და თემატური), ანდა ამ პროექტების წარდგენის შესაძლებლობა ჰქონდეს სულაც მხოლოდ ახალგაზრდობას (გამოყენებულია უკვე სამივე მახასიათებელი). აღნიშნული მიდგომა საშუალებას გვაძლევს უკეთ მოვარგოთ ტიპოლოგია კონკრეტულ მუნიციპალიტეტში არსებულ კონტექსტს.


ქვემოთ მოყვანილია ყოველი პრაქტიკული მოდელის აღწერა.

მონაწილეობითი დემოკრატიის (Participatory Democracy) მოდელი

მონაწილეობითი დემოკრატიის (Participatory Democracy) მოდელის ფარგლებში მოსახლეობა თავად წყვეტს, თუ რომელი პროგრამა, რა რესურსების გამოყენებით და როდის გააკეთოს ადგილობრივმა ხელისუფლებამ, შემდგომ კი აგრეთვე მოსახლეობაც ასევე ამონმებს, თუ როგორ დაიხარჯა გამოყოფილი რესურსები.

მონაწილეობითი ბიუჯეტის მოდელი ეყრდნობა საჯარო ბიუჯეტების პროცესში მოსახლეობის ფართო ფენების (ელიტა, საშუალო კლასი და ღარიბი მოსახლეობა, სხვადასხვა სოციალური ფენა) ჩართულობას. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული მოდელი პოლიტიკური თვალსაზრისით ყველაზე უფრო მასტიმულირებელი ფორმაა, რადგან იგი თავის თავში ძლიერ თანამონაწილეობასაც მოიცავს და სოციალურ სამართლიანობაზე ზეგავლენასაც.

ადგილობრივი მმართველობის ორგანო, მონაწილეობითი ბიუჯეტების პროცესის ფარგლებში, მოქმედებს მოსახლეობის სახელით და მათთან კომუნიკაციის გზით. იგი აქტიურად არის ჩართული როგორც პროცესების გაშვების სტადიაზე, ისე უშუალოდ გადაწყვეტილების განხორციელებისას. მოქალაქეებს და მათ წარმომადგენლებს (დელეგატებს) დე-ფაქტო გააჩნიათ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება, თუმცა ამ საკითხებზე პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა დე-იურე კვლავ არჩეული ადგილობრივი ხელისუფლების ხელში რჩება.



ილუსტრაცია 12 - მონაწილეობითი მოდერნიზაციის მოდელის ფარგლებში გადაწყვეტილების მიღების იერარქიული სტრუქტურა


მოდელის ძლიერ მხარეს წარმოადგენს ის გარემოება, რომ მონაწილეობითი დემოკრატია არის როგორც საზოგადოების პოლიტიკურად, ისე სოციალურად მასტიმულირებელი მოდელი და თავის თავში მოიცავს მოქალაქეთა აქტიური მონაწილეობისა და სოციალური სამართლიანობის ელემენტთა ერთობლიობას.

მოდელის სუსტი მხარე არის ის გარემოება, რომ მონაწილეობითი დემოკრატიის მოდელი ითხოვს პოლიტიკური ელიტისაგან ძლიერ პოლიტიკურ ნებას, აგრეთვე კარგად მობილიზებული და დამოუკიდებელი სამოქალაქო საზოგადოებების არსებობას, რომლებიც მზად იქნებიან, რომ აქტიურად ითანამშრომლონ არსებულ პროცესში.

მონაწილეობითი დემოკრატიის მოდელი პირველად დაინერგა ბრაზილიაში - პორტე ალეგრიში (Porte Alegre) და ბლუ ორიზონტში (Blue Horizonte), რის შემდეგ გავრცელდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. დღეისათვის მონაწილეობითი დემოკრატიის მოდელი ყველაზე ფართოდ გავრცელებული მოდელია. თუმცა, მოდელის დანერგვისას ზოგჯერ ხდება ხოლმე მისი მცირედი მოდიფიკაცია ისე, როგორც მოხდა, მაგალითად, სევილიაში (ესპანეთი), ონგ-კუ-ში (ჩრდილოეთ კორეა), კარლაში (ინდოეთი) და სხვა.

სამეზობლო (სიახლოვის) დემოკრატიის (Proximity Democracy) მოდელი

სამეზობლო დემოკრატიის მოდელის²⁷ საკვანძო მახასიათებელს წარმოადგენს ის გარემოება, რომ მოდელი წარმოაჩენს სამეზობლოს, როგორც გეოგრაფიული სიახლოვის ელემენტს და მოქალაქეებს, ფედერალურ სახელმწიფო ორგანოებსა და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის კავშირების გაძლიერების შესაძლებლობას. ამ მოდელში აღნიშნული კავშირები განიხილება, როგორც პროცესის სუბიექტების ერთგვარი „სამეზობლო“ შეხვედრა, სადაც ადგილი აქვს არაფორმალურ დონეზე აზრების გაცვლას, რაც მიმართულია სამეზობლოს პრობლემების ერთობლივ გადაწყვეტისაკენ.



ილუსტრაცია 13 - სამეზობლო დემოკრატიის მოდელის ფარგლებში გადაწყვეტილების მიღების იერარქიული სტრუქტურა

27 სმას აგრეთვე უწოდებენ ახლო მანძილის დემოკრატიის მოდელს

ჩვეულებრივ, სამეზობლო დემოკრატიის მოდელი ემყარება ე.წ. „შერჩევით [საჯარო] მოსმენებს“ (Selective Listening). მოდელის ფარგლებში მოქალაქეებისათვის საბიუჯეტო პრიორიტეტებისა და პროგრამების შესახებ დებატების გასამართად ხელმისაწვდომია სათანადო სივრცე (პროცესი), თუმცა გადაწყვეტილების მიმღები პირები (ადგილობრივი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები), თავის შეხედულისამებრ, შეარჩევენ მხოლოდ იმ საკითხებს, რომლებიც შემდგომ საფუძველად ედება ახალ მმართველობით პოლიტიკას, ხოლო მისი ოფიციალურად დამტკიცების შემდგომ, იგი მომავალი წლის ბიუჯეტის ნაწილიც ხდება.

სამეზობლო დემოკრატიის მოდელის ფარგლებში იქმნება სპეციალური საბჭოები (ფონდები), რომელთა მიზანია, ე.წ. „მცირე ინიციატივების“ პროგრამების საშუალებით, მხარი დაუჭირონ მოსახლეობის არაფორმალურ ჯგუფებს (სამეზობლოებს). ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილების მიმღები პირები შერჩევითად, მათ მიერ განსაზღვრულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, განიხილავენ მოქალაქეების მიერ გამოთქმულ იდეებს და ახდენენ წარმოდგენილი ინიციატივების განხორციელებისათვის საჭირო მონყობილობებისა და მომსახურების შესაძენის სუბსიდირებას.

სამეზობლო დემოკრატიის მოდელი ეფუძნება არაფორმალურ წესებს, ხოლო მისი თანმდევი პროცესები, უმეტესწილად, საკონსულტაციო ხასიათისაა.

მოდელის ძლიერ მხარეს წარმოადგენს „სამეზობლოში“ მოქალაქეებსა და გადაწყვეტილების მიმღებ პირთა შორის სოციალური კავშირების გაძლიერება და ადგილობრივი საზოგადოების დინამიკური განვითარება.

მოდელის სუსტ მხარედ მიიჩნევა შემდეგი გარემოება: ვინაიდან ხელისუფლებას შეუძლია მოსახლეობის მიერ შეთავაზებული წინადადებებიდან აირჩიოს მხოლოდ ის წინადადებები, რომლებიც შეესაბამება მის საკუთარ გეგმებსა და ხედვებს, თავს იჩენს „შერჩევითი მოსმენებისადმი“ არაფორმალური მიდგომა, რაც, თავის მხრივ, იწვევს გადაწყვეტილების მიღების პროცესში გაუმართლებლად ბევრი რისკის გაჩენას, მათ შორის, მოსახლეობის მხრიდან პროცესისადმი ნიჰილისტურ დამოკიდებულებას.


მონაწილეობითი ბიუჯეტის მოდელი, წარმატებით დაინერგა ევროპის უმეტეს ქვეყნებში, სადაც მოსახლეობასა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის მჭიდრო კავშირები ტრადიციულად არსებობს. თუმცა ამ მოდელის დანერგვა ხდება აგრეთვე ლათინურ ამერიკაში, ავსტრალიაში, კორეასა და იაპონიაში.

მონაწილეობითი მოდერნიზაციის (Participatory Modernization) მოდელი

მონაწილეობითი მოდერნიზაციის მოდელი ემყარება იმ იდეას, რომ მონაწილეობა არის თანამედროვე სახელმწიფოს მართვის სტრატეგიის ერთ-ერთი (და არა ერთადერთი) მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, რათა სახელმწიფო გახდეს უფრო მეტად ეფექტური და მოახდინოს თავისი თავის მოდერნიზაცია. მოდელის შესაბამისი პროცესების დანერგვა დაკავშირებულია სახელმწიფოს კარგ მმართველობასთან და მიმართულია სახელმწიფო პოლიტიკის ლეგიტიმაციის გაზრდისაკენ.

სამეზობლო დემოკრატიის მოდელისაგან განსხვავებით, მონაწილეობითი მოდერნიზაციის მოდელი არ ფოკუსირდება მხოლოდ ლოკალურ, სამეზობლო დონეზე, თუმცა ისიც ხელს უწყობს როგორც ცენტრალური ხელისუფლების, ისე ყველა დონის საჯარო სერვისის ძირითადი მომწოდებლების ჩართულობას.

მონაწილეობითი მოდერნიზაციის მოდელში მხოლოდ მისი მონაწილე სუბიექტები განიხილება, როგორც პროცესის კლიენტები. პროცესის ფარგლებში არ არსებობს მარგინალური ჯგუფების ინტეგრაციის, ანდა მათთვის ახალი სოციალური პოლიტიკის წამოწყების ინტერესი.



ილუსტრაცია 14 - მონაწილეობითი მოდერნიზაციის მოდელის ფარგლებში გადაწყვეტილების მიღების იერარქიული სტრუქტურა

მონაწილეობითი მოდერნიზაციის მოდელი, ჩვეულებრივ, ეყრდნობა საშუალო კლასის წარმომადგენლების ჩართულობას, თუმცა პროცესების მეტი ლეგიტიმაციის მიზნით, ზოგიერთ შემთხვევაში, ხორციელდება კონკრეტული ქმედებები სხვადასხვა სოციალური ჯგუფის პროცესში ჩასართავად. სამოქალაქო საზოგადოებას გააჩნია მხოლოდ შეზღუდული ავტონომია, ამდენად, სრულებით გამოირიცხება მონაწილეობითი ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები - მეოთხე დალა და თანმხვედრი უფლება.


მონაწილეობითი მოდერნიზაციის მოდელის ძლიერ მხარეს წარმოადგენს მონაწილეობასა და საჯარო მართვას შორის ძლიერი კავშირები, ასევე პროცესების განხორციელების სიმარტივე, რომლის საშუალებითაც მიიღწევა მხარეთა შორის პოლიტიკური კონსენსუსი.

მოდელის სუსტ მხარეს წარმოადგენს ის გარემოება, რომ შედარებით ძნელია განხილული იყოს გლობალური და ძალზედ მწვავე (მაგალითად, სოციალურ სამართლიანობასთან დაკავშირებული) საკითხები, რადგან ამგვარი განხილვისას სუბიექტები არ მიესაღებებიან თემის მკვეთრად პოლიტიზირებას.

მონაწილეობითი მოდერნიზაციის მოდელის გამოყენება ხდება, მეტწილად, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში და, ნაკლებად, ჩრდილო ევროპის ქვეყნებში. ამ მოდელის ნაირსახეობას წარმოადგენს ამ ქვეყნებში დანერგული მონაწილეობითი ინსტრუმენტები: მომხმარებელთა დებულებები, შეფასების ბარათები, აგრეთვე ცხელი ხაზები. მონაწილეობითი მოდერნიზაციის მოდელის საუკეთესო მაგალითად მიიჩნევა: კაშკაისი (Cascais) პორტუგალია, ბაგირა (Bagira) კონგო. ჯეგო (Zeguo) ჩინეთი და კიოლნი (Cologne) გერმანია.

დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობის (Multi-Stakeholder Participation) მოდელი

დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობის მოდელის ფარგლებში მოქალაქეებს, ბიზნესს და არასამთავრობო ორგანიზაციებს, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს განიხილავენ, როგორც მონაწილეობითი ბიუჯეტების პროცესის ერთ-ერთ და არა ერთადერთ აქტორს. ყოველ მათგანს ბიუჯეტების პროცესის ფარგლებში გააჩნია თავისი მიზნები, სურვილები და განვითარების საკუთარი ხედვები. მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს სხვადასხვა დაინტერესებულ მონაწილე მხარეთა შორის დიალოგის ეფექტური წარმართვა იმ საკითხებზე და თემებზე, რომლებიც აქტუალურია უმეტესობა მათგანისათვის.



ილუსტრაცია 15 - დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობის მოდელის ფარგლებში გადანყვტილების მიღების იერარქიული სტრუქტურა

დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობის მოდელი ორიენტირებულია ადგილობრივ დონეზე არსებული, უფრო მეტად ეკონომიკური, ვიდრე საჯარო პოლიტიკით განსაზღვრული საკითხების გადაჭრაზე. მონაწილეობითი ბიუჯეტის სხვა მოდელებისგან განსხვავებით, ამ მოდელში კერძო კომპანიები განიხილება როგორც ადგილობრივ დონეზე განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძალა. თუმცა გავრცელებული პრაქტიკა აჩვენებს, რომ კერძო კომპანიები, ჩვეულებრივ, მაინც ერიდებიან მონაწილეობითი ბიუჯეტების პროცესში აქტიურ მონაწილეობას.

დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობის მოდელის ფარგლებში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის დონე ძალზედ დაბალია და მას თავის ქმედებებში მცირე ავტონომია იმ შემთხვევებშიც გააჩნია, როდესაც გადანყვტილების მიღების პროცედურები მკაფიოდ განერილია.

მოდელის მთავრი სიძლიერე მდგომარეობს იმ გარემოებაში, რომ საზოგადოების ორგანიზებულ სტრუქტურებს შორის არსებობს ძლიერი კავშირები, რაც უზრუნველყოფს სახელმწიფო პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტების გარშემო სოციალური კონსენსუსის მიღწევის შესაძლებლობას.


მოდელის სუსტ მხარეს წარმოადგენს ის გარემოება, რომ საჯარო და კერძო სექტორების მჭიდრო პარტნიორობის შემთხვევაში შესაძლებელია სამოქალაქო საზოგადოების დასუსტება. ამავდროულად, მონაწილეობითი პროცესები ხასიათდება ხელისუფლებასთან ასიმეტრიული კავშირებით, ხოლო არაორგანიზებული სოციალური ჯგუფები საერთოდ გარიყულია მიმდინ-

არე პროცესიდან. ამასთანავე, გარეშე სუბიექტები (დონორები) ხშირად მნიშვნელოვან როლს თამაშობენ პროცესის დაფინანსების საკითხში და დიდ გავლენას ახდენენ პროცესის მდგრად განვითარებაზე. დონორების მხრიდან დაფინანსების შეწყვეტის ან/და ხელისუფლების სუსტი პოლიტიკური ნების შემთხვევაში, მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესი ხშირად წყდება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტრუქტურები და მსოფლიო ბანკი აქტიურად ნერგავს დაინტერესებულ პირთა მონაწილეობის მოდელის. მოდელის დანერგვა ხდება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, მაგალითად, პოლონეთის ქალაქ პლოკში (Plock), ანგლოსაქსური სარტყლის ქვეყნებში, აგრეთვე აფრიკის ზოგიერთ ქვეყნაში (მადაგასკარი).

ნეო-კორპორატივიზმის (Neo-Corporatism) მოდელი

ნეო-კორპორატივიზმის მოდელის განმასხვავებელ მახასიათებელს წარმოადგენს ის გარემოება, რომ მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის ფარგლებში კონკრეტული საკითხების გადაწყვეტაში ჩართულნი არიან ადგილობრივ დონეზე მოქმედი, სამიზნე, დაინტერესებული მხარეები (არა-სამთავრობო ორგანიზაციები, ბიზნესგაერთიანებები, პროფესიული ასოციაციები და სხვა), სოციალურ ჯგუფებთან (ხანდაზმულები, ახალგაზრდები, ემიგრანტები და სხვა) და სხვადასხვა ადგილობრივ ინსტიტუციასთან/სააგენტოსთან ერთად. ადგილობრივი ხელისუფლება ამ პროცესში თამაშობს წამყვან როლს.



ილუსტრაცია 16 - ნეო-კორპორატივიზმის მოდელის ფარგლებში გადაწყვეტილების მიღების იერარქიული სტრუქტურა

ხელისუფლება ცდილობს რეგულარულად ჩაატაროს ე.წ. „გაფართოებული კონსულტაციები“, რომლებზეც ინვესტ ყველა დაინტერესებულ მხარეს, ვინც ცდილობს წარმოადგინოს სხვადასხვა ორგანიზებული, სოციალური, ეკონომიკური და პროფესიული ჯგუფის ინტერესები და ვისაც შესწევს უნარი ფასეულობებისა და მოთხოვნების მედიაციის გზით ხელი შეუწყოს სოციალურ კონსენსუსს, ვინაც აგრეთვე ცდილობს გახდეს სტრატეგიული დაგეგმარების პროცესის მონაწილე. მოდელის ფარგლებში, საჯარო მმართველობის მოდერნიზაციის დინამიკასთან ერთად იცვლება ადგილობრივი ხელისუფლების მმართველობითი მიდრეკილებებიც.


ნეო-კორპორატივიზმის მოდელის ძლიერ მხარეს წარმოადგენს ის სინერგია, რაც თავს იჩენს ხელისუფლებასა და ყველა ადგილობრივ დონეზე მოქმედ, ფორმალურ, დაინტერესებულ მხარეთა შორის დიალოგისას, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელთ არ გააჩნიათ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება.

მოდელის სუსტ მხარეს წარმოადგენს ის გარემოება, რომ მონაწილეობითი მოდერნიზაციის მოდელის ფარგლებში სამოქალაქო საზოგადოების პროცედურული დამოუკიდებლობა საკმაოდ შეზღუდულია და მონაწილეობის წესებიც ზემოდან თავს მოხვეულია, და ეს იმ შემთხვევაშიც კი, როცა სამოქალაქო საზოგადოება ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

მოდელის გავრცელებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საერთაშორისო ორგანიზაციები, თუმცა ეს მოდელი მსოფლიოს მასშტაბით შეზღუდულად არის დანერგილი. მაგალითად, ესპანეთში ამ მოდელის წარმატებულ რეალიზაციად მიიჩნევა ალბასეტეს (Albacete) გამოცდილება.

სათემო განვითარების (Community Development) მოდელი

სათემო განვითარების მოდელის ფარგლებში მოქალაქეთა მონაწილეობის პროცესი თავის თავში მოიცავს პროექტების როგორც გეგმარების, ისე ერთობლივად განხორციელების ფაზებს, რითაც უზრუნველყოფილია მუნიციპალური მართვისა და ძლიერი მონაწილეობითი პროცესების ერთმანეთისაგან გამიჯვნა. თავად პროცესები დინამიურად ფორმირდება როგორც „ზევიდან-ქვემოთ“, ისე „ქვემოდან-ზევით“. პროცესის მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს მოქალაქეებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ხოლო ადგილობრივი ხელისუფლება, ჩვეულებრივ, ნაკლებად დაინტერესებულია ჩაერიოს პრიორიტეტების განსაზღვრის პროცესში.



ილუსტრაცია 17 - სათემო განვითარების მოდელის ფარგლებში გადანაცვეტილების მიღების იერარქიული სტრუქტურა

სათემო განვითარების მოდელში პორტო ალეგრის (მონანილეობითი დემოკრატიის) მოდელისათვის დამახასიათებელი პროცედურები შერწყმულია მუნიციპალიტეტის მმართველობის „ტრადიციულ“ მოდელთან. მოდელის ფარგლებში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული პროცედურული წესები და შედარებით მაღალია დებატების ხარისხი (ეფექტურობა). პროცესის სუბიექტებიდან დებატებსა და გადანაცვეტილების მიღების პროცესებში ყველაზე მეტად ჩართულნი არიან საშუალო ფენის („ცისფერი საყელოები“) და მშრომელთა ფენის ზედა ნაწილის („თეთრი საყელოები“) წარმომადგენლები, რომლებიც, ამავედროულად, მონანილეობენ საზოგადოებრივი ორგანიზაციების ადგილობრივ დონეზე მუშაობაშიც.

მონანილეობითი ბიუჯეტის ამ მოდელის ძლიერ მხარეს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მისი ეფექტიანი დანერგვა შესაძლებელია იქ, სადაც ადგილობრივი ხელისუფლება სუსტია, ანდა იქ, სადაც სამოქალაქო საზოგადოება ძლიერი და რეალურად დამოუკიდებელია საიმისოდ, რომ თავად მართოს სათემო პროექტები.

სისუსტე იმაში მდგომარეობს, რომ მუნიციპალიტეტის ხელისუფლება ცდილობს მოიპოვოს გავლენა სათემო ორგანიზაციებზე, ეს უკანასკნელი კი მიიღტვის, რომ გადაიქცეს პარა-სახელმწიფო ორგანოდ და ადგილობრივი ხელისუფლება არაფორმალურად ჩაანაცვლოს.

ჩვეულებრივ, ეს მოდელი დანერგილია ბრიტანული თანამეგობრობის ქვეყნებში, აგრეთვე გავრცელებულია იაპონიაში, ეკვადორსა და აშშ-ში.

დანართი 4. მონაწილეობითი მოდელების პროცესებისა და აქტორების მახასიათებლები

მახასიათებლები	მონაწილეობითი დემოკრატია (PARTICIPATORY DEMOCRACY)	სამეზობლო დემოკრატია (PROXIMITY DEMOCRACY)	მონაწილეობითი მოდერნიზაცია (PARTICIPATORY MODERNIZATION)		დაინტეგრირებული მხარეთა მონაწილეობა (MULTI-STAKEHOLDER PARTICIPATION)	ნეო-კორპორატიზმი (NEO-CORPORATISM)	სათემო განვითარება (COMMUNITY DEVELOPMENT)
გადაწყვეტილების მიმღები ორგანო	მოქალაქეთა მიერ არჩეული დელეგატებით დაკომპლექტებული საბჭო	ადგილობრივი ხელისუფლება	ადგილობრივი ხელისუფლება		საბჭო, რომელიც შედგენილია ადგილობრივი ხელისუფლების, არასამთავრობო ორგანიზაციების, საჯარო სექტორის წარმომადგენლებისაგან და კერძო პირებისაგან	ადგილობრივი ხელისუფლება	საბჭო, რომელიც შედგენილია ადგილობრივი ხელისუფლების, არასამთავრობო ორგანიზაციების, სექტორის წარმომადგენლებისაგან და კერძო პირებისაგან
მონაწილეები	მონაწილეთა შერჩევა						
	თვითნარდგენა	თვითნარდგენა	სამიზნე შერჩევა		სამიზნე შერჩევა	შემთხვევითი შერჩევა	სამიზნე შერჩევა
	მონაწილეობის ფარგლები						
	აქტიური მოქალაქე	აქტიური მოქალაქე	ორგანიზებული მოქალაქეები		ორგანიზებული მოქალაქეები და ბიზნეს სექტორი	რიგითი მოქალაქე	ორგანიზებული მოქალაქეები
	მონაწილეობითი მექანიზმები						
სამეზობლოს დონეზე ღია შეხვედრები, დიალოგი ქალაქის დონეზე	სამეზობლოსა და ქალაქის დონეზე ღია შეხვედრები	ქალაქის დონეზე ღია შეხვედრები (ან შემთხვევითად შერჩეულ მოქალაქეებთან შეხვედრები)		ქალაქის დონეზე დახურული შეხვედრები	ქალაქის დონეზე ღია შეხვედრები ან მოქალაქეთა ფორუმები	სამეზობლო დონეზე სხვადასხვა ტიპის შეხვედრები, დიალოგი ქალაქის დონეზე	

მახასიათებლები	მონაწილეობითი დემოკრატია (PARTICIPATORY DEMOCRACY)	სამეზობლო დემოკრატია (PROXIMITY DEMOCRACY)	მონაწილეობითი მოდერნიზაცია (PARTICIPATORY MODERNIZATION)		დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობა (MULTI-STAKEHOLDER PARTICIPATION)	ნეო-კორპორატიზმი (NEO-CORPORATISM)	სათემო განვითარება (COMMUNITY DEVELOPMENT)
განხილვები	დისკუსიის აქცენტი						
	საზოგადოებრივი ინვესტიციები	მიკრო-ლოკალური დონის საჯარო ინვესტიციები ან ქალაქის პოლიტიკის წარმმართველი პრინციპები (გაიდლაინები)	დებატები იმართება ერთობლივი კაპიტა-ლდაბანდებისა და შეთავაზებული მომსახურების განხილვის მიზნით		კონკრეტული პროექტები რომელთა დაფინანსება ხდება საჯარო / კერძო პარტნიორობით	საერთო ბიუჯეტი ან საჯარო სერვისების შეთავაზება	კონკრეტული სათემო პროექტები
	კომუნიკაციის მოდელი						
	საჭიროებების გამოვლენა	საჯარო მოსმენები, საჭიროებების გამოვლენა	საჯარო მოსმენები, საჭიროებების გამოვლენა		საუბრები, საჭიროებების გამოვლენა	საჯარო მოსმენები, საჭიროებების გამოვლენა	საუბრები, საჭიროებების გამოვლენა
	პროცესების ფორმალიზება						
	პროექტების რანჟირება ხდება კეთილდღეობის თანაბარი განაწილების კრიტერიუმების მიხედვით, ფორმალური წესები	არ ხდება სამუშაოებისა და ინვესტიციების რანჟირება, წესები არ არის ფორმალიზებული	არ ხდება სერვისების რანჟირება, შესაძლებელია პრიორიტეტების რანჟირება, ფორმალური წესები		ხდება პროექტების რანჟირება, ფორმალური წესები	არ ხდება სერვისების რანჟირება, შესაძლებელია პრიორიტეტების რანჟირება, წესები საკმაოდ არაფორმალიზებულია	ხდება პროექტების რანჟირება, ფორმალური წესები
უფლებამოსილება	საბოლოო გადაწყვეტილების მიღება	კონსულტაცია	კონსულტაცია		თანამმართველობითი პარტნიორობა	კონსულტაცია	თანამმართველობითი პარტნიორობა
კონტროლი და მონიტორინგი		ადგილობრივი ხელისუფლება	ადგილობრივი ხელისუფლება		ადგილობრივი ხელისუფლება + დონორები	ადგილობრივი ხელისუფლება	ადგილობრივი ხელისუფლება

დანართი 5. მონაწილეობითი მოღვაწის შედეგებითი მახასიათებლები

მახასიათებლები	მონაწილეობითი დემოკრატია (PARTICIPATORY DEMOCRACY)	სამეზობლო დემოკრატია (PROXIMITY DEMOCRACY)		მონაწილეობითი მოდერნიზაცია (PARTICIPATORY MODERNIZATION)	დამნიშნავებულ მხარეთა მონაწილეობა (MULTI-STAKEHOLDER PARTICIPATION)	ნეო-კორპორატივიზმი (NEO-CORPORATISM)	სათემო განვითარება (COMMUNITY DEVELOPMENT)
წინაპირობა							
საფუძველი (Origins)	პორტო ალეგრის მოდელის ადაპტაცია	სამეზობლო საბჭოები, სამეზობლო ფონდები, სამეზობლოს მართვა, მთლიან ქალაქის დონეზე განვრცობა		კრისტჩარჩის (ახალი ზელანდია) რეფორმის მოდელი; საჯარო სამსახურის რეფორმა; ახალი საჯარო მმართველობის (NPM) მონაწილეობითი ვერსია; სტრატეგიული დაგეგმვა.	საჯარო და კერძო სექტორის პარტნიორობის მონაწილეობითი ვერსია	ადგილობრივი დონის ნეო-კორპორატიული პროექტები: • 21-ე საუკუნის დღის წესრიგი (Agenda 21s); • თანამონაწილეობითი სტრატეგიული დაგეგმვა. ადგილობრივი არა-სამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობითი პროცედურები	სათემო განვითარების პროექტები და დელეგირებული შესაძლებლობები (ძირითად, ურბანული განახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის ფარგლებში)
პროცესების ფორმალიზება	ანტიგლობალისტური მოძრაობის მიერ სტანდარტიზებული პროცედურა	ნაკლებად სტანდარტიზებული პროცედურები		ფონდების მიერ შემუშავებული სტანდარტიზებული პროცედურები	საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული, გარკვეულ დონეზე სტანდარტიზებული პროცედურები	საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული სტანდარტიზებული პროცედურები	არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული სტანდარტიზებული პროცედურები
კონტექსტი							
ურთიერთობა სახელმწიფოს, ბაზარსა და მესამე სექტორს შორის	პროცესში სახელმწიფოს გააჩნია ცენტრალური როლი	პროცესში სახელმწიფოს გააჩნია ცენტრალური როლი		პროცესში სახელმწიფოს გააჩნია ცენტრალური როლი	ბაზრის ჰეგემონია	სახელმწიფოს ცენტრალური როლი	ბაზრის ჰეგემონია, მესამე სექტორის თვითდამკვიდრების პროცესი
ადგილობრივი ხელისუფლების პოლიტიკური ორიენტაცია	ჩვეულებრივ, მემარცხენე ორიენტაციის მქონე ყველა სახის პარტიები	ყველანაირი პოლიტიკური ორიენტაციის მქონე პარტიები		ყველანაირი პოლიტიკური ორიენტაციის მქონე პარტიები	ყველანაირი პოლიტიკური ორიენტაციის მქონე პარტიები, გარდა რადიკალურად მემარცხენე ორიენტაციისა	ყველანაირი პოლიტიკური ორიენტაციის მქონე პარტიები	ყველანაირი პოლიტიკური ორიენტაციის მქონე პარტიები

მახასიათებლები	მონაწილეობითი დემოკრატია (PARTICIPATORY DEMOCRACY)	სამეზობლო დემოკრატია (PROXIMITY DEMOCRACY)		მონაწილეობითი მოდერნიზაცია (PARTICIPATORY MODERNIZATION)	დანიშტერესებულ მხარეთა მონაწილეობა (MULTI-STAKEHOLDER PARTICIPATION)	ნეო-კორპორატივიზმი (NEO-CORPORATISM)	სათემო განვითარება (COMMUNITY DEVELOPMENT)
მახასიათებლები							
დემოკრატიის ჩარჩო მახასიათებლები²⁸	უშუალო (პირდაპირი) დემოკრატია	დებატებზე ორიენტირებული რესპუბლიკანიზმის ვერსია ¹ სათათბირო დემოკრატია		ახალი საჯარო მმართველობის მონაწილეობითი ვერსია	მონაწილეობითი მმართველობა	ნეო-კორპორატივიზმის მონაწილეობითი მმართველობა	უფლებებისა და შესაძლებლობების გაფართოება, ლიბერალური ტრადიციები, მემარცხენე ლიბერალიზმი
მიზანი	<ul style="list-style-type: none"> • სოციალური სამართლიანობა; • პრიორიტეტების ინვერსია; • დემოკრატიის დემოკრატიზაცია. 	<ul style="list-style-type: none"> • მოქალაქეთა ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინება; • განახლებული სოციალური ურთიერთობები; • წარმომადგენლობით დემოკრატიაში დებატების ჩართვა. 		<ul style="list-style-type: none"> • მოქალაქეთა ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინება; • სოციალური მშვიდობა; • არსებობს საჯარო რესურსების გადანაწილების პოლიტიკა. 	<ul style="list-style-type: none"> • მოქალაქეთა ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინება; • მოქალაქეები განიხილებიან, როგორც კლიენტები; • ადგილობრივი ეკონომიკური ზრდა. 	<ul style="list-style-type: none"> • მოქალაქეთა ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინება; • საზოგადოებრივი კონსენსუსი; • სოციალური ინტეგრაცია. 	<ul style="list-style-type: none"> • უფლებებისა და შესაძლებლობების კიდევ უფრო გაფართოება • კონსტრუქციული ქმედება; • ზოგადად არ არსებობს გადანაწილების პოლიტიკა; • თემისთვის უფლებამოსილების დელეგირება..
1. პროცედურული წესები							
საორგანიზაციო პროცედურები	სამეზობლო დონეზე ღია შეხვედრები; ქალაქის დონეზე დელეგატების არჩევა	სამეზობლოსა და ქალაქის დონეებზე ღია შეხვედრები		ქალაქის დონეზე ღია შეხვედრები (ან შემთხვევითად შერჩეულ მოქალაქეებთან შეხვედრები)	ქალაქის დონეზე დახურული შეხვედრები	ქალაქის დონეზე დახურული შეხვედრები	სამეზობლო დონეზე სხვადასხვა სახის შეხვედრები; ქალაქის დონეზე დელეგატების არჩევა.
მონაწილეობის ციკლი	მონაწილეობითი ციკლი სავალდებულოა	მონაწილეობითი ციკლი სავალდებულოა		სშირად არ არსებობს მონაწილეობითი ციკლი	მონაწილეობითი ციკლი არ არის აუცილებელი	მონაწილეობითი ციკლი არ არის აუცილებელი	მონაწილეობითი ციკლი არ არის აუცილებელი
პროცესის მიმართულება: ზევიდან - ქვემოთ თუ ქვემოდან - ზევით	შერეული, როგორც ზევიდან - ქვემოთ ისე ქვემოდან - ზევით	ზევიდან - ქვემოთ		ზევიდან - ქვემოთ	ზევიდან - ქვემოთ	ზევიდან - ქვემოთ	ზევიდან - ქვემოთ და ქვემოდან - ზევით
სამოქალაქო საზოგადოების პროცედურული დამოუკიდებლობა	სამოქალაქო საზოგადოებას აქვს სუსტი პროცედურული დამოუკიდებლობა	სამოქალაქო საზოგადოების აქვს სუსტი პროცედურული დამოუკიდებლობა		სამოქალაქო საზოგადოების აქვს სუსტი პროცედურული დამოუკიდებლობა	სუსტი	ცვალებადი	ძლიერი

მახასიათებლები	მონაწილეობითი დემოკრატია (PARTICIPATORY DEMOCRACY)	სამეზობლო დემოკრატია (PROXIMITY DEMOCRACY)		მონაწილეობითი მოდერნიზაცია (PARTICIPATORY MODERNIZATION)	დანიშნულებული მხარეთა მონაწილეობა (MULTI-STAKEHOLDER PARTICIPATION)	ნეო-კორპორატივიზმი (NEO-CORPORATISM)	სათემო განვითარება (COMMUNITY DEVELOPMENT)
მეოთხე ხელისუფლების ჩართულობა	პროცესებში ჩართულობა არ ხდება	პროცესებში ჩართულობა არ ხდება		პროცესებში ჩართულობა არ ხდება	პროცესებში ჩართულობა არ ხდება	ადგილობრივ დონეზე პროცესებში ჩართულობა არ ხდება	ადგილობრივ დონეზე ხდება პროცესებში ჩართულობა
2. დებატები							
განხილვის მიზანი	განხილვა კონცენტრირდება სახელმწიფო კაპიტალდაბანდებებზე	განხილვა კონცენტრირდება მიკრო დონეზე სახელმწიფო კაპიტალდაბანდებებისა ანდა ქალაქის პოლიტიკის შესახებ ფართო რეკომენდაციების ირგვლივ		დებატები იმართება ერთობლივი კაპიტალდაბანდებებისა და შეთავაზებული მომსახურების განხილვის მიზნით	განხილვა იმართება კონკრეტული საჯარო/კერძო პარტნიორობის შედეგად დაფინანსებული პროექტების განხილვის მიზნით	დებატები იმართება სხვადასხვა სახის საჯარო პოლიტიკის, ასევე კონკრეტული პროექტების შესაძლებლობის შესახებ	განხილვა იმართება კონკრეტული სათემო პროექტების ირგვლივ
საჯარო დებატების წესები	მკაფიოდ განსაზღვრული წესები	შესაძლებელია იყოს მკაფიოდ განსაზღვრული წესები		შესაძლებელია იყოს მკაფიოდ განსაზღვრული წესები	მკაფიოდ განსაზღვრული წესები	წესები შეიძლება იყოს ნათლად ჩამოყალიბებული	წესები შეიძლება იყოს ნათლად ჩამოყალიბებული
საჯარო დებატების ხარისხი (ეფექტურობა)	საჯარო დებატების ხარისხი (ეფექტურობა) კარგია	დებატების დაბალი ხარისხი		დებატების დაბალი ხარისხი	დებატების ხარისხი (ეფექტურობა) საშუალოზე მაღალია	დებატების ხარისხი (ეფექტურობა) საშუალოზე მაღალია	დებატების ხარისხი (ეფექტურობა) საშუალოზე მაღალია
პროექტების რანჟირება	პროექტების რანჟირება ხდება ფორმალური წესების გამოყენებით კეთილდღეობის თანაბარი განაწილების კრიტერიუმების მიხედვით.	არ ხდება ინვესტიციებისა და სამუშაოთა რანჟირება, რანჟირების წესები არ არის განსაზღვრული		არ ხდება მომსახურების რანჟირება, თუმცა შესაძლებელია პრიორიტეტების რანჟირება	პროექტების რანჟირება ხდება ფორმალური წესების შესაბამისად	სახელმძღვანელო დოკუმენტების (Guidelines) მოქნილი რანჟირება, არ არის აუცილებელი, რომ წესები ფორმალური იყოს	პროექტების რანჟირება ხდება ფორმალური წესების შესაბამისად
3. პროცესები							
პროცესში სამოქალაქო საზოგადოების გავლენა	მაღალი	დაბალი		დაბალი	დაბალი	მაღალი	საკმაოდ მაღალი
სამოქალაქო საზოგადოების სუბიექტები	განსაკუთრებით აქტიური მოქალაქეები (ან ორგანიზებული ჯგუფები)	აქტიური ან ჩვეულებრივი (შემთხვევით შერჩეული) მოქალაქეები		აქტიური ან ჩვეულებრივი (შემთხვევით შერჩეული) მოქალაქეები	ორგანიზებულ მოქალაქეებთან ერთად კერძო მენარმეები	ორგანიზებული მოქალაქეები, ადგილობრივი ინსტიტუტები და გაერთიანებები	განსაკუთრებულად ორგანიზებული მოქალაქე
გადაწყვეტილების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების უფლებამოსილება	საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება	საკონსულტაციო როლი		საკონსულტაციო როლი	საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება	ცვალებადი უფლებამოსილება	გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება

მახასიათებლები	მონაწილეობითი დემოკრატია (PARTICIPATORY DEMOCRACY)	სამეზობლო დემოკრატია (PROXIMITY DEMOCRACY)		მონაწილეობითი მოდერნიზაცია (PARTICIPATORY MODERNIZATION)	დამრეგულირებელი მხარეთა მონაწილეობა (MULTI-STAKEHOLDER PARTICIPATION)	ნეო-კორპორატიზმი (NEO-CORPORATISM)	სამეზობლო განვითარება (COMMUNITY DEVELOPMENT)
კონსენსუსი თუ კონფლიქტის ერთობლივი მოგვარება	კონფლიქტის ერთობლივი მოგვარება	კონსენსუსი		კონსენსუსი	კონსენსუსი	კონსენსუსი	კონფლიქტის ერთობლივი მოგვარება
დამაბალანსებელი ძალა	დამაბალანსებელი ძალა არსებობს	დამაბალანსებელი ძალა არ არსებობს		დამაბალანსებელი ძალა არ არსებობს	დამაბალანსებელი ძალა არ არსებობს	დამაბალანსებელი ძალა არ არსებობს	დამაბალანსებელი ძალა არსებობს
კავშირი ტრადიციულსა და მონაწილეობით პოლიტიკებს შორის	კომბინირებული, როგორც ტრადიციული, აგრეთვე მონაწილეობითი პოლიტიკის პროცესები	მონაწილეობის ინსტრუმენტული გამოყენება		სუსტი, მონაწილეობა მოიაზრება, როგორც მართვის ინსტრუმენტი	სუსტი, მონაწილეობა მოიაზრება, როგორც მართვის ინსტრუმენტი	განსაზღვრული მონაწილეობის გაძლიერება	შეცვლილი სახის - მონაწილეობა ვითარდება ტრადიციული სტილის პოლიტიკის მიღმა
1. გამონკვევები	<ul style="list-style-type: none"> • ძლიერი მონაწილეობისა და სოციალური სამართლიანობის ურთიერთშერწყმა; • ძალზედ სპეციფიკური პირობები; • აკავშირებს მონაწილეობას სახელმწიფოს მოდერნიზაციასთან; • ხორციელდება მოქალაქეთა მობილიზება, რათა თავიდან აცილებული იქნეს კოლუზიის რისკები. 	<ul style="list-style-type: none"> • პოლიტიკოსებისა და მოქალაქეების შორის გაუმჯობესებული კომუნიკაცია; • შერჩევითი მოსმენები; • მონაწილეობისა და გადაწყვეტილების მიღების ფორმალური პროცესის შერწყმა; სახელმწიფოს მოდერნიზაცია. 		<ul style="list-style-type: none"> • მონაწილეობის მოდერნიზაციასთან დაკავშირება; • საერთო პოლიტიკური კონსენსუსი; • პოლიტიზირების დაბალი დონე; • სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობისა და ავტონომიის გაზრდა. 	<ul style="list-style-type: none"> • სოციალური კონსენსუსის ჩამოყალიბება; კერძო გაერთიანებების ჩართვა; • კერძო ინტერესების დომინირება საჯაროზე; • დაინტერესებულ მხარეთა გავლენების დაბალანსება; • არასამთავრობო ორგანიზაციების ავტონომია. 	<ul style="list-style-type: none"> • სოციალური კონსენსუსის ჩამოყალიბება; • პროცესიდან არაორგანიზებულ მოქალაქეთა გარიყვა; • აქტორებს შორის ურთიერთობებში ასიმეტრიული ძალა; • მონაწილეობის მოდერნიზაციასთან დაკავშირება; • სამოქალაქო საზოგადოების მაღალი ავტონომია. 	<ul style="list-style-type: none"> • მოდელის დანერგვის კონტექსტი შეესაბამება სუსტ ადგილობრივი ხელისუფლებისა და ძლიერ საზოგადოების ტრადიციებს; • არ არსებობს ქალაქის განვითარებაზე ერთიანი ხედვა; • შეზღუდული მმართველობითი გავლენა; • პროცესი ცდება ადგილობრივი (მიკრო) დონის ჩარჩოებს
2. ქვეყნები, სადაც დაინერგა მოდელი	ლატინური ამერიკა, ესპანეთი, სამხრეთ კორეა	ევროპა, ჩრდილოეთ ამერიკა, სამხრეთ კორეა, იაპონია, გლობალური სამხრეთის ქვეყნები		გერმანია, ჩრდილოეთ ევროპა, ჩინეთი	აღმოსავლეთ ევროპა, აფრიკა	შეზღუდული სახით ევროპის ქვეყნებში	ანგლოსაქსური ქვეყნები, იაპონია, მსოფლიოს სამხრეთის ქვეყნები (Global south countries) ²⁹

28 რესპუბლიკანიზმის იდეოლოგია არის თანამედროვე წარმომადგენლობითი დემოკრატიის ერთერთი მოდელი. en.wikipedia.org/wiki/Republicanism

29 ქვეყნების რეგიონალური კლასიფიკატორი, meta.wikimedia.org/wiki/List_of_countries_by_regional_classification

**დანართი 6. საქართველოში ადგილობრივი
თვითმმართველობაში მოქალაქეთა
მონაწილეობის უზრუნველყოფის
ინსტრუმენტები**

სამართლებრივი ჩარჩო

ქვეყნის დემოკრატიული განვითარების ერთ-ერთი ქვაკუთხედი ძლიერი და მონაწილეობით პრინციპებზე დაფუძნებული ადგილობრივი თვითმმართველობაა. მონაწილეობითობა, საქვეყნოობა და გამჭვირვალობა წარმოადგენს თვითმმართველობის ფუძემდებლურ კონსტიტუციურ პრინციპს, რომელიც გარანტირებულია როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო კანონმდებლობაში.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ ბევრმა პოსტსაბჭოთა ქვეყანამ და, მათ შორის, საქართველომაც შეცვალა კანონმდებლობა, რომლის მიხედვითაც განჩნდა ახალი ჩანაწერები მოქალაქეთა მონაწილეობისა და ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ ადგილობრივი საკითხების დამოუკიდებლად გადაწყვეტის შესახებ. საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო ხელშეკრულება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტია“ (რატიფიცირდა - 26.10.2004), ქარტიის დამატებითი ოქმი „ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობაში მოქალაქეთა მიერ მონაწილეობის მიღების უფლების თაობაზე“ (რატიფიცირდა - 29.05.2019) საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საქართველოს მთავრობის დეცენტრალიზაციის სტრატეგია (2020-2025) და „ღია მმართველობა - საქართველოს“ (2018-2019) სამოქმედო გეგმა ქმნის გარანტიებს მოქალაქეთა მონაწილეობაზე ორიენტირებული ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოსაყალიბებლად.

საქართველოს კონსტიტუციით³⁰ და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით³¹ განსაზღვრულია, რომ თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ადგილობრივი თვითმმართველობის მეშვეობით აწესრიგებენ. ეს, ერთი მხრივ, გულისხმობს პირის შესაძლებლობას მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა, იყოს ინფორმირებული, ჩაერთოს ადგილობრივი საკითხების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში, ხოლო მეორე მხრივ, განსაზღვრავს მუნიცი-

30 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი მე-3, პუნქტი მე-2 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35>
31 ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი მუხლი მე-2 პუნქტი 1-ელი. <https://matsne.gov.ge/document/view/2244429?publication=45>

პალიტეტის ორგანოების ვალდებულებას განახორციელონ ღონისძიებები თავიანთი საქმიანობის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებისა და ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

2004 წლის 26 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მოახდინა 1985 წლის 15 სექტემბერს საერთაშორისო ხელშეკრულებად მიღებული „**ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის**“ რატიფიცირება³², რომლითაც სახელმწიფომ აღიარა ქარტიით დადგენილი პრინციპები და ვალდებულებები. ქარტიის ხელმომწერი ქვეყნები აღიარებენ მოქალაქის უფლებას მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო საქმეების წარმართვაში და ითვალისწინებენ გარემოებას, რომ სწორედ ადგილობრივ დონეზე შეიძლება ყველაზე ეფექტურად ამ უფლების პირდაპირი რეალიზაცია.

2009 წლის ნოემბერს ქარტიას დაემატა ოქმი³³ „**ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში მონაწილეობის უფლების შესახებ**“, რითაც განისაზღვრა გარანტიები, რომლებიც უზრუნველყოფს ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობაში მონაწილეობას. საქართველოს პარლამენტმა 2019 წლის 29 მაისს მოახდინა აღნიშნული აქტის რატიფიცირება,³⁴ რომლის მოქმედება 2020 წლის მარტიდან დაიწყო.

სამოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობის უფლება წარმოადგენს დემოკრატიულ პრინციპს და როგორც სახელმწიფოების ევოლუციამ აჩვენა, ადგილობრივი თვითმმართველობისათვის იგი არის უპირატესი მნიშვნელობის მქონე პრინციპი. ქარტიის დამატებითი ოქმი განსაზღვრავს მოსახლეობისათვის ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის განხორციელებაში მონაწილეობის მიღების უფლებას, რომლის მეშვეობითაც უზრუნველყოფილია ყველა ინდივიდის უფლება, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, ზემოქმედება მოახდინოს ადგილობრივი ხელისუფლების ძალაუფლებისა და ვალდებულებების³⁵ განხორციელებაზე.

32 „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“ რატიფიცირების თაობაზე იხ. <https://matsne.gov.ge/document/view/42658?publication=0>
<http://www.parliament.ge/uploads/other/60/60479.pdf>
33 „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“ „ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობაში მოქალაქეთა მიერ მონაწილეობის მიღების უფლების თაობაზე“ დამატებითი ოქმი <https://rm.coe.int/168008482a>, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/221990?>
34 ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“ „ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობაში მოქალაქეთა მიერ მონაწილეობის მიღების უფლების თაობაზე“ დამატებითი ოქმის რატიფიცირების შესახებ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4574659?publication=0>
35 „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“ „ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობაში მოქალაქეთა მიერ მონაწილეობის მიღების უფლების თაობაზე“ დამატებითი ოქმი მუხლი 1 პუნქტი 2 <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/221990?>

საქართველოს თვითმმართველი ერთეულები, თავიანთი საქმიანობის განხორციელების პროცესში, ხელმძღვანელობენ **ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით**³⁶. ადგილობრივი თვითმმართველობის მიზანია საზოგადოების ინტერესებზე დაფუძნებული მართვის პროცესის განხორციელება ადგილობრივი ტერიტორიული ერთეულის ფარგლებში, რაც მოიცავს არაერთ ფუნქციას. ესენია: ადგილობრივი პოლიტიკის ფორმირება; დაგეგმილი საქმიანობებისთვის რესურსების განსაზღვრა და მისი მართვა; ადგილობრივი თვითმმართველობების ქონების მართვა; ადგილობრივი ბიუჯეტების შედგენა, განხილვა, დამტკიცება და კონტროლი, ასევე ცენტრალური ხელისუფლების მიერ დელეგირებული ფუნქციების განხორციელება. გადანყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ეფექტური ჩართულობა ემსახურება სწორედ ზემოთ აღნიშნული მიზნის მიღწევას და უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის ღიაობასა და ანგარიშვალდებულებას³⁷.

კოდექსში ცალკე თავი ეთმობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის გარანტიების შემცველ დებულებებს. ის განსაზღვრავს მოქალაქეთა მონაწილეობის შემდეგ ფორმებს³⁸:

- დასახლების საერთო კრება;
- პეტიცია;
- სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო;
- მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა;
- მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ განუული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა.

ასევე, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გაითვალისწინოს შესაბამისი პროგრამები. უფრო მეტიც, მუნიციპალიტეტს შეუძლია, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწი-

36 ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, <https://matsne.gov.ge/document/view/2244429?publication=45>

37 „მონაწილეობითი ბიუჯეტირება“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2016 წელი, გვ 8, <https://gyla.ge/files/news/2016%20წლის%20გამოცემა/მონაწილეობითი%20ბიუჯეტირება.pdf>

38 ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 85 <https://matsne.gov.ge/document/view/2244429?publication=45>

ლეობის დადგენილი ფორმების გარდა, შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვროს მონაწილეობის სხვა ფორმებიც, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას. ასევე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, ცალკე მუხლი ეთმობა სავალდებულოდ გამოსაქვეყნებელი ინფორმაციების ნუსხას და პროცედურებს.³⁹

დასახლების საერთო კრებები⁴⁰

დასახლების საერთო კრება წარმოადგენს მოქალაქეთა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით განსაზღვრულ, ფორმალურ სტრუქტურას და არის სოფლის/დაბის/ქალაქის მოსახლეობის თვითორგანიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფართოდ გამოყენებული ფორმა. იგი, თავისი მიზნების, მათი განხორციელების ლოგიკის და მოსალოდნელი შედეგების მიხედვით, მოქალაქეთა მონაწილეობის ყველაზე მნიშვნელოვან ფორმას წარმოადგენს.

დასახლების საერთო კრება უზრუნველყოფს შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებული ამომრჩევლის ქმედით ჩართულობას როგორც დასახლებისა და მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვისა და გადანყვეტილების მიღების, ისე მუნიციპალური ორგანოების წინაშე მათი ინიცირების პროცესებში. კრება უფლებამოსილია განიხილოს შესაბამისი დასახლებისთვის მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური საკითხები და მუნიციპალიტეტის ორგანოებისთვის წარსადგენად მოამზადოს შესაბამისი წინადადებები. აგრეთვე, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ასახვამდე, განიხილოს შესაბამის დასახლებაში განსახორციელებელი პროექტები და მუნიციპალიტეტის ორგანოებს წარუდგინოს დასაბუთებული შენიშვნები და წინადადებები⁴¹.

კენჭისყრაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს დასახლებაში რეგისტრირებულ ყველა ამომრჩეველს, ხოლო სათათბირო ხმის უფლებით სარგებლობს დასახლების ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონების მესაკუთრე და ამ დასახლებაში მცხოვრები ნებისმიერი სრულწლოვანი პირი.

საერთო კრებაზე საკითხის განხილვის შედეგად მიღებული წინადადება, შენიშვნა, დავალება ფორმდება საერთო კრების ოქმით. მუნიციპალიტეტის ორგანოები ვალდებული არიან განიხილონ საერთო კრების გადაწყ-

39 ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 85¹ <https://matsne.gov.ge/document/view/2244429?publication=45>

40 ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 85² <https://matsne.gov.ge/document/view/2244429?publication=45>

41 ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 85⁻³ <https://matsne.gov.ge/document/view/2244429?publication=45>

ვეტილება და განხილვის შედეგების შესახებ დასაბუთებული პასუხი აცნობონ საერთო კრების შესაბამის წევრებს ან საერთო კრების რჩეულს.

მოქალაქეთა საზოგადოებრივი მონაწილეობის სპექტრის მიხედვით, დასახლების საერთო კრება შეესაბამება **კონსულტირების** დონეს, ხოლო არნშტეინის მოქალაქეთა მონაწილეობის კიბის მიხედვით, იგი შეიძლება ჩაითვალოს **„გულის მოგების“** დონის შესაბამის საფეხურად, რადგან, მართალია, ხელისუფლება კონსულტაციებს მოსახლეობასთან ატარებს და ამით ერთგვარ „ვალდებულებასაც“ კი იღებს, რომ განიხილავს კრების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებას მაინც თავის შეხედულებისამებრ იღებს.

პეტიცია⁴²

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველს უფლება აქვს საკრებულოს განსახილველად წარუდგინოს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომლის მომზადებაც სპეციალურ ცოდნასა და გამოცდილებას მოითხოვს, არამედ კონკრეტული წინადადებებიც მისაღები ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძირითადი პრინციპების ან მისი შინაარსის შესახებ, რაც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველს მნიშვნელოვნად უმარტივებს პეტიციის წარდგენის შესაძლებლობას.

პეტიცია წარმოადგენს უშუალო დემოკრატიის ფორმას და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით განსაზღვრული პროცედურების გავლის შემდგომ მისი წარდგენის უფლება აქვს: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 1%-ისა, თუმცა მუნიციპალიტეტს შეუძლია ეს ზღვარი შეამციროს 0.5%-მდე, როგორც მოიქცა არაერთი მუნიციპალიტეტი საქართველოში (ოზურგეთი, ქედა, ბათუმი და სხვა), და ასევე დასახლების საერთო კრებას.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის თანახმად, პეტიციის წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ საკრებულოში, რომლის კომპეტენციის სფეროც ზღუდავს პეტიციის სახით წარსადგენი საკითხების ჩამონათვალს. პეტიციის სახით შეიძლება წარდგენილ იქნეს:

- ა) ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი;
- ბ) მოსამზადებელი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის ძირითადი პრინციპები ან კონკრეტული წინადადებები;
- გ) მუნიციპალიტეტისთვის ან/და დასახლებისთვის საერთო მნიშვნელობის

⁴² ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 86 <https://matsne.gov.ge/document/view/2244429?publication=45>

პრობლემებიდან გამომდინარე, საკითხების მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე შესწავლის, განხილვისა და გადაწყვეტის შესახებ მოთხოვნა.

ამ ინსტრუმენტის გამოყენება სრულებით არ იძლევა გარანტიას, რომ პეტიციაში მოყვანილი მოსახლეობის ინიციატივები იქნება გათვალისწინებული. ის მოიპოვებს მისი განხილვის სავალდებულებას, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება მაინც საკრებულოზე დამოკიდებულია.

მოქალაქეთა საზოგადოებრივი მონაწილეობის სპექტრის მიხედვით პეტიცია შეესაბამება **„ჩართულობის“** დონეს, ხოლო არნშტეინის მოქალაქეთა მონაწილეობის კიბის მიხედვით შეიძლება შეფასდეს, როგორც **„გულის მოგების“** დონის შესაბამისი, რადგან მოქალაქეების გარკვეული ჯგუფების წარმომადგენლებს გააჩნიათ შესაძლებლობა აქტიურად ჩაერიონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, დააყენონ კენჭისყრაზე მათთვის საინტერესო საკითხები ანდა შეაცვლევინონ არსებული ან მომავალი გადაწყვეტილებები, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილებას მაინც ადგილობრივი ხელისუფლება იღებს.

პეტიციის, როგორც მოქალაქეთა ჩართულობის ინსტრუმენტის, ძირითადი დადებითი მხარე, განსაკუთრებით ელექტრონული პეტიციის შემოღების შემდგომ, არის მოსახლეობისათვის ფართო ხელმისაწვდომობა, წინადადების წარდგენის სისწრაფე და მცირე ადამიანური რესურსების საჭიროება, პეტიციით წარსადგენი საკითხების ფართო სპექტრი, გავლენა როგორც სამომავლო პროექტების მიღებაზე, ისე ამჟამად მოქმედ ნორმატიულ აქტებზე. მის სუსტ მხარეს წარმოადგენს პეტიციის წარსადგენად საჭირო მაღალი კვალიფიკაცია, მოსახლეობის დაბალი აქტივობა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაზე დაბალი გავლენა.

მოქალაქეების მხრიდან, მათი კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით, ადგილობრივი ხელისუფლებისათვის პეტიციით მიმართვის პირველი შეთხვევა პოსტსაბჭოთა საქართველოში იყო 1999 წლის ივლისში თეთრიწყაროს მოსახლეობის 250-ხელმოწერიანი პეტიცია რაიონული საკრებულოსადმი, რომლის ორგანიზება ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციამ “შწვანე კავკასია” მოახდინა. 2000-2009 წლებში სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში მოქალაქეები მაინც იყენებდნენ საკრებულოს წინაშე მათთვის პრობლემური საკითხების დასმის ამ ფორმას, მიუხედავად იმისა, რომ რაიმე საკანონმდებლო ჩარჩოები არ არსებობდა. 2015 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში შესაბამისი ჩანაწერის გაჩენის შემდეგ, პეტიცია იქცა ფორმალურად ინსტრუმენტად, რომლის გამოყენებასაც პერიოდულად, მეტ-ნაკლები წარმატებით, ახერხებს მოსახლეობა. კოდექსმა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიანიჭა აგრეთვე უფლება თავისი დადგენილებით განსაზღვროს პეტიციის ელექტრონული ფორმით წარდგენის წესიც.

საქართველოში, ინტერნეტის განვითარების, მისი მომხმარებლების ზრდის შედეგად და ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) მეორე სამოქმედო გეგმის მიხედვით აღებული ვალდებულებების ფარგლებში, დაინერგა პეტიციის ელექტრონული წესით შექმნის, ხელმოწერების შეგროვების და საკრებულოში წარდგენის ტექნიკური შესაძლებლობა, რაც ძალზე მოსახერხებელია ტერიტორიულად დანაწევრებული მუნიციპალიტეტების და ცუდი კლიმატური პირობების შემთხვევაში⁴³.

მერთან არსებული სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოები⁴⁴

გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა უშუალო ჩართულობის ინსტრუმენტს წარმოადგენს მერთან არსებული მრჩეველთა საბჭო, რომელიც არის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის ინსტიტუციონალიზებული საკომუნიკაციო არხი. იგი, როგორც მუნიციპალიტეტის უმაღლესი არჩევითი თანამდებობის პირის სათათბირო ორგანო, მონოდედებულია ხელი შეუწყოს მას პოლიტიკური ფუნქციის წარმატებით შესრულებაში. საბჭოს ფარგლებში შესაძლებელია, რომ მერმა მოქალაქეებთან უშუალო კომუნიკაციისა და დისკუსიის მეშვეობით მიიღოს ინფორმაცია მოქალაქეთა სხვადასხვა ფენის წინაშე მდგარი პრობლემებისა და მათი დაძლევის შესაძლო გზების შესახებ. კოდექსის მიხედვით, მუნიციპალიტეტის მერი ვალდებულია სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს განსახილველად წარუდგინოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისა და სხვა მნიშვნელოვანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტები, გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ წინადადებები, სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტები, აგრეთვე სხვა ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტები.

საბჭო უზრუნველყოფს ადგილობრივ საზოგადოებას შესაძლებლობით, რათა მათ მოახერხონ მუნიციპალიტეტში მიმდინარე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართვად საკუთარი პოზიციის დაფიქსირება, რამაც ხელი უნდა შეუწყოს გადაწყვეტილების მიღების დროს მერის მხრიდან ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების უკეთესად გათვალისწინებას. შესაბამისად, ცვლილებების მიხედვით, ადგილობრივი მოსახლეობა, საინიციატივო ჯგუფები და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები აქტიურად არიან ჩართულნი ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებულნი არიან ამ უფლებამოსილების განსახორციელებლად

43 მონაწილეობითი ბიუჯეტირება (საერთაშორისო გამოცდილება და საქართველოში დანერგვის პრაქტიკის კვლევა) სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი, 2018 წელი, გვ 48-49 http://civilin.org/pdf/PB_research.pdf

44 ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 86¹ <https://matsne.gov.ge/document/view/2244429?publication=45>

შექმნან ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური პირობები⁴⁵.

მოქალაქეთა ჩართულობის აღნიშნული ინსტრუმენტის დადებით მხარეს წარმოადგენს მისი საკანონმდებლო ინსტიტუციონალიზაცია, აგრეთვე მერთან უშუალო კომუნიკაციისა და საზოგადოებისათვის საჭიროებო ფართო თემატიკაზე კონსულტაციის შესაძლებლობა. აღნიშნული ინსტრუმენტი როგორც საზოგადოებრივი მონაწილეობის სპექტრის, ისე არნშტეინის მოქალაქეთა მონაწილეობის კიბის მიხედვით შეესაბამება „კონსულტირების“ დონეს. მის სუსტ მხარეს წარმოადგენს მისი ფორმალური ხასიათი. საბჭო არის მხოლოდ სათათბირო ორგანო, მისი გადაწყვეტილებები არ არის სავალდებულო აღსასრულებლად. მეორე სუსტი მხარეა საბჭოს ფორმირების წესი, რომელიც მთლიანად დამოკიდებულია მერის კეთილგონიერებასა და კეთილსინდისიერებაზე. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში შედიან მენარმე იურიდიული პირების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წარმომადგენლები. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ 10 წევრით (ერთი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა არ უნდა იყოს საერთო რაოდენობის 1/3-ზე ნაკლები) და მას ამტკიცებს მერი. საინტერესოა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გამოცდილება, სადაც საბჭო ფორმირდება მერისგან დამოუკიდებლად, კერძოდ: მერია მიმართავს შესაბამისი სექტორის წარმომადგენლებს - არასამთავრობო ორგანიზაციებს, უნივერსიტეტს, სავაჭრო პალატას - კანდიდატურის წარდგენის მიზნით, ასევე ტერიტორიულ უბნებში შექმნილ საუბნო კავშირებს / საზოგადოებრივ დარბაზებს - ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობის მიზნით, და შემდგომ, წარდგენილი კანდიდატების საფუძველზე, ამტკიცებს საბჭოს შემადგენლობას.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა⁴⁶

მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომები საჯაროა. ნებისმიერ პირს აქვს უფლება, წინასწარი შეტყობინების ან/და წინასწარი ნებართვის გარეშე, დაესწროს საკრებულოს/კომისიის საჯარო სხდომებს. თუ სხდომაზე დასწრების მსურველთა რაოდენობა აღემატება მათთვის სხდომათა დარბაზში გამოყოფილი ადგილების რაოდენობას, მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი ვალდებულია უზრუნველყოს მის ხელთ არსებული იმ ტექნიკური საშუალებების გამოყენება, რომლებიც სხდომაზე დასწრების მსურველებს სხდომის მსვლელობის

45 მონაწილეობითი ბიუჯეტირება, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2016 წელი, გვ 15. <https://gyla.ge/files/news/2016%20წლის%20გამოცემა/მონაწილეობითი%20ბიუჯეტირება.pdf>

46 ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 87 <https://matsne.gov.ge/document/view/2244429?publication=45>

მოსმენის საშუალებას მისცემს. აღსანიშნავია, რომ საკრებულოს და კომისიის საჯარო სხდომებზე დამსწრე პირებს უფლება აქვთ, წინასწარი ნებართვის გარეშე, მაგრამ მხოლოდ სხდომის თავმჯდომარის თანხმობით (მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით), დაუსვან შეკითხვები მომხსენებელს და თანამომხსენებელს, გააკეთონ განმარტება და განცხადება, წარადგინონ ინფორმაცია და პოზიცია.

ბევრ მუნიციპალიტეტში ასევე გამოიყენება საკრებულოს სხდომების პირდაპირი ტრანსლირება და შემდგომ ვიდეო ჩანაწერის განთავსება, რაც თავისთავად ზრდის გამჭვირვალობას და ხელმისაწვდომობას. სასურველია აღნიშნული მექანიზმი გამოყენებული იქნეს კომისიის სხდომებზეც.

მუნიციპალიტეტის მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ განუვლი მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა⁴⁷

კოდექსის მიხედვით, მუნიციპალიტეტის მერი და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ვალდებული არიან, წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1-ელი ნოემბრისა, მოაწიონ საჯარო შეხვედრები მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან და წარუდგინონ მათ ანგარიში განუვლი მუშაობის შესახებ. მნიშვნელოვანია ანგარიშის განხილვისას გაიმართოს დისკუსია და თანამდებობის პირები, ვალდებული არიან უპასუხონ კითხვა-პასუხის რეჟიმში მუნიციპალიტეტის ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს. აღსანიშნავია, რომ საკრებულომ დადგენილებით უნდა განსაზღვროს ანგარიშების წარდგენის წესი, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს ანგარიშვალდებულების სტანდარტს და მოქალაქეთა ინტერესს.

მნიშვნელოვანი პოლიტიკის დოკუმენტები

ერთ-ერთ მნიშვნელოვან საერთაშორისო შეთანხმებას, რომელიც უშუალოდ ეხება ადგილობრივი თვითმმართველობების ღიაობას და ანგარიშვალდებულებას, წარმოადგენს 2011 წელს ინიცირებული გლობალური პროცესი **ღია მმართველობის პარტნიორობა (Open Government Partnership)**. პარტნიორობა მიზნად ისახავს მსოფლიოს მასშტაბით მთავრობათა გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და ეფექტიანობის გაზრდას და მასში გაერთიანებულია 63 სახელმწიფო. საქართველო პარტნიორობას შეუერთდა 2011 წლის 20 სექტემბერს. აღნიშნულ პროცესს წარმართავს და კოორდინაციას უწევს იუსტიციის სამინისტრო⁴⁸.

47 ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 88 <https://matsne.gov.ge/document/view/2244429?publication=45>

48 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს „ღია მმართველობა – საქართველოს სამდივნოს ვებ გვერდი, <http://justice.gov.ge/Ministry/Department/273>

პარტნიორობის მონაწილე ქვეყნის მთავრობები იღებენ ვალდებულებას, რომ იქნებიან მოქალაქეთა მიმართ უფრო ღია და გახსნილი, ჩართავენ მათ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ხელმისაწვდომს და კომფორტულს გახდიან სახელმწიფო სერვისებს. აღებული ვალდებულებების შესრულების ხარისხის მიხედვით განისაზღვრება ქვეყნის წარმატება „ღია მმართველობის პარტნიორობის“ ფარგლებში.

ღია მმართველობის პარტნიორობის ფარგლებში დასახულია ხუთი ძირითადი გამოწვევა, ესენია:

- საჯარო სერვისის გაუმჯობესება;
- საჯარო სექტორის კეთილსინდისიერების ამაღლება;
- საჯარო რესურსების უკეთესი მართვა;
- უსაფრთხო გარემოს შექმნა;
- კორპორატიული პასუხისმგებლობის გაუმჯობესება.

2011 წლიდან საქართველომ შეიმუშავა და განახორციელა ოთხი ორწლიანი სამოქმედო გეგმა. ამჟამად მიმდინარეობს მორიგი, მეხუთე, 2020-2021 წწ სამოქმედო გეგმაზე მუშაობა.

2018-2019 წწ სამოქმედო გეგმაში გაერთიანებული იყო 23 ვალდებულება⁴⁹, რომლებიც შეესაბამება შემდეგ თემატიკას: გარემოს დაცვა, ჯანდაცვა, კონკურენციის, ენერგეტიკისა და მომხმარებელთა უფლებებთან დაკავშირებული საკითხები, სასჯელაღსრულებისა და პროკურატურის კომპეტენციაში შემავალი თემები. გარდა ამისა, სამოქმედო გეგმა ასახავს აგრეთვე კორპორატიული პასუხისმგებლობის გაუმჯობესებას. ღია მმართველობის პარტნიორობის 2016-2017 გეგმის ერთ-ერთი ნოვატია იყო მუნიციპალიტეტების ჩართულობა. პირველად ღია მმართველობის პარტნიორობის სამოქმედო გეგმამ ცალკე, დამოუკიდებელ კომპონენტად მოიაზრა 5 მუნიციპალიტეტის ვალდებულებები. სამდივნოს ძალისხმევით და USAID-ისა და UNDP-ის მხარდაჭერით, ამ მიმართულებით მუშაობა გაგრძელდა. USAID-ისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანაორგანიზებით, ასევე საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ხელშეწყობით, გაიმართა შეხვედრა საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტთან. შეხვედრაზე განხილულ იქნა ღია მმართველობის გამოწვევები და შესაძლებლობები, რომელთა გამოყენება თვითმმართველობის გაძლიერებას შეუწყობს ხელს. შედეგად, 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმა უკვე 11 მუნიციპალიტეტის ვალდებულებას ითვალისწინებდა.

49 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს „ღია მმართველობა – საქართველოს სამდივნოს ვებ გვერდი, <http://justice.gov.ge/Ministry/Department/353>

ღია მმართველობა – საქართველოს 2020-2021 წწ სამოქმედო გეგმა მუშავდება ფორუმის ფარგლებში, სადაც გაერთიანებულია სამთავრობო, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები, კერძო სექტორისა და აკადემიური წრის წარმომადგენლები. ფორუმი მართავს საინფორმაციო შეხვედრებს დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის, მუნიციპალიტეტებთან სამოქმედო გეგმის ვალდებულებების განსაზღვრის მიზნით. შემდეგ გეგმის პროექტი წარედგინება საქართველოს ღია მმართველობის უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოს, რომელიც მას საქართველოს მთავრობას წარუდგენს დასამტკიცებლად⁵⁰.

და ბოლოს, მიმოვიხილავთ 2019 წლის 31 დეკემბერს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ დეცენტრალიზაციის, 2020-2025 წლების სტრატეგიისა და დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების, 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმას⁵¹ მოქალაქეთა მონაწილეობის ჭრილში.

საქართველოს მთავრობის ხედვა დეცენტრალიზაციის პროცესთან მიმართებაში გულისხმობს ადგილობრივი ხელისუფლების ისეთი სისტემის ჩამოყალიბებასა და განვითარებას, რომელიც უზრუნველყოფს, - ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებითა და მოსახლეობის აქტიური თანამონაწილეობით, დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობის შეგნებით, კანონის ფარგლებში, - ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების ეფექტიან და ოპერატიულ გადაწყვეტას, მუნიციპალიტეტის პოტენციალის სრულად გამოყენებას, მდგრად ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებას, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პრობლემების მოგვარებასა და ცხოვრების დონის განუხრელ ამაღლებას.

დეცენტრალიზაციის სტრატეგია მიზნად ისახავს უზრუნველყოს საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული პრინციპების რეალიზება და ადგილობრივი თვითმმართველობის თანმიმდევრული განვითარება, აქციოს დეცენტრალიზაცია უწყვეტ, მიზანმიმართულ პროცესად, ასევე უზრუნველყოს საჯარო საკითხების გადაწყვეტაში თვითმმართველი ერთეულის როლისა და მნიშვნელობის გაზრდა, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობა და გამჭვირვალე, ანგარიშვალდებული და კარგი მმართველობის პრინციპებზე დაფუძნებული ადგილობრივი

50 საქართველოს მთავრობის დადგენილება (#110 13.02.2020) საქართველოს ღია მმართველობის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს დებულებისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4798598?publication=0>

51 საქართველოს მთავრობის დადგენილება (#678 31.12.2019) დეცენტრალიზაციის 2020-2025 წლების სტრატეგიისა და დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ <https://matsne.gov.ge/document/view/4764626?publication=0>, <https://mrdi.gov.ge/ka/ადგილობრივი%20თვითმმართველობა%20pdf%20%20ka>

თვითმმართველობის ჩამოყალიბება⁵².

დეცენტრალიზაციის სტრატეგიის დოკუმენტი 2020-2025 წლების პერიოდში გამოყოფს სამ მიზანს:

სტრატეგიული მიზანი №1 - თვითმმართველი ერთეულის როლის გაზრდა საჯარო საქმეების მნიშვნელოვანი ნაწილის გადაწყვეტაში

რაც გულისხმობს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების უფლებასა და შესაძლებლობას, კანონის ფარგლებში, მოანესრიგოს და მართოს საზოგადოებრივი საქმეების მნიშვნელოვანი ნაწილი მათი პასუხისმგებლობითა და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად.

სტრატეგიული მიზანი №2 - ადგილობრივი თვითმმართველობის უზრუნველყოფა შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსებით

ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს უფლება აქვთ, ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის ფარგლებში, გააჩნდეს საკუთარი ფინანსური სახსრები, რომელთა განკარგვაც მათ შეეძლებათ საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში. ფინანსური სახსრები უნდა შეესაბამებოდეს თვითმმართველი ერთეულის კანონით დადგენილ უფლებამოსილებებს.

სტრატეგიული მიზანი №3 - სანდო, ანგარიშვალდებული, გამჭვირვალე და შედეგზე ორიენტირებული ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბება

ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის განვითარება და შედეგზე ორიენტირებული მართვის, მონიტორინგისა და შეფასების სისტემების დანერგვა მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ქმედითი, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბებას.

თითოეული მიზანი მოიცავს არაერთ ამოცანას და აქტივობას, თუმცა აღნიშნულ სახელმძღვანელოში ვისაუბრებთ მხოლოდ თვითმმართველობის ანგარიშვალდებულებაზე გამჭვირვალობის და მოქალაქეთა ჩართულობის კუთხით, რომელიც განერილია მესამე სტრატეგიულ მიზანში.

გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მაღალი სტანდარტის დანერგვის მიზნით უნდა შეიქმნას კორუფციის რისკების პრევენციის ქმედითი სისტემა, რაც გამოიხატება საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტის ჩართვით ღია მმართველობის პროგრამაში და იმ ვალდებულებების იდენტიფიცირებაში დახმარებით, რომლებიც აისახება პროგრამის სამოქმედო

52 საქართველოს მთავრობის დადგენილება (№678 31.12.2019) დეცენტრალიზაციის 2020-2025 წლების სტრატეგიისა და დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის შესახებ. გვ 9;11; <https://mrdi.gov.ge/ka/ადგილობრივი%20თვითმმართველობა%20pdf%20%20ka>

გეგმაში. ასევე, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მაღალი სტანდარტების დასაწერად საჭიროა საკანონმდებლო ჩარჩოს გადასინჯვა, რაც დაეყრდნობა აღიარებულ საერთაშორისო სტანდარტებს და პრინციპებს, აგრეთვე შესაბამის საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებას. ადგილობრივი თვითმმართველობისათვის ხელმისაწვდომი იქნება ტექნიკური და ექსპერტული დახმარება ეფექტიანი ანტიკორუფციული სისტემების შესაქმნელად.

ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან გადაწყვეტილების მიღებისა და განხორციელების პროცესში მაღალი ხარისხის ჩართულობის ხელშეწყობის ამოცანის გადასაჭრელად იგეგმება არსებული კანონმდებლობის გადასინჯვა და ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე მონაწილეობითი რგოლის შექმნა, რამაც უნდა უზრუნველყოს მოქალაქეთა ინსტიტუციური მონაწილეობა ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღებაში. ამ ამოცანის მისაღწევად ასევე იგეგმება დაინტერესებულ მხარეთა ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღებისა და განხორციელების პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფის სხვა ქვეყნების შესაბამისი გამოცდილების შესწავლა, გაზიარება ან/და დანერგვა, მათ შორის, **სამოქალაქო ბიუჯეტი - მონაწილეობითი ბიუჯეტირების** ინსტრუმენტის დანერგვა. - წერია სტრატეგიაში.

ასევე სტრატეგიაში დეკლარირებულია, რომ გადაწყვეტილების მიღებისა და განხორციელების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა საბიუჯეტო პროცესის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი გახდება. ასევე გადაიხედება არსებული ჩართულობის ფორმები, როგორც საკანონმდებლო, ისე ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური კუთხით. ასევე, კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით, შემუშავდება წინადადებები ჩართულობის ახალი მექანიზმების დასაწერად.

დეცენტრალიზაციის პროცესთან დაკავშირებული კომუნიკაციის ეტაპები და ძირითადი აქტივობები, ისევე როგორც მათი განხორციელების ვადები, სტრატეგიის სამოქმედო გეგმაშია ასახული. აღსანიშნავია, რომ ეს ორი ამოცანა - **გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მაღალი სტანდარტის დანერგვა და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გადაწყვეტილების მიღებისა და განხორციელების პროცესში მაღალი ხარისხის ჩართულობის ხელშეწყობა** - კალენდარულად განერილია **2020-2021 წლებში**, მათ განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანოა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ხოლო პარტნიორი ორგანიზაციებია: მუნიციპალიტეტები, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტა ასოციაცია და სხვა განვითარების აქტორები (საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციები).

დანართი 7. მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ნიმუში

_____ მუნიციპალიტეტის საკრებულოს

და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა N -----

2020 წელი _____

ქ. _____

_____ მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის განხორციელების წესის დადგენის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილის, 85-ე მუხლის 1-ელი, მე-2 და მე-3 ნაწილის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, _____ მუნიციპალიტეტის საკრებულო

ა დ გ ე ნ ს:

მუხლი 1. დამტკიცდეს _____ მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის განხორციელების წესი დანართი N1-ის შესაბამისად.

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის მერმა, პროგრამული ბიუჯეტის მომზადების პროცესში, ამ დადგენილებით განსაზღვრული წესით, ყოველწლიურად უზრუნველყოს მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის განხორციელება.

მუხლი 3. მუნიციპალიტეტის მერმა საკრებულოს, ყოველწლიურად მოსაწონებლად, წარუდგინოს მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის ფორმების (ტერიტორიული, თემური, შერეული), ზონების და დაფინანსების მოცულობის შესახებ გადაწყვეტილების პროექტები.

მუხლი 4. ეს დადგენილება ამოქმედდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

(სახელი, გვარი)

დანართი N1

----- მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის განხორციელების წესის დადგენის შესახებ

ეს წესი განსაზღვრავს _____ მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის განხორციელების ძირითად პრინციპებს, მოქალაქეთა მიერ პროექტების შედგენის, განხილვის, წარდგენისა და მუნიციპალიტეტის მიერ ამ პროექტების შესაბამისი წლის ბიუჯეტში ასახვის, განხორციელებისა და მონიტორინგის პროცედურებს.

კარი პირველი

საერთო დებულებები

თავი პირველი

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის ცნება

1. მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამა (შემდგომში - „პროგრამა“) არის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო დაგეგმვის, პროექტების განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმა, რომლის ამოცანაა მოქალაქეებმა, საკუთარი პასუხისმგებლობით, ასევე თავიანთი შესაძლებლობების გაძლიერებისა და ჩართულობის გაზრდის შედეგად, უზრუნველყონ მათ მიერ მუნიციპალური ბიუჯეტის ნაწილის განკარგვა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. მუნიციპალიტეტის ორგანოები ვალდებულია იღებენ ბიუჯეტში გაითვალისწინონ და განახორციელონ მოქალაქეების მიერ, ამ დადგენილებით და შესაბამისი ნორმატიული და ინდივიდუალური აქტებით დადგენილი წესით, წარდგენილი და შერჩეული პროექტები.
2. მუნიციპალიტეტის თითოეული წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს პროგრამის განხორციელებლად გამოსაყოფი თანხის ოდენობა.
3. მუნიციპალიტეტის მერი (შემდგომში - მერი) უზრუნველყოფს პროგრამის და პროგრამის ფარგლებში წარდგენილი პროექტების (შემდგომში - პროექტი) შესახებ საინფორმაციო კამპანიის წარმოებას, კამპანიის საწარმოებლად ბიუჯეტიდან გამოყოფს შესაბამის დაფინანსებას.

მუხლი 2. პროგრამის პრინციპები

1. პროგრამის განხორციელების ძირითადი პრინციპებია:
 - ა) კანონიერება;
 - ბ) საჯაროობა;
 - გ) კოლეგურობა;
 - დ) მოქალაქეთა დამოუკიდებლობისა და პასუხისმგებლობის გაზრდა თვითმმართველობის განხორციელების პროცესში;
 - ე) საბიუჯეტო სახსრების სამართლიანი განაწილება.

მუხლი 3. პროგრამის სახეები

1. პროგრამა შესაძლებელია განხორციელდეს ტერიტორიული, თემატური ან შერეული სახით;
2. პროგრამის ტერიტორიული სახით განხორციელება, როცა პროგრამისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრები ნაწილდება საკრებულოს მიერ შესაბამისი წლისათვის განსაზღვრული ზონების მიხედვით;
3. პროგრამის თემატური სახით განხორციელება, როცა პროგრამისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრები ნაწილდება საკრებულოს მიერ შესაბამისი წლისათვის განსაზღვრული თემების მიხედვით.
4. პროგრამის შერეული სახით განხორციელება, როცა პროგრამისთვის გამოყოფილი სახსრების განაწილება მოიცავს როგორც ტერიტორიულ, ისე თემატურ ნიშანს და თითოეულ მათგანზე განსაზღვრული სახსრები ნაწილდება.
5. პროგრამის სახე, გასანაწილებელი საბიუჯეტო სახსრების მოცულობა, პროგრამისა და პროექტების საინფორმაციო კამპანიისთვის საჭირო დაფინანსების მოცულობა ყოველწლიურად თანხმდება მუნიციპალიტეტის მერსა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს შორის და მერის მიერ აისახება ბიუჯეტის პროექტში, პროექტის საკრებულოში წარდგენამდე.
6. პროგრამის მუნიციპალიტეტის მიერ დადგენილი პრიორიტეტები უნდა შეესაბამებოდეს მუნიციპალიტეტის საკუთარ ან/და ნებაყოფლობით უფლებამოსილებებს.

მუხლი 4. პროგრამის განმახორციელებელი ორგანოები და დოკუმენტები

1. პროგრამის დაგეგმვასა და წარმართვაზე პასუხისმგებლები არიან: მერი, საკრებულო და პროგრამის საკოორდინაციო საბჭო (შემდგომში - საბჭო);
2. პროგრამის წლიურ სამოქმედო გეგმას, საბჭოს წარდგინების საფუძველზე, ბრძანებით ამტკიცებს მერი;
3. პროგრამის განსახორციელებლად განეული სამუშაოს შესახებ საბჭო ყოველწლიურად ამზადებს ანგარიშს, რომელსაც წარუდგენს მერს და საკრებულოს.

მუხლი 5. პროექტის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებაზე პასუხისმგებელი პირი

1. პროექტის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებაზე პასუხისმგებლები არიან: პროექტის ავტორი და საბჭო;
2. პროექტის საინფორმაციო კამპანიის ფინანსურ, მატერიალურ და ტექნიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს მერი.

მუხლი 6. ინფორმირების ფორმები

პროგრამის ეფექტიანად განსახორციელებლად საბჭო ქმნის პროგრამის საზოგადოებასთან კომუნიკაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დოკუმენტებს, რომლებიც განსაზღვრავს როგორც მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის, ისე მის ფარგლებში წარდგენილი პროექტების თაობაზე მოსახლეობის ინფორმირების ფორმებსა და მეთოდებს.

თავი მესამე

საბჭო

მუხლი 7. საბჭო

1. პროგრამის განსახორციელებლად მერთან იქმნება საბჭო;
2. საბჭოს შემადგენლობას და საბჭოს ხელმძღვანელს ამტკიცებს მერი;
3. საბჭოს მუშაობაში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობენ საკრებულოს შესაბამისი კომისიების თავმჯდომარეები, შესაბამისი მაჟორიტარი დეპუტატები და პროექტების ავტორები;

4. მერი უფლებამოსილია საბჭოს შემადგენლობაში მოიწვიოს პროფესიული და აკადემიური წრეების, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.
5. საბჭო ანგარიშვალდებულია მერთან.

მუხლი 8. საბჭოს უფლებამოსილებები

1. საბჭო უფლებამოსილია:
 - ა) შეიმუშაოს და მერს დასამტკიცებლად წარუდგინოს პროგრამის წლიური სამოქმედო გეგმის პროექტი;
 - ბ) შეიმუშაოს პროგრამის საზოგადოებასთან კომუნიკაციის წლიური სტრატეგია და სამოქმედო გეგმა;
 - გ) დამტკიცებული დოკუმენტების ფარგლებში უზრუნველყოს პროგრამის, მისი საკომუნიკაციო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულება;
 - დ) შეიმუშაოს და მერს დასამტკიცებლად წარუდგინოს საკონკურსო პროექტების განაცხადის ფორმები;
 - ე) კოორდინაცია და საკონსულტაციო მხარდაჭერა გაუწიოს მოქალაქეებს/საინიციატივო ჯგუფებს საპროექტო წინადადებების მომზადების პროცესში;
 - ვ) დაარეგისტრიროს მოქალაქეების/საინიციატივო ჯგუფების მიერ წარმოდგენილი საპროექტო განაცხადები;
 - ზ) მოახდინოს საპროექტო განაცხადების პირველადი ტექნიკური გადარჩევა ამ დადგენილების მე-14 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული წესით;
 - თ) ორგანიზება გაუწიოს მოსახლეობისათვის პროექტების წარდგენისა და განხილვის, შესაბამისი საინფორმაციო კამპანიის წარმართვის პროცესს;
 - ი) ორგანიზება გაუწიოს დასახლებებში შემოსული პროექტებისათვის ხმის მიცემის პროცედურას;
 - კ) მოამზადოს და დაამტკიცოს მუნიციპალიტეტის, მერისა და საკრებულოსთვის წარსადგენი პროგრამის მიმდინარეობის ანგარიშები;
 - ლ) არაუგვიანეს 1-ელი ოქტომბრისა, მერს წარუდგინოს მომავალი წლის ბიუჯეტში პროგრამით განსაზღვრული და მოქალაქეების მიერ შერჩეული საპროექტო წინადადებების ნუსხა.

მუხლი 9. საბჭოს სხდომების მონვევა და გადანყვეტილების მიღება

1. საბჭოს სხდომა მონვევა საბჭოს ხელმძღვანელის მიერ;
2. საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადანყვეტილებები, თუკი სხდომას ესწრება წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. გადანყვეტილებები მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის 1/3-ისა.
3. საბჭოს სხდომის შესახებ დგება ოქმი, რომლის შედგენასაც საბჭოს ხელმძღვანელი ავალებს საბჭოს რომელიმე წევრს, ან მერიის შესაბამის მოხელეს;
4. საბჭოს რიგგარეშე სხდომის მონვევის უფლება აქვს საბჭოს ხელმძღვანელს ან საბჭოს წევრთა 1/3-ს.
5. საბჭოს რიგგარეშე სხდომის ინიცირების უფლება აქვს აგრეთვე საბჭოს მუშაობაში სათათბირო ხმის უფლების მქონე პირთა 1/3-ს. ინიცირება წარედგინება საბჭოს ხელმძღვანელს, რომელიც წარდგენიდან ერთი კვირის ვადაში იღებს გადანყვეტილებას.

თავი მეოთხე

მერის და საკრებულოს უფლებამოსილებები

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის მერი

1. პროგრამის განხორციელების პროცესში, მერი:
 - ა) საკრებულოსთან შეთანხმებით იღებს გადანყვეტილებას პროგრამის განხორციელების ფორმის, ზონებისა და დაფინანსების მოცულობასთან დაკავშირებით;
 - ბ) ამტკიცებს საბჭოს, საბჭოს დებულებას, საბჭოს პერსონალურ შემადგენლობას და საბჭოს ხელმძღვანელს;
 - გ) საბჭოს წარდგინების საფუძველზე, ბრძანებით ამტკიცებს პროგრამის წლიურ სამოქმედო გეგმას;
 - დ) იღებს გადანყვეტილებას პროგრამისა და პროექტების საინფორმაციო და მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერისთვის საჭირო ფინანსური სახსრების გამოყოფის შესახებ;
 - ე) არის გარანტორი, რომ ყველა პროექტს ექნება თანაბარი საინფორმაციო და მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერა;

- ვ) უზრუნველყოფს საბჭოს საქმიანობის მატერიალურ-ტექნიკურ მხარდაჭერას;
- ზ) შესაბამის სამსახურებს ავალებს საბჭოს მიერ წარდგენილი საპროექტო განაცხადების საფუძველზე შესაბამისი პროექტის მომზადებას;
- თ) იღებს გადანყვეტილებას შერჩეული პროექტების ბიუჯეტის პროექტში ასახვის შესახებ.
- ი) იღებს გადანყვეტილებას საკონკურსო განაცხადების მიღების დანყვისა და დასრულების თარიღების შესახებ;
- კ) ამტკიცებს პროექტების შერჩევის მიზნით გასამართი კენჭისყრის ფორმას და პროცედურებს;
- ლ) ამტკიცებს საკონკურსო პროექტების განაცხადის ფორმებს.

მუხლი 11. საკრებულო

1. პროგრამის განხორციელების პროცესში, საკრებულო:
 - ა) განკარგულების ფორმით, ყოველწლიურად იწონებს მერის გადანყვეტილებას პროგრამის განხორციელების ფორმის, ზონებისა და დაფინანსების მოცულობის შესახებ;
 - ბ) შესაბამის კომისიებში იხილავს, იძლევა შეფასებებს და რეკომენდაციებს პროექტების მიმდინარეობასა და შედეგებთან დაკავშირებით;
 - გ) ისმენს საბჭოს ანგარიშს მონაწილეობითი ბიუჯეტის განხორციელების თაობაზე განეული სამუშაოს შესახებ, შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს.

თავი მეხუთე

საპროექტო განაცხადების შერჩევის პროცესი

მუხლი 12. საპროექტო განაცხადი და განაცხადების მიღების ვადები

1. საპროექტო განაცხადის ფორმები მტკიცდება მერის მიერ და ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული, ისე წერილობითი ფორმით ყველა დაინტერესებული საინიციატივო ჯგუფისა თუ მოქალაქისთვის;
2. საპროექტო განაცხადები მიიღება მერის მიერ განსაზღვრულ ვადებში.

მუხლი 13. საპროექტო განაცხადების შეტანაზე უფლებამოსილი პირები

1. საპროექტო განაცხადის შეტანა შეუძლია:
 - ა) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ნებისმიერ მოქალაქეს 14 წლის ასაკიდან;
 - ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ნებისმიერ მოქალაქეთა ჯგუფს (საინიციატივო ჯგუფი);
 - გ) დასახლების საერთო კრებას;
 - დ) პროგრამის ტერიტორიული სახით განხორციელების დროს - მხოლოდ იმ პირს ან საინიციატივო ჯგუფს, რომელთა წევრებიც რეგისტრირებულნი არიან საკრებულოს მიერ დამტკიცებულ ზონაში შემავალ რომელიმე დასახლებაში, ასევე შესაბამისი დასახლების საერთო კრებას.

მუხლი 14. საპროექტო განაცხადების მიღება და პირველადი გადარჩევა

1. საპროექტო განაცხადების წარდგენა შესაძლებელია როგორც მერიაში, ისე შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელთან. მერია უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამოყოს დამატებით ადგილები პროგრამის საპროექტო განაცხადების მისაღებად;
2. საპროექტო განაცხადს ენიჭება ინდივიდუალური ნომერი და გადაეცემა საბჭოს შესაბამისი ფუნქციით აღჭურვილ თანამშრომელს.
3. საბჭო, საპროექტო განაცხადების მიღებიდან 2 კვირის ვადაში, ასრულებს პირველად გადარჩევას და შესაბამის პასუხებს აცნობებს საპროექტო განაცხადის ავტორებს;
4. საბჭო, საპროექტო განაცხადების პირველადი გადარჩევის დროს, ხელმძღვანელობს შემდეგი კრიტერიუმებით:
 - ა) საპროექტო განაცხადის იდეა შესაძლებელია განხორციელდეს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებათა ფარგლებში;
 - ბ) შემოტანილია უფლებამოსილი პირის მიერ;
 - გ) პროექტის სავარაუდო ღირებულება არ აღემატება აღნიშნული ზონისთვის/თემატისთვის გამოყოფილ საბიუჯეტო სახსრებს;
 - დ) დაცულია ამ დადგენილებით განსაზღვრული სხვა პირობები.

მუხლი 15. შერჩეული პროექტების ბიუჯეტის პროექტში ასახვა

1. შერჩეული პროექტები, საბჭოს რეკომენდაციით, წარედგინება მერს ბიუჯეტის პროექტში ასახვის მიზნით არაუგვიანეს 1-ელი ოქტომბრისა.
2. შერჩეული პროექტების ბიუჯეტის პროექტში ასახვისა და პროექტირების ეტაპზე მერი და საბჭო ვალდებული არიან უზრუნველყონ პროექტის ავტორის ინფორმირება.

თავი მეექვსე

პროექტის განხორციელება და მონიტორინგი

მუხლი 16. პროექტის განხორციელება

1. პროექტის განხორციელების თითოეულ ეტაპზე შესაბამისი ინფორმაცია მიეწოდება პროექტის ავტორს და პროაქტიულად გამოქვეყნდება მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე;
2. მერი უზრუნველყოფს პროექტის ავტორის ჩართვას პროექტის მონიტორინგის პროცესში.

დანართი 8. მონაწილეობითი ბიუჯეტირების დანერგვის გამოცდილება საქართველოში

მონაწილეობითი ბიუჯეტირების (სამოქალაქო ბიუჯეტის) დანერგვა საქართველოში 2015 წელს მარნეულის მუნიციპალიტეტში დაიწყო, მისი მთავარი მხარდაჭერი იყო პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო პროექტის „პოლონეთის სოლიდარობის ფონდი (Solidarity Fund PL) - დემოკრატიის მხარდაჭერა“ - ფარგლებში. ამ პროექტის ინიციატორი და მთავარი ორგანიზატორი იყო პოლონური ორგანიზაცია „სხვა სივრცე“ (Open Space Foundation). პროექტი განხორციელდა ადგილობრივ ორგანიზაციასთან - „ერთიანი კავკასია“ - და მარნეულის მუნიციპალიტეტთან პარტნიორობით⁵³. 2018 წლიდან პოლონეთის სოლიდარობის ფონდმა დამოუკიდებლად დაიწყო სამოქალაქო ბიუჯეტის განვითარების პროგრამა მუნიციპალიტეტებში, რაც გამოიხატება მათ მეთოდოლოგიურ და ტექნიკურ მხარდაჭერაში. მუნიციპალიტეტების რიცხვი ყოველწლიურად იზრდება, ხოლო 2020 წლის მდგომარეობით კი შემდეგია: გორის მუნიციპალიტეტი, ქალაქი წყალტუბო, ქალაქი ოზურგეთი⁵⁴, ქალაქი ზუგდიდი, დაბა მესტია, ქალაქი წყალტუბო და სიღნაღის მუნიციპალიტეტი. პარტნიორობა მოიცავს სამოქალაქო ბიუჯეტის მოდელის შემუშავებას ადგილობრივი კადრებისა და ექსპერტების მონაწილეობით, ასევე შესაძლებლობების განვითარებას და პროცესის მართვაში დახმარებას, ასევე, სპეციალური საგრანტო კონკურსის ფარგლებში, საინფორმაციო კამპანიის მხარდაჭერას. ფონდის ინიციატივითა და ექსპერტების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და საქართველოს რეგიონალური და ინფრასტრუქტურული სამინისტროს მონაწილეობით შემუშავდა სამოქალაქო ბიუჯეტის სტანდარტები და პრინციპები (<http://participatory.ge/wp-content/uploads/2019/01/Standards-PB-part1.pdf>), რომელთა დაცვა აუცილებელია მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის განხორციელებისას. ფონდმა ასევე დაიწყო მონაწილეობითი ბიუჯეტირების გარე შეფასების მექანიზმის დანერგვა, რომელიც ეყრდნობა სტანდარტებს. მონაწილეობითი პრინციპის დაცვით, შემუშავდა შეფასების საბაზისო და ხარისხობრივი კრიტერიუმები. აღნიშნული პროცესი დაიწყო, როგორც მუნიციპალიტეტების სერტიფიცირების პროცესი, რომელშიც 2019 წელს მონაწილეობა მიიღო 9 მუნიციპალიტეტმა.

2016-2017 წელს, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის

⁵³ <http://participatory.ge/ka/2017/07/pbsaqartvelosi>

⁵⁴ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტირების ელექტრონული პლატფორმა მომზადდა გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრის მიერ პროექტის „ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მოქალაქეთა მხარდით მონაწილეობის ინიციატივა“ ფარგლებში. პროექტი დაფინანსებული ამერიკის ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ.

„მონაწილეობითი ბიუჯეტირება ქალაქ რუსთავში“⁵⁵ ფარგლებში, რუსთავის მუნიციპალიტეტში განხორციელდა მონაწილეობითი ბიუჯეტირების პრინციპების დასამკვიდრებლად აუცილებელი საინფორმაციო კამპანია: მოსახლეობის გამოკითხვა, მერიის თანამშრომელთა გადამზადების მიზნით ტრენინგებისა და მოსახლეობასთან საინფორმაციო ტიპის შეხვედრების ჩატარება.

უკვე 2018 წელიდან მონაწილეობითი ბიუჯეტირების განსხვავებული მოდელის დანერგვა დაიწყო კიდევ 3 მუნიციპალიტეტში. ღია მმართველობის ინიციატივის ვალდებულების ფარგლებში ქალაქ ქუთაისის, ქალაქ ბათუმისა და ახალციხის მუნიციპალიტეტებში დაიწყო მონაწილეობითი ბიუჯეტირების ელექტრონული მოდელი. აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტის „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა“ (GCI) მხარდაჭერით საქართველოში მიმდინარეობს ესტონეთში აპრობირებული მონაწილეობითი ბიუჯეტირების მოდელის დანერგვა, რომელიც ეფუძნება ინტერნეტტექნოლოგიების გამოყენებას და ხმის მიცემის სისტემას - „VOLIS“ (ადგილობრივი დემოკრატიული პროცედურების სისტემა), რომელიც შეიქმნა ესტონეთის ელექტრონული მართვის აკადემიის მიერ (e-Governance Academy)⁵⁶. სამიზნე მუნიციპალიტეტებმა, ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით, მოახდინეს პროგრამის მოდიფიცირება, თუმცა ელექტრონული კომპონენტი ყველგან იქნა შენარჩუნებული. ასევე, პროექტის ფარგლებში, სამივე მუნიციპალიტეტს 2018-2019 წლებში გაენია საინფორმაციო კამპანიის წარმოებაში მხარდაჭერა, რის ფარგლებში მომზადდა საინფორმაციო კამპანიის სტრატეგია, ვიდეო-აუდიო თუ ბეჭდური მასალები, შეიქმნა მხარდაჭერა ჯგუფები, გაიზარდა მოსახლეობის ინფორმირებულობა და ჩართულობა მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესში.

ასევე, 2018 წლიდან, გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ფედერალური სამინისტროს მხარდაჭერით, GIZ ახორციელებს პროექტს „მოქალაქეთა თანამონაწილეობა ადგილობრივ ბიუჯეტირებაში“, რომელიც მოიცავს 3 ქვეყანას (უკრაინა, სომხეთი და საქართველო). თითოეულ ქვეყანაში არის 10 საპილოტე მუნიციპალიტეტი. საქართველოში ესენია: ლაგოდეხი, ახალქალაქი, რუსთავი, მცხეთა, ხაშური, ზესტაფონი, ონი, ფოთი, ლანჩხუთი და ქედა. პროექტის ფარგლებში საპილოტე მუნიციპალიტეტები გაეცნენ სხვადასხვა ქვეყნის მონაწილეობითი ბიუჯეტირების მოდელს, ჩაუტარდათ ტრენინგები საინფორმაციო კამპანიის წარმოების მიმართულებით, ხოლო მედია-კამპანიის ფარგლებში მოხდა


⁵⁵ პროექტი „მონაწილეობითი ბიუჯეტირება ქალაქ რუსთავში“ ხორციელდებოდა ნიდერლანდების მუნიციპალიტეტების ასოციაციასა და მუნიციპალიტეტების საერთაშორისო საკონსულტაციო ცენტრთან პარტნიორობით. <http://rustavi.gov.ge/>

⁵⁶ ელექტრონული მართვის აკადემია, ესტონეთი <https://www.ega.ee/>

ამ მუნიციპალიტეტების დაკავშირება შესაბამისი რეგიონული მედიის წარმომადგენლებთან. პროექტის მხარდაჭერით, ქედის მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა მონაწილეობითი ბიუჯეტირების განხორციელების მეთოდოლოგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც დაინერგება 2020 წლიდან. ამასთან, პროექტის ფარგლებში შემუშავდა მონაწილეობითი ბიუჯეტირების პრაქტიკული გზამკვლევი.

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტმა პროექტის „ადგილობრივი განვითარების აქტორების მდგრადი კავშირის შექმნა საქართველოში“ (დონორი - Bread for the World) მეშვეობით 2018 წელს დაიწყო მონაწილეობითი ბიუჯეტირების დანერგვის ხელშეწყობა, რაც მოიცავდა მონაწილეობითი ბიუჯეტის კვლევას,⁵⁷ ასევე მის მეთოდოლოგიურ მხარდაჭერას და დანერგვაში ხელშეწყობას შემდეგ სამიზნე მუნიციპალიტეტებში: ხელვაჩაური, ბათუმი, ოზურგეთი⁵⁸, ჩოხატაური, გორი.

2019 წლის მდგომარეობით, მონაწილეობითი ბიუჯეტირების ინსტრუმენტი დაინერგა 9 მუნიციპალიტეტში, ესენია: ქალაქი ბათუმი, ქალაქი ოზურგეთი, ქალაქი ზუგდიდი, დაბა მესტია, ქალაქი წყალტუბო, ქალაქი ქუთაისი, ახალციხის, გორის და სიღნაღის მუნიციპალიტეტები. თუ საბოლოოდ შევაჯამებთ, 2020 წლის ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო 126 პროექტი, რომელთა შერჩევაში მონაწილეობა მიიღო 10 ათასზე მეტმა მოქალაქემ .



ილუსტრაცია 18 - მონაწილეობითი ბიუჯეტირების დანერგვის დინამიკა საქართველოში

57 „მონაწილეობითი ბიუჯეტირება (საერთაშორისო გამოცდილება და საქართველოში დანერგვის პრაქტიკის კვლევა)“, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი, 2018 წელი, გვ 48-49. http://civilin.org/pdf/PB_research.pdf

58 ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტირების ელექტრონული პლატფორმა მომზადდა გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრის მიერ პროექტის - „ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მოქალაქეთა მზარდი მონაწილეობის ინიციატივა“-ფარგლებში. პროექტი დაფინანსებულია ამერიკის ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ.


2015 წელი - მარნეული;

2016 წელი - მარნეული, ქალაქი გორი;

2017 წელი - საჩხერე, ბორჯომი, ქალაქი გორი;

2018 წელი - გორის მუნიციპალიტეტი, ქალაქი წყალტუბო ქალაქი ქუთაისი, და ახალციხის მუნიციპალიტეტი;

2019 წელი - ბათუმი, ქალაქი ოზურგეთი, ზუგდიდი, დაბა მესტია, ქალაქი წყალტუბო, ქუთაისი, ახალციხე, გორი, სიღნაღი.



ილუსტრაცია 19 მონაწილეობითი ბიუჯეტირების რუკა მუნიციპალიტეტების მიხედვით (2019 წელი)

დანართი 9. მონაწილეთა მიერ ბიუჯეტის პროგრამის განხორციელების ეტაპები და მათზე პასუხისმგებელი ორგანოები							
	პროექტის განხორციელებაში მონაწილე სუბიექტები	საკრებულო	მერი	მონაწილეთა მიერ ბიუჯეტის საბჭო	სამოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური	არასამთავრობო სექტორი, პროფესიული ორგანიზაციები, საინიციატივო ჯგუფები, აქტიური მოქალაქეები	საპროექტო იდეების ავტორები
პირველი (მოსამზადებელი) ეტაპი - მონაწილეთა მიერ ბიუჯეტის პროგრამის პრიორიტეტების, მოდელის, დაფინანსების ოდენობის განსაზღვრა. ნორმატიული და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ბაზის ფორმირება							
1	პრიორიტეტების, დაფინანსების ოდენობის განსაზღვრა; გამარჯვებული პროექტების გამოვლენის წესის დადგენა, მოდელის შერჩევა	ითანხმებს საკრებულო	ორგანიზებას უწევს კონსულტაციების პროცესს და გადამწყვეტილებებს შესათანხმებლად წარუდგენს საკრებულოს		ორგანიზებას უწევს შეხვედრებს ექსპერტებთან, არასამთავრობო სექტორთან, პროფესიულ ჯგუფებთან, აქტიურ მოქალაქეებთან	მონაწილეთა მიერ კონსულტაციებსა და წინასწარ კვლევებში	
	სწავლებების ორგანიზება		ორგანიზებას უწევს პროცესს		მონაწილეთა მიერ დაგეგმვაში	მონაწილეთა მიერ სწავლებებში	
2	ნორმატიული ბაზის ფორმირება	ამტკიცებს ნორმატიულ აქტს	წარუდგენს პროექტს საკრებულოს			ჩართული არიან შემუშავების პროცესში	
3	საბჭოს ფორმირება		ამტკიცებს დებულებას და პირად შემადგენლობას			ჩართული არიან ფორმირების პროცესში	
4	მონაწილეთა მიერ ბიუჯეტის პროგრამის პროცედურების შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ბაზისა და სამოქმედო გეგმის ფორმირება		ამტკიცებს	შემუშავებს	მონაწილეთა მიერ შემუშავების პროცესში	ჩართული არიან შემუშავების პროცესში	

5	საკომუნიკაციო სტრატეგიის მომზადება; საინფორმაციო კამპანიის დაგეგმვა		ამტკიცებს		გეგმავს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურთან ერთად	გეგმავს საბჭოსთან ერთად	მონაწილეობენ შემუშავების პროცესში	
6	პირველი (მოსამზადებელი) ეტაპის მონიტორინგი	უნვეს მონიტორინგს					მონიტორინგს უწევენ	
6.1	პროგრამის სამართლებრივი უზრუნველყოფის მონიტორინგი						უნვეს მონიტორინგს	
	კრიტერიუმები:	აქტების შესაბამისობა კანონმდებლობასთან, მუნიციპალური ორგანოების უფლებამოსილებებთან, მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის მიზნებთან და ამოცანებთან. აქტების შემუშავებაში ექსპერტებისა და სამოქალაქო სექტორის ჩართულობა						
6.2	პროცესის გამჭვირვალობის მონიტორინგი						უნვეს მონიტორინგს	
	კრიტერიუმები:	სამოქალაქო საზოგადოების, ექსპერტების მონაწილეობა მონაწილეობითი ბიუჯეტის მოდელის შერჩევის, სამართლებრივი აქტების შედგენის პროცესში						
მეორე ეტაპი - მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის თაობაზე მოსახლეობის ინფორმირება და პროექტების მიღება-რეგისტრაცია								
7	საპროექტო წინადადებების წარსადგენი ფორმების მომზადება	პროცესს მონიტორინგს უწევს	ამტკიცებს		ამზადებს	ავრცელებს ინფორმაციას	მონიტორინგს უწევენ პროცესს	
8	მეორე ეტაპის საინფორმაციო კამპანია							
8.1	კამპანიის დაგეგმვა		მერის წარმომადგენლები ჩართული არიან კამპანიის დაგეგმვაში		გეგმავს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურთან ერთად	გეგმავს საბჭოსთან ერთად	ჩართული არიან შემუშავების პროცესში	

8.2	შეხვედრების დაგეგმვა და ჩატარება	მაჟორიტარი დეპუტატები მონაწილეობენ დაგეგმვასა და ორგანიზებაში; საკრებულოს წევრები და თანამდებობის პირები მონაწილეობენ შეხვედრებში	ადმინისტრაციული სამსახური და მერის წარმომადგენლები მონაწილეობენ დაგეგმვასა და ორგანიზებაში; მერი, მოადგილეები და მერის წარმომადგენლები მონაწილეობენ შეხვედრებში		მონაწილეობენ დაგეგმვასა და შეხვედრებში	ამზადებს საინფორმაციო მასალებს; მონაწილეობს შეხვედრების ორგანიზებაში, უზრუნველყოფს პროცესის გაშუქებას	ეხმარებიან დაგეგმვაში, შეხვედრების ორგანიზებაში და მონაწილეობენ შეხვედრებში	
8.3	კარდაკარ კამპანია		მერის წარმომადგენლები მონაწილეობენ დაგეგმვასა და მიმდინარეობაში		გეგმავს და ატარებს	ამზადებს საინფორმაციო მასალას; მონაწილეობს დაგეგმვასა და მიმდინარეობაში	კამპანიის პროცესს უწევს მონიტორინგს	
8.4	საინფორმაციო მასალების მომზადება (სოციალური რეკლამა, გარე რეკლამა, ფლერები, ლიფლეტები, ბროშურები და ა.შ.), ვებგვერდის და სოციალური ქსელების ადმინისტრირება				ხელმძღვანელობს პროცესს ზოგადად	ორგანიზებას უწევს საინფორმაციო მასალის დაზამბდას და განთავსებას; ადმინისტრირებას უწევს ვებგვერდსა და სოციალურ ქსელებს		
8.5	ინტერვიუები, სატელევიზიო დისკუსიები და საჯარო გამოსვლები	მონაწილეობენ საკრებულოს თანამდებობის პირები და წევრები	მონაწილეობენ: მერი, მერის მოადგილეები, სხვა სპიკერები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)		მონაწილეობენ საბჭოს წევრები	ადგენს მედია-გეგმას; ურთიერთობს მედიასთან	მონაწილეობენ საჭიროების და მიხედვით	
9	მეორე ეტაპის საინფორმაციო კამპანიის მონიტორინგი		მერი იღებს ინფორმაციას მონიტორინგის შედეგების შესახებ		ხელმძღვანელობს პროცესს ზოგადად; მონიტორინგის შედეგებს წარუდგენს მერს	ატარებს სატელეფონო და ონლაინ გამოკითხვებს; შედეგებს წარუდგენს საბჭოს		

	მონიტორინგი	გავრცელებული მასალების რაოდენობა, რამდენი მცხოვრების/კომლის ინფორმირება მოხდა კარდაკარ კამპანიის დროს, ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა, მედიით გასული მასალების (სიუჟეტები; სტატიები, ინტერვიუები და ა.შ), ვებგვერდებსა და სოცქსელებში განთავსებული მასალების რაოდენობა; მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამისა და პროცედურების თაობაზე მოსახლეობის ინფორმირებულობის გადამოწმება სატელეფონო და ინტერნეტ- გამოკითხვებით. შემოსული პროექტების რაოდენობა, შემოსული პროექტების თაობაზე მოსახლეობის ინფორმირებულობის ხარისხის გადამოწმება							
10	საპროექტო წინადადებების წარდგენა/რეგისტრაცია	მონიტორინგს უწევს პროცესის სწორად წარმართვას. მონაწილეობს მოსახლეობის კონსულტირების პროცესში	საპროექტო წინადადებების მიღება/ რეგისტრაცია და კონსულტაციების განწვევა მერიასა და მერის წარმომადგენლების ოფისებში			საინიციატივო ჯგუფებთან კონსულტაციების ორგანიზება და სარეგისტრაციოდ მომზადება; საპროექტო წინადადებების მიღება, წინასწარი გადარჩევა	უზრუნველყოფს პროცესის მედია-გამუქებას; საპროექტო წინადადებებს განათავსებს ვებგვერდზე, ინფორმაციას საპროექტო წინადადებების შესახებ განათავსებს სოციალურ ქსელში		წარადგენენ საპროექტო წინადადებებს
11	საპროექტო წინადადებების წარდგენისა და რეგისტრაციის პროცესის მონიტორინგი	უწევს მონიტორინგს						მონიტორინგს უწევს პროცესის სწორად წარმართვას	მონიტორინგს უწევს
11.1	საპროექტო წინადადებების წარდგენის პროცესის მონიტორინგი	უწევს მონიტორინგს						უწევს მონიტორინგს	უწევს მონიტორინგს
	კრიტერიუმები	საპროექტო წინადადების მიღების, გადარჩევის და რეგისტრაციის კრიტერიუმების შესაბამისობა მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილ პროცედურებთან. პროცესის ღიაობა და გამჭვირვალობა. სამოქალაქო სექტორისა და საინიციატივო ჯგუფების ჩართულობა საბჭოსთან კონსულტაციებისა და წინადადებების წინასწარი განხილვის პროცესში.							

მესამე ეტაპი - საპროექტო წინადადებების პრეზენტაციები, მოსახლეობისათვის მათი გაცნობა და საინფორმაციო კამპანიის წარმართვა								
12	საპროექტო წინადადებების განხილვა							
12.1	დასახლების ან საუბნო კრებები, საინფორმაციო შეხვედრები მოსახლეობასთან	მაჟორიტარი დეპუტატები ხელს უწყობენ ორგანიზებას, თანამდებობის პირები და საკრებულოს წევრები მონაწილეობენ შეხვედრებში	ადმინისტრაციისა და მერის წარმომადგენლების მეშვეობით ხელს უწყობს საბჭოს შეხვედრების ორგანიზებაში		გეგმავს და ორგანიზებას უწევს შეხვედრებს	გეგმავს კამპანიას; ამზადებს საინფორმაციო და სააგიტაციო მასალებს; აშუქებს პროცესს მედიაში	მონაწილეობენ შეხვედრებში; მონიტორინგს უწევენ შეხვედრების დაგეგმვისა და წარმართვის პროცესს	მონაწილეობენ შეხვედრებში, წარადგენენ საკუთარ საპროექტო წინადადებებს, მონიტორინგს უწევენ შეხვედრების დაგეგმვისა და წარმართვის პროცესებს
12.2	პრეზენტაციები, დისკუსიები, განხილვები	მონაწილეობენ საკრებულოს წევრები	მონაწილეობს მერი და სხვა თანამდებობის პირები		გეგმავს და მონაწილეობს	გეგმავს; ამზადებს საინფორმაციო მასალას	მონაწილეობენ; მონიტორინგს უწევენ	წარადგენენ საკუთარ საპროექტო წინადადებებს
12.3	საპროექტო წინადადების ავტორთა საინფორმაციო კამპანია	მონიტორინგს უწევს პროცესს	მერის წარმომადგენლები ხელს უწყობენ ავტორს დასახლებებში მოსახლეობის ინფორმირების კამპანიის წარმართვაში, შეხვედრების ორგანიზებასა და ჩატარებაში		ხელს უწყობს ავტორს კამპანიის ორგანიზებაში	ეხმარება ავტორს სააგიტაციო მასალების მომზადებასა და მოსახლეობის ინფორმირებაში	მონიტორინგს უწევენ პროცესს	ამზადებენ საინფორმაციო მასალებს; გეგმავენ და ატარებენ კამპანიას
12.4	მედიაში გაშუქება, რეკლამა, ვებგვერდი და სოციალური ქსელები				პროცესის ზოგადი ხელმძღვანელობა	ადგენს მედია-გეგმას და აშუქებს მთელ პროცესს, ამზადებს და განათავსებს საინფორმაციო ვიდეორგოლებს/ ბანერებს; ადმინისტრირებას უწევს ვებგვერდსა და სოციალურ ქსელებს		მონიტორინგს უწევენ პროცესს

13	მესამე ეტაპის მონიტორინგი		მერი იღებს ინფორმაციას მონიტორინგის შედეგების შესახებ		პროცესის ზოგადი ხელმძღვანელობა; მონიტორინგის შედეგებს წარუდგენს მერს	ატარებს სატელეფონო და ონლაინ-გამოკითხვებს; შედეგებს წარუდგენს საბჭოს		
	კრიტერიუმები	ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა, პრეზენტაციების რაოდენობა, პროექტების თაობაზე მოსახლეობისათვის მიწოდებული მასალების და ინფორმაციის რაოდენობა. მოსახლეობიდან შემოსულ წინადადებებზე რეაგირება. ყველა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლისთვის საინფორმაციო კამპანიის საწარმოებლად თანაბარი პირობების შექმნა; მოქალაქეთა ინფორმირებულობის ხარისხის დადგენა სატელეფონო და ონლაინ გამოკითხვით						
მეოთხე ეტაპი - გამარჯვებული საპროექტო იდეების გამოვლენა და პროექტების რეალიზაცია								
14	კენჭისყრის პროცედურის მომზადება და ჩატარება	პროცესს უწევს მონიტორინგს	ხელს უწყობს კენჭისყრის პროცედურის დაგეგმვას. მერის წარმომადგენლები მონაწილეობენ კენჭისყრის ორგანიზებაში		გეგმავს, ორგანიზებას უკეთებს და წარმართავს კენჭისყრის პროცესს	გეგმავს საინფორმაციო კამპანიას; უზრუნველყოფს პროცესის გაშუქებას, ამზადებს საინფორმაციო მასალებს	პროცესს უწევს მონიტორინგს	პროცესს უწევს მონიტორინგს
15	კენჭისყრის შედეგების გამოქვეყნება	პროცესს უწევს მონიტორინგს			აჯამებს კენჭისყრის შედეგებს	უზრუნველყოფს პროცესის გაშუქებას, მოქალაქეთა ინფორმირებას; გამარჯვებული პროექტების შესახებ ინფორმაციას განათავსებს ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში	პროცესს უწევს მონიტორინგს	პროცესს უწევს მონიტორინგს
16	პროგრამის მეოთხე ეტაპის მონიტორინგი		მერი იღებს ინფორმაციას მონიტორინგის შედეგების შესახებ		პროცესის ზოგადი ხელმძღვანელობა; მონიტორინგის შედეგებს წარუდგენს მერს	ატარებს სატელეფონო და ონლაინ-გამოკითხვებს; შედეგებს წარუდგენს საბჭოს	აქვეყნებს მონიტორინგის შედეგებს	

	კრიტერიუმები	პროექტების შერჩევას კენჭისყრაში მონაწილეთა რაოდენობა. კენჭისყრის ჩატარების დადგენილი პროცედურების და ნორმების დაცვა.						
მეხუთე ეტაპი: გამარჯვებული პროექტების განხორციელება								
17	გამარჯვებული საპროექტო წინადადებების განხორციელების მომზადება	გამარჯვებული პროექტების განხორციელების ხარჯების ბიუჯეტში ასახვა	გამარჯვებული საპროექტო წინადადებების დაბიუჯეტება, პროექტირების ორგანიზება, ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების საკრებულოსთვის წარდენა		მერს წარუდგენენ გამარჯვებულ საპროექტო წინადადებებს	უზრუნველყოფს პროცესის გაშუქებას, მოქალაქეთა ინფორმირებას	პროცესს უწევს მონიტორინგს	პროცესს უწევს მონიტორინგს
18	გამარჯვებული პროექტების განხორციელება	პროცესს უწევს მონიტორინგს	უზრუნველყოფს პროექტირებისა და სამუშაოების შესყიდვას		პროცესს უწევს მონიტორინგს	უზრუნველყოფს პროცესის გაშუქებას, მოქალაქეთა ინფორმირებას	პროცესს უწევს მონიტორინგს	პროცესს უწევს მონიტორინგს
19	პროექტების განხორციელების მონიტორინგი	პროცესს უწევს მონიტორინგს			პროცესს უწევს მონიტორინგს		პროცესს უწევს მონიტორინგს	პროცესს უწევს მონიტორინგს
	კრიტერიუმები	პროექტების შესაბამისობა კენჭისყრის შედეგებთან, საპროექტო მიზნის მიღწევა, პროექტების განხორციელების პროცესში საპროექტო იდეის ავტორთა ჩართულობა, მოსახლეობის ინფორმირებულობა პროექტების განხორციელების თაობაზე						
მეექვსე ეტაპი - მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის ანგარიში და შეფასება								
20	მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის ანგარიში	ისმენს მერის ანგარიშს პროგრამის განხორციელების შესახებ, ამტკიცებს მას, შეიმუშავებს რეკომენდაციებს; საკრებულოს დეპუტატები ანგარიშს წარუდგენენ მოსახლეობას	მერი იბარებს ანგარიშს საბჭოსგან, ამზადებს და წარუდგენს პროგრამის ანგარიშს როგორც საკრებულოს, ისე შემდგომში მოსახლეობასაც		ამზადებს და წარუდგენს მერს საბჭოს მუშაობის ანგარიშს; მონაწილეობს მოსახლეობისთვის ანგარიშის წარდგენაში	საბჭოს წარუდგენს საკუთარი საქმიანობის ანგარიშს; ორგანიზებას უწევს მოსახლეობასთან შეხვედრას, ასევე მოსახლეობის საინფორმაციო უზრუნველყოფას, ავრცელებს მერის ანგარიშს	მონიტორინგს უწევს ანგარიშის შედეგებისა და წარდგენის პროცესს, ამზადებს საკუთარ შენიშვნებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს, საჭიროების შემთხვევაში, ამზადებს ალტერნატიულ ანგარიშს	შეიმუშავებენ საკუთარ შენიშვნებს, წინადადებებსა და რეკომენდაციებს პროგრამის მიმდინარეობის თაობაზე, წარუდგენენ მათ საბჭოს, მერს და საკრებულოს

21	მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის შემაჯამებელი შეფასება	საკრებულოს წევრები მერთან და საბჭოსთან ერთად განიხილავენ პროგრამის შედეგებს	მერის წარმომადგენლები და შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელები მონაწილეობენ დოკუმენტის შემუშავებაში; მერი საბჭოსთან და საკრებულოს წევრებთან ერთად განიხილავს პროგრამის შედეგებს; მერი, აღნიშნული შედეგებისა და საკრებულოს, სამოქალაქო სექტორისა და საპროექტო იდეების ავტორთა მიერ შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე, გეგმავს მომდევნო წლის მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამას		კრიტერიუმების შესაბამისად შეიმუშავებს შეფასების დოკუმენტს და წარუდგენს მერს	მონაწილეობს შეფასების დოკუმენტის შემუშავებაში	მონაწილეობენ შეფასების დოკუმენტის შემუშავებაში	მონაწილეობენ შეფასების დოკუმენტის შემუშავებაში
	კრიტერიუმები	წარდგენილი პროექტების რაოდენობა, პროცესში მონაწილე დასახლებების და მოსახლეობის რაოდენობა. განხორციელებული პროექტების შესაბამისობა მოსახლეობის არჩევანთან. მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამის წარმართვა მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი პროცედურების შესაბამისად; პროგრამის განხორციელებისას სამოქალაქო სექტორის ჩართულობა						



